



ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

N2, 2016 - N1, 2017

საერთაშორისო სამართლის ჟურნალი

JOURNAL OF INTERNATIONAL LAW

JOURNAL OF INTERNATIONAL LAW

N2, 2016 - N1, 2017

საერთაშორისო სამართლის ჟურნალი



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, იურიდიული ფაკულტეტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
International Law Institute, Faculty of Law

N2, 2016 - N1, 2017

**საერთაშორისო
სამართლის
ჟურნალი**

**JOURNAL OF
INTERNATIONAL
LAW**

თბილისი, Tbilisi,
2018

„საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ სამეცნიერო ხასიათის ორენოვანი გამოცემაა. მასში წარმოდგენილია როგორც საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები, ასევე საქართველოს კანონმდებლობის საკითხები.

ჟურნალი გამიზნულია საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

ლევან ალექსიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(თსუ)

აღმასრულებელი რედაქტორი

ქეთევან ხუციშვილი

(თსუ)

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

რალუკა ბესტელიუ

ბუქარესტის უნივერსიტეტი,
ტიტულესკუს უნივერსიტეტი (რუმინეთი)

ირაკლი ბურდული

(თსუ)

კონსტანტინე კორკელია

(თსუ)

ვიგენ კოჩარიანი

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი)

რუსთამ მამედოვი

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)

დავით პატარაია

(თსუ)

გერი სიმფსონი

მელბურნის უნივერსიტეტი (ავსტრალია),
ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლა (დიდი ბრიტანეთი)

ეკა სირაძე

(თსუ)

ირინე ქურდაძე

(თსუ)

ლაური ჰანიკაინენი

თურქუს უნივერსიტეტი (ფინეთი)

სარედაქციო კოლეგია მადლიერია სამართლის დოქტორი საბა ფიფიას (თსუ), ასევე თსუ დოქტორანტების გიორგი ნაკაშიძისა და ონისიმე ცხომელიძის მიერ ჟურნალის ამ ნომრის მომზადებისა და გამოცემის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

BOARD OF EDITORS

Editor in Chief

LEVAN ALEXIDZE

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
(TSU)

Executive Editor

KETEVAN KHUTSISHVILI

(TSU)

Members of the Board:

RALUKA BESTELIU

Bucarest and N. Titulescu Universites
(Romania)

IRAKLI BURDULI

(TSU)

LAURI HANNIKAINEN

University of Turku (Finland)

KONSTANTINE KORKELIA

(TSU)

VIGEN KOCHARYAN

Yerevan State University (Armenia)

IRINE KURDADZE

(TSU)

RUSTAM MAMEDOV

Baku State University (Azerbaijan)

DAVID PATARAIA

(TSU)

GERRY SIMPSON

Melbourne University (Australia),
London School of Economics and
Political Science (UK)

EKA SIRADZE

(TSU)

The Board of Editors expresses appreciation to Dr. Saba Pipia (TSU) as well as TSU PhD students Giorgi Nakashidze and Onisime Tskhomelidze for their invaluable contribution to the preparation and publishing this edition of the Journal.

სარჩავი CONTENTS

გიორგი ბაღდავაძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარება, როგორც <i>erga omnes</i> ვალდებულება	5
Giorgi Bagdavadze, Non-recognition of the Occupied Georgian Territories as an Obligation Erga Omnes	25
გიორგი ნაკაშიძე, ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლება დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ: ძალის გამოყენების ლეგიტიმური თუ ლეგალური ფორმა?	42
Giorgi Nakashidze, The Right of Extraterritorial Self-defence against Autonomously Operating Non-State Actors: Legitimate or Legal Use of Force?	68
მარიამ ბეჟანიშვილი, საქართველოს სიტუაცია – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე არსებული უნიკალური სიტუაციის სამართლებრივი ანალიზი	89
Mariam Bezhanishvili, Situation in Georgia – A Unique Case before the International Criminal Court	106
ოლეგ თორთლაძე, უსაფუძვლო ვეტო, როგორც საერთაშორისო მართლწესრიგის გამონევა	120
Oleg Tortladze, Unreasonable veto as a challenge to the global order	138
ონისიმე ცხომელიძე, არასახელმწიფო აქტორების მიერ ჩადენილი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ICC-ის იურისდიქციის ქრილში	154
Onisime Tskhomelidze, Crimes against Humanity Committed by Non-state Actors Within the Jurisdiction of the ICC	167
საბა ფიფია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგისა და სამოქალაქო ცხოვრების შენარჩუნების უზრუნველყოფა	177
Saba Pipia, Maintenance of Public Order and Civil Life in Occupied Territories	194
გურამ ლვინჯილია, უმცირესობების პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ფარგლები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	208
Guram Gvinjilia, The Scope of Political Participation of Minorities in the Case Law of the European Court of Human Rights	220
ირაკლი ადეიშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში	229
Irakli Adeishvili, The Place of European Convention of Human Rights and Convention Based Case Law in the Legal System of Georgia	240
მერი კაპანაძე, სიძულვილის ენა რელიგიური კონტექსტით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს პრაქტიკის ფარგლებში	249
Meri Kapanadze, Hate Speech in the Context of Religion: the Practice of the European Court of Human Rights and Georgia	258

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არალიარება, როგორც *ERGA OMNES* ვალდებულება

აბსტრაქტი:

2008 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო წესრიგის კუთხითაც. ძალიან მალე, ამას შედეგად მოჰყვა ყირიმის ანექსიაც. ამგვარ ვითარებაში დი მნიშვნელობას იძენს არ-ალიარების ანუ *ex injuria jus non oritur* პრინციპის თანამედროვე გააზრება, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო თანამეგობრობის დავალდებულებას, რათა გატარდეს პოზიტიური ღონისძიებები საერთაშორისო სამართლის დარღვევით წარმოქმნილი სიტუაციის არ-ალიარების კუთხით, რაც საბოლოო უნდა აისახოს საქართველოს (და უკრაინის) ტერიტორიების სრულ დეოკუპაციაში.

საკვანძო სიტყვები: ოკუპირებული ტერიტორიები | არ-ალიარების *erga omnes* ვალდებულება | სტიმსონის დოქტრინა | *jus cogens* ნორმების დარღვევა | ქართველების ეთნონმენდა | საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია

შესავალი

ნაშრომის მიზანია იმის დამტკიცება, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული ქართული რეგიონების ალიარება წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ საერთაშორისო სამართალთან, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუწყოს ოკუპირებული ტერიტორიების არ-ალიარების პოლიტიკას და გაატაროს ეფექტიანი ზომები, რომლებიც მიმართული იქნება ქვეყნის სრულ დეოკუპაციაზე.

პირველ თავში მიმოხილულია არალიარების დოქტრინის ჩამოყალიბება და მისი ასახვა საერთაშორისო სამართალში. სტიმსონის დოქტრინის შემდეგ, რომელიც იაპონიის მიერ მანჯურიის მიწების ოკუპაციას ეხებოდა, არალიარების ვალდებულებამ აისახა გაეროსა და ეუთოს არაერთ დოკუმენტში. მათ შორის, აღსანიშნავია ჩვეულებითი სამართლის სტატუსის მქონე 1970 წლის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ და 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (შემდგომში – ICJ) ორ საკონსულტაციო დასკვნაში (ნამიბიის და კედლის საკონსულტაციო დასკვნები) შეეხო ხსენებულ დოქტრინას და განმარტა სხვადასხვა კონტექსტში. განსაკუთრებით, აღსანიშნავია გაბატონებული მიდგომა, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სამართლის დარ-

ღვევით მიღებული სიტუაციის არალიარების ვალდებულება არის *erga omnes* ხასიათის.

თუმცა, ამ უკანასკნელ მიდგომას დაზუსტება სჭირდება, რაც ბადებს შემდეგ შეკითხვას: რა წინაპირობების არსებობისას იძენს ხსენებული ვალდებულება საყოველთაო ხასიათს? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, ნაშრომის მეორე თავში, გაანალიზებულია სამი შემთხვევა: ა) როდესაც ირღვევა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ ალიარებული ნორმა (*jus cogens*); ბ) როდესაც მძიმედ ირღვევა ნორმა, რომლის *jus cogens* ხასიათი შეიძლება იყოს სადავო, თუმცა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ურყევ ნორმას. ასეთად ითვლება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დადგენილი ნორმები; გ) როდესაც სახეზეა უშიშროების საბჭოს რეზოლუცია. ამ მხრივ *mutatis mutandis* გაანალიზებულია საქართველოს შემთხვევა გენერალური ასამბლეის 1950 წლის ცნობილი რეზოლუციის „გაერთიანებულნი მშვიდობისთვის“ კონტექსტში. კერძოდ, პასუხი ეცემა შემდეგ შეკითხვას: შეიძლება თუ არა გენერალურმა ასამბლემ იკისროს არალიარების ვალდებულების შესრულებაზე ზედამხედველობის ფუნქცია, თუკი სახეზეა უშიშროების საბჭოს უმოქმედობა?

მესამე თავში მიმოხილულია ის წინაპირობები, რომლებიც სახეზეა საქართველოს შემთხვევაში, რათა ოკუპირებული ტერიტორიების არალიარების ვალდებულებას მიენი-

ჭოს *erga omnes* ძალა. კერძოდ, ძალის გამოყენებით და გაეროს ქარტიის მე-2(4) მუხლის დარღვევით მიღებული ვითარება ავტომატურად ნიშნავს *jus cogens* ნორმების დარღვევას, რაც საერთაშორისო თანამეგობრობას *per se* ავალდებულებს არა მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებისგან თავის შეკავებას, არამედ სხვადასხვა პოზიტიური ზომების გატარებას, რათა არ ნახალსდეს ასეთი სიტუაციის შენარჩუნება. მეორე მხრივ, დახარისხებულია ის შემთხვევები, როდესაც რუსეთის ქმედებებით დაირღვა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურყევი პრინციპები, ამ შემთხვევაში, ქართველების ეთნიკური წმენდით და შეიარაღებული კონფლიქტისას ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულებებით.

სახელმწიფოთა შემდგომი პრაქტიკის ანალიზს იმდენად საზოგადო მნიშვნელობა აქვს, რომ ის საერთაშორისო ხელშეკრულებების განმარტების მექანიზმაც კი არის აღიარებული. ანალოგიურად, პრაქტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როდესაც საქმე ეხება არაღიარების ვალდებულებას. მაგალითად, ევროკავშირის მიდგომის ანალიზი დასავლეთ საჰარის ტერიტორიასთან და პალესტინაში არსებულ დასახლებებთან მიმართებით იწვევს აზრთა სხვადასხვაობას მეცნიერთა შორის. თუმცა, როგორი მიდგომა აქვს საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ? აღნიშნულ შეკითხვას დეტალურად და ამომწურავად გაეცემა პასუხი შესაბამისი პრაქტიკის ანალიზით. აღნიშნული საკითხების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელი ქართული რეალობის გათვალისწინებით, მაშინ, როცა ჩრდილოვანი პოლიტიკისა და სახელმწიფო სტრუქტურების დასუსტების კვალდაკვალ იზრდება რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების საბოლოო ანექსიის რისკი.

1. არაღიარების დოქტრინის წარმოშობის ისტორია და ასახვა საერთაშორისო საგარეო ურთიერთობებში

სამართლის ნორმების დარღვევით შექმნილი მდგომარეობის არაღიარების ვალდებულება სათავეს იღებს სამართლის ზოგადი პრინციპიდან – *ex injuria jus non oritur* – რომლის თანახმადაც, უფლება არ შეიძლება გამომდინარეობდეს უკანონო ქმედებიდან.¹ აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებულ

მნიშვნელობას იძენს იმგვარი შემთხვევებისას, როდესაც, სახეზე გვაქვს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსია.²

არაღიარების დოქტრინის წარმოშობა უკავშირდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ჰენრი სტიმსონის მიერ 1932 წლის 7 იანვარს იაპონიის იმპერიისა და ჩინეთის რესპუბლიკისთვის გაგზავნილ დიპლომატიურ ნოტას, რომელიც ეხებოდა იაპონიის იმპერიის მიერ მანჯურიის რაიონის ოკუპაციას. ნოტაში აღნიშნული იყო, რომ „დე ფაქტო მდგომარეობის მიუხედავად, აშშ არ აღიარებდა სიტუაციას, ხელშეკრულებას თუ შეთანხმებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა პარიზის 1928 წლის 27 აგვისტოს [კელოგ-ბრაიანის] პაქტთან“.³

1932 წლის 11 მარტს, ერთა ლიგის ასამბლეამ დაადგინა, რომ „ერთა ლიგის წევრებს დაკისრებული აქვთ ვალდებულება, არ აღიარონ იმგვარი სიტუაცია, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომელიც ეწინააღმდეგება ერთა ლიგისა და პარიზის პაქტებს“.⁴

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების შექმნის შემდეგ, არაღიარების ვალდებულებამ საერთაშორისო სამართლებრივი ასახვა ჰპოვა ცალკეულ რეზოლუციებში, დოკუმენტებსა თუ ICJ-ის საკონსულტაციო დასკვნებში. მეტიც, ხსენებული დოქტრინა საკმაოდ აქტუალურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც.

გაეროს პირველი დოკუმენტი, რომელიც ეხება არაღიარების ვალდებულებას, არის 1949 წლის სახელმწიფოთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ დეკლარაციის პროექტი, რომლის მე-11 მუხლში აღინიშნა, რომ *ყველა სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიკავოს ძალის გამოყენებით ან მისი მუქარით მოპოვებული ტერიტორიის აღიარებისგან*.⁵

მსგავსი შინაარსის ჩანაწერი გაკეთდა 1964 წელს ქაიროში სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში. კონფერენცია ეხებოდა მშვიდობიან თანაცხოვრებასა და გაეროს მიერ დადგენილი პრინციპების კოდიფიკაციას. დეკლარაციაში აღინიშნა, რომ „სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი სახის ძალის გამოყენების ან მისი მუქარისგან, რომელიც მიმართული იქნება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიული

მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ნებისმიერი ვითარება, რომელიც იქნება ამგვარი ძალის გამოყენების ან მისი მუქარის შედეგი, არ უნდა იქნეს აღიარებული“.⁶

არალიარების პრინციპმა განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა, როცა ის განმტკიცდა გაეროს 1970 წლის საერთაშორისო სამართლის პრინციპების, სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ 2625 დეკლარაციით, რომელშიც არალიარების ვალდებულება დაზუსტებით ფორმულირდა და ნახსენები იქნა ოკუპაციის კონტექსტში. კერძოდ, დეკლარაციის 1-ლი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფოს ტერიტორია არ შეიძლება დაექვემდებაროს სამხედრო ოკუპაციას, რომელიც წარმოადგენს ძალის გამოყენების შედეგს და ეწინააღმდეგება გაეროს ქარტიას. სახელმწიფოს ტერიტორია არ შეიძლება მეორე სახელმწიფოს მიერ მოპოვებული იქნეს ძალის გამოყენების ან მისი მუქარის შედეგად. ტერიტორიის არც ერთი ამგვარი მოპოვება, რომელიც არის ძალის გამოყენების ან მისი მუქარის შედეგი, არ უნდა იქნეს აღიარებული კანონიერად“.⁷ აღნიშნული დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამომდინარეობს მისი ჩვეულებითი სამართლის ბუნებიდან, რომელიც აღიარებულია ICJ-ის მიერ ნიკარაგუას საქმეში და კოსოვოს საკონსულტაციო დასკვნაში.⁸

არალიარების ვალდებულება განმარტებულია ასევე გაეროს 1970 წლის საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ⁹ და 1974 წლის აგრესიის შესახებ დეფინიციის დეკლარაციებში.¹⁰ ანალოგიური სულისკვეთების მატარებელია ეუთოს ჰელსინკის 1975 წლის საბოლოო აქტიც¹¹ და გაეროს 1987 წლის დეკლარაცია ძალის გამოყენებისა და მისი მუქარისგან თავის შეკავების პრინციპის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ.¹²

არალიარების დოქტრინის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ICJ-ს. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ICJ-ის 1971 წლის საკონსულტაციო დასკვნა სამხრეთ აფრიკის მიერ ნამიბიის (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა) ტერიტორიის განგრძობადი დაკავების სამართლებრივი შედეგები უშიშროების საბჭოს 276(1970) რეზოლუციის მიუხედავად.¹³ საკუთრივ საკითხი ICJ-ის გადაეცა უშიშროების საბჭოს მიერ, შეკითხ-

ვა კი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოსთვის თუ იგი უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიუხედავად გააგრძელებს ნამიბიის ტერიტორიის დაკავებას? საკითხის ICJ-თვის გადაცემა გამოიწვია შემდეგმა ფაქტობრივმა მდგომარეობამ: პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ნამიბია (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა), რომელიც წარმოადგენდა გერმანიის ყოფილ კოლონიას, ერთა ლიგის მანდატით ადმინისტრირებისთვის გადაეცა სამხრეთ აფრიკას.¹⁴ გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წლის 27 ოქტომბრის 2145 რეზოლუციის თანახმად,¹⁵ ხსენებული მანდატი გაუქმდა. 1969 წლის 20 მარტის 264(1969) რეზოლუციით, უშიშროების საბჭომ აღიარა მანდატის გაუქმება და მოუწოდა სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებას, რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ნამიბიის ტერიტორია.¹⁶ სამხრეთ აფრიკის მხრიდან დაუმორჩილებლობის შემდეგ, 1970 წლის 30 იანვარს, 276(1970) რეზოლუციით, უშიშროების საბჭომ სამხრეთ აფრიკის ადმინისტრაციის ყოფნა ნამიბიის ტერიტორიაზე გამოაცხადა კანონგარეშედ და მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, რომ თავი შეეკავებინათ სამხრეთ აფრიკასთან ნებისმიერი ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობების დაკავებისგან, რომელიც ხელს შეუწყობდა სამხრეთ აფრიკის ადმინისტრაციის ყოფნას ნამიბიის ტერიტორიაზე.¹⁷

თავის საკონსულტაციო დასკვნაში ICJ-მ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ფაქტორზე, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არალიარების დოქტრინასთან მიმართებით. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ არალიარების ვალდებულება განიხილა *stricto sensu* უშიშროების საბჭოს 276(1970) რეზოლუციის კონტექსტში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლომ ჩამოთვალა კონკრეტული მაგალითები, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს სახელმწიფოების მხრიდან არალიარების ვალდებულების შესრულება. ესენია: სამხრეთ აფრიკის ადმინისტრირებად ნამიბიის ტერიტორიაზე დიპლომატიური მისიების და კონსულების გაგზავნისგან თავის შეკავება; არსებული მისიების თუ საკონსულოების გამოხმობა; ცალსახად გაცხადება, რომ სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე არსე-

ბული დიპლომატიური მისიების მანდატი არ ვრცელდება ნამიბიაზე, რითაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ნამიბიის ტერიტორიაზე სამხრეთ აფრიკის ხელისუფლების არალიარება.¹⁸ ხოლო რაც შეეხება ნაგულისხმევ ვალდებულებებს, აღნიშნული გამოიხატებოდა გაეროს წევრი სახელმწიფოების მხრიდან სამხრეთ აფრიკასთან იმგვარი ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობებში შესვლისგან თავის შეკავებაში, რომელიც ხელს შეუწყობდა ნამიბიის ტერიტორიაზე სამხრეთ აფრიკის ადმინისტრაციის ყოფნის გახანგრძლივებას.¹⁹

გარდა ზემოთაღნიშნულისა, სასამართლომ, ნამიბიის საკონსულტაციო დასკვნაში ორი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა: 1) პირველი ცნობილია, როგორც „ნამიბიის გამონაკლისი და გულისხმობს, რომ არალიარების ვალდებულებამ არ უნდა ნაართვას ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა, ისარგებლონ საერთაშორისო თანამშრომლობისგან მიღებული სიკეთეებით. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა: „მიუხედავად იმისა, რომ მანდატის გაუქმების შემდეგ სამხრეთ აფრიკის მთავრობის მიერ ნამიბიის ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებები არის კანონგარეშე და ბათილი, აღნიშნული ბათილობა არ უნდა გავრცელდეს იმგვარ აქტებზე, როგორებიცაა დაბადების, გარდაცვალებისა და ქორწინების მონომობები, რომელთა ეფექტის იგნორირება გამოიწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებისთვის ზიანის მიყენებას“;²⁰ 2) რაც შეეხება მეორე მნიშვნელოვან განმარტებას, იგი ეხებოდა გაეროს არანევრ ქვეყნებს, რომლებთან დაკავშირებითაც, სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო არალიარების *erga omnes* ვალდებულება და შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფო ხდებოდა ვალდებული, შეესრულებინა უშიშროების საბჭოს 276(1970) რეზოლუცია.²¹

არალიარების ვალდებულების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ICJ-ის საკონსულტაციო დასკვნა ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ.²²

2003 წლის 8 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ თავის მეათე საგანგებო შეხვედრაზე მიიღო რეზოლუცია ES-10/14 ოკუპირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმსა და პალესტინის დანარჩენ ოკუპირებულ ტერიტო-

რიებზე ისრაელის უკანონო ქმედებების თაობაზე,²³ რომლის საფუძველზეც მიმართეს ICJ-ს შემდეგი კითხვით: რა სამართლებრივი შედეგები წარმოიშობა ისრაელის, როგორც ოკუპანტი ძალის, მიერ ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, კედლის მშენებლობის შედეგად საერთაშორისო სამართლის წესებისა და პრინციპების, მათ შორის, ჟენევის 1949 წლის მეოთხე კონვენციის, უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციების თანახმად?²⁴

ნამიბიის შემთხვევისგან განსხვავებით, კედლის შესახებ შეკითხვა საკონსულტაციო დასკვნისთვის სასამართლოს გადაეცა გენერალური ასამბლეისგან. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოცემულ დასკვნაში სასამართლომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ანალიზის ნაცვლად მეტი ყურადღება დაუთმო პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების დარღვევას. კერძოდ, აღინიშნა, რომ 160,000 ადამიანი ექცეოდა დანარჩენი 320,000 ადამიანისგან მონყვეტილ გარემოში, რაც ხელს შეუშლიდა პალესტინელი ხალხის მიერ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას. მეტიც, სასამართლომ თვითგამორკვევის უფლება გაიყვანა *erga omnes* კატეგორიაში.²⁵

რაც შეეხება მესამე სახელმწიფოებისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს, სასამართლომ გაიმეორა არალიარების ვალდებულების არსებობის შესახებ და მოუწოდა გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს, რომ განხორციელებინათ ყველა საჭირო ზომა, რათა კედლის უკანონო მშენებლობა დასრულებულიყო. დამატებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ჟენევის 1949 წლის კონვენციების ყველა ხელშემკვერელმა მხარემ უნდა უზრუნველყონ ისრაელის მხრიდან ჟენევის მეოთხე კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.²⁶ აღსანიშნავია, რომ განსხვავებით ნამიბიის საკონსულტაციო დასკვნისგან, სასამართლოს კედლის საკონსულტაციო დასკვნაში არ უმსჯელია ე.წ. „ნამიბიის გამონაკლისის“ წესის შესახებ. ამ მხრივ, საინტერესო მოსაზრებას ავითარებს დოქტორი საბა ფიფია, რომლის თანახმადაც ნამიბიის გამონაკლისის ტესტის გამოყენება ოკუპანტი ძალის მიერ შექმნილ დასახლებებთან მიმართებით შეუსაბამოა, რადგან გამონაკლისიდან გამომდინარე უპი-

რატესობის მიმღები სამიზნე ჯგუფი სრულიად განსხვავებულია სასამართლოს მიერ განხილული საქმისგან და ამას გარდა, დასახლებების შექმნა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევაა, რაც გამორიცხავს ნამიბიის გამონაკლისის წესის გამოყენებას. ამ გამონაკლისის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაცვის უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, თუკი ისინი ცდილობენ საერთაშორისო დონეზე სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლას. რამდენადაც ჩასახლებული პირები არ შეადგენენ „ადგილობრივ მოსახლეობას“ და რჩებიან სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის დაცვის მიღმა, გამონაკლისი მათზე ვერ გავრცელდება. გარდა ამისა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მსხვილი დასახლებების შექმნა იწვევს ტერიტორიაზე დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლას, რაც ზუსტად რომ „ზიანის მომტანი იქნება ტერიტორიის მოსახლეობისათვის“ და შესაბამისად, უნდა მიიჩნეოდეს ბათილად.²⁷

არალიარების კონტექსტში, ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის ორი დოკუმენტი: „საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლები“²⁸ და „საერთაშორისო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ მუხლები“ პროექტი.²⁹

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი არალიარების ვალდებულებას უკავშირებს *jus cogens*-ის დარღვევას. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, „არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა აღიაროს კანონიერად ვითარება, რომელიც გამონეულია მძიმე დარღვევით, როგორც ეს განსაზღვრულია მე-40 მუხლში, ასევე [სახელმწიფოებმა] არ უნდა შეუწყონ ხელი ამგვარი ვითარების შენარჩუნებას“. რაც შეეხება მე-40 მუხლს, ის ეხება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის დადგენას სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში. ამასთან, სერიოზულობის ტესტი მოიცავს პასუხისმგებელი სახელმწიფოს მიერ ხსენებული ნორმების მძიმე და სისტემატურ დარღვევას. აღნიშნული მიდგომა *mutatis mutandis* გამეორებულია „საერთაშორისო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ მუხლები“ პროექტში.

2. რა შემთხვევაში იძენს არალიარების ვალდებულება ERGA OMNES ხასიათს?

საერთაშორისო სამართლის დარღვევა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც საერთაშორისო სამართლის პირი არღვევს საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებას. საკუთრივ დარღვევის ცნება მოიცავს როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას, ასევე, მძიმე დარღვევებსაც, რომლებაც შეიძლება ჩაითვალოს, მათ შორის, სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილი დანაშაულები, როგორც ეს განმარტებულია საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ 1996 წელს შემუშავებულ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტში.³⁰ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა უნდა იქნეს გაგებული, როგორც დამრღვევი სახელმწიფოს ვალდებულება მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის და არა კონკრეტული სახელმწიფოს წინაშე. სახელმწიფოთათვის *erga omnes* ხასიათის ვალდებულების დაკისრების ინსტიტუტი სწორედ ამ ხედვას ადასტურებს.³¹ თავის მხრივ, *erga omnes* ვალდებულების შინაარსი განმარტებულია ICJ-ის მიერ *Barcelona Traction* საქმეში, სადაც აღინიშნა, რომ „არსებითი განსხვავება უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინაშე არსებულ ვალდებულებასა და იმგვარ ვალდებულებას შორის, რომელიც სახელმწიფოს აქვს მთელი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე [...] თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ამგვარი ვალდებულება მიემართება ნებისმიერ სახელმწიფოს. ამგვარ ვალდებულებასთან დაკავშირებულ უფლებებთან მიმართებით, უნდა ჩაითვალოს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს მათი დაცვის სამართლებრივი ინტერესი, რაც წარმოადგენს *erga omnes* ვალდებულებას“. ³² სასამართლომ ანალოგიური მიდგომა დააფიქსირა აღმოსავლეთ ტიმორის საქმეში³³ და კედლის საკონსულტაციო დასკვნაში.³⁴

2.1. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების (*jus cogens*) დარღვევა

მიუხედავად იმისა, რომ *jus cogens* და *erga omnes* ვალდებულებებს აქვთ განსხვავებული სამართლებრივი შედეგები, ისინი მაინც ურთიერთდაკავშირებულნი არიან

სხვადასხვა ასპექტით, რაც გამოიხატება იმ სამართლებრივ ინტერესში, რომელიც ყველა სახელმწიფოს აქვს და გულისხმობს სწორედ საერთაშორისო სამართალში საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვას. სწორედ ეს მოსაზრებაა მხარდაჭერილი ICJ-ის მიერ *Barcelona Traction* საქმეში, რომლის თანახმადაც: „ამგვარი ვალდებულებები წარმოიშობა, მაგალითად, საერთაშორისო სამართალში ისეთი ქმედებების კანონგარეშედ გამოცხადებისთვის, როგორებიცაა აგრესიის აქტი და გენოციდი, ისევე, როგორც იმგვარ პრინციპებსა და ნორმებზე დაყრდნობით, რომლებიც ეხება ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორცაა მონობისგან და რასობრივი დისკრიმინაციისგან დაცვა“.³⁵

ამასთან, აღსანიშნავია, რომ არალიარების ვალდებულება უნდა იქნეს გაგებული ჰორიზონტალურ ქრილში, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ სახელმწიფოებზე, არამედ არასახელმწიფო სუბიექტებზეც, იქნება ეს საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, ევროკავშირი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი თუ სხვა სუბიექტი.³⁶ მაშასადამე, არაფერი უშლის ხელს იმ მოსაზრებას, რომ არალიარების ვალდებულება ასევე ვრცელდება კერძო სამართლის სუბიექტებზე, ხოლო სახელმწიფოებს კი ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყონ არალიარების ვალდებულების ეფექტიანად შესრულება.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების განმარტება მოცემულია ვენის 1969 წლის საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ კონვენციის³⁷ 53-ე მუხლში, რომელიც *mutatis mutandis* გამეორებულია „სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მოქმედი სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1986 წლის კონვენციის³⁸ 53-ე მუხლში, რომელთა თანახმადაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმა არის იმგვარი ნორმა, რაც მიღებული და აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ მთლიანობაში, როგორც ნორმა, რომლიდან გადახვევაც არ არის დაშვებული და რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის შემდგომი, იმავე ბუნების მქონე, საყოველთაო ხასიათის ნორ-

მით. განსხვავებით ჩვეულებითი სამართლისგან, *jus cogens* ნორმებთან მიმართებით არ მოქმედებს ე.წ. „მუდმივი მონინალმდეგის“ (persistent objector) დოქტრინა.³⁹

ამ ქრილში საინტერესოა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, *erga omnes* ვალდებულების არსებობა უნდა განიხილებოდეს სწორედ *jus cogens* ნორმების აღსრულების მექანიზმად, ხოლო დარღვევის შემთხვევაში მეორად ნორმად,⁴⁰ რომელიც წარმოშობს კონკრეტული ქმედების (მოცემულ შემთხვევაში არალიარების) საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას.

კომენტატორები ხშირად მიუთითებენ *jus cogens* ნორმების დარღვევის შეუძლებლობაზეც, კერძოდ, მათი მტკიცებით, ამგვარი ნორმებიდან გადახვევაც კი შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ქმედება და მისი სამართლებრივი შედეგები *ab initio* და *in toto* ბათილი იქნება.⁴¹ აღნიშნული მიდგომა არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ კიდევ უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმიდან გადახვევით (დარღვევით) მიღებული ვითარება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, იმთავითვე ბათილია და შედეგად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს ეკისრებათ ამგვარი ვითარების არალიარების *erga omnes* ვალდებულება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მაინც აღიარებს ასეთ კანონგარეშე ვითარებას, ამგვარი აღიარება იქნება ბათილი. სწორედ ეს მოსაზრებაა მხარდაჭერილი სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ 41-ე მუხლში.

2.2. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურყევი ნორმის დარღვევა

როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, იმისათვის რომ არალიარების ვალდებულებამ შეიძინოს *erga omnes* ხასიათი, საჭიროა უკანონო ვითარება გამოწვეული იყოს *jus cogens* ნორმის დარღვევით. სხვაგვარი მოსაზრების თანახმად, არალიარებისა და დაუხმარებლობის ვალდებულებები წარმოიშობა იმგვარი ნორმების დარღვევის შემთხვევაშიც, რომელთაც ჯერ-ჯერობით არ მოუპოვებიათ *jus cogens* ხასიათი.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლე კოეიმანსის განსხვავებული მოსაზრება კედლის საკონსულტა-

ციო დასკვნაში. კერძოდ, მოსამართლემ აღნიშნა, რომ დარღვევის შედეგები იდენტურია იმის მიუხედავად, აქვს თუ არა დარღვეულ ნორმას *jus cogens* ხასიათი.⁴² ამ კონტექსტში ყურადსაღებია საკუთრივ საკონსულტაციო დასკვნაში არსებული ჩანაწერიც, რომლის მიხედვითაც „ადამიანურობის ელემენტარული მოთხოვნები“, ⁴³ ე.ი. „შეიარაღებული კონფლიქტისას გამოსაყენებელი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უმეტესობა, [...] რომლებიც დაცულია ყველა სახელმწიფოს მიერ, მიუხედავად კონვენციების რატიფიცირებისა, და იმიტომ, რომ ეს ნორმები წარმოადგენენ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურყევ პრინციპებს, სასამართლოს მოსაზრებით, მოიცავს *erga omnes* დაცვის ვალდებულებას“. ⁴⁴

არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა, მაგალითად, ანტონიო კასესემ, ასევე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებმა კორომამ, ბედჯოუიმ და ვირამანტრიმ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ამგვარი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურყევი პრინციპები, თუ ჯერ არ წარმოადგენენ *jus cogens* ნორმებს, სულ მცირე უნდა ჩაითვალოს *jus cogens in statu nascendi* ე.ი. საერთაშორისო სამართლის საყოველთაო პრინციპად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ნორმებად.⁴⁵ შესაბამისად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევა⁴⁶ უნდა განიხილებოდეს, როგორც ჩვეულებითი სამართლის ურყევი პრინციპების,⁴⁷ ე.ი. *jus cogens in statu nascendi* ნორმის დარღვევა.⁴⁸ ეს კი წარმოშობს ამგვარი დარღვევით შექმნილი ვითარების არალიარების იდენტურ, *erga omnes* ვალდებულებას.

2.3. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მნიშვნელობა – იმოქმედებს თუ არა „გაერთიანებულნი მშვიდობისთვის“ რეზოლუციის სულისკვეთება *mutatis mutandis* საქართველოს შემთხვევაზე?

არალიარების *erga omnes* ვალდებულების წარმოშობაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს უშიშროების საბჭოსაც. გაეროს ქარტიის 39-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭო ექსკლუზიურად განსაზღვრავს იმას, თუ როდის ემუქრება საფრთხე საყოველთაო მშვიდობას. ასევე, სწორედ ეს ორგანო

იღებს გადაწყვეტილებებს, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად. უშიშროების საბჭოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს ანესრიგებს გაეროს ქარტიის VII თავი.⁴⁹ ვითარების „მშვიდობისთვის საფრთხის შექმნად“, „მშვიდობის დარღვევად“, თუ „აგრესიის აქტად“ კვალიფიკაციისთვის უშიშროების საბჭოს ენიჭება ფართო დისკრეტია. მიუხედავად ამისა, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უშიშროების საბჭოს შეიძლება დაევალოს ქარტიის VII თავის ამოქმედება. აქედან გამომდინარე, 39-ე მუხლის გამოყენება წარმოადგენს უშიშროების საბჭოს უფლებას და არა ვალდებულებას.⁵⁰

იმისთვის, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციით დაკისრებულმა ვალდებულებამ *erga omnes* ხასიათი შეიძინოს, არ არის აუცილებელი, რომ ის მხოლოდ VII თავის რეჟიმში იქნეს მიღებული. ამასთან, 39-ე მუხლის ხსენებისგან თავის შეკავება ავტომატურად არ ნიშნავს, რომ რეზოლუცია არ არის VII თავით მიღებული. უშიშროების საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა, რაც მითითებულია კიდევ ქარტიის 25-ე მუხლში. უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ძალის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ტექსტის კონტექსტუალურ ანალიზს, მაგალითად იმას, თუ რა სიტყვებით არის ჩამოყალიბებული ტექსტი (ის ავალდებულებს თუ მოუწოდებს), ასევე, თუ რომელ წინა რეზოლუციებზე ხდება მითითება.⁵¹

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის არსებობა, არალიარების ვალდებულების განსამტკიცებლად, არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადგან ეფექტურობის კოეფიციენტი ამ შემთხვევაში გაცილებით მაღალია. თუმცა, ეს იმგვარად არ უნდა განიშორდეს, თითქოსდა რეზოლუციის არარსებობა აკნინებს თავად არალიარების ვალდებულების არსს. აღნიშნული გამომდინარეობს შემდეგი ორი არგუმენტიდან. პირველ რიგში, არალიარების ვალდებულება წარმოიშობა თავად უკანონო აქტის ჩადენის მომენტიდან,⁵² და მეორეც, საერთაშორისო სამართალში არსებულ ეფექტიანობასა და კანონის უზენაესობას შორის არსებული კონფლიქტი⁵³ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წყდება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა განგრძობადობა

და თანმიმდევრულობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მშვიდობისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე ყოფნის ექსკლუზიური კომპეტენცია მარტოოდენ უშიშროების საბჭოს არ აქვს უზურპირებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 3 ნოემბრის 377-ე რეზოლუცია სახელწოდებით „გაერთიანებული მშვიდობისთვის“,⁵⁴ სადაც აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების საბჭო, მუდმივ წევრთა თანხმებულ ხმების არარსებობის გამო, ვერ უზრუნველყოფს მასზე დაკისრებული საერთაშორისო მშვიდობის დაცვის ვალდებულების შესრულებას, ეს ფუნქცია უნდა გადაიბაროს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ. 1962 წლის 20 ივლისის საკონსულტაციო დასკვნაში გაერთიანებული ერების კონკრეტული ხარჯების შესახებ,⁵⁵ ICJ-მ დაადგინა, რომ უშიშროების საბჭოს როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაში არის პირველადი, თუმცა არა ექსკლუზიური.⁵⁶ სხვა სიტყვებით, მართალია, რომ უშიშროების საბჭოს მშვიდობის დაცვის საკითხში აქვს უპირატესი კომპეტენცია, მაგრამ საკუთრივ გაეროს მიზნებიდან და გენერალური ასამბლეის მზარდი როლიდან გამომდინარე, გენერალური ასამბლეაც აღჭურვილია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის კომპლემენტარული კომპეტენციით.⁵⁷

ამგვარ მსჯელობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მაგალითზე, რამდენადაც ოკუპანტი რუსეთის ფედერაცია არის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 2008 წლის შემდეგ უშიშროების საბჭო ვეღარ იღებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ დოკუმენტს. მიუხედავად ამისა, გენერალურმა ასამბლეამ არაერთი რეზოლუცია შეიმუშავა, რომელიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და იძულებით გადაადგილებული პირების თავიანთ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების უფლებას (ვრცლად, 4.1. თავში). ამ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს, რომ არალიარების საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება კომპლემენტარული კომპეტენციის ფარგლებში გადაეცა გაეროს გენერალურ ასამბლეას და შესაბამისად, მის მიერ მიღებული დოკუმენტები საქართველოსთან

მიმართებით უნდა ჩაითვალოს *erga omnes* ძალის მქონედ.

3. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, JUS COGENS და JUS COGENS IN STATU NASCENDI ნორმების დარღვევის ფონზე

3.1. ძალის გამოყენება და საქართველოს ტერიტორიების ანექსიისკენ გადადგმული ცალკეული ნაბიჯები

გაეროს ქარტიის მე-2(4) მუხლი, რომელიც კრძალავს ძალის გამოყენებას და ძალის გამოყენების მუქარას, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილთან ერთად, წარმოადგენს ასევე *jus cogens* ნორმას. სწორედ ამის გამო, წარმოიშობა აღნიშნული მუხლის დარღვევით მიღებული ვითარების არალიარების ვალდებულება, რაც განმტკიცებულია კიდევ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების 41(2) მუხლით.⁵⁸ აქვე, აღსანიშნავია საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების პრაქტიკაც. ICJ ნიკარაგუას საქმეში დაეთანხმა საერთაშორისო სამართლის კომისიის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც გაეროს ქარტიის მე-4(2) მუხლი წარმოადგენს *jus cogens* ნორმის აშკარა მაგალითს.⁵⁹ ნავთობის პლატფორმების საქმეში მოსამართლე სიმამ აღნიშნა, რომ ძალის გამოყენების აკრძალვა არის როგორც სამართლის ზოგადი პრინციპი, ასევე *jus cogens* ნორმა.⁶⁰ ძალის გამოყენების აკრძალვის *jus cogens* ხასიათს ადასტურებს ასევე მოსამართლე ელარაბი თავის განსხვავებულ მოსაზრებაში კედლის საკონსულტაციო დასკვნის ფარგლებში.⁶¹

2008 წლის ივლისიდან პერიოდულად იძაბებოდა ვითარება ცხინვალის რეგიონში, ხშირი იყო სროლები სეპარატისტების კონტროლირებადი ტერიტორიიდან. ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა აგვისტოში. 2008 წლის 7 აგვისტოდან რუსეთის სახმელეთო ჯარებმა დაიწყეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში შემოჭრა. 2008 წლის 8 აგვისტოს, ქართული სოფლები, ასევე ქალაქი გორი დაიბომბა რუსული ავიაციის მიერ. ექსპერტების მოსაზრებით, 12,000 რუსი სამხედრო, მძიმე ტექნიკა და ასევე ავიაცია აქტიურად და უშუალოდ იყო ჩართული ცხინვალის რეგიონში საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმე-

დებებში და დაახლოებით 15,000 ჯარისკაცი იყო განთავსებული აფხაზეთში.⁶² საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის, ე.წ. ტალიავინის კომისიის შეფასებით, 2008 წლის აგვისტოს ბრძოლებში ჩართული იყო დაახლოებით 25-30 ათასი რუსი სამხედრო 1,200 ერთეული სხვადასხვა მძიმე ტექნიკით, 200 თვითმფრინავით და 40-ზე მეტი ვერტმფრენით.⁶³

ამრიგად, ცალსახაა, რომ რუსეთმა დაარღვია გაეროს ქარტიის მე-2(4) მუხლი, ანუ *jus cogens* ნორმა, რაც წარმოშობს შექმნილი ვითარების არალიბრების *erga omnes* ვალდებულებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსეთის ქმედებები არ ჯდება არც ძალის გამოყენების გაეროს ქარტით გათვალისწინებულ ჩარჩოში და არც ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლის სხვა სადავო კატეგორიებში.

3.2. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ქმედებების შერაცხვა რუსეთის ფედერაციაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის კონტექსტში

3.2.1. პასუხისმგებლობის შერაცხვა, როგორც ოკუპანტ ძალაზე

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7(1) მუხლის მეორე წინადადების თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. მაშასადამე, ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ორგანოების ქმედებები სრულად უნდა შეერაცხოს რუსეთის ფედერაციას, რომელიც აფინანსებს და აიარაღებს სეპარატისტებს და ასევე, უშუალო ადმინისტრაციულ კონტროლს ახორციელებს ტერიტორიაზე და მოსახლეობაზე. ამრიგად, დაკმაყოფილებულია ჰააგის 1907 წლის მე-4 კონვენციის 42-ე მუხლის ტესტი, რომლის თანახმადაც, ტერიტორია ითვლება ოკუპირებულად, როდესაც ის რეალურად არის მოქცეული მონინალმდეგე მხარის ჯარის ხელისუფლების ქვეშ. ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამგვარი ხელისუფლება არსებობს.

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა (ICTY) ნალეტილიჩის საქმეში განმარტა, რომ ჰააგის მე-4 კონვენციის 42-ე მუხლის მიზნებისთვის საკმარისი იყო მხოლოდ კონტროლის (ხელისუფლების) ფაქტობრივი დაარსება,⁶⁴ რომელიც თავის თავში მოიაზრებს როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ კონტროლსაც.⁶⁵ ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ICJ-ის გადაწყვეტილება საქმეზე *კონგო უგანდის წინააღმდეგ*,⁶⁶ სადაც სასამართლომ ტერიტორიულ კონტროლს დაუმატა ასევე მეორე მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს ოკუპანტი ძალის მიერ ადგილობრივ მოსახლეობაზე ადმინისტრაციული კონტროლის არსებობასაც.⁶⁷ საქართველოს კონტექსტში მნიშვნელოვანია ე. წ. ტალიავინის დასკვნა, სადაც კომისიამ უარყო რუსეთის მტკიცება, თითქოსდა იგი არ წარმოადგენდა ოკუპანტ ძალას.⁶⁸ კერძოდ, კომისიამ უარყო რუსეთის არგუმენტი, რომლის თანახმადაც, ოკუპაციის ფაქტის დასადგენად საჭირო იყო ორი კუმულაციური მოთხოვნის არსებობა, ესენია ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი და მოსახლეობაზე ხელისუფლების განხორციელება. კომისიამ დაადგინა, რომ „გარკვეული ხარისხით რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფებოდნენ იმგვარ პოზიციაში, რომ უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ... და სწორედ მათმა უმოქმედობამ გამოიწვია ეთნიკური ქართველების [უფლებათა] დარღვევა“,⁶⁹ შესაბამისად, რუსეთი ვერ განთავისუფლებდა იმ ვალდებულებებისგან, რაც ეკისრება ოკუპანტ ძალას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტალიავინის კომისიამ *კონგოს* საქმეში დადგენილი ზღვარი შედარებით დააკონკრეტა და მოსახლეობის კონტროლის ტესტი ვინროდ განმარტა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მეცნიერები ცალსახად ეთანხმებიან ამგვარ მიდგომას, რადგან სწორედ ასე არის შესაძლებელი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ადამიანის უფლებების დაცვა და იქ მომხდარი დარღვევების შემთხვევაში ოკუპანტი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენა.⁷⁰

აღსანიშნავია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მე-4(2) და მე-8 მუხლებიც, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს.⁷¹ მე-4(2) მუხლის თანახმად, „ორგანო გულის-

ხმობს ნებისმიერ პირს ან წარმონაქმნს, რომელსაც აქვს ამგვარი სტატუსი სახელმწიფოს შიდა სამართლის თანახმად“, ხოლო მე-8 მუხლი ეხება დე ფაქტო ორგანოებს, რომლის თანახმადაც „პირის ან პირთა ჯგუფის ქმედება, საერთაშორისო სამართლის თანახმად, შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს ქმედებად თუ ამგვარი პირი ან პირთა ჯგუფი ქმედებას ფაქტობრივად ახორციელებს სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ინსტრუქციების, დავალებების ან კონტროლის ქვეშ“. პროფესორი კროუფორდის მოსაზრებით, დე ფაქტო ორგანოების განმარტებისთვის და მათ გამო სახელმწიფოებისთვის პასუხისმგებლობის შერაცხვისას გადამწყვეტი მნიშვნელობის არ უნდა იყოს მხოლოდ შიდა სამართალი. სახელმწიფოებს არ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, საკუთარ შიდა სამართალზე მითითებით თავი დააღწიონ საერთაშორისო პასუხისმგებლობას.⁷² ამ ხედვას იზიარებს ICJ-იც, თუმცა, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „სრული დაქვემდებარების“ ტესტის დაკმაყოფილებას, რომლის შემდეგაც შესაძლებელი ხდება სახელმწიფოთათვის პასუხისმგებლობის შერაცხვა პირების ან პირთა ჯგუფის (ასევე დე ფაქტო ორგანოების) მიერ განხორციელებული ქმედებების გამო.⁷³ მნიშვნელოვანია ისიც, რომ პრაქტიკაში სახელმწიფოზე პასუხისმგებლობის შერაცხვა არ არის ყოველთვის მკაცრად დამოკიდებული კონტროლზე. ირანი-აშშ დავების ტრიბუნალის მიერ იეგერის საქმეზე⁷⁴ შემოტანილი იქნე ე. წ. ფუნქციური ტესტი, რომლის თანახმადაც, პირების თუ წარმონაქმნების სახელმწიფოს ორგანოებად მიჩნევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ მიერ შესრულებულ ფუნქციას.⁷⁵

ამრიგად, ცალსახაა, რომ რუსეთს, როგორც ოკუპანტ ძალას, სრულად შეეცხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომხდარი დარღვევები.

ქვემოთ მოყვანილია საერთაშორისო სამართლის ის მძიმე დარღვევები, რომლებიც შეეცხება რუსეთის ფედერაციას და თავისი სიმძიმედან გამომდინარე წარმოშობს ოკუპირებული ტერიტორიების არალიარების *erga omnes* ვალდებულებას. ამასთან, აღნიშნული მიზნებისთვის მხედველობაში არ უნდა იყოს მიღებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატის განჩინება, რომლის თანახმადაც, რუსეთი

სეპარატისტებზე ახორციელებდა ზოგად (და არა ეფექტიან) კონტროლს, რამეთუ ეს საკითხი ეხება ფიზიკურ პირთა ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და არა სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, როგორც 2008 წელს, ისე დღეს, როდესაც ცალსახად სახეზეა ოკუპაცია ჰააგის 1907 წლის მე-4 კონვენციის 42-ე მუხლის მნიშვნელობით, რუსეთი ახორციელებდა და ახორციელებს ეფექტიან კონტროლს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მაშასადამე, იქ მომხდარი დარღვევები სრულად შეეცხება მას.

3.2.2. მიმდინარე „ეთნონმენდა“ 1992 წლიდან დღემდე

ეთნიკურ ნმენდას, როგორც ცალკე მდგომ საერთაშორისო დანაშაულს, არ ცნობს არც ერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი, მათ შორის, არც რომის სტატუტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა – წარმოადგენს ეთნიკური ნმენდა გენოციდს თუ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.⁷⁶ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პირველმა წინასასამართლო პალატამ ალ ბაშირის დაკავების ბრძანებაში აღნიშნა, რომ „გენოციდის ჩადენის განზრახვასა და დევნის განზრახვას შორის განსხვავების დადგენა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ეთნიკური ნმენდის საქმეების განხილვისას“.⁷⁷ ამით ირიბად ხაზი გაესვა, რომ ეთნიკური ნმენდა უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კონტექსტში.

ეთნიკური ნმენდის დეფინიცია განისაზღვრა ექსპერტთა კომისიის მიერ, რომელიც გაეროს გენერალური მდივნის მიერ სპეციალურად შეიქმნა უშიშროების საბჭოს 780(1992) რეზოლუციის თანახმად, რათა უშიშროების საბჭოს 771(1992) და 180(1992) რეზოლუციების კონტექსტში შეესწავლათ და შეეფასებინათ იუგოსლავიის ტერიტორიებზე ჩადენილი ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევები, მათ შორის, ეთნიკური ნმენდა. კომისიის თანახმად, „ეთნიკური ნმენდა არის მიზნობრივი პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულია იმ მიზნით, რომ კონკრეტული ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფი განიდევნოს გეოგრაფიული არეალიდან ძალადობრივი მეთოდებით და ტერორის ფონზე. ეს ძირითად

თადად ხორციელდება ნაციონალიზმის და/ან მძლავრი ისტორიული შურისძიების სურვილის ფონზე. საბოლოო მიზანს კი წარმოადგენს მსხვერპლი ჯგუფისგან დაცლილი ტერიტორიის დაკავება.⁷⁸ „ეთნიკური წმენდა მიმდინარეობს მკვლელობის, წამების, თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრების, სასამართლოს გარეშე გასამართლების, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის, სამოქალაქო მოსახლეობის დაკავების, იძულებითი გადასახლების ან გადაადგილების, სამოქალაქო ობიექტებზე განზრახი სამხედრო შეტევების და ქონების თვითნებური განადგურების ფონზე“.⁷⁹

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი იძლევა ეთნიკური წმენდის ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის სახედ მოაზრების შესაძლებლობას, გაეროს გენერალური ასამბლეის 1992 წლის 18 დეკემბრის რეზოლუცია 41/121 ეთნიკურ წმენდას მოიაზრებს გენოციდის სახესხვაობად.⁸⁰

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის საჭირო არ არის ზემოხსენებული კატეგორიზაციის მართებულობაზე მსჯელობა, რადგან, სულ მცირე *jus cogens in statu nascendi* ბუნებიდან გამომდინარე, ეთნოწმენდის შედეგად მიღებულ ვითარებაზე ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს არალიარების *erga omnes* ვალდებულება.⁸¹

დამატებით, აღსანიშნავია, რომ პროკურორის მიერ წინასასამართლო პალატისთვის გამოძიების ავტორიზაციის მიზნით წარდგენილ შუამდგომლობაში გამოკვეთილია ეთნიკური ნიშნით სავარაუდოდ ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულები. მართალია, ძირითად ტექსტში ტერმინი „ეთნიკური წმენდა“ არ გვხვდება, თუმცა, მრავლადაა მოცემული ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ამსახველი ფაქტები, მათ შორის, ქონების განადგურება და მოსახლეობის იძულებით გამოდევნა.⁸² მეტიც, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატა არაერთხელ ახსენებს ეთნიკური ნიშნით ჩადენილი დანაშაულებს, რომლებიც, როგორც პოლიტიკის ნაწილი, მიმართული იყო ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ. მაგალითად, წინასასამართლო პალატის 2016 წლის 26 იანვრის განჩინებაში ადგენს, რომ „თავდასხმების ძირითად სამიზნეს წარმოადგენდნენ ეთ-

ნიკური ქართველები. სისტემატურად ადგილი ჰქონდა სიცოცხლის განზრახ მოსპობას, ცემას, დაშინებას, დაპატიმრებას, სახლების ძარცვას/მაროდორობას და დანვას. თავდასხმების ორგანიზების დონის მაჩვენებელია ეს ფაქტები, რომ სისტემატურად ნადგურდებოდა ქართველების კუთვნილი სახლები, მაროდორობი გაძარცვული საკუთრების ტრანსპორტირებისთვის იყენებდნენ სატვირთო მანქანებს“.⁸³ აქვე, მოსამართლე კოვანჩმა თავის განსხვავებულ მოსაზრებაში კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ეთნიკურ კონტექსტზე. მეტიც, მან ახსენა, რომ ეთნიკური წმენდის საქმე წარმოადგენს სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ პოტენციურად განხილვად საქმეს.⁸⁴

ამრიგად, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ეთნიკური წმენდის შემთხვევებს სისხლის სამართლის სასამართლო გამოიძიებს ცალკე კონტექსტში, რაც, როგორც მართლმსაჯულების, ასევე საერთაშორისო სამართლის ინტერესებისთვის, იქნება პრეცედენტული მნიშვნელობის.

3.2.3. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიძიმე დარღვევებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს სიტუაციის შესახებ მიმდინარე გამოძიების კვალდაკვალ

2016 წლის 27 იანვარს სისხლის სამართლის სასამართლოს პირველმა წინასასამართლო პალატამ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა შემდეგი საერთაშორისო დანაშაულების სავარაუდოდ ჩადენასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებაზე: სამხედრო დანაშაულებები: (i) განზრახ სიცოცხლის მოსპობა (მუხლი 8(2)(a)(i)) ან მკვლელობა (მუხლი 8(2)(c)(i)), საკუთრების განადგურება (მუხლი 8(2)(b)(xiii)) ან (მუხლი 8(2)(e)(xii)), და ძარცვა/მაროდორობა (მუხლი 8(2)(b)(xvi)) ან (2)(e)(v)), სამშვიდობოებზე განზრახ-თავდასხმა (მუხლი 8(2)(b)(iii)); და აგრეთვე (ii) ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები: მკვლელობა (მუხლი 7(1)(a)), გაძევება/დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება (მუხლი 7(1)(d)) და დევნა (მუხლი 7(1)(h)).⁸⁵

წინასასამართლო პალატამ ომის დანაშაულების კონტექსტში დააკონკრეტა, რომ 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე,

ადგილი ჰქონდა საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს.⁸⁶ ამასთან, საზი გაუსვა, რომ კონფლიქტის კვალიფიკაციას ამ შემთხვევაში არ ენიჭება მნიშვნელობა, რადგან მოცემული ომის დანაშაულებები არსებობს როგორც საერთაშორისო, ასევე, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში.⁸⁷ ავტორის მოსაზრებით, არალიარების ვალდებულების კუთხით, წინასასამართლო პალატის ხსენებული მიდგომა უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ჩამოთვლილი საერთაშორისო დანაშაულებები და შესაბამისი ეპიზოდები წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული ადამიანურობის ელემენტარული მოთხოვნების მძიმე დარღვევას, იმისდა მიუხედავად, ჩაიდინეს ისინი საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში (როგორც წინასასამართლო პალატამ აღნიშნა, სახეზე იყო ერთდროულად ორივე ხასიათის კონფლიქტი).⁸⁸ მაშასადამე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევები დაფიქსირდა ორივე სახის კონფლიქტში. შესაბამისად, ამ შემთხვევაში *კედლის* და *ბირთვული იარაღის* საკონსულტაციო დასკვნებში აღნიშნული მძიმე დარღვევა არ უნდა გაიგივდეს ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ ტადიჩის საქმეში დადგენილ „მძიმე დარღვევების რეჟიმთან“, რომლებიც გვხვდება მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში,⁸⁹ არამედ უნდა დავასკვნათ, რომ მოცემულ შემთხვევაში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევები ხდებოდა მთელი შეიარაღებული კონფლიქტის მანძილზე, კონფლიქტის ხასიათის მიუხედავად,⁹⁰ რაც განამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და იქ არსებული სამართლებრივი რეჟიმის არალიარების *erga omnes* ვალდებულებას.

4. სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა შემდგომი პრაქტიკის მნიშვნელობა არალიარების ვალდებულების კონტექსტში

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის დარღვევით მიღებული ვითარების არალიარების მოთხოვნას საერთაშორისო სამართალი ადგენს ვალდებულების სახით,

ცალკე მნიშვნელობის მქონეა, არის თუ არა სახელმწიფოთა ან/და საერთაშორისო ორგანიზაციათა შემდგომი პრაქტიკა არალიარების ვალდებულებასთან თანხვედრაში.

ამ მხრივ, საინტერესოა ევროკავშირის პრაქტიკა. მაგალითად, 2006 წელს ევროკავშირმა ხელი მოაწერა მაროკოსთან თევზჭერის შეთანხმებას. თუმცა, შეთანხმება იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ ის ფარავდა დასავლეთ საჰარის განსაკუთრებული ეკონომიკურ ზონის იმ ნაწილს, რომლის მიმდებარე სანაპიროს ოკუპაცია მაროკომ უკანონოდ განახორციელა 1975 წელს. სამეცნიერო წრეებში და ასევე ევროპარლამენტშიც აღნიშნული მიდგომა გაიგივდა უკანონო ქმედების ლეგიტიმაციისკენ გადადგმულ ნაბიჯთან, რითაც ევროკავშირმა კონკლუდენტურად აღიარა მაროკოს იურისდიქცია დასავლეთ საჰარის წყლებზე.⁹¹ ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს არ უღიარებია ისრაელის იურისდიქცია ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებზე, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ევროკავშირსა და ისრაელს შორის გაფორმებული ვაჭრობის ხელშეწყობა ფარავს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებსაც, რაც გაკრიტიკებულია სამეცნიერო წრეებში, როგორც ევროკავშირის მხრიდან *erga omnes* და *a fortiori, jus cogens* ნორმების დარღვევა.⁹²

ამის ფონზე, საქართველოსთან მიმართებით ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ევროკავშირი, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის აბსოლუტური უმრავლესობა პირდაპირ აფიქსირებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.⁹³

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია არაერთგზის აქვთ დაგმობილი სახელმწიფოებს. მაგალითად: აშშ-ს, ჩეხეთს, დანიას,⁹⁴ ესტონეთს,⁹⁵ ლატვიას,⁹⁶ ლიეტუვას,⁹⁷ ნიდერლანდების სამეფოს,⁹⁸ შვედეთს,⁹⁹ ესპანეთს, კანადას, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, იაპონიას, გაერთიანებულ სამეფოს¹⁰⁰ და ა.შ.

4.1. აშშ-ის სენატის 2017 წლის 30 მარტის რეზოლუცია 106 – სტიმსონის დოქტრინის კვალდაკვალ

ამერიკის შეერთებული შტატები, უდავოდ, დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე დიდი საერთაშორისო პარტნიორია. დანყ-

ებული დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდან, აშშ ფინანსურად, პოლიტიკურად და სამართლებრივად მუდმივად მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის, განსაკუთრებით ნიშანდობლივია 2017 წლის 5 მაისს აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების აქტი და ასევე, ამავე წლის 30 მარტის სენატის რეზოლუცია, რომელიც თავისი შინაარსით უპრეცედენტოა როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

2017 წლის 30 მარტს აშშ-ის 115-ე კონგრესმა თავის პირველ სესიაზე მიიღო რეზოლუცია S.RES.106, რომლის მიხედვით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას. საერთაშორისო სამართლის კონტექსტში კი დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმით, რომ გამოიკვეთა სტიმსონის დოქტრინის აქტუალობა. კერძოდ, რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ აშშ „(1) მხარს უჭერს პოლიტიკას, რომელიც ცნობილია, როგორც სტიმსონის დოქტრინა და, რომლის თანახმადაც, აშშ არ აღიარებს ძალისმიერი მეთოდებით გამოწვეულ ტერიტორიულ ცვლილებებს და აცხადებს, რომ აღნიშნული პრინციპი უნდა განიხილებოდეს აშშ-ის საგარეო ურთიერთობების სახელმძღვანელო დოქტრინად; (2) გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ინტერვენციასა და ოკუპაციას და მის განგრძობად უკანონო ქმედებებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საოკუპაციო ხაზზე“.¹⁰¹ ამავე რეზოლუციაში ხაზი გაესვა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების თავიანთ საცხოვრებელში დაბრუნების უფლებასაც.¹⁰²

2017 წლის 5 მაისს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა საბიუჯეტო ასიგნებების კონსოლიდირებულ აქტს,¹⁰³ რომლის 7070-ე ნაწილი ეხება რუსეთის გავლენისა და აგრესიის დაძლევას. აღნიშნულ ნაწილში დაგმობილია როგორც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია, ასევე, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. ამასთან, ხსენებული ნაწილი (c) პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტით დადგენილია, რომ დაუშვებელია რაიმე სახის დაფინანსება გაიცეს იმ სახელმწიფოზე, რო-

შეუძლია თუ არა სახელმწიფოს, გამოიყენოს თავდაცვის უფლება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ, როდესაც ამ უკანასკნელს არ შეუძლია ან არ სურს თავისი ტერიტორიიდან განხორციელებული ასეთი ქმედებების აღკვეთა? სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად ფორმალური სამართლებრივი დაბრკოლებებისა, შეთანხმებული სამართალდაცვითი ოპერაციების ნაცვლად დაზარალებული სახელმწიფოები ცალმხრივად მიმართავენ ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლებას. ნაშრომი ცდილობს აჩვენოს, რომ ასეთი პრაქტიკა აღარ არის უკანონო, ცდება „საპატიებელი“ (ლეგიტიმური) ქმედების კატეგორიას და შეიძლება მიჩნეულ იქნას საერთაშორისო სამართლით ნებადართულ (ლეგალურ) ძალის გამოყენების ფორმად.

საკვანძო სიტყვები: ექსტრატერიტორიული თავდაცვა | 51-ე მუხლი | დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტები | „შეუძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტი | მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო | გაეროს უშიშროების საბჭო | რეზოლუციები 1368 და 1373

შესავალი

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა საერთაშორისო ორგანიზებული ტერორიზმის საფრთხე, რომელმაც გლობალური სახე მიიღო და სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. ამის კლასიკური მაგალითია 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები (შემდგომში – 9/11) ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ტერორიზმის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება.

სახელმწიფოები ასეთი ჯგუფების წინააღმდეგ ექსტრატერიტორიული ძალის¹ გამოყენების სამართლებრივ საფუძვლად უთითებენ გაერთიანებული ერების (შემდგომში – გაერო) ქარტიის 51-ე მუხლს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ამ მუხლის გავრცელებული ინტერპრეტაციის თანახმად, თავდაცვის უფლების გამოყენება შეზღუდულია მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული თავდასხმებით, რაც სახელმწიფოებს უზღუდავს თავდაცვითი ძალის გამოყენებას უშუალოდ არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ.²

ნაშრომის მიზანია, შეაფასოს და დაადგინოს, თუ რამდენად ითვისისწინებს ერთი მხრივ, გაეროს ქარტიის 51-ე მუხლი და

მეორე მხრივ, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი თავდაცვის უფლების გამოყენებას დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ.³ წინამდებარე ნაშრომი სახელმწიფოთა მზარდი პრაქტიკის, ასეთ პრაქტიკაზე საერთაშორისო საზოგადოების პოზიციისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის მეშვეობით შეეცდება აჩვენოს, რომ საერთაშორისო სამართალი არ მოითხოვს 51-ე მუხლის მხოლოდ სახელმწიფოთაშორის კონტექსტში გამოყენებას, რადგან ასეთი ვინრო განმარტება ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და არ შეესაბამება სახელმწიფოთა თანამედროვე პრაქტიკას. შესაბამისად, ნაშრომი ეცდება პასუხი გასცეს დასმულ კითხვას და აჩვენოს, რომ დღევანდელი მდგომარეობით, დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლების გამოყენება შეიძლება მივიჩნიოთ ძალის გამოყენების ლეგალურ, ანუ პოზიტიური საერთაშორისო სამართლით ნებადართულ ფორმად.

ნაშრომის არგუმენტაცია მოცემულია სამი ძირითადი მიმართულებით: 1) გაანალიზებული იქნება სახელმწიფოთა ბოლოდროინდელი პრაქტიკა და საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია ექსტრატერიტორიული

თავდაცვის კუთხით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (შემდგომში – სასამართლო) გადანყვეტილებები, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, მეცნიერთა შეხედულებები, რათა დადგინდეს, რომ დღეს, ამ ყველაფრის საფუძველზე, საერთაშორისო სამართალში აშკარად შეიმჩნევა ძალის გამოყენების აღნიშნული ფორმის ლეგალიზების ტენდენცია. 2) განხილული იქნება ქარტიის 2(4)-ე და 51-ე მუხლების ურთიერთმიმართება, რათა ნაჩვენები იქნას, რომ აღნიშნულ მუხლებს შორის არ არის მხოლოდ „აკრძალვა-გამონაკლისის“ ურთიერთმიმართება და 51-ე მუხლი წარმოადგენს ძალის გამოყენების დამოუკიდებელ სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, ის განხილულ უნდა იქნეს 2(4)-ე მუხლის შინაარსობრივი ელემენტებისგან დამოუკიდებლად, როგორც ავტონომიური რეჟიმი და *a priori* არ უნდა შეიზღუდოს გაეროს ქარტიის „სახელმწიფოთაშორისი“ ბუნებით. ასევე, გამოკვლეული იქნება თავდაცვის უფლების ფარგლები *ratione personae* საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში და მოხდება გაეროს ქარტიითა და საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არსებული თავდაცვის უფლების ფარგლების შედარებითი ანალიზი და მათი ურთიერთზეგავლენის შეფასება. 3) გაანალიზებული იქნება სუვერენიტეტის თანამედროვე გაგება, როგორც კონკრეტული ვალდებულებების საფუძველი სახელმწიფოსთვის. რადგან ძალის გამოყენების ამ ფორმის მთავარი პრობლემა არის ის, რომ *de facto* ინვესს მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფას, „შეუძლებლობის ან სურვილის არქონის“ ტესტის დახმარებით ნაჩვენები იქნება, რომ დღეს თავდასხმის ადრესატ სახელმწიფოს არ აქვს „თმენის ვალდებულება“, როდესაც ტერიტორიულ სახელმწიფოს⁴ არ სურს ან არ შეუძლია თავის ტერიტორიაზე მოქმედი სუბიექტების გაკონტროლება.

1. „*ლეგალიზების*“ და „*ლეგიტიმურობის*“ ურთიერთმიმართება საერთაშორისო სამართალში კუთხითარული ინტერვენციის გაბალირება

ნაშრომის ამ ნაწილში, კოსოვოში განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენციის მაგალითზე, მოკლედ იქნება ნაჩვენები „ლე-

გალურობისა“ და „ლეგიტიმურობის“ ურთიერთმიმართება ძალის გამოყენების ქრილში. იქედან გამომდინარე, რომ ნაშრომის მიზანია, დაადგინოს ექსტრატერიტორიული თავდაცვის სტატუსი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში – წარმოადგენს ის ძალის გამოყენების ლეგიტიმურ თუ ლეგალურ ფორმას – მიზანშეწონილია, მოხდეს ამ ცნებების დამოკიდებულების ილუსტრაცია ძალის გამოყენების კონტექსტში.

1999 წელს კოსოვოში განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენციის⁵ დასასაბუთებლად ნატოს წევრებმა პოზიტიური საერთაშორისო სამართლიდან აქცენტი გადაიტანეს დოქტრინაზე – „არალეგალური, მაგრამ ლეგიტიმური“.⁶ ნატოს ეს მიდგომა ეფუძნება პრეზუმფციას, რომ ცალმხრივი ინტერვენცია იყო არალეგალური, მაგრამ ლეგიტიმური. ასეთი მიდგომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგჯერ საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა უნდა იმოქმედოს პოზიტიური საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებს გარეთ, რომელიც აშკარად არალეგალურია, მაგრამ შეიძლება გამართლდეს სხვადასხვა ფაქტორის არსებობით.⁷ ასეთ შემთხვევაში, ინტერვენცია კოსოვოში და, ზოგადად, ძალის გამოყენება ხდება „საპატიებელი“.⁸ ანალოგიური მიდგომა ჩამოაყალიბა გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმაც, რომელმაც კოსოვოში ნატოს ოპერაციის დაწყების დღეს, 1999 წლის 24 მარტს განაცხადა: „დგება დრო, როდესაც ძალის გამოყენება შეიძლება იყოს ლეგიტიმური მშვიდობის დასამყარებლად, „მიუხედავად ამისა“, უშიშროების საბჭო უნდა იყო ჩართული ძალის გამოყენების ნებისმიერ გადანყვეტილებაში“.⁹

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ უარი განაცხადა, ემსჯელა ამ საკითხზე,¹⁰ ეს საკითხი განხილულ იქნა სხვა საერთაშორისო ფორუმების მიერ, როგორცაა საერთაშორისო დამოუკიდებელი კომისია კოსოვოსთვის (Independent International Commission for Kosovo – IICK) და საერთაშორისო კომისია ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ (International Commission on Intervention and State Sovereignty – ICISS). IICK-ის შეფასების მიხედვით, „დიპლომატიამ ვერ მოახერხა სათანადო შედეგების [კოსოვოელების დაცვა] მიღწევა, რამაც დატოვა არჩევანი უმოქმედობას ან ნატოს ეგიდით

სამხედრო ოპერაციის დაწყებას შორის“.¹¹ IICK-მ ოპერაცია შეაფასა ლეგიტიმურად, თუმცა არალეგალურად. გარდა ამისა, IICK-მ გასცა რეკომენდაცია, რომ „სიცარიელე ლეგალურობასა და ლეგიტიმურობას შორის“ უნდა შევსებულიყო გაეროს ქარტიიდან და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პრინციპების ჩარჩოთი. თუმცა, ამ დროს არ არსებობდა ასეთი სამართლებრივი ჩარჩო.¹²

„სიცარიელეს ლეგალურობასა და ლეგიტიმურობას შორის“ ასევე შეეხო ICISS, კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანო. ICISS დაფუძნდა გაეროს დამხმარე ორგანოდ და ცნობილია საერთაშორისო სამართლის ახალი კონცეფციის – „დაცვის პასუხისმგებლობის“ შექმნით. ICISS-ის ანგარიშის შესაბამისი ნაწილის თანახმად, აღიარებულ იქნა უშიშროების საბჭოს, როგორც ძალის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიმღები ყველაზე მიზანშეწონილი ორგანოს როლი, თუმცა, ICISS-მ აღნიშნა, რომ „სახელმწიფოებმა შეიძლება არ გამოიცილონ სხვა საშუალებები, რათა გაუმკლავდნენ სიტუაციის სიმძიმესა და გადაუდებელ ხასიათს“.¹³ ანგარიშის ბოლოს, ICISS-მ, ჰუმანიტარული ინტერვენციის კონტექსტში, აშკარად დაუჭირა მხარი დოქტრინას – „არალეგალური, მაგრამ ლეგიტიმური“.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ლეგიტიმურობა“ საერთაშორისო სამართლის იურისტისთვის შეიძლება ჟღერდეს პოლიტიკურ, ფილოსოფიურ ან თეოლოგიურ კატეგორიად, ამ პასაჟებიდან ცხადია, რომ ლეგიტიმურობა ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალში წარმოადგენს შეფასებას ქმედებისას, რომლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს პოზიტიურ საერთაშორისო სამართალში (ნატოს ჰუმანიტარული ინტერვენციის მსგავსად), თუმცა, ეს ქმედება, სხვადასხვა ფაქტორების გამო, ხდება „საპატიებელი“.¹⁴ ხოლო ლეგალურია ქმედება, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია საერთაშორისო სამართლის უკვე არსებული ნორმის საფუძველზე, იქნება ეს საერთაშორისო სახელმეკრულებო თუ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა.

ნაშრომის მიერ წამოჭრილი საკითხი განხილული იქნება სწორედ ამ ურთიერთმიმართების ფარგლებში.

2. ევოლუცია სახელმწიფოთა პრაქტიკაში: შეთანხმებული სამართალდაცვითი თანაშრომლობიდან თავდაცვითი ძალის ცალმხრივი გამოყენებისკენ

ნაშრომის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილი სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, რომ თანამედროვე ტერორიზმის და ზოგადად, არასახელმწიფო ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლამ საერთაშორისო სამართალდაცვითი თანამშრომლობის სფეროდან გადაინაცვლა ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლის, კერძოდ კი თავდაცვის უფლების სფეროში.

მოცემული პრაქტიკა მიმოიხილავს არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ თავდაცვითი ძალის გამოყენების შემთხვევებს და სახელმწიფოების მიერ მითითებულ სამართლებრივ დასაბუთებას, ასევე, საერთაშორისო საზოგადოების რეაქციას სახელმწიფოთა ასეთ მოქმედებებზე და მითითებულ სამართლებრივ საფუძველზე, რათა შესაძლებელი გახდეს ასეთი პრაქტიკის ანალიზი საერთაშორისო სამართლის კუთხით და იმის დადგენა, რომ ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლება დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფოთა აღქმაში წარმოადგენს გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის და, ზოგადად, თავდაცვის უფლების გამოყენების ერთ-ერთ ნებადართულ და ლეგალურ ფორმას.

არასახელმწიფო სუბიექტების, განსაკუთრებით ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლა, ტრადიციულად, აღიქმებოდა ეროვნული სამართალდაცვითი სფეროს ღონისძიებად იმ შემთხვევაშიც კი, როცა ასეთი ღონისძიება მიმართული იყო ტრანსსასაზღვრო ტერორისტული ან არარეგულარული ჯგუფების აქტივობების მიმართ. ტერორისტები განიხილებოდნენ სისხლის სამართლის დამრღვევებად და ასეთი ანტიტერორისტული მოქმედებების საერთაშორისო ელემენტი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტრანსნაციონალური პოლიციური თანამშრომლობით.¹⁵

ეს მიდგომა რადიკალურად შეცვალა აშშ-ის სავაჭრო ცენტრზე თავდასხმამ. შესაბამისად, საკითხმა – უფლებამოსილია თუ არა სახელმწიფო გამოიყენოს ქარტიის 51-ე მუხლით გათვალისწინებული თავდაცვის

უფლება არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ? – განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების საპასუხოდ აშშ-ის მიერ ავღანეთში დაწყებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ.¹⁶

2.1. 2001 წლის 11 სექტემბერი: გარდამტეხი თარიღი სახელმწიფოთა პრაქტიკაში და *jus ad bellum*-ის ახლებურ ნორმატიულ გააზრებაში

აშშ-ის 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებამდე არსებობდა გაბატონებული შეხედულება, რომლის მიხედვით არასახელმწიფო სუბიექტის წინააღმდეგ თავდაცვითი ძალის გამოყენება სახელმწიფოს შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ქმედება მიენერებოდა სხვა სახელმწიფოს.¹⁷ შესაბამისად, თავდაცვის უფლების რეალიზება ხდებოდა მხოლოდ სახელმწიფოთაშორის კონტექსტში.

თუმცა, ამ მოვლენებმა აიძულა სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, გადაეფასებინათ კონცეფცია იმის შესახებ, რომ მხოლოდ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეიარაღებული თავდასხმების განხორციელება, რომელიც გამოიწვევდა საპასუხო თავდაცვითი ძალით რეაგირების საჭიროებას. თუ არასახელმწიფო სუბიექტები განახორციელებენ თავდასხმების სერიას ან ერთჯერად მასშტაბურ თავდასხმას, როგორც იყო 9/11, რომელიც გამოიწვევს მძიმე შედეგებს, მაშინ ნებადართული უნდა იყოს თავდაცვის უფლების გამოყენება.¹⁸

9/11-ის საპასუხოდ, 2001 წლის 7 ოქტომბერს აშშ და მისი კოალიციური მოკავშირეები თავს დაესხნენ ალ-ქაიდას ავღანეთში. საერთაშორისო საზოგადოებამ არა თუ დაგმო აღნიშნული ოპერაცია, არამედ ბევრმა სახელმწიფომ გამოსატყა წერილობითი და ზეპირი მხარდაჭერა. ამ მოვლენამ მნიშვნელოვნად შეცვალა *jus ad bellum*-ის აღქმა სამართლებრივ სფეროში.¹⁹

უშიშროების საბჭომ მიიღო ორი მნიშვნელოვანი რეზოლუცია (რეზოლუცია 1368 და რეზოლუცია 1373), რომლებმაც ტერორისტული აქტი დააკვალიფიცირა „თავდასხმად“, რომელიც წარმოადგენდა „საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ „და აღიარა“ ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის თანდაყოლილი უფლება ქარტიის შესაბამისად“.²⁰ ამ რეზოლუციაში მნიშვნელოვანია ის, რომ უშიშ-

როების საბჭომ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ საფრთხის შექმნისთვის პასუხისმგებლობა არ დააკისრა არც ერთ სახელმწიფოს. ამას ემატება ის ფაქტი, რომ თავდაცვის უფლებაზე საუბრისას რეზოლუციაში მოცემული უფლება ნახსენებია ზოგადად და სახელმწიფოთაშორისი კონტექსტისგან დამოუკიდებლად.²¹ სამხედრო ოპერაციების შესახებ უშიშროების საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში კი აშშ-მა მიუთითა თავდაცვის უფლებაზე როგორც ორგანიზაციების, ისე – სახელმწიფოების წინააღმდეგ,²² მან ოპერაციები დაიწყო არა უშუალოდ ავღანეთის, არამედ – მის ტერიტორიაზე განლაგებული „ალ-ქაიდას ტერორისტული სანვრთნელი ბანაკებისა და სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ“.²³ აშშ-ის შემდგომმა სამხედრო მოქმედებებმა მოიპოვა თითქმის უნივერსალური აღიარება.²⁴

მნიშვნელოვანია, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ (ნატო) პირველად გამოიყენა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელიც ნატოს ერთ ნევრ სახელმწიფოზე განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმას აკვალიფიცირებს ყველა ნევრზე შეიარაღებულ თავდასხმად.²⁵

მსგავსი პოზიცია დააფიქსირა ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციამ 797-ე რეზოლუციაში,²⁶ რომლითაც აამოქმედა 1947 წლის „ნაცვალგებითი დახმარების შესახებ ინტერ-ამერიკული ხელშეკრულების“, ე.წ. „რიოს ხელშეკრულების“ შესაბამისი დებულება: „თითოეული [ორგანიზაციის ნევრი] ვალდებულია [სხვა ნევრს] დაეხმაროს შეტევის აღკვეთაში ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელების გზით“.²⁷

გარდა ამისა, აშშ-მა და ავსტრალიამ ერთობლივად აამოქმედეს ANZUS ხელშეკრულების²⁸ მე-2 და მე-4 მუხლები კოლექტიური თავდაცვის შესახებ, ხოლო იაპონიის მთავრობამ 9/11 შეაფასა, როგორც თავდასხმა აშშ-ზე და მიიღო სპეციალური საკანონმდებლო აქტი, რომლითაც შეეძლებოდა საკუთარი შეიარაღებული ძალების დისლოცირება აშშ-ის დასახმარებლად ავღანეთის ოპერაციების დროს.²⁹

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მოვლენებამდე უმრავლესობა (როგორც სამართლის

მეცნიერები, ისე – სახელმწიფოები) თვლიდა, რომ თავდაცვის უფლება არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ არ იყო აღიარებული, თუ მათი ქმედება არ მიენერებოდა სახელმწიფოს.³⁰ გადამწყვეტი კრიტერიუმი იყო სასამართლოს მიერ ნიკარაგუას საქმეში დადგენილი ტესტი, რომლის მიხედვით კერძო პირების მიერ ძალის გამოყენება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს შეიარაღებულ თავდასხმას, როცა ისინი მოქმედებდნენ სახელმწიფოს ნაცვლად ან წარგზავნილნი იყვნენ მის მიერ და მათი მოქმედებები სიმძიმით უტოლდებოდა აგრესიის აქტებს,³¹ ანუ არასახელმწიფო სუბიექტები უნდა ყოფილიყვნენ სხვა სახელმწიფოს „სრულ დაქვემდებარებაში“ ან „ეფექტიანი კონტროლის“ ქვეშ.³²

აშშ-ის მიერ ავღანეთში განხორციელებული ოპერაციები შეიძლება განიმარტოს ფართოდ და ვიწროდ: ა) ფართო განმარტების შემთხვევაში და ამ პრეცედენტის გათვალისწინებით, ყველა სახელმწიფოს სავარაუდოდ ექნებოდა უფლება, არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ გამოეყენებინა თავდაცვის უფლება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ არსებობს უშიშროების საბჭოს ნებართვა ან სიტუაციის შეფასება და არ იკვეთება რომელიმე სახელმწიფოს ჩართულობა მათ მოქმედებებში.³³ ბ) ვიწრო განმარტების შემთხვევაში კი, საჭირო იქნებოდა შემდეგი წინაპირობების არსებობა: 1) სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული მასიური ტერორისტული თავდასხმა; 2) ამ მოქმედებებზე პასუხისმგებელი სუბიექტებიდან უნდა მომდინარეობდეს გლობალური ტერორიზმის განგრძობითი საფრთხე; 3) თავდაცვის უფლება მიმართული უნდა იყოს უშუალოდ თავდასხმის განმახორციელებლებზე იმ სახელმწიფოში, რომელმაც ნება დართო მათ მოქმედებებს ან ვერ შეძლო მათი შეჩერება; 3) უნდა არსებობდეს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელშიც სიტუაცია შეფასებულია საფრთხედ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ; 5) რეზოლუციაში მითითება უნდა იყოს თავდაცვის უფლებაზე.³⁴

პროფესორი ტომ რუისი, თავდაცვის უფლების კომპლექსურ ანალიზში, 9/11-ის განხილვისას საუბრობს ორ შესაძლო რადიკალურ ინტერპრეტაციაზე: ერთი მხრივ, 9/11-ის პრეცედენტზე, როგორც „მყისიერ ჩვეუ-

ლებაზე“ და მეორე მხრივ, შემთხვევაზე, რომელიც იყო გამონაკლისი და პრეცედენტული ღირებულების ნაკლებობის გამო, გავლენას ვერ ახდენს *lex lata*-ზე.³⁵

თუმცა, დღეს არსებული სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, რომ მხარს არ უჭერს ზემოთჩამოთვლილ მკაცრ კრიტერიუმებს და რადიკალური ხასიათის ინტერპრეტაციებს და ვითარდება შუალედური ფორმებით.

2.2. ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლების გამოყენების პრაქტიკა 11 სექტემბრის მოვლენებამდე და მის შემდეგ

ნაშრომის ამ ნაწილში ილუსტრირებულია სახელმწიფოთა პრაქტიკა და შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთება, რომელიც აჩვენებს, რომ ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლების გამოყენება უცხო არ არის სახელმწიფოებისთვის, როცა ისინი განიცდიდნენ შეიარაღებულ თავდასხმებს დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების მხრიდან.

2015 წლის ნოემბერში საფრანგეთში განხორციელდა ტერორისტული თავდასხმები ორ ქალაქში, რომელზეც პასუხისმგებლობა დაეკისრა ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოს“. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მოუწოდა აშშ-ს და რუსეთს, შეერთებოდნენ გლობალურ კოალიციას „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურების მიზნით. რამდენიმე საათის შემდეგ კი ფრანგულმა ავიაგამანადგურებლებმა დაიწყეს ოპერაცია სირიაში.³⁶ ოლანდის განცხადებით, საფრანგეთი იმყოფებოდა ომის მდგომარეობაში ჯიჰადისტური ტერორიზმის წინააღმდეგ.³⁷ მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო სიტუაციის პოლიტიკური შეფასება, მოგვიანებით ნათელი გახდა, რომ „ომის მდგომარეობა“ არც თუ ისე შორს იდგა სამართლებრივი რეალობისგან, რადგან სახელმწიფოთა დიდი ნაწილის მიერ ამ თავდასხმების საპასუხოდ გამოხატული რეაქციების სამართლებრივი ანალიზი ნათლად მიანიშნებს, რომ სახელმწიფოები თავდაცვის უფლების ფარგლებში აშკარად მოიაზრებენ ექსტრატერიტორიულ თავდაცვის უფლებას.³⁸

ტერაქტების შემდეგ, ევროკავშირის თავდაცვის მინისტრებმა ისტორიაში პირველად, არც ერთი მონინააღმდეგე ხმით, აამოქმედეს „ევროპული კავშირის შესახებ“ ხელშეკრულების ურთიერთდაცვის მუხლი. აღნიშნუ-

ლი მუხლის თანახმად, თუ წევრი სახელმწიფო წარმოადგენს შეიარაღებული აგრესიის მსხვერპლს თავისივე ტერიტორიაზე, სხვა წევრ სახელმწიფოებს წარმოეშობათ მსხვერპლი სახელმწიფოს დახმარების ვალდებულება, გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის შესაბამისად. საინტერესოა ის მომენტი, რომ ამ დებულების ნაცვლად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეეძლოთ გამოეყენებინათ „ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ“ ხელშეკრულების სოლიდარობის მუხლი, რომლის თანახმად ევროკავშირმა და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იმოქმედონ ერთობლივად და სოლიდარულად, თუ წევრი სახელმწიფო წარმოადგენს, *inter alia*, ტერორისტული თავდასხმის ადრესატს.³⁹ აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებმა საფრანგეთის ტერაქტები დააკვალიფიცირეს როგორც „შეიარაღებულ აგრესიად“ და არა „ტერორისტულ თავდასხმად“, რაც პირდაპირ მითითებას შეიცავს გაეროს ქარტიის 51-ე მუხლზე და ხსნის გზას ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ თავდაცვითი ძალის გამოყენებისკენ.

გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია ნაკლებად ცნობილი მაგალითები, რომლებიდანაც ჩანს, რომ სახელმწიფოები გააზრებულად ეყრდნობოდნენ თავდაცვის უფლებას, როცა საპასუხო რეაქციას ახორციელებდნენ დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ:

1993 წელს ირანმა გამოიყენა თავდაცვითი ძალა ერაყის ტერიტორიიდან მოქმედი ქურთული დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც თავს ესხმოდნენ ირანის საზღვრისპირა პროვინციებს:

„ერაყიდან განხორციელებული ამ შეიარაღებული თავდასხმების საპასუხოდ და გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის შესაბამისად [...] ავიაგამანადგურებლებმა განახორციელეს სწრაფი, აუცილებელი და პროპორციული შეტევები ტერორისტული ჯგუფის სამხედრო ბაზებზე [...]“, რაც ირანმა შეაფასა, როგორც „წმინდა თავდაცვითი ღონისძიება თავდაცვის თანდაყოლილი უფლების განხორციელების ფარგლებში“, რაც არ ხელყოფდა ერაყის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.“⁴⁰

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ აშშ-მა გამოიყენა თავდაცვის უფლე-

ბა ალ-ქაიდას წინააღმდეგ ავღანეთის ტერიტორიაზე შემდეგი დასაბუთებით:

„ამ თავდასხმების საპასუხოდ და თანდაყოლილი ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების შესაბამისად, შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს მოქმედებები, რომელთა მიზანია შეერთებულ შტატებზე შემდგომი თავდასხმების პრევენცია და შეფერხება. ეს მოქმედებები გულისხმობს ზომების გატარებას ალ-ქაიდას ტერორისტების საწვრთნელი ბანაკების წინააღმდეგ [...]“.⁴¹

2002 წელს რუსეთმა პირდაპირ მიუთითა ქარტიის 51-ე მუხლზე პანკისის ხეობაში ჩეჩენი სეპარატისტებისა და მამადიანი მებრძოლების წინააღმდეგ წარმოებული ოპერაციების საფუძვლად. რუსეთი ამტკიცებდა:

„თუ საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია ან არ სურს [...] ბოლო მოუღოს ბანდიტთა მოქმედებებს და თავდასხმებს რუსეთის ფედერაციის მომიჯნავე არეალში, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, ვიმოქმედოთ გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც განამტკიცებს ყველა წევრი სახელმწიფოს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის განუსხვისებელ უფლებას“.⁴²

2003 წელს ისრაელმა განახორციელა შეტევა ისლამური ჯიჰადის საწვრთნელი ბანაკის წინააღმდეგ სირიის ტერიტორიაზე ისრაელში ჩადენილი აფეთქებების საპასუხოდ: „ისრაელის სათანადო თავდაცვითი რეაგირება [...] წარმოადგენს თავდაცვის უფლების ნათელ მაგალითს გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის შესაბამისად“.⁴³ უშიშროების საბჭოს წინაშე, აშშ-ის გარდა,⁴⁴ ყველა სახელმწიფომ დაგმო ისრაელის საპასუხო ზომები. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებმა მხარი არ დაუჭირეს ისრაელის მოქმედებებს, მაინც რთულია *opinion juris*-ის დადგენა მათ მიერ გაკეთებული განცხადებებიდან.⁴⁵

2006 წელს ისრაელი ლიბანის ტერიტორიაზე კვლავ თავს დაესხა ჰეზბოლას: „ისრაელი, როგორც ნებისმიერი სახელმწიფო, აკეთებს და გააგრძელებს რაც საჭიროა საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლეთა დასაცავად. მას აქვს უფლება და ვალდებულება, განახორციელოს თავდაცვა“.⁴⁶ უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობამ, ასევე, გაე-

როს გენ-მდივანმა აღიარა ისრაელის უფლება – დაეცვა თავი. სახელმწიფოებმა ამ შემთხვევაში გააპროტესტეს ისრაელის თავდაცვითი ოპერაციების პროპორციულობა, თუმცა სადავოდ არ გაუხდიათ სამართლებრივი საფუძველი – თავდაცვის უფლება.⁴⁷

2008 წელს კოლუმბიამ სამხედრო ძალა გამოიყენა ეკვადორში მყოფი სამიზნეების წინააღმდეგ. აღნიშნული სამიზნეები წარმოადგენდნენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფს, რომლებიც კოლუმბიაზე შეტევებს ახორციელებდნენ მეზობელი ეკვადორის ტერიტორიიდან. კოლუმბიის აღნიშნულ ქმედებას, მიუხედავად ეკვადორის, ვენესუელის და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მხრიდან პროტესტისა,⁴⁸ არ მოყოლია შეფასება და რეაგირება უშიშროების საბჭოდან ან გენერალური ასამბლეის მიერ.⁴⁹

2014 წლიდან აშშ, კანადა და რამდენიმე სახელმწიფო, არაბული სახელმწიფოების მხარდაჭერით, სირიაში ახორციელებს საჰაერო შეტევებს ისლამური სახელმწიფოს და ე.წ. „ხორასანის ჯგუფის“ წინააღმდეგ. აშშ,⁵⁰ კანადა⁵¹ და გაერთიანებული სამეფო⁵² ამ შემთხვევაშიც დაეყრდნენ თავდაცვის უფლებას.

2015 წელს გაერთიანებულმა სამეფომ, გერმანიამ, დანიამ და ნიდერლანდებმა განახორციელეს საჰაერო შეტევები ისლამურ სახელმწიფოზე სირიაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს უშიშროების საბჭოს უკვე ჰქონდა მიღებული რეზოლუცია 2249, მოცემული სახელმწიფოები თავიანთი მოქმედებების სამართლებრივ საფუძველად მიუთითებდნენ გაეროს ქარტიის 51-ე მუხლს და არა რეზოლუციას, რადგან რეზოლუცია არ იყო მიღებული გაეროს ქარტიის VII თავის მიხედვით და მიუთითებს არ აკეთებდა თავდაცვის უფლებაზე.⁵³

3. თავდაცვის უფლება 51-ე მუხლის მიხედვით: გამონაკლისი ძალის გამოყენების აკრძალვიდან თუ ძალის გამოყენების დამოუკიდებელი სამართლებრივი რეჟიმი?

ნაშრომის ამ ნაწილში გაანალიზებული იქნება გაეროს ქარტიის 2(4)-ე მუხლის და 51-ე მუხლის ურთიერთმიმართება. ანალიზის მიზანია, აჩვენოს, რომ ეს მუხლები წარმოადგენენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მუხლებს, მათ შორის არ არსებობს მხოლოდ „აკრძალვა-გამონაკლისის“ ურთიერთმიმარ-

თება და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ თავდაცვის უფლების გამოყენება არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ არ არის შეზღუდული გაეროს ქარტიის სახელმწიფო-თაშორისი ბუნებით.

ქარტიის 2(4)-ე მუხლის თანახმად: „ყველა წევრმა თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავი უნდა შეიკავოს ძალის ან მისი მუქარის გამოყენებისგან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან ნებისმიერი ისეთი გამოყენებისგან, რომელიც შეუსაბამოა გაერთიანებული ერების მიზნებთან“. ხოლო ქარტიის 51-ე მუხლის მიხედვით კი „წინამდებარე ქარტიაში არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის თანდაყოლილ უფლებას, თუ შეიარაღებული თავდასხმა ხორციელდება გაერთიანებული ერების წევრის წინააღმდეგ [...]“.

ლიტერატურაში 51-ე მუხლის განხილვისას ხშირად აღნიშნავენ, რომ წარმოადგენს „გამონაკლისს“ ძალის გამოყენების აკრძალვიდან.⁵⁴ თუმცა, ამ მუხლების რეგულირების ფარგლები და სფერო არ ემთხვევა ერთმანეთს და მათ შორის არ არსებობს მხოლოდ „აკრძალვა-გამონაკლისის“ ურთიერთმიმართება. ეს დამოკიდებულება ნათელია როგორც ამ მუხლების ფორმულირებაში გამოყენებული ტერმინოლოგიის, ასევე, მათი ქარტიაში კოდიფიცირების ისტორიიდან გამომდინარე.

3.1. გაეროს ქარტიის 2(4)-ე და 51-ე მუხლების ტერმინოლოგიურად და შინაარსობრივად განსხვავებული რეგულირების სფერო

2(4)-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ აკრძალულია ძალის გამოყენება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ, 51-ე მუხლში კი მიუთითებს არ კეთდება შეიარაღებული თავდასხმის განმახორციელებელზე. არც 51-ე მუხლის ფორმულირება და არც გაეროს ქარტიის *travaux préparatoires* არ იძლევა ასეთი შეზღუდვის არსებობის საფუძველს.⁵⁵ 51-ე მუხლის ფორმულირებაზე მუშაობისას სახელმწიფოთა უმრავლესობა, მცირე გამონაკლისების გარდა, არ უთითებდა თავდასხმის წყაროზე. თუმცა, აღნიშნავენ, რომ *travaux préparatoires* არ გა-

მოდგება 51-ე მუხლის ცალსახა ინტერპრეტაციისთვის, რადგან ამ მუხლის ზოგიერთ თავდაპირველ პროექტში მითითება კეთდებოდა თავდასხმის წყაროზე – „ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ“, ხოლო ამ ფორმულირების ამოღების მიზეზი უცნობია.⁵⁶ მეორე მხრივ, კი ნათელია, რომ გაეროს ქარტიაში დღევანდელი რედაქციით კოდიფიცირებული თავდაცვის უფლება არ მოითხოვს ისეთ „უცნაურ ფორმალისმს“⁵⁷, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ თავდაცვის უფლების გამოყენების აკრძალვას დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არ არიან სახელმწიფოები: „ასეთ სიტუაციებზე ამ უფლების გავრცელება არის არა მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით, არამედ სამართლებრივადაც დასაბუთებული“.⁵⁸

შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ამ მიდგომას მხარს უჭერს XIX საუკუნის *კეროლანის* ცნობილი ინციდენტიც,⁵⁹ რომლის დროსაც გაერთიანებულმა სამეფომ ძალა გამოიყენა დამოუკიდებლად მოქმედი ამერიკული გემის წინააღმდეგ. გემის ეკიპაჟი ეხმარებოდა კანადელ მეამბოხეებს დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ.⁶⁰ *კეროლანის* ინციდენტის, როგორც სახელმწიფოს მიერ არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების კლასიკური მაგალითის⁶¹ წვლილი თავდაცვის უფლების განმარტებაში შეიძლება შეჯამდეს შემდეგი სახით: „თავდაცვის უფლება არ იყო შემოფარგლული შემთხვევებით, როცა საფრთხე წარმოიშობოდა სხვა სახელმწიფოდან, არამედ ეს უფლება ვრცელდებოდა არასახელმწიფო სუბიექტებიდან მომდინარე საფრთხეებზეც“.⁶² ასევე, შესაძლებელია იმის მტკიცებაც, რომ 51-ე მუხლის ჩვეულებითსამართლებრივი შინაარსი, რომელიც არსებობდა გაეროს ქარტიამდე, გულისხმობს სწორედ *კეროლანის* ინციდენტის მიგნებებს.⁶³

გარდა ამისა, 2(4)-ე მუხლი კრძალავს „ძალის ან ძალის მუქარის“ გამოყენებას, ხოლო 51-ე მუხლი იყენებს ფორმულირებას „შეიარაღებული თავდასხმა“. „ძალის“ კონცეფცია, „ძალის მუქარისგან“ განსხვავებით, დღეს აღარ არის სადავო და გულისხმობს მხოლოდ „შეიარაღებულ ძალების“ გამოყენებას.⁶⁴ ხოლო 51-ე მუხლის „შეიარაღებული თავდასხმა“ წარმოადგენს უფრო ვიწრო კატეგორიას, ვიდრე 2(4)-ე მუხლის ცნებები. ძალის გამო-

ყენების ყველა შემთხვევა ვერ ჩაითვლება შეიარაღებულ თავდასხმად: მაგალითად, შეიარაღებული სასაზღვრო პატრულის შეჭრა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიძლება ჩაითვალოს ძალის გამოყენებად, თუმცა არ იქნება შეიარაღებული თავდასხმა.⁶⁵ შესაბამისად, ცხადია, რომ 51-ე მუხლი არ წარმოადგენს „გამონაკლის“, როგორც ასეთს, 2(4)-ე მუხლით აკრძალული ქმედებებიდან, რადგან, ლოგიკურია, რომ ამ შემთხვევაში თავდაცვის უფლების გამოყენება ნებადართული უნდა ყოფილიყო ძალის გამოყენების (ან ძალის მუქარის) და არა შეიარაღებული თავდასხმის დროს.

ნიშანდობლივია, რომ 51-ე მუხლი არ მოითხოვს, რომ შეიარაღებული თავდასხმა მიმართული იყოს თავდასხმის ადრესატი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, როგორც ეს მოცემულია ძალის გამოყენების დროს.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მოცემულია 2(4)-ე მუხლში, არის ძალის გამოყენების აკრძალვა „საერთაშორისო ურთიერთობებში“. როცა ვსაუბრობთ არასახელმწიფო სუბიექტებზე, ნათელია, რომ მათ ვერ ექნებათ საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების უნარი. იმ შემთხვევაში, თუ 51-ე მუხლში იქნებოდა ამგვარი მითითება ნებისმიერ კონტექსტში, მაშინ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამ მუხლში არ არის დაკონკრეტებული თავდასხმის განმარტებული, შეუძლებელს გახდიდა თავდაცვის უფლებაში არასახელმწიფო სუბიექტების მოაზრებას.

3.2. თავდაცვის უფლება ორ სამართლებრივ სივრცეში: გაეროს ქარტია v. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი

ნაშრომის წინამდებარე ნაწილი მიზნად ისახავს, აჩვენოს, რომ თავდაცვის უფლება არსებობს გაეროს ქარტიის „სახელმწიფო-თაშორისი“ კონტექსტის მიღმა, საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში, რომელიც იცნობს არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ თავდაცვითი ძალის გამოყენების შემთხვევებს.

თავდაცვის უფლება არსებობდა გაეროს ქარტიის მიღებამდეც. ამასთან, 51-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლება არის „თანდაყოლი-

ლი“ უფლება. ამ ორი გარემოებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ გაეროს ქარტიაში თავდაცვის უფლების ასახვას აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და მან უბრალოდ მოახდინა უკვე არსებული უფლების კოდიფიცირება. თუმცა, საინტერესოა, ხომ არ შეზღუდა 51-ე მუხლმა გაეროს ქარტიის მიღებამდე და საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არსებული თავდაცვის უფლების ფარგლები? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, დასადგენია, შეიზღუდა თუ არა ეს უფლება შეიარაღებული თავდასხმის განმხორციელების ვინაობაზე არასახელმწიფო სუბიექტების ცალსახა გამორიცხვის სახით?

გავრცელებული შეხედულებით, 51-ე მუხლის ქარტიაში ასახვას მართლაც ჰქონდა შეზღუდვის დანესების მიზანი, რათა მაქსიმალურად შეეზღუდა ძალის თვითნებურად და ცალმხრივად გამოყენება სახელმწიფოთა მიერ. თუმცა, ეს შეზღუდვა ეხება მხოლოდ ერთ ასპექტს: იმას, რომ სახელმწიფოებს თავდაცვითი ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ „შეიარაღებული თავდასხმის“ არსებობის დროს და ვერ დაეყრდნობიან ძალის გამოყენების ისეთ ფართო საფუძველს, როგორცაა თვითდახმარება (მათ შორის, პრევენციული თავდაცვის უფლება).⁶⁶ შეიარაღებული თავდასხმის, როგორც თავდაცვის უფლების გამოყენების ერთადერთი საფუძვლის სამართლებრივი ვარგისიანობა განმტკიცებულ იქნა ნიკარაგუას საქმეშიც.⁶⁷

საპირისპირო შეხედულების მიხედვით კი 51-ე მუხლს არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია მანამდე არსებულ თავდაცვის უფლებაზე და „შეიარაღებული თავდასხმის“ ამგვარი გამოყოფა 51-ე მუხლში განხორციელდა მხოლოდ დეკლარაციულად, რომლის მიზანი არ იყო სხვა საფუძვლების გამორიცხვა.⁶⁸

ამ პოზიციების შეჯამებიდან ნათელია, რომ 51-ე მუხლის ქარტიაში კოდიფიცირების შემზღუდავი ეფექტის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა ეხება მხოლოდ თავდაცვის უფლების გამოყენების წინაპირობას – „შეიარაღებულ თავდასხმას“, როგორც ამ უფლების რეალიზაციის *conditio sine qua non*-ს, რასაც მხარი დაუჭირა სასამართლომაც და აღნიშნა, რომ ამ ასპექტში 51-ე მუხლი და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ერთმანეთს ემთხვევა.⁶⁹

51-ე მუხლის და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურთიერთმიმართების კონტექსტში საინტერესოა სასამართლოს *obiter dictum* ნიკარაგუას საქმეში, რომლის მიხედვით:

„სასამართლო თვლის, რომ გაეროს ქარტია [...] არანაირად არ არეგულირებს ძალის გამოყენების მთელ სფეროს [...]. მნიშვნელოვანი მომენტი, რომ ეს ხელშეკრულება [გაეროს ქარტია] თავად მიუთითებს მანამდე არსებულ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალზე. ჩვეულებით სამართალზე ეს მითითება მოცემულია უშუალოდ 51-ე მუხლის მოქმედ ტექსტში, რომელიც საუბრობს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის „თანდაყოლილ უფლებაზე“, რომელსაც „წინამდებარე ქარტიაში არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი“ და რომელიც გამოიყენება შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. შესაბამისად, სასამართლოს ადგენს, რომ ქარტიის 51-ე მუხლი მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ არსებობს თავდაცვის „თანდაყოლილი“ ან „ბუნებითი“ უფლება [...]. გარდა ამისა, ქარტია, იმაზე დამატებით, რომ აღიარა ამ უფლების არსებობა, პირდაპირ არ არეგულირებს მის ყველა ასპექტს“.⁷⁰

„შესაბამისად, ვერ დადგინდება, რომ 51-ე მუხლი არის დებულება, რომელიც“ ანაცვლებს ან გადაწონის „საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს. ის უბრალოდ აჩვენებს, რომ [...] საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი აგრძელებს არსებობას სახელშეკრულებო სამართლის პარალელურად. სამართლის ამ ორი წყაროთი რეგულირებული სფერო ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს და წესებს არ აქვთ იდენტური შინაარსი“.⁷¹

ნიკარაგუას ზემოთ ციტირებული მიდგომის, გაეროს ქარტიამდე არსებული სახელმწიფოთა პრაქტიკაში⁷² არსებული მაგალითების და 51-ე მუხლის მიერ თავდაცვის უფლებაზე განხორციელებული მინიმალური შეზღუდვის გათვალისწინებით, ცხადია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქარტიის 51-ე მუხლში არ მოიაზრება არასახელმწიფო სუბიექტები, ასეთ შესაძლებლობას პირდაპირ ითვალისწინებს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არსებული თავდაცვის უფლება.

4. „შუაძლებლობის და სურვილის არქონის“ თანტი

ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლების ლეგალურობის მტკიცებას, არის ის, რომ დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ თავდაცვითი ძალის გამოყენებისას ერთი სახელმწიფო არღვევს ტერიტორიული სახელმწიფოს სუვერენიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ ამის პირდაპირი მიზანი თავდაცვის უფლების გამომყენებელ სახელმწიფოს არ აქვს.

ნაშრომის ამ ნაწილში ნაჩვენებია იქნება, რომ სახელმწიფოთა თანამედროვე პრაქტიკამ განავითარა და კვლავ აქტუალური გახადა ე.წ. „შუაძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტი, რომელიც, ნაშრომის ავტორის აზრით, პირდაპირ გამომდინარეობს სწორედ იმავე სუვერენიტეტის კონცეფციიდან, რომელიც ხელს უშლის განსახილველი უფლების სრულად რეალიზაციას.

4.1. სახელმწიფოს სუვერენიტეტის თანამედროვე გაგება: პრივილეგიიდან პასუხისმგებლობამდე

ჯერ კიდევ 1928 წელს არბიტრაჟმა პალმასის კუნძულის (*Island of Palmas*) საქმეში განამტკიცა მიდგომა, რომლის მიხედვით, ყველა სახელმწიფოს, საკუთარი ტერიტორიული სუვერენიტეტიდან გამომდინარე, წარმოეშობა ვალდებულება, დაიცვას სხვა სახელმწიფოების უფლებები საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში.⁷³ 1949 წელს კორფუს არხის საქმეში (*Corfu Channel*) კი სასამართლომ ზოგად და აღიარებულ პრინციპად მიიჩნია ყველა სახელმწიფოს ვალდებულება – გაცნობიერებულად არ დაუშვან თავიანთი ტერიტორიის გამოყენება სხვა სახელმწიფოთა უფლებების საზიანო მოქმედებებისთვის.⁷⁴ იგივე პრინციპი იქნა განმტკიცებული აგრესიის დეფინიციის რეზოლუციით⁷⁵ და გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებით: „არსებობს ზოგადად აღიარებული წესი, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას საკუთარი ტერიტორიის გამოყენება იმ მიზნებით, რომლებიც ზიანის მომტანია სხვა სახელმწიფოების ინტერესებისთვის და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. ეს წესი, განსაკუთრებით, გამოიყენება სახელმწიფოების ვალდებულების მი-

მართ – მოახდინონ მეზობელი [სახელმწიფოების] ტერიტორიების წინააღმდეგ მიმართული საბრძოლო მოქმედებების პრევენცია“.⁷⁶ *Trail Smelter*-ის საქმეში კი კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ „სახელმწიფოს მუდმივად აქვს ვალდებულება, დაიცვას სხვა სახელმწიფოები ზიანის მიმყენებელი საქმიანობისგან, რომელსაც ახორციელებენ კერძო პირები ამ სახელმწიფოს ტერიტორიიდან“.⁷⁷ მიუხედავად იმისა, რომ *Trail Smelter*-ის ეს მიგნება გაკეთებულია გარემოსდაცვითი სამართლის კონტექსტში და არასახელმწიფო სუბიექტების მოქმედებები, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, განსხვავდება გარემოსთვის ზიანის მიმყენებელი მოქმედებებისგან, ორივე ატარებს ტრანსსასაზღვრო საფრთხის რისკს. შესაბამისად, შესაძლებელია მათი განხილვა სახელმწიფოს სუვერენიტეტიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ვალდებულებების კონტექსტში.⁷⁸

სუვერენიტეტის ამ ასპექტის წარმოჩენის შემდეგ იბადება ლოგიკური კითხვა, რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ვერ ახერხებს თავის ტერიტორიაზე მყოფი არასახელმწიფო სუბიექტების მოქმედებების აღკვეთას და ამის გამო ზიანი ადგება მეზობელ სახელმწიფოს? აძლევს თუ არა ეს გარემოება დაზარებულ სახელმწიფოს თავდაცვითი ძალის გამოყენების და მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის ფაქტობრივად დარღვევის უფლებას?

ამ შემთხვევაში, ლოგიკურია, რომ დაზარალებულ სახელმწიფოს წარმოეშობა თავდაცვის უფლება უშუალოდ არასახელმწიფო სუბიექტის მიმართ.⁷⁹ ეს პარადიგმა არ უკავშირდება ექსკლუზიურად არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას და მისი წარმოშობა ანალოგიით შეიძლება დაუკავშირდეს ნეიტრალიტეტის სამართლისა და ძალის გამოყენების ურთიერთმიმართებასაც: შეიარაღებულ თავდასხმაზე რეაგირების მიზნით, თავდაცვის უფლების გამომყენებელი სახელმწიფო უფლებამოსილია, შევიდეს მეორე სახელმწიფოში იმ შემთხვევაშიც კი, როცა თავდასხმა არ მიენერება იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიიდანაც ხორციელდება ის. ეს შეესაბამება 51-ე მუხლს და ნეიტრალიტეტის სამართალს, როცა ომში ჩართული სახელმწიფო ებრძვის მონიწილადმდეგე შეიარაღებულ ძალებს, რომ-

ლებიც მოქმედებენ ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიიდან და ამ უკანასკნელს არ სურს ან არ შეუძლია, აღკვეთოს თავისი ნეიტრალიტეტის დარღვევა.⁸⁰

„სუსტი სახელმწიფოს“ დოქტრინის მიხედვით, როცა სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა, რომ გააკონტროლოს მისი ტერიტორიის კონკრეტული ნაწილი მასზედ არასახელმწიფო სუბიექტების მიერ კონტროლის დამყარების გამო, შეიარაღებული შეტევის ადრესატ სახელმწიფოს წარმოეშობა თავდაცვის განხორციელების უფლება, რადგან სუვერენიტეტის ნაწილის დაკარგვით სახელმწიფო ასევე კარგავს ამავე სუვერენიტეტიდან გამომდინარე პრივილეგიებს.⁸¹ მოსამართლე კოეიმანსის აზრით, თუ შეიარაღებული თავდასხმები მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ არარეგულარული ჯგუფების მიერ ხორციელდება ტერიტორიიდან, რომელზეც მთავრობა ვერ ახორციელებს კონტროლს, ისინი კვლავ წარმოადგენენ შეიარაღებულ თავდასხმას, მიუხედავად იმისა, რომ არ მიენერება ტერიტორიულ სახელმწიფოს. არაგონივრული იქნებოდა თავდასხმის ადრესატი სახელმწიფოს თავდაცვის უფლების უარყოფა მხოლოდ იმის გამო, რომ თავდამსხმელი არ არის სახელმწიფო. ამას არ მოითხოვს ქარტია.⁸²

4.2. „შეუძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტი სახელმწიფოთა პრაქტიკაში 9/11-ის მოვლენებამდე: ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლების ეტაპობრივი დასაშვებობისკენ

1950-1960 წლების პრაქტიკა აჩვენებს, რომ როცა სახელმწიფოები ახორციელებდნენ თავდაცვის უფლებას არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ, ისინი ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ ეს ჯგუფები მოქმედებდნენ ტერიტორიული სახელმწიფოს ნაცვლად.⁸³ მოგვიანებით, არგუმენტაციის ხაზი განვითარდა სხვა მიმართულებით: მიუთითებდნენ, რომ ამგვარ ჯგუფებს მხარს უჭერდა სახელმწიფო (გაგზავნისა და კონტროლის ნაცვლად).⁸⁴ ასევე, მომდევნო პოპულარული არგუმენტი გახდა სახელმწიფოს მიერ ასეთი ჯგუფებისთვის განზრახ თავშესაფრის მიცემა.⁸⁵

უფრო გვიან, 1970-იან წლებში, ისრაელმა ლიბანში განხორციელებული ოპერაციების სამართლებრივ დასაბუთებაში აღ-

ნიშნა, რომ მას შეეძლო თავდაცვითი ძალის გამოყენება, რადგან ლიბანს არ სურდა, ან არ შეეძლო ტრანსსასაზღვრო თავდასხმების აღკვეთა.⁸⁶ ისრაელმა მნიშვნელობა აღარ მიანიჭა იმ ფაქტს, აქტიურად უჭერდა თუ არა ლიბანი მხარს არარეგულარულ ჯგუფებს თუ განზრახ აძლევდა თავშესაფარს. ისრაელისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ლიბანის სურვილის არარსებობა ან შეუძლებლობა. ისრაელმა აღნიშნული არგუმენტაცია, ასევე, განავითარა უშიშროების საბჭოს წინაშეც: „საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თუ სახელმწიფოს არ სურს ან არ შეუძლია, აღკვეთოს საკუთარი ტერიტორიის გამოყენება სხვა სახელმწიფოზე თავდასხმის მიზნით, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, მიმართოს ყველა საჭირო ზომას თავის დასაცავად“.⁸⁷ აღნიშნულმა პოზიციამ დაიმსახურა კრიტიკა.⁸⁸ მიუხედავად ისრაელის პოზიციის კრიტიკისა, 1980-იან წლებში იგივე დასაბუთება განავითარა აშშ-მაც:

„ჩვენ ვაღიარებთ და მტკიცედ ვუჭერთ მხარს პრინციპს, რომ განგრძობითი ტერიტორიული თავდასხმების ადრესატ სახელმწიფოს შეუძლია, რეაგირება მოახდინოს შესაბამისი ძალის გამოყენებით, რათა დაიცვას თავი შემდგომი თავდასხმებისგან. [...] უფრო მეტიც, თითოეული სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ მიიღოს სათანადო ზომები, რათა საკუთარი სუვერენიტეტის ფარგლებში აღკვეთოს პირთა ან ჯგუფთა მიერ ასეთი მოქმედებების განხორციელება“.⁸⁹

ამ მიდგომის გამოყენება გაგრძელდა 1990-იან წლებში თურქეთის და ირანის მიერ ერაყის ტერიტორიაზე ქურთული ჯგუფების წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციების დასასაბუთებლად.⁹⁰ თუმცა, ეს მოქმედებები დაგმობილ იქნა არაბული ლიგის, მიუმხრობელი მოძრაობის და თავად ერაყის მიერ.⁹¹ აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი: კერძოდ, 1980-იან წლებში თურქეთი რამდენჯერმე შეიჭრა ერაყის ტერიტორიაზე, რათა შეტევები განეხორციელებინა ქურთ მუშათა პარტიის ბანაკებზე, ხოლო ამ ქმედებებზე პრეტენზიები არ განუცხადებია ერაყს.⁹² ერაყმა აღნიშნული ქმედებები დაგმო მხოლოდ მას შემდეგ, რაც თურქეთი გადავიდა გაერთიანებული ძალებისკენ სპარსეთის ყურის პირველ ომში.⁹³ შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერაყის პოზიციის შეცვლა

განპირობებული იყო პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობებიდან გამომდინარე ფაქტორებიდან და მისი პოზიციის ცვლილება არ უკავშირდება საერთაშორისო სამართლებრივ არგუმენტაციას.

1998 წელს აშშ-მა დაბომბა ალ-ქაიდას სამიზნეები ავღანეთსა და სუდანში, როგორც საპასუხო ღონისძიება კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოებზე განხორციელებული დაბომბვებზე. ამ მოქმედებებამდე აშშ-მა რამდენჯერმე გააფრთხილა⁹⁴ სუდანის და ავღანეთის მთავრობები, რომ აღეკვეთათ ტერორისტების მოქმედებები საკუთარ ტერიტორიებზე. აღნიშნულ ოპერაციებზე რეაქცია არ იყო ერთგვაროვანი: რამდენიმე სახელმწიფომ, მათ შორის გაერთიანებულმა სამეფომ, გერმანიამ, ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ და ისრაელმა მხარი დაუჭირა აშშ-ის მოქმედებებს; საფრანგეთმა და იტალიამ არ განაცხადეს პროტესტი; რუსეთმა, ჩინეთმა, პაკისტანმა, ლიბიამ და ერაყმა პირდაპირ დაგმეს ეს მოქმედებები.⁹⁵

ამ პერიოდის პრაქტიკაში აშკარაა ცვლილება ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლების დასაშვებობაში: თუ თავდაპირველად ადგილი ჰქონდა თავდაცვის ამ ფორმის სრულ უარყოფას და დაგმობას, XX საუკუნის ბოლოს პოზიციები გახდა შერეული, მათ შორის სახელმწიფოები გამოხატავდნენ პირდაპირ მხარდაჭერასაც, რადგან ნელ-ნელა აშკარა გახდა დამოუკიდებელი ტერორისტული ორგანიზაციების მზარდი საფრთხე.

მიუხედავად ამისა, გადამეტებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ 1950-1990 წლების პრაქტიკა ცალმხრივად ამართლებს ძალის გამოყენებას იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს არ სურს ან არ შეუძლია აღკვეთოს მის ტერიტორიაზე მოქმედი არასახელმწიფო დაჯგუფებების მოქმედებები. თუმცა, ამ პერიოდის პრაქტიკა მნიშვნელოვანია იმის გააზრებაში, რომ „შეუძლებლობის ან სურვილის არქონის“ ტესტს 9/11-მდეც გააჩნდა მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული შინაარსი და გარკვეულ სახელმწიფოთა მხარდაჭერაც.

4.3. „შეუძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტის თანამედროვე სტატუსი

„შეუძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტი შეიძლება განვიხილოთ საერთაშორისო სამართლის სასარგებლო და გონივრულ დანამატად, რადგან აბალანსებს დაზარა-

ლებული სახელმწიფოსა და ტერიტორიული სახელმწიფოს უფლებებს.⁹⁶ ეშლი დიკსი, ამ ტესტის პირველ დეტალურ კვლევაში მიდის დასკვნამდე, რომ „სახელმწიფოთა ერთ საუკუნეზე მეტი ხნის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ [ეს ტესტი] კანონიერია“.⁹⁷

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ შეიმჩნევა არათანმიმდევრულობა სახელმწიფოთა პრაქტიკაში: 2014 წლის 23 სექტემბერს აშშ-მა სირიაში დაწყებული საჰაერო ოპერაციების სამართლებრივი დასაბუთების წერილში, რომელიც გაუგზავნა გაეროს უშიშროების საბჭოს, აღნიშნა, რომ სირიას არ სურს და არ შეუძლია აღკვეთოს ISIS-ის მოქმედებები.⁹⁸ სირიის ოპერაციებში მონაწილე სახელმწიფოებიდან⁹⁹ მხოლოდ ოთხმა¹⁰⁰ მათგანმა გამოიყენა „შეუძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტი, რაც საეჭვოს ხდის ამ ტესტის მიმართ არსებულ *opinion juris*-ის არსებობას თუნდაც მხოლოდ სირიის ოპერაციებში მონაწილე სახელმწიფოებს შორის.¹⁰¹ სახელმწიფოთა თანამედროვე პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ანალოგიური სიტუაცია არსებობს ზოგადად გაეროს წევრებს შორის.¹⁰²

საერთაშორისო სამართლის კომენტატორებისთვის თითქმის შეუმჩნეველი¹⁰³ ინციდენტი მოხდა 2002 წელს, როცა რუსეთმა გამოიყენა თავდაცვითი ძალა საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი ამბოხებულების წინააღმდეგ, რომლებიც, სავარაუდოდ, საქართველოს ტერიტორიიდან ახორციელებდნენ თავდასხმებს რუსეთის ტერიტორიაზე. გაეროს გენერალური მდივნისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ:

„მსოფლიოს ცალკეულ ნაწილებში ისეთი ტერიტორიული ანკლავების განგრძობადი არსებობა, რომლებიც იმყოფებიან მთავრობის კონტროლის მიღმა, რომელთაც, სხვადასხვა გარემოებების გამო, არ შეუძლიათ ან არ სურთ დაუპირისპირდნენ ამ ტერორისტულ საფრთხეს, წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, რომელიც ართულებს ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტიანად ბრძოლის ძალისხმევას“.¹⁰⁴

რუსეთმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსთან აკავშირებდა დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობები, თუმცა ამტკიცებდა, რომ საქართველოს მთავრობა არ იღებდა ზომებს, აღეკვეთა ჩეჩენი მემამბოხეების შემდგომი თავდასხმები:

„თუ საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია, შექმნას უსაფრთხო ზონა საქართველო-რუსეთის საზღვარზე, აგრძელებს გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს 2001 წლის 28 სექტემბრის 1373 (2001) რეზოლუციის უგულებელყოფას, და ბოლოს არ მოუღებს ბანდიტთა მოქმედებებს და თავდასხმებს რუსეთის ფედერაციის მომიჯნავე არეალში, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, ვიმოქმედოთ გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ყველა ნევრი სახელმწიფოს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის განუსხვისებელ უფლებას“.¹⁰⁵

აქ აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეს არგუმენტაცია არ ცდილობს დაამყაროს კავშირი საქართველოს მთავრობასა და ჩეჩენ ამბოხებულებს შორის, რასაც ცდილობდა აშშ-ის მთავრობა ალ-ქაიდას შემთხვევაში. რუსეთის მიერ განვითარებულ მსჯელობაში აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ შეეძლო ჩეჩენი ამბოხებულების გაკონტროლება და მათი მოქმედებების აღკვეთა. აღნიშნულ სიტუაციაზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სადაც განაცხადა, რომ „გაეროს ქარტიის 51-ე მუხლი [...] არ იძლევა რუსეთის ფედერაციის ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ძალის გამოყენების ნებართვას“.¹⁰⁶

რუსეთ-საქართველოს სიტუაცია არ არის უპრეცედენტო. მაგალითად, 2011 წელს აშშ-მა აღნიშნული ტესტზე მითითებით სცადა გაემართლებინა პაკისტანში შესვლა ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის მიზნით.¹⁰⁷ ანალოგიური მიდგომა განავითარა ისრაელმა ლიბანში 2006 წელს, თურქეთმა ჩრდილოეთ ერაყში 2007-2008 წლებში და კოლუმბიამ ეკვადორში 2008 წლებში განხორციელებული ოპერაციებში.¹⁰⁸

ყველა ამ შემთხვევაში სახელმწიფოებმა „შეუძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტი გამოიყენეს როგორც სამართალი და მის მიმართ მესამე სახელმწიფოებიდან შეიმჩნეოდა ტოლერანტული დამოკიდებულება.¹⁰⁹ სახელმწიფოები ამ ტესტზე უთითებენ გააზრებულად, როგორც საერთაშორისო სამართლის წესზე, რაც, მიუხედავად ამ ტესტის სადავო სტატუსისა, არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი.

5. გაეროს უშიშროების საბჭოს რეაქცია: რეზოლუციები 1368 (2001), 1373 (2001) და 2249 (2015)

როგორც 9/11 მოვლენების მიმოხილვისას აღინიშნა, უშიშროების საბჭომ მიიღო ორი მნიშვნელოვანი რეზოლუცია (რეზოლუცია 1368 და რეზოლუცია 1373), რომლებმაც ტერორისტული აქტი დააკვალიფიცირა „თავდასხმად“, როგორც „საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ“ და აღიარა „ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის თანდაყოლილი უფლება ქარტიის შესაბამისად“.¹¹⁰

უშიშროების საბჭომ რეზოლუცია 1368 მიიღო ერთხმად, რომლითაც „მაქსიმალურად მკაცრად დაგმო საშინელი ტერორისტული თავდასხმები“. რეზოლუციის პრეამბულამ კი აღიარა „ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლება ქარტიის შესაბამისად“. თავდაცვის უფლებაზე იგივე მითითება გაკეთდა 1373-ე რეზოლუციაში, რომელიც, 1368-ე რეზოლუციისგან განსხვავებით, მიღებულ იქნა გაეროს წესდების VII თავის მიხედვით და შეიძლება მივიჩნიოთ კვანისამართლებრივ აქტად,¹¹¹ რომელმაც გაეროს დონეზე განამტკიცა თავდაცვის უფლება არასახელმწიფო სუბიექტების თავდასხმის დროს.

შეცვალა თუ არა აღნიშნულმა რეზოლუციებმა გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის ფარგლები *ratione personae* ჭრილში? ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები, მათ შორის: 1) ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა უშიშროების საბჭომ, თავისი არსებობის ისტორიაში, პირველად გააკეთა მითითება თავდაცვის უფლებაზე არასახელმწიფო სუბიექტების თავდასხმისას.¹¹² 2) აშშ-ის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველი იყო ნათელი და პირდაპირი: აშშ და გაერთიანებული სამეფო არ ამტკიცებდნენ, რომ ოპერაცია ავღანეთში ნებადართული იყო უშიშროების საბჭოს მიერ, ასევე, არ უცდიათ ასეთი ნებართვის მიღება.¹¹³ ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეებმა სამართლებრივ საფუძველად მიუთითეს მხოლოდ გაეროს წესდების 51-ე მუხლი. 3) მცირე მნიშვნელობის მატარებელია ის ფაქტი, რომ გაეროს წევრების უმრავლესობამ თავი შეიკავა სამართლებრივი შეხედულებების დაფიქსირებისგან, რადგან, მეორე მხრივ, ნატომ, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ და ცალკეულმა სახელმწიფოებმა, მაგალითად

კანადამ და ავსტრალიამ მოქმედებების სამართლებრივ ჩარჩოდ აღიარეს თავდაცვის უფლება.¹¹⁴ 4) აშშ-ის მოქმედებების მხარდაჭერა იყო თითქმის უნივერსალური, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კავშირი ალ-ქაიდასა და თალიბანს შორის *prima facie* ვერ აკმაყოფილებდა ნიკარაგუას სტანდარტს, ე. ი. ალ-ქაიდას ქმედებები ვერ მიენერებოდა ავღანეთის მთავრობას, ყოველ შემთხვევაში, ოპერაციების დროს. უდავოა, რომ ამ რეზოლუციებმა 51-ე მუხლი გაავრცელა არასახელმწიფო სუბიექტებზე.

მეორე მხრივ, რეზოლუციებთან დაკავშირებით, არსებობს სხვაგვარი მიდგომა, რომლის მიხედვით, რეზოლუციებს არ უღიარებია თავდაცვის უფლება ტერორისტული თავდასხმების წინააღმდეგ, რადგან: თავდაცვის უფლებაზე საუბარია რეზოლუციების პრეამბულაში და არა არსებით ნაწილში; ბ) ტერმინ „შეიარაღებული თავდასხმის“ მაგივრად გამოყენებულია ტერმინი „საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ“.¹¹⁵ თუმცა, თავდაცვის უფლების რეზოლუციაში ხსენებას უშიშროების საბჭოს მიერ, მიუხედავად მისი ადგილისა (პრეამბულა/არსებითი ნაწილი), აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან, როგორც წესი, უშიშროების საბჭოს მიერ თავდაცვის უფლებაზე რეზოლუციაში მითითება არ წარმოადგენს გავრცელებულ პრაქტიკას.¹¹⁶

ამ რეზოლუციების მნიშვნელობის კვანძისამართლებრივი შეფასების კუთხით საინტერესოა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე კოეიმანსის მსჯელობა, რომლის აზრით ქარტიის 51-ე მუხლი თავდაცვის თანდაყოლილი უფლების განხორციელების წინაპირობად მიიჩნევს შეიარაღებულ თავდასხმას და არ მიუთითებს იმაზე, რომ თავდასხმა უნდა მომდინარეობდეს სხვა სახელმწიფოდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის გაბატონებული ინტერპრეტაცია ბოლო 50 წლის განმავლობაში. კოეიმანსის აზრით, რეზოლუციები 1368 (2001) და 1373 (2001) თავდაცვის თანდაყოლილ უფლებას აღიარებენ *სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ თავდასხმაზე მითითების გარეშე* [ხაზგასმა ავტორის]. უშიშროების საბჭომ მოქმედებები შეაფასა საერთაშორისო ტერორიზმად, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებას,

რაც უშიშროების საბჭოს აძლევს ქარტიის VII თავით მოქმედების საშუალებას. იგივე მიდგომა გაიმეორა უშიშროების საბჭომ რეზოლუცია 1373 (2001)-ში. კოეიმანსის აზრით, ეს არის „სრულიად ახალი ელემენტი ამ რეზოლუციებში“, რომლის მიერ წარმოქმნილი სამართლებრივი ვარაუდების შეფასება ჯერ შეუძლებელია, თუმცა, უდავოდ მიანიშნებს თავდაცვის უფლების კონცეფციისადმი ახალ მიდგომაზე.¹¹⁷

რაც შეეხება 2249-ე რეზოლუციას – როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა საფრანგეთის ტერაქტებზე საპასუხოდ. განსხვავებით 1368-ე და 1373-ე რეზოლუციებისგან, რეზოლუცია 2249 არ აკეთებს მითითებას თავდაცვის უფლებაზე და, წინა რეზოლუციებთან შედარებით, წარმოადგენს გაცილებით მცირე სამართლებრივი ღირებულების მატარებელს ნაშრომის მიზნებისთვის, თუნდაც იმის გამო, რომ ის მიღებულ არ ყოფილა გაეროს წესდების VII თავის მიხედვით.

თუმცა, ეს რეზოლუცია საინტერესოა იმით, რომ გაერთიანებული სამეფო დიდწილად დაეყრდნო მას, რათა ოპერაციები დაენერო სირიაში. უფრო სწორად, გაერთიანებულმა სამეფომ, აღნიშნული რეზოლუციის საფუძველზე, თავდაცვის უფლება განმარტა იმგვარად, რომ შესაძლებლად მიიჩნია ექსტრატერიტორიული თავდაცვის უფლების გამოყენება დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტის, კერძოდ კი ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა ერთობლივი კომიტეტი თავის მოხსენებაში „მთავრობის პოლიტიკა მიზნობრივი მკვლევლობებისთვის დრონების გამოყენების შესახებ“, *inter alia*, მთავრობის პოლიტიკის სამართლებრივი დასაბუთების განმარტების კონტექსტში ამტკიცებდა:

„საკითხი, შეიძლება თუ არა თავდაცვის უფლების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა შეიარაღებული თავდასხმის საფრთხე მომდინარეობს ისეთი არასახელმწიფო სუბიექტის მხრიდან, როგორცაა დაემი, რომელიც არ მოქმედებს სხვა სახელმწიფოს კონტროლის ან ხელმძღვანელობის ქვეშ, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართალში. საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი მეცნიერი ავითარებს შეხედუ-

ლებას, რომ თავდაცვის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. სხვები, მათ შორის [გაერთიანებული სამეფოს] მთავრობა, იზიარებს მიდგომას, რომ სახელმწიფოს თანდაყოლილი თავდაცვის უფლება ვრცელდება იმ თავდასხმებზეც, რომელიც მომდინარეობს ისეთი არასახელმწიფო სუბიექტებისგან, როგორცაა დაეში. სახელმწიფოთა პრაქტიკა 9/11-ის შემდეგ აშკარად მხარს უჭერს შეხედულებას, რომ სახელმწიფოს თავდაცვის უფლება მოიცავს უფლებას, ძალით უპასუხოს არასახელმწიფო სუბიექტის რეალურ ან გარდაუვალ შეიარაღებულ თავდასხმას, და გაეროს უშიშროების საბჭოს ყველაზე ახალი რეზოლუცია 2249 მხარს უჭერს ამ ხედვას. არასახელმწიფო სუბიექტის წინააღმდეგ თავდაცვის უფლების გამოსაყენებლად, სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიიდანაც ხორციელდება ან მზადდება შეიარაღებული თავდასხმა, არ უნდა შეეძლოს ან არ უნდა სურდეს თავდასხმის პრევენცია“.¹¹⁸

მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის მიერ 2249-ე რეზოლუციის გამოყენების მიმართ გამოითქვა კრიტიკა რეზოლუციის უსაფუძვლოდ ფართო ინტერპრეტაციის გამო,¹¹⁹ ფაქტია, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა დიდწილად დაეყრდნო ამ რეზოლუციას სირიაში სამხედრო ძალის გამოყენების საფუძვლის ჩამოყალიბებაში. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული სამეფო არ ეყრდნობა ექსკლუზიურად 2249-ე რეზოლუციას, რადგან ეს რეზოლუცია „არ არის VII თავის რეზოლუცია, რომელიც იძლევა ძალის გამოყენების ნებართვას და შესაბამისად, არ წარმოადგენს სირიაში ძალის გამოყენების სამართლებრივ საფუძველს“,¹²⁰ თუმცა, მიიჩნევს მას არასახელმწიფო სუბიექტების ქმედებებზე თავდაცვის გამოყენების მხარდამჭერ დოკუმენტად.

ამასთან, რეზოლუცია წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ უშიშროების საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია ძალის გამოყენება სირიაში ISIS-ის წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია, რომ საფრანგეთის წარმომადგენელმა, რომელმაც დაასპონსორა რეზოლუცია 2249, განაცხადა, რომ კოლექტიური მოქმედება ამ რეზოლუციის მიღების შემდეგ შეიძლება უკვე დაყრდნობოდა გაეროს ქარტიის 51-ე მუხლს. ერთხმად მიღებული 2249 რეზოლუ-

ციამ კი შეიძლება დიდი როლი ითამაშოს ჩვეულებითი სამართლის ახალი ნორმის ჩამოყალიბებაში.¹²¹

6. ექსტრატერიტორიული თავდაცვა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო

სამი საქმე, რომელთა ფარგლებში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (შემდგომში – სასამართლო) შეეძლო ემსჯელა ან არაპირდაპირ იმსჯელა თავდაცვის უფლებისა და არასახელმწიფო სუბიექტების ურთიერთმიმართებაზე, არის ნიკარაგუას საქმე, კედლის საკონსულტაციო დასკვნა¹²² და საქმე კონგო უგანდას წინააღმდეგ.¹²³ თუმცა, სასამართლო გვერდს უვლის ამ საკითხზე პირდაპირი პოზიციის დაფიქსირებას და თავს არიდებს 2001 წლის 11 სექტემბრისა და სახელმწიფოთა შემდგომი პრაქტიკის თავდაცვის უფლების ფარგლებზე გავლენის შეფასებას. გავრცელებული ინტერპრეტაციით, სამივე საქმეში ჩამოყალიბებული პოზიცია არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ თავდაცვის უფლების გამოყენებას აღიარებს მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ ძალას იყენებს სახელმწიფო ან თუ არასახელმწიფო სუბიექტების ქმედებები მიენერება სახელმწიფოს.

6.1. ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ ნიკარაგუას საქმე წარმოადგენს ძალის გამოყენების სამართალზე მიღებულ ყველაზე მნიშვნელოვან გადანყვეტილებას,¹²⁴ ნაკლებად მნიშვნელოვანია წინამდებარე ნაშრომისთვის, რადგან არასახელმწიფო სუბიექტების მოქმედებებში ფიგურირებდა სახელმწიფოს ჩართულობა. ნიკარაგუას საქმეში სასამართლომ იმსჯელა, წარმოადგენდა თუ არა აშშ-ის მიერ ნიკარაგუას ტერიტორიაზე მოქმედი დაჯგუფება კონტრას დახმარება კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელების საფუძველს. აშშ ამტკიცებდა, რომ მოქმედებდა ელ სალვადორის დასაცავად, რომელიც იყო ნიკარაგუას სახელმწიფოს ტერიტორიიდან მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების თავდასხმების მსხვერპლი, რომლებსაც, სავარაუდოდ, იარაღით ამარაგებდა ნიკარაგუას მთავრობა.¹²⁵ თავის მხრივ, კონტრა თავდასხმებს ახორციელებდა არა ელ სალვადორზე, არამედ – სამთავრობო ძალებზე. რადგანაც აშშ-ის მიერ

დაფინანსებული კონტრა პირდაპირ ახორციელებდა თავდასხმებს ნიკარაგუას მთავრობაზე და სამხედროებზე, სასამართლოს წინაშე არ წამოჭრილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა გარემოებების არსებობისას შეეძლო გამოეყენებინა სახელმწიფოს ძალა უშუალოდ და მხოლოდ არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ. ამის ნაცვლად, სასამართლოს მოუწია ემსჯელა იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობისას სახელმწიფოს შეეძლო თავდაცვითი ძალის გამოყენება არასახელმწიფო სუბიექტების თავდასხმების საპასუხოდ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის ტერიტორიიდანაც ხორციელდებოდა ასეთი ჯგუფების დახმარება.

6.2. კედლის საკონსულტაციო დასკვნა

კედლის საკონსულტაციო დასკვნაში ისრაელი ამტკიცებდა, რომ კედლის მშენებლობა პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოადგენდა თავდაცვის უფლების განხორციელებას ქარტიის 51-ე მუხლისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციების (1368 და 1373) საფუძველზე, როგორც ტერორისტების თავდასხმების წინააღმდეგ მიმართულ საშუალებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ 51-ე მუხლი თავდაცვის უფლებას ცნობდა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოზე განხორციელებული თავდასხმის დროს, ხოლო ისრაელს არ უცდია იმის ჩვენება, რომ ტერორისტთა თავდასხმები მიენერებოდა რომელიმე სახელმწიფოს:

„ქარტიის 51-ე მუხლი ცნობს თანდაყოლილ თავდაცვის უფლების არსებობას ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. თუმცა, ისრაელი არ ამტკიცებს, რომ თავდასხმები მის წინააღმდეგ მიენერება სხვა სახელმწიფოს. სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ ისრაელი ახორციელებს კონტროლს პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე და შესაბამისად, როგორც ისრაელი თავად აცხადებს, საფრთხე, რომელსაც ის მიიჩნევს კედლის მშენებლობის საფუძველად, წარმოიშობა ამ ტერიტორიაზე და არა მის გარეთ. აქედან გამომდინარე, ეს სიტუაცია განსხვავდება უშიშროების საბჭოს 1368 (2001) და 1373 (2001) რეზოლუციებით გათვალისწინებული სიტუაციისგან და შესაბამისად, ისრაელს არცერთ შემთხვევაში არ შეუძლია

არ რეზოლუციების გამოყენება საკუთარი მოთხოვნის გასამყარებლად, რომ ახორციელებს თავდაცვის უფლებას“.¹²⁶

სასამართლოს მიერ 51-ე მუხლის განმარტება არის ბუნდოვანი, რადგან სასამართლოს არ უთქვამს, რომ თავდაცვის უფლება გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფოთაშორის შეიარაღებულ თავდასხმაში.¹²⁷ თუმცა, ამგვარ განმარტებას თან ახლავს დამაბრკოლებელი გარემოება: ისრაელი პირდაპირ მიუთითებდა, რომ იყენებდა თავდაცვის უფლებას არასახელმწიფო სუბიექტების მიმართ, ხოლო სასამართლომ სწორედ ამ კონტექსტში უარყო ისრაელის არგუმენტები.¹²⁸ სასამართლოს არ მიუთითებია რომელიმე ავტორიტეტულ წყაროზე, რომელიც გაამართლებდა ასეთ შეზღუდულ ინტერპრეტაციას და ასევე, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ასეთი ვიწრო განმარტება ვერ მოიპოვებდა საერთაშორისო მხარდაჭერას, განსაკუთრებით არასახელმწიფო სუბიექტების თავდასხმებისგან დაზარალებული სახელმწიფოების მხრიდან.¹²⁹ საბოლოო ჯამში, გაუგებარია, როგორ და რატომ მივიდა სასამართლო ამ დასკვნამდე.¹³⁰

კედლის საკონსულტაციო დასკვნაში მოსამართლე ჰიგინსმა აღნიშნა, რომ ის არ ეთანხმება სასამართლოს მიერ თავდაცვის უფლებაზე მსჯელობის ყველა ასპექტს. მან მიუთითა, რომ 51-ე მუხლის სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება გამომდინარეობს არა 51-ე მუხლიდან, არამედ სასამართლოს მიერ ნიკარაგუას საქმეში გაკეთებული მიგნებებიდან,¹³¹ რომელთა მიხედვით, არარეგულარული ძალების მიერ განხორციელებული სამხედრო მოქმედებები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შეიარაღებულ თავდასხმად, როცა ისინი წარგზავნილია სხვა სახელმწიფოს მიერ ან მოქმედებენ სახელმწიფოს ნაცვლად და თუ ეს მოქმედებები მასშტაბისა და შედეგებით გაუტოლდება რეგულარული შეიარაღებული ძალების მოქმედებებს.¹³² ჰიგინსი თავს ვალდებულად თვლის, დაეთანხმოს ასეთ პოზიციას, როგორც არსებულ სამართალს. თუმცა, ჰიგინსი არ ეთანხმება ნიკარაგუას საქმეში დადგენილ კრიტერიუმს, რადგან სახელმწიფოს ყოველთვის მოუწევს იმსჯელოს, წარმოადგენს თუ არა არარეგულარული ჯგუფების მიერ განხორციელებული ძალის გამოყენება რეგულარული სამხედრო ძალების მიერ გან-

ხორციელებული ოპერაციების ეკვივალენტს. ჰიგინსის აზრით, სასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმი არის ოპერაციულად გამოუსადეგარი.¹³³

მოსამართლე ბურგენტალი კედლის საკონსულტაციო დასკვნის საკუთარ დეკლარაციაში გამოყოფს ორ ასპექტს, რომელთა გამოაკრიტიკებს სასამართლოს მიერ ისრაელისთვის თავდაცვის უფლების გამორიცხვას და არ ეთანხმება სასამართლოს ფორმალისტურ მიდგომას: 1) 51-ე მუხლის ფორმულირების მიხედვით, „არაფერმა წინამდებარე [გაეროს] ქარტიაში“ არ უნდა შეზღუდოს თავდაცვის თანდაყოლილი უფლება. თუ სასამართლომ მხოლოდ იმის გამო გამორიცხა თავდაცვის უფლება, რომ თავი აარიდა პალესტინის სახელმწიფოებრიობაზე მსჯელობას, ეს არ იქნებოდა საჭირო, რადგან ქარტია თავდაცვის უფლების გამოყენების წინაპირობად არ ადგენს, რომ თავდასხმის განმახორციელებელი სუბიექტი უნდა იყოს სახელმწიფო.¹³⁴ უშიშროების საბჭომ რეზოლუციებში 1368 (2001) და 1373 (2001) საერთაშორისო ტერორიზმი შეაფასა, როგორც საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ, აღიარა თავდაცვის უფლება და უშიშროების საბჭოს არ მიუთითებია, რომ ტერორისტული აქტები უნდა განახორციელოს სახელმწიფო სუბიექტებმა.¹³⁵ 2) ისრაელი ამტკიცებს, რომ მას აქვს თავდაცვის გამოყენების უფლება იმ თავდასხმების წინააღმდეგ, რომელიც მომდინარეობს „მწვანე ზოლის“ მეორე მხრიდან. ბურგენტალის აზრით, ამ არგუმენტთან მიმართებით არარელევანტურია, რომ ისრაელი ახორციელებს კონტროლს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე. სასამართლოსთვის „მწვანე ზოლი“, გარკვეულ ფარგლებში, წარმოადგენს დელიმიტაციის ხაზს ისრაელსა და ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებს შორის. შესაბამისად, სასამართლომ, სწორედ ამ ფარგლებში, ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიები არ უნდა ჩათვალოს ისრაელის ტერიტორიად, მიუხედავად ისრაელის მიერ ამ ტერიტორიის კონტროლისა.¹³⁶

შესაბამისად, კედლის საკონსულტაციო დასკვნა იყო ისრაელ-პალესტინის ურთიერთობების კონკრეტული გარემოებების მაქსიმალურად გათვალისწინების შედეგად მიღებული დასკვნა, რომლის განზოგადება ზოგადად თავდაცვის უფლებაზე არ არის მიზანშეწონილი.

6.3. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ

საქმეში კონგო უგანდას წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ კონგოს ტერიტორიიდან არასახელმწიფო სუბიექტების მიერ უგანდას წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები არ მიენერებოდა კონგოს¹³⁷ და, შესაბამისად, არ იყო დაკმაყოფილებული პირობები, რაც აუცილებელი იყო უგანდის მიერ თავდაცვის განსახორციელებლად. სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ

„სასამართლოს არ ჭირდება მხარეთა არგუმენტების განხილვა იმის შესახებ, თუ რა დროს და რა პირობებში ითვალისწინებს თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თავდაცვის უფლების გამოყენებას არარეგულარული ძალების მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი თავდასხმების წინააღმდეგ“.¹³⁸

მოსამართლე კოეიმანსი განსხვავებულ მოსაზრებაში აღნიშნავს, რომ სასამართლო თავს არიდებს პასუხი გასცეს კითხვას, შესაბამისობაშია თუ არა ნიკარაგუას გადაწყვეტილების სტანდარტი თანამედროვე საერთაშორისო სამართალთან, მითუმეტეს, რომ ეს სტანდარტი გახდა მკაცრი კრიტიკის საგანი.¹³⁹ კოეიმანსი თვლის, რომ მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოს ტერიტორიიდან მოქმედი ჯგუფების მოქმედებები არ მიენერება სახელმწიფოს, მსხვერპლ სახელმწიფოს არ უკრძალავს თავდაცვის უფლების გამოყენებას 51-ე მუხლის მიხედვით. კოეიმანსი სასამართლოს აკრიტიკებს იმის გამოც, რომ ნათელს არ ჰფენს შემთხვევას, თუ რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ, როცა არარეგულარული ჯგუფები შეიარაღებული ოპერაცია მისი მასშტაბისა და შედეგების გამო უზრალო სასაზღვრო ინციდენტის ნაცვლად შეფასდებოდა შეიარაღებული თავდასხმად.¹⁴⁰ კოეიმანსი მხარს უჭერს მიდგომას, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს თავდაცვის იგივე სამართლებრივი ჩარჩო, რასაც გამოიყენებდა სახელმწიფოს წინააღმდეგ.¹⁴¹

ასევე, აღნიშნულ საქმეზე თანდართულ განსხვავებულ მოსაზრებაში მოსამართლე სიმა აღნიშნავს, რომ 51-ე მუხლის კედლის საკონსულტაციო დასკვნაში მოცემული ვინრო განმარტება უნდა გადაიხედოს არა მხოლოდ სახელმწიფოთა პრაქტიკაში არსებული

ცვლილებების, არამედ – ასეთი პრაქტიკის თანმხლები *opinion juris*-ის გამო. სიმა მიიჩნევს, რომ პრაქტიკაში განსაკუთრებული ცვლილებები დაიწყო 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ და აკეთებს საინტერესო მიგნებას: „მტკიცება, რომ 51-ე მუხლი ფარავს თავდაცვით ღონისძიებებს ტერორისტების ჯგუფების წინააღმდეგ, საერთაშორისო საზოგადოებამ მიიღო გაცილებით დადებითად, ვიდრე ქარტიის სხვა შესაბამისი დებულებების ფართო განმარტება, განსაკუთრებით „ბუშის დოქტრინა“, რომელიც ამართლებს ძალის პრევენციულ გამოყენებას“.¹⁴² სიმას აზრით, ასეთ მიდგომას ადასტურებს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებიც.¹⁴³ სიმა ასევე ეთანხმება მოსამართლე კოედიანსის მიერ გაკეთებულ განსხვავებულ მოსაზრებას კედლის საკონსულტაციო დასკვნაში და ეთანხმება დინშტეინს, რომლის მიხედვით, თავდასხმის ადრესატი სახელმწიფოსთვის თავდაცვის უფლებაზე უარის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ თავდამსხმელი არ არის სახელმწიფო, იქნებოდა არაგონივრული, თანაც ამას არ მოითხოვს გაეროს ქარტია.¹⁴⁴

როგორც ერთმა კომენტატორმა აღნიშნა, სასამართლოს ლოგიკა აღნიშნულ საქმეში იყო ის, რომ სახელმწიფო თავდაცვით ძალას ვერ გამოიყენებს მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ იმის გამო, რომ მისი ტერიტორიიდან მოქმედი დაჯგუფებების ქმედებები არ მიეწერება ამ სახელმწიფოს, ეს მსჯელობა მისაღებია. მაგრამ, თუ სასამართლო კვლავ მოითხოვს ნიკარაგუას საქმის სტანდარტს ასეთი დაჯგუფებების მიმართ ძალის გამოყენების დროს, მაშინ სასამართლო სერიოზულად ზღუდავს თავდაცვის უფლების ფარგლებს.¹⁴⁵

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ კედლისა და კონგოს საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეიძლება დაბრკოლება შექმნა „სწრაფად კრისტალიზებადი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებაში“,¹⁴⁶ მას არ მოუხდენია ასეთი ნორმის განვითარების პრევენცია. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ სიტუაცია მოცემულ საქმეებში განსხვავდება იმ შემთხვევებისგან, როცა სახელმწიფო ძალას იყენებს არასახელმწიფო ჯგუფების წინააღმდეგ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. კედლის საკონსულტაციო დასკვნაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ თავდაცვის უფლება გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის მიხედვით გამოიყენებოდა მხო-

ლოდ სხვა სახელმწიფოდან მომდინარე თავდასხმების მიმართ, რაც არ ვრცელდებოდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე თავდასხმებზე, რადგან ამ ტერიტორიას აკონტროლებდა ისრაელი. კონგოს და ნიკარაგუას საქმეებში კი ძალის გამოყენება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ არარეგულარულ ჯგუფებზე თავდასხმებით, არამედ მოიცავდა მასშტაბურ თავდასხმებს ტერიტორიული სახელმწიფოს სხვადასხვა ლოკაციებზე.¹⁴⁷

შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო მოქმედებს საერთაშორისო სამართლის სპეციფიკური კონცეფციის კონტექსტში, რომელიც აღნიშნულ სამართლებრივ სისტემას აღიქვამს ტრადიციული გაგებით, როგორც მხოლოდ სახელმწიფოებზე ორიენტირებულ სამართალს.

დასკვნა

არასახელმწიფო სუბიექტები წარმოადგენენ XXI საუკუნის ერთ-ერთ დიდ გამოწვევას, რადგან მათ გააჩნიათ დიდი რესურსი და პოტენციალი, საფრთხე შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. ასეთი საფრთხის არსებობის პირობებში, სახელმწიფოებს არ აქვთ სამართლებრივი ვალდებულება, რომ დაემორჩილონ „უცნაურ ფორმალისტს“ და არასახელმწიფო სუბიექტების მიერ უშუალოდ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმების შემთხვევაში არ გამოიყენონ თავდაცვის უფლების თანდაყოლილი უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ დგინდება ან *prima facie* არ არსებობს მათ წინააღმდეგ გამოყენებულ ძალაში სხვა სახელმწიფოს ჩართულობა. როგორც ზემოთ მოცემული ანალიზიდან ჩანს, საერთაშორისო სამართალი შეიძლება პირდაპირ არ ცნობს არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების ლეგალურობას, მაგრამ ექსტრატერიტორიული თავდაცვა დღეს აღარ არის ძალის გამოყენების „საპატიებელი“ ფორმა და სცდება „ლეგიტიმურის“ კატეგორიას. ის შეიძლება განვიხილოთ ძალის გამოყენების პოზიტიური საერთაშორისო სამართლით ნებადართულ ფორმად შემდეგი გარემოებების გამო:

1) სახელმწიფოთა პრაქტიკა, მიუხედავად ასეთი პრაქტიკის არაერთგვაროვნებისა, მხარს უჭერს თავდაცვის უფლების გამოყენებას ტრანსსასაზღვრო საფრთხეებთან

გამკლავების კუთხით. 9/11-ის შემდეგ მოხდა ერთგვარი ევოლუცია, კერძოდ – არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ განხორციელებულმა მოქმედებებმა შეთანხმებული სამართალდაცვითი თანამშრომლობის სფეროდან გადაინაცვლა თავდაცვითი ძალის ცალმხრივი გამოყენების, როგორც უფრო ეფექტიანი მექანიზმის, სფეროში.

2) დღეს არსებული მდგომარეობით, სახელმწიფოთა ამ პრაქტიკის მიმართ საერთაშორისო საზოგადოება აფიქსირებს ან პირდაპირ მხარდაჭერას, ან მინიმუმ ტოლერანტულს.

3) გაეროს ქარტიის მოცემული ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპსა და თავდაცვის უფლებას შორის არ არსებობს მხოლოდ „აკრძალვა-გამონაკლისის“ ურთიერთმიმართება და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ თავდაცვის უფლების გამოყენება არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ არ არის შეზღუდული გაეროს ქარტიის სახელმწიფოთაშორისი ბუნებით, რადგან ა) გაეროს ქარტიის 2(4)-ე და 51-ე მუხლებს გააჩნიათ ტერმინოლოგიურად და შინაარსობრივად განსხვავებული რეგულირების სფერო და ბ) თავდაცვის უფლება არსებობს გაეროს ქარტიისგან დამოუკიდებელ სამართლებრივ სივრცეში – საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში. ამასთან, 51-ე მუხლს არ შეუზღუდავს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არსებული თავდაცვის უფლება *ratione personae*.

4) „შეუძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტის თანახმად, როცა სახელმწიფო არ შეუძლია მისი ტერიტორიიდან მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების ქმედებების აღკვეთა, არაგონივრული იქნებოდა თავდასხმის ადრესატი სახელმწიფოს თავდაცვის უფლების უარყოფა მხოლოდ იმის გამო, რომ თავდამსხმელი არ არის სახელმწიფო. თავდასხმების ადრესატ სახელმწიფოს არ აქვს თმენის ვალდებულება. „შეუძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტს მხარს უჭერს სახელმწიფოთა პრაქტიკა, ლოგიკურად გამომდინარეობს სუვერენიტეტის კონცეფციიდან და გარკვეული პროცედურული მოთხოვნების დამატებით (როგორცაა ასეთი სახელ-

მწიფოსთვის გონივრული დროის მიცემა, საკუთარი ძალებით აღკვეთოს არარეგულარული ჯგუფების მოქმედება), ეს ტესტი, დღეის მდგომარეობით, შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო სამართლის ნაწილად, რომელიც შეძლებს, ოპტიმალურად დააბალანსოს ორი სახელმწიფოს ინტერესები.

5) გაეროს უშიშროების საბჭოს 1368 (2001), 1373 (2001) და 2249 (2015) რეზოლუციებმა, როგორც კვაზისამართლებრივმა დოკუმენტებმა, გაეროს ქარტიის 51-ე მუხლში აშკარად მოიხაზრა სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტები და აღიარა თავდაცვის უფლება (1368, 1373), ან არაპირდაპირ მიუთითა ამ უფლებაზე (2249).

6) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ განხილულმა სამმა საქმემ (ნიკარაგუას საქმე, კედლის საკონსულტაციო დასკვნა და საქმე კონგო უგანდას წინააღმდეგ) თავი აარიდა ამ საკითხზე პირდაპირ მსჯელობას. თუმცა, ამავდროულად, არც ერთი საქმიდან არ ჩანს, რომ მან ცალსახად გამორიცხა თავდაცვის უფლების გამოყენება არარეგულარული ჯგუფების მიმართ. მან შეიძლება დაბრკოლება შექმნა ასეთი უფლების რეალიზაციის კუთხით, მაგრამ ცალსახად არ გამოურიცხავს ასეთი უფლების არსებობა და არ მოუხდენია ნორმის ამგვარი ინტერპრეტაციის განვითარების ან ჩვეულებითი ნორმის ჩამოყალიბების პრევენცია.

არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ სახელმწიფოები კვლავ გააგრძელებენ ამ უფლების გამოყენებას, რადგან ეს უფლება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ და ეფექტიან ბერკეტს, რათა სახელმწიფოებმა უპასუხონ ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ არსებულ გამონგევებს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. ასეთმა ტენდენციამ კი შეიძლება უახლოეს მომავალში შეცვალოს ამ უფლების სტატუსი ან პრაქტიკა გახდეს ისეთი თანმიმდევრული, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ან სასამართლო ორგანოებმა ვერ უგულვებელყო მისი გათვალისწინება ქარტიის 51-ე მუხლის განმარტებისას.

* გიორგი ნაკაშიძე – საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); საქართველოს საერთაშორისო

უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მრჩეველი.

- ¹ წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის *ექსტრატერიტორიული თავდაცვა* გულისხმობს შემთხვევას, როცა სახელმწიფო იყენებს ძალას საკუთარი ტერიტორიის გარეთ, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ და, ამავდროულად, ძალის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლად უთითებს გაეროს ქარტიის 51-ე მუხლს (თავდაცვის უფლება).
- ² წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის *დამოუკიდებლად მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტი* ნიშნავს პირთა დაჯგუფებას (ტერორისტულ დაჯგუფებას, არარეგულარულ ფორმირებას, შეიარაღებულ და გასამხედროებულ ჯგუფს და ა.შ.), რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად, საკუთარი მიზნებისთვის და არ იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ეფექტიანი ან ზოგადი კონტროლის ქვეშ და არ იღებს მითითებებს და დახმარებას მისგან, ანუ მის ქმედებებში არ იკვეთება სხვა სახელმწიფოს ჩართულობა (გარდა იმისა, რომ ასეთი სუბიექტი მოქმედებს კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიიდან).
- ³ ნაშრომის მიზნებისთვის, იგულისხმება, რომ არასახელმწიფო სუბიექტებს შეუძლიათ განახორციელონ „შეიარაღებული თავდასხმა“ გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის ფარგლებში, რადგან მათ ქმედებებს შეუძლიათ *ნიკარაგუას* საქმით დადგენილი „სიმძიმის“ ობიექტური კრიტერიუმის (რომელიც მოიცავს მასშტაბისა და შედეგის კომპონენტებს) დაკმაყოფილებას.
- ⁴ წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის *ტერიტორიული სახელმწიფო* ნიშნავს იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიიდანაც მოქმედებენ არასახელმწიფო სუბიექტები
- ⁵ ამ საკითხის განხილვა ცდება ნაშრომის ფარგლებს.
- ⁶ Dekker, I. F. *Illegality and Legitimacy of Humanitarian Intervention: Synopsis of and Comments on a Dutch Report*. Journal of Conflict & Security Law, vol.6, no.1, 2001, p. 115; Dunoff J. L. et. al. (2002) *International Law: Norms, Actors, Process: A Problem-Oriented Coursebook*, Aspen Publishers, pp. 893-94.
- ⁷ Orford A. (2003) *Reading Humanitarian Intervention: Human Rights and the Use of Force in International Law*, Cambridge University Press, p. 44.
- ⁸ Dinstein, Y. *Comments on War*. Harvard Journal of Law & Public Policy, vol.27, no.3, 2004, pp. 877, 881.
- ⁹ U.N. Press Release SG/SM/6938 (Mar. 24, 1999).
- ¹⁰ *Case concerning Legality of the Use of Force (Serbia & Montenegro v. Belgium)*, Preliminary Objections, ICJ, 15 December 2004, § 129.
- ¹¹ Independent International Commission on Kosovo: The Kosovo Report (2000), p. 186, ხელმისაწვდომია: <http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/6D26FF88119644CFC1256989005CD392-thekosovoreport.pdf> (ყველა ინტერნეტ წყარო ბოლოს ნანახია 2018 წლის 20 ოქტომბერს).
- ¹² *იქვე*.
- ¹³ The Responsibility to Protect (2001), XI, ხელმისაწვდომია: <http://responsibilitytoprotect.org/ICISS%20Report.pdf>.
- ¹⁴ Válek, P. *Legality versus Legitimacy and the Use of Force*, in Miller R. A., Bratspies R. M. (eds.) (2008) *Progress in International Law*, Martinus Nijhoff Publishers, p. 624.
- ¹⁵ Hilpold, P. *The Fight against Terrorism and SC Resolution 2249 (2015): towards a More Hobbesian or a More Kantian International Society?* Indian Journal of International Law, vol.55, no.4, 2015, pp. 544-545.
- ¹⁶ Crawford J. (2013) *Brownlie's Principles of Public International Law (8th Edition)*, Oxford University Press, p. 772; Dinstein Y. (2005) *War, Aggression and Self-Defence (4th ed.)*, Cambridge University Press, pp.206-207; Henriksen, A. *Jus ad bellum and American Targeted Use of Force to Fight Terrorism around the World*. Journal of Conflict & Security Law, vol.19, no.2, 2014, p. 233.
- ¹⁷ Duffy H. (2015) *The 'War on Terror' and the Framework of International Law (2nd ed.)*, Cambridge University Press, p. 296; Shaw M. (2008) *International*

- Law (6th ed.), Cambridge University Press, p. 1135; Zweifach, B. *Plugging the Gap: A Reconsideration of the U.N. Charter's Approach to Low-Gravity Warfare*. *Intercultural Human Rights Law Review*, vol.8, 2012, p. 418.
- ¹⁸ Scharf, M. P. *How the War against ISIS Changed International Law*. *Case Western Reserve Journal of International Law*, vol.48, 2016, p. 40 (შემდგომში Scharf (2016)).
- ¹⁹ Schmitt M. N. *Responding to Transnational Terrorism under the Jus ad Bellum: A Normative Framework*, in Schmitt M., Pejic J. (eds.) (2007) *International Law and Armed Conflict: Exploring the Faultlines – Essays in Honour of Yoram Dinstein*. Brill | Nijhoff, p. 158.
- ²⁰ S/RES/1368 (2001), S/RES/1373 (2001).
- ²¹ Ruys, T., Verhoeven, S. *Attacks by Private Actors and the Right of Self-Defence*. *Journal of Conflict & Security Law*, vol.10, no.3, 2005, p. 297.
- ²² Letter dated 2001/10/07 from the Permanent Representative of the United States of America to the United Nations addressed to the President of the Security Council S/2001/946 (2001), ხელმისაწვდომია: <http://repository.un.org/handle/11176/31401>.
- ²³ იქვე.
- ²⁴ Schmitt M. N. *Counter-Terrorism and the Use of Force in International Law*. The Marshall Center Papers, No 5. The George C. Marshall European Center for Security Studies, p. 17.
- ²⁵ Scharf (2016), ზემოთ, სქოლიო 18, pp. 40-41.
- ²⁶ CP/RES. 797 (1293/01), ხელმისაწვდომია: <http://www.oas.org/council/resolutions/res797.asp>.
- ²⁷ Article 3 of the Inter-American Treaty of Reciprocal Assistance (Rio Treaty).
- ²⁸ Security Treaty Between Australia, New Zealand and the United States of America (in force since 1952), ხელმისაწვდომია: <http://australianpolitics.com/1951/09/01/anzus-treaty-text.html>.
- ²⁹ Brown, D. *Use of Force against Terrorism after September 11th: State Responsibility, Self-Defense and Other Responses*. *Cardozo Journal of International and Comparative Law*, vol.11, no.1, 2003, p. 29.
- ³⁰ Gray C. (2018) *International Law and the Use of Force (4rd ed.)*, Oxford University Press, p. 207 (შემდგომში Gray (2018)); Ruys, T., Verhoeven, S. *Attacks by Private Actors and the Right of Self-Defence*. *Journal of Conflict & Security Law*, vol.10, no.3, 2005, p. 290.
- ³¹ *Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. The United States of America)*, Judgment on Merits, ICJ, 27 June 1986, § 195 (შემდგომში – ნიკარაგუა).
- ³² კონტროლის ტესტების შესახებ იხ. ბართაია ი. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების ექსტრატერიტორიული გამოყენება – საერთაშორისო მექანიზმების პრაქტიკის ანალიზი. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2009 №2 – 2010 №1, გვ. 64-67.
- ³³ Gray (2018), ზემოთ, სქოლიო 30, pp. 201-202.
- ³⁴ იქვე.
- ³⁵ Ruys, T. (2010) *'Armed Attack' and Article 51 of the UN Charter. Evolutions in Customary Law and Practice*, Cambridge University Press, p. 442 (შემდგომში Ruys (2010)).
- ³⁶ France Seeks Global Coalition against Islamic State, Launches New Strikes. Reuters, Tue Nov 17, 2015, ხელმისაწვდომია: <http://www.reuters.com/article/france-shooting-idUSL8N13B1NP20151117>.
- ³⁷ იქვე.
- ³⁸ De Souza, I. M. L. *Revisiting the Right of Self-Defence against Non-State Armed Entities*. *Canadian Yearbook of International Law*, vol.53, 2016, p. 222.
- ³⁹ Treaty on the Functioning of the European Union, მ. 222(1).
- ⁴⁰ Letter, dated 25 May 1993, from the Permanent Representative of the Islamic Republic of Iran to the United Nations Addresses to the Secretary General, UN Doc S/25843, ხელმისაწვდომია: http://repository.un.org/bitstream/handle/11176/51284/S_25843-%20%20%20EN.pdf?sequence=3&isAllowed=y.

- ⁴¹ Letter, dated 7 October 2001, from the Permanent Representative of the United States of America, to the United Nations addressed to the President of the Security Council, UN SCOR, 56th session at 1; UN Doc S/2001/946 (2001), ხელმისაწვდომია: http://repository.un.org/bitstream/handle/11176/31401/S_2001_946-EN.pdf?sequence=3&isAllowed=y.
- ⁴² Letter dated 11 September 2002 from the Permanent Representative of the Russian Federation to the United Nations addressed to the Secretary-General. UN Doc S/2002/1012, ხელმისაწვდომია: http://repository.un.org/bitstream/handle/11176/29079/S_2002_1012-EN.pdf?sequence=3&isAllowed=y. იხ. ასევე Finucane, B. *Fictitious States, Effective Control, and the Use of Force against Non-State Actors*. Berkeley Journal of International Law, vol.30, no.1, 2012, p. 79.
- ⁴³ Statement by Ambassador Dan Gillerman, Permanent Representative, Emergency Session, Security Council, New York, 5 October 2003. Special U.N. Security Council Meeting to Discuss Israel's Attack in Syria, ხელმისაწვდომია: <http://www.edition.cnn.com/TRANSCRIPTS/0310/05/se.03.html>.
- ⁴⁴ Israel's conduct was condemned by the 12 members of the UNSC, გვ. 8-13, ხელმისაწვდომია: <http://undocs.org/en/S/PV.4836>.
- ⁴⁵ Trapp K. N. *Can Non-State Actors Mount an Armed Attack?* in Weller M. (ed.) (2015) *The Oxford Handbook of the Use of Force in International Law*. Oxford University Press, p. 692.
- ⁴⁶ Statement by Ambassador Dan Gillerman, Permanent Representative, during the open debate on 'The Situation in the Middle East' United Nations, New York, 8 August 2006.
- ⁴⁷ Trapp K. N. *Can Non-State Actors Mount an Armed Attack?* in Weller M. (ed.) (2015) *The Oxford Handbook of the Use of Force in International Law*. Oxford University Press, p. 691.
- ⁴⁸ CP/RES. 930 (1632/08), ხელმისაწვდომია: <http://www.oas.org/council/resolutions/res930.asp>. კოლუმბიამ მოგვიანებით მოიხადა ბოდიში, ხელმისაწვდომია: http://www.oas.org/en/media_center/speech.asp?sCodigo= 08-0021.
- ⁴⁹ Finucane, B. *Fictitious States, Effective Control, and the Use of Force against Non-State Actors*. Berkeley Journal of International Law, vol.30, no.1, 2012, pp. 81-82.
- ⁵⁰ Letter dated 23 September 2014 from the Permanent Representative of the United States of America to the United Nations addressed to the Secretary-General. S/2014/695, ხელმისაწვდომია: <http://repository.un.org/handle/11176/89298>.
- ⁵¹ Letter dated 31 March 2015 from the *Chargé d'affaires* a.i. of the Permanent Mission of Canada to the United Nations addressed to the President of the Security Council. S/2015/221, ხელმისაწვდომია: <http://repository.un.org/handle/11176/310200>.
- ⁵² Identical Letters dated 25 November 2014 from the Permanent Representative of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland to the United Nations addressed to the Secretary-General and the President of the Security Council. S/2014/85, ხელმისაწვდომია: <http://repository.un.org/handle/11176/308864>.
- ⁵³ O'Connor, L. *Legality of the Use of Force in Syria against Islamic State and the Khorasan Group*. Journal on the Use of Force and International Law, vol.3, no.1, 2016, p. 76.
- ⁵⁴ Dörr O., Randelzhofer A. *Article 2 (4)*, in Simma B., et al (eds.) (2012) *The Charter of the United Nations: A Commentary, Volume II (3rd ed.)*, Oxford University Press, p. 218 (შემდგომში Dörr O., Randelzhofer A. *Article 2 (4)*); Gill T.D., Fleck D. (2015) *The Handbook of the International Law of Military Operations (2nd Edition)*, Oxford University Press, p. 214.
- ⁵⁵ Trapp K. N. *Can Non-State Actors Mount an Armed Attack?* in Weller M. (ed.) (2015) *The Oxford Handbook of the Use of Force in International Law*. Oxford University Press, p. 684.
- ⁵⁶ იქვე.
- ⁵⁷ Greenwood, C. *International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida, and Iraq*. San Diego International Law Journal, vol.4, no.7, 2003, p. 17.

- ⁵⁸ Schmitt M. N. *Responding to Transnational Terrorism under the Jus ad Bellum: A Normative Framework*, in Schmitt M., Pejic J. (eds.) (2007) *International Law and Armed Conflict: Exploring the Faultlines – Essays in Honour of Yoram Dinstein*. Brill | Nijhoff, pp.167-168.
- ⁵⁹ მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო სასამართლო საქმე, კეროლაინის ინციდენტზე მსჯელობისას აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობები შეთანხმდნენ, რომ მათი პოზიციები ასახავდნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნის საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს. ასევე, კეროლაინის ინციდენტი ნიურმბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ ციტირებული იქნა, როგორც ავტორიტეტული წყარო. იხ. Greenwood C. *The Caroline*, in Wolfrum R. (ed.) *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, § 5.
- ⁶⁰ Sofaer, A. D. *On the Necessity of Pre-emption*. *European Journal of International Law*, vol.14, no.2, 2003, pp. 214-220.
- ⁶¹ Greenwood, C. *International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida, and Iraq*. *San Diego International Law Journal*, vol.4, no.7, 2003, p. 17.
- ⁶² Greenwood C. *The Caroline*, in Wolfrum R. (ed.) *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, § 10.
- ⁶³ Davis L. W. (2008) *The Phantom of the Neo-Global Era: International Law and the Implications of Non-State Terrorism on the Nexus of Self-Defense and the Use of Force*, in Miller R. A., Bratspies R. M. (eds.) (2008) *Progress in International Law*, Martinus Nijhoff Publishers, p. 642.
- ⁶⁴ Dörr O., Randelzhofer A. *Article 2 (4)*, *ზემოთ*, სქოლიო 54, pp. 208, 217-218.
- ⁶⁵ Nolte G., Randelzhofer A. *Article 51*, in Simma B., et al (eds.) (2012) *The Charter of the United Nations: A Commentary, Volume II (3rd ed.)*, Oxford University Press, p. 1403 (შემდგომში Nolte G., Randelzhofer A. *Article 51*). *ნიკარაგუა, ზემოთ*, სქოლიო 31, § 195. *Eritrea Ethiopia Claims Commission Jus Ad Bellum (Partial Award, Ethiopia's Claims 1–8, 19 December 2005)* (2009) 135 ILR 479, § 11.
- ⁶⁶ Nolte G., Randelzhofer A. *Article 51*, *ზემოთ*, სქოლიო 65, p. 1403.
- ⁶⁷ *ნიკარაგუა, ზემოთ*, სქოლიო 31, §§ 195, 211, 237 (იხ. სქოლიო 31).
- ⁶⁸ *ზემოთ*, სქოლიო 66.
- ⁶⁹ *Case Concerning Oil Platforms (Islamic Republic of Iran v. United States of America)*, Judgment, ICJ, 6 November 2003, § 51. *ნიკარაგუა, ზემოთ*, სქოლიო 31, § 195.
- ⁷⁰ *ნიკარაგუა, ზემოთ*, სქოლიო 31, § 176.
- ⁷¹ *იქვე*.
- ⁷² იხ. Novak M. *Just Peace and the Asymmetric Threat: National Self-Defense in Uncharted Waters*. *Harvard Journal of Law & Public Policy*, vol.27, no.3, 2003-2004, p. 828 (პარალელი მეკობრეების ორგანიზაციების და არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ ბრძოლას შორის); Davis L. W. *The Phantom of the Neo-Global Era: International Law and the Implications of Non-State Terrorism on the Nexus of Self-Defense and the Use of Force*, in Miller R. A., Bratspies R. M. (eds.) (2008) *Progress in International Law*. Martinus Nijhoff Publishers, pp. 641-643 (თომას ჯეფერსონის კამპანია აფრიკელი ბერბერების წინააღმდეგ და *პანჩო ვილას* ინციდენტი).
- ⁷³ *Island of Palmas (Netherlands, USA)*. *Reports of International Arbitral Awards (RIAA)*, 4 April 1928, Vol. II, p. 839.
- ⁷⁴ *Corfu Channel (United Kingdom of Great Britain and Northern Ireland v. Albania)*, Judgment on Merits, ICJ, 9 April 1949, p. 22.
- ⁷⁵ *Definition of Aggression*, GA Res 3314 (XXIX), UNGAOR, UN Doc A/RES/3314 (1974), მ. 3(f).
- ⁷⁶ *Survey of International Law in Relation to the Work of Codification of the International Law Commission: Preparatory work within the purview of article 18, paragraph 1, of the International Law Commission — Memorandum submitted by the Secretary-General*, UN Doc A/CN.4/1/Rev.1 (1949), § 57.
- ⁷⁷ *Trail Smelter case (United States, Canada)*. *Reports of International Arbitral Awards (RIAA)*, 16 April 1938 and 11 March 1941, Vol. III, p. 1963.

- ⁷⁸ Starski, P. *Right to Self-Defense, Attribution and the Non-State Actor – Birth of the “Unable or Unwilling” Standard?* Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht, vol.75, no.3, 2015, p. 475.
- ⁷⁹ Lubell N. (2010) *Extraterritorial Use of Force against Non-State Actors*, Oxford University Press, p. 40.
- ⁸⁰ იქვე, გვ. 40-41.
- ⁸¹ Borowski, H., Fuchs, I. *Weak States and Terrorist Organizations: A Proposed Model of Intervention*. Minnesota Journal of International Law, vol.21, no.2, 2012, pp. 214-215.
- ⁸² Separate Opinion of Judge Kooijmans, *Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda)*, Judgment, ICJ Reports 2005, p. 150 (შემდგომში *DRC v. Uganda*).
- ⁸³ Tibori-Szabó K. *The ‘Unwilling or Unable’ Test and the Law of Self-defence*, in Paulussen C. et al. (eds.) (2016) *Fundamental Rights in International and European Law: Public and Private Law Perspectives*, T.M.C. Asser Press, p. 76 (შემდგომში Tibori-Szabó (2016)).
- ⁸⁴ იქვე.
- ⁸⁵ იქვე, გვ. 77.
- ⁸⁶ იქვე.
- ⁸⁷ იქვე, გვ. 78.
- ⁸⁸ SC Res. 280 (1970); SC Res. 316 (1972); SC Res. 332 (1973); SC Res. 450 (1979); SC Res. 467 (1980).
- ⁸⁹ SCOR, 40th session, 2615th meeting, UN Doc. S/PV.2615 (4 October 1985), § 252.
- ⁹⁰ იქვე, გვ. 78-79.
- ⁹¹ იქვე.
- ⁹² Antonopoulos, A. *The Turkish Military Operation in Northern Iraq of March-April 1995 and the International Law on the Use of Force*. Journal of Armed Conflict Law, vol.1, no.1, 1996, p. 49.
- ⁹³ Ruys T. (2010) *‘Armed Attack’ and Article 51 of the UN Charter. Evolutions in Customary Law and Practice*, Cambridge University Press, p. 430.
- ⁹⁴ „შეუძლებლობის და სურვილის არქონის“ ტესტში გაფრთხილების და გონივრული დროის მიცემის ამ პროცედურული მოთხოვნის გამოყოფა ზრდის ამ ტესტის ლეგალურობის ხარისხს, რასაც მხარს უჭერს სახელმწიფოთა პრაქტიკაც.
- ⁹⁵ Tibori-Szabó (2016), *ზემოთ*, სქოლიო 83, p. 219; Ruys (2010), *ზემოთ*, სქოლიო 35, pp. 426–427.
- ⁹⁶ Williams, G. D. *Piercing the Shield of Sovereignty: An Assessment of the Legal Status of the ‘Unwilling or Unable’ Test*. University of New South Wales Law Journal, vol.36, no.2, 2013, pp. 626-627.
- ⁹⁷ Deeks, A. S. *“Unwilling or Unable”: Toward a Normative Framework for Extraterritorial Self-Defense*. Virginia Journal of International Law, vol.52, no.3, 2013, p. 486.
- ⁹⁸ Letter dated 23 September 2014 from the Permanent Representative of the United States of America to the United Nations addressed to the Secretary-General, UN Doc. S/2014/695, 23 September 2014, ხელმისაწვდომია: https://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/s_2014_695.pdf.
- ⁹⁹ აშშ, კანადა, ავსტრალია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, გერმანია, დანია, საუდის არაბეთი, იორდანია, ყატარი, ბაჰრეინი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, თურქეთი.
- ¹⁰⁰ აშშ, კანადა, ავსტრალია და თურქეთი.
- ¹⁰¹ Corten, O. *The ‘Unwilling or Unable’ Test: Has it Been, and Could it be, Accepted?* Leiden Journal of International Law, vol.29, no.3, 2016, pp. 780, 785.
- ¹⁰² იქვე, გვ. 799.
- ¹⁰³ Reinold, T. *State Weakness, Irregular Warfare, and the Right to Self-Defense Post-9/11*. The American Journal of International Law, vol.105, no.2, 2011, p. 254.

- ¹⁰⁴ Letter dated 11 September 2002 from the Permanent Representative of the Russian Federation to the United Nations addressed to the Secretary-General. UN Doc S/2002/1012. იხ. ასევე SCOR, 30th session, 1860th meeting, UN Doc. S/PV.1860 (5 December 1975), §§ 3–5 და SCOR, 40th session, 2615th meeting, UN Doc. S/PV.2615 (4 October 1985), § 252.
- ¹⁰⁵ Letter dated 11 September 2002 from the Permanent Representative of the Russian Federation to the United Nations addressed to the Secretary-General. UN Doc S/2002/1012.
- ¹⁰⁶ Parliamentary Assembly. Recommendation 1580 (2002). *The Situation in Georgia and its Consequences for the Stability of the Caucasus Region*, §5, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680092c2e>.
- ¹⁰⁷ Ahmed, I. D. *Defending Weak States against the “Unwilling or Unable” Doctrine of Self-Defense*. *Journal of International Law and International Relations*, vol.9, 2013, p. 2.
- ¹⁰⁸ Tibori-Szabó (2016), *ზემოთ*, სქოლიო 83, pp. 85-86.
- ¹⁰⁹ Hakimi, M. *Defensive Force against Non-State Actors: The State of Play*. *International Law Studies*, vol.91, 2015, p. 14.
- ¹¹⁰ S/RES/1368 (2001), S/RES/1373 (2001).
- ¹¹¹ Happold, M. *Security Council Resolution 1373 and the Constitution of the United Nations*. *Leiden Journal of International Law*, vol.16, 2003, p. 593–610.
- ¹¹² Ruys (2010), *ზემოთ*, სქოლიო 35, p. 440.
- ¹¹³ იქვე. 439.
- ¹¹⁴ *ზემოთ*, სქოლიო 112.
- ¹¹⁵ Cassese, A. *Terrorism Is Also Disrupting Some Crucial Legal Categories of International Law*. *European Journal of International Law*, vol.12, 2001, p. 993.
- ¹¹⁶ Gray (2018), *ზემოთ*, სქოლიო 30, p. 206.
- ¹¹⁷ Separate Opinion of Judge Kooijmans, *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory*, Advisory Opinion, ICJ, 2004, 230, § 35 (შემდგომში *Wall*).
- ¹¹⁸ Joint Committee on Human Rights. *The Government’s Policy on the Use of Drones for Targeted Killing*. Second Report of Session 2015–16, p. 43, § 3.22, ხელმისაწვდომია: <https://publications.parliament.uk/pa/jt201516/jtselect/jtrights/574/574.pdf>.
- ¹¹⁹ Bannelier-Christakis, K. *The Joint Committee’s Drones Report: Far-reaching Conclusions on Self-defence Based on a Dubious Reading of Resolution 2249*. *Journal on the Use of Force and International Law*, vol.3, no.2, 2016, p. 225.
- ¹²⁰ Joint Committee on Human Rights. *The Government’s Policy on the Use of Drones for Targeted Killing*. Second Report of Session 2015–16, 95, § 12.
- ¹²¹ Scharf (2016), *ზემოთ*, სქოლიო 18, p. 65.
- ¹²² *Wall*, *ზემოთ*, სქოლიო 117.
- ¹²³ *DRC v. Uganda*, *ზემოთ*, სქოლიო 82.
- ¹²⁴ Gray C. *The International Court of Justice and the Use of Force*, in Tams C. J., Sloan J. (eds.) (2013) *The Development of International Law by the International Court of Justice*, Oxford University Press, p. 242.
- ¹²⁵ ნიკარაგუა, *ზემოთ*, სქოლიო 31, § 128.
- ¹²⁶ *Wall*, *ზემოთ*, სქოლიო 117, § 138.
- ¹²⁷ Murphy, S. D. *Self-defense and the Israeli Wall Advisory Opinion: An Ipse Dixit from the ICJ?* *The American Journal of International Law*, vol.99, no.1, 2005, p. 63.
- ¹²⁸ იქვე.
- ¹²⁹ Moore, J. N. *Jus ad Bellum before the International Court of Justice*. *Virginia Journal of International Law*, vol.52, no.4, 2012, p. 944.
- ¹³⁰ Lubell N. (2010) *Extraterritorial Use of Force against Non-State Actors*, Oxford University Press, p. 32.
- ¹³¹ Separate Opinion of Judge Higgins, *Wall*, *ზემოთ*, სქოლიო 117, 215, § 33.
- ¹³² იქვე.
- ¹³³ Higgins R. (1995) *Problems and Process: International Law and How We Use It*, Oxford University Press, p. 251.

¹³⁴ Declaration of Judge Buergenthal, *Wall*, ზემოთ, სქოლიო 117, 242, § 6.

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ იქვე.

¹³⁷ *DRC v. Uganda*, ზემოთ, სქოლიო 82, § 146.

¹³⁸ იქვე, § 147.

¹³⁹ Separate Opinion of Judge Koojmans, *DRC v. Congo*, ზემოთ, სქოლიო 82, 313, § 25.

¹⁴⁰ იქვე. § 26.

¹⁴¹ იქვე. § 30-32.

¹⁴² Separate Opinion of Judge Simma, *DRC v. Congo*, ზემოთ, სქოლიო 82, 337, § 11.

¹⁴³ S/RES/1368 (2001), S/RES/1373 (2001).

¹⁴⁴ Dinstein Y. (2005) *War, Aggression and Self-Defence (4th ed.)*, Cambridge University Press, p. 216.

¹⁴⁵ Moore, J. N. *Jus ad Bellum before the International Court of Justice*. Virginia Journal of International Law, vol.52, no.4, 2012, p. 946.

¹⁴⁶ Scharf (2016), ზემოთ, სქოლიო 18, p. 54.

¹⁴⁷ იქვე.

THE RIGHT OF EXTRATERRITORIAL SELF-DEFENCE AGAINST AUTONOMOUSLY OPERATING NON-STATE ACTORS: LEGITIMATE OR LEGAL USE OF FORCE?

Abstract:

Is a state entitled to invoke the right of self-defence against non-state actors operating from the territory of other state whereas the latter is unable or unwilling to put to end to such activities? State practice shows that, notwithstanding formal legal obstacles, victim states tend to exercise unilateral right of self-defence rather than cooperated law enforcement operation. This article aims to demonstrate that such practice is not unlawful anymore, goes beyond the “excusable” (legitimate) conduct and can be argued to be the permitted (legal) form of use of force under international law.

Key words: extraterritorial self-defence | Article 51 | autonomously operating non-state actors | “unable and unwilling” test | International Court of Justice | Resolutions 1368 and 1737

INTRODUCTION

Over the last period the threat of international organized terrorism has particularly increased and appears to be the one of the main security challenges of states’ national security agendas as the global threat. Classic example of such trend are the events of 11 September 2001 in the United States of America (hereinafter – 9/11) which unprecedentedly changed international community’s perception towards terrorism.

States base and justify their extraterritorial use of force¹ against such threats on article 51 (right of self-defence) of the United Nations Charter. The problem is that according to the widely supported interpretation of this article, the right of self-defence is restricted and applies only to interstate armed attacks, which deprives states of their right to self-defence (defensive use of force) directly against autonomously operating non-state actors (NSAs).²

This article aims to assess and determine to what extent (if any) international law permits right of self-defence by states against NSAs on the one hand, pursuant to article 51 of the UN Charter and on the other hand, under customary international law.³ This research, based on and taking into account of state practice, response of the international community to such practice and the analysis of the relevant case law, intends to demonstrate that international law does

not require the *strictosensu* interstate application of the right of self-defence as such narrow interpretation fails to effectively respond to the contemporary challenges and is overridden by state practice. Therefore, this article draws conclusion that extraterritorial self-defence against autonomously operating NSAs can be assumed as the legal use of force, i.e. use of force permitted by modern international law.

This article will develop its argumentation into three main directions: 1) Holistic review and analysis of state practice of extraterritorial self-defence, response to such practice by international community, case law of the International Court of Justice (ICJ), United Nations Security Council (Security Council) resolutions, scholar opinions and other relevant materials will be holistically reviewed and assessed to demonstrate that there is manifest tendency of legalization of extraterritorial self-defence in international law fora. 2) Relationship between Article 2(4) and 51 of the UN Charter will be illustrated from different perspective to show that there is not only “prohibition-exception” interdependency between these provisions, as Article 51 represents separate and isolated ground of use of force. To put in other words, Article 51 should be examined independently from the elements of Article 2(4), as autonomous regime and should not be *a priori* restricted by the “interstate” and/or “state-centered” character of the UN Charter. In addition, scope and limits

ratione personae of the right of self-defence will be assessed under customary international law for the purpose of comparative analysis of this right under customary and Charter law to detect the extent they differ from or overlap each other. 3) Since the main problem of extraterritorial self-defence is the *de facto* violation of the sovereignty of another state, the author intends to re-conceptualize the modern understanding of sovereignty in the light “unwilling or unable” doctrine, as the basis of the obligation of *territorial state*⁴ to control NSAs operating on its territory, falling short of which (whether it is unable or unwilling) it should not object to the use of force by another state.

1. RELATIONSHIP BETWEEN THE CONCEPTS OF “LEGALITY” AND “LEGITIMACY” IN THE CONTEXT OF USE OF FORCE IN INTERNATIONAL LAW IN THE LIGHT OF HUMANITARIAN INTERVENTION

Since this article aims to demonstrate the status of right of extraterritorial self-defence against autonomously operating NSAs – whether it is legitimate or legal use of force – in international law, this section briefly reviews the concept of legitimate use in the context of humanitarian intervention by NATO in Kosovo in 1999,⁵ to illustrate differences between “legal” and “legitimate” use of force.

To justify humanitarian intervention in Kosovo, NATO member states shifted their argumentation from positive international law to the doctrine of “illegal, but legitimate”.⁶ NATO’s approach was based on presumption that unilateral intervention was illegal, but legitimate. The essence of such argumentation presupposes that sometimes subject of international law shall act beyond the framework of positive international law whereas such conduct is manifestly illegal, but may be justified by various circumstances.⁷ In such case the use of force becomes “excusable”.⁸ Commenting on Kosovo intervention, similar approach was adopted by the then UN Secretary-General Kofi Anan, stating that “there are times when the use of force may be legitimate in the pursuit of peace, though “the Council should be involved in any decision to resort to the use of force.”⁹

Whereas ICJ refused to pronounce on this matter,¹⁰ this issue was addressed by differ-

ent international forums such as Independent International Commission for Kosovo (IICK) and International Commission on Intervention and State Sovereignty (ICISS). According to IICK “diplomacy failed to produce these results in a reliable manner, leaving the options of doing nothing or mounting a military intervention under NATO auspices.”¹¹ IICK assessed the military operation as illegal, but legitimate. It further recommended that “the gap between legality and legitimacy” should have been closed by the framework of principles derived from the Charter and UN General Assembly decisions.¹²

“The gap between legality and legitimacy” was also examined by ICISS, which later became known for articulating new doctrine of Responsibility to Protect. ICISS report, recognizing the primary role of the Security Council, found that “states may not rule out other means to meet the gravity and urgency of that situation.”¹³ ICISS affirmed the doctrine of “illegal but legitimate” in the context of humanitarian intervention.

Although the term “legitimate” may sound more like a term from political science, philosophy or theology to international lawyer, it is clear that “legitimacy” is the assessment tool in international law of use of force for conduct the legal ground of which is absent in positive international law, however, such conduct turns out to be “excusable breach” due to various circumstances.¹⁴ In contrasts, the conduct is “legal” if it can be justified under existing norm of both treaty and customary law.

This article intends to analyze the issue in question in this very interrelation.

2. EVOLUTION IN THE STATEPRACTICE: FROM THE COORDINATED LAW ENFORCEMENT COOPERATION TO THE UNILATERAL USE OF SELF-DEFENCE FORCE

This section reviews the relevant state practice to demonstrate that fight against the modern terrorism and generally against NSAs was gradually evolved from international law enforcement cooperation to the realm of unilateral use of self-defence.

The practice encompasses the cases of extraterritorial self-defence against NSAs along with legal justifications provided by the states as

well as the responses of international community to these legal grounds to assess whether the states perceive extraterritorial self-defence as the permitted and legal form of self-defence under contemporary international legal system.

Traditionally, fight against NSAs was the sphere even in cases when operations were carried out against transboundary activities of NSAs. NSAs were considered as criminals and international element of such operations was limited to only transnational police cooperation.¹⁵

This approach was radically changed by the events of 9/11. The issue whether the state was entitled to invoke the right of self-defence under Article 51 of the UN Charter against NSAs gained new impetus after USA operations in Afghanistan in response to terrorist attacks.¹⁶

2.1. 11 September 2001: a breakthrough in state practice and new understanding of jus ad bellum

The dominant view until the time of the 9/11 attacks was that state's right of self-defence against NSAs was applicable to armed attack occurred at the hand of a state, i.e. if NSA's conduct was attributable to the state.¹⁷ Hence, realization of self-defence was deemed permissible only in the interstate context.

NSAs are one of the main challenges of XXI century as they possess large amount of resources and potential to constitute the threat against the international peace and security. In such reality states are not legally obliged to make themselves subject to “strange formalism” and exclude the right of self-defence only on the ground that in cases of armed attacks by NSAs there is no *prima facie* or subsequent absence of state involvement in their conduct. As it was demonstrated, it may be true that international law does not expressly recognize the legality of such right, but extraterritorial self-defence is not anymore “excusable” use of force as it goes beyond the “legitimate” category. The following features support such finding:

1) State practice, notwithstanding its inconsistency, develops in favour of use self-defence to address transboundary threats. After 9/11 state responses against NSA significantly shifted from international law enforcement cooperation to the realm of unilateral use of self-defence, as more effective mechanism.

2) Nowadays international community either expressly supports this state practice or is tolerant at least.

3) There is not only “prohibition-exception” relation between Article 2(4) and Article 51 of the UN Charter. Accordingly, use of extraterritorial self-defence is *nota priori* restricted by the “interstate” character of the UN Charter, since a) Article 2(4) and Article 51 regulate terminologically and contently different areas; b) right of self-defence exists beyond the UN Charter and its interstate context, in international customary law which has not restricted the right of self-defence *ratione personae*.

4) According to “unable and unwilling” test, when a state is unable or unwilling to put breaks on NSA activities, it would not plausible for victim state of armed attack of NSAs to refrain from taking self-defence action against

them merely due to the fact that attacker in not a state. Victim state is not subject to obligation to tolerate. This test is upheld by state practice, stems logically from the concept of sovereignty and can assumed as operative part of international law to find balance between interests of territorial and victim states.

5) Security Council Resolutions 1368 (2001) and 1373 (2001), and to some extent, Resolution 2249 (2015), as quasi-legislative acts, unambiguously encompassed NSAs into remit of Article 51 and recognized the right of self-defence, or implicitly referred to it.

6) The International Court of Justice in three cases of avoided to specifically address this issue. However, none of the findings of

these cases excluded such possibility of exercising self-defence against irregulars. It can be said that the Court impeded realization of such right, but neither has it had affected the development of interpretation of self-defence to this effect nor it has prevented emerging customary norm.

It is highly likely that state continue to invoke this right as extraterritorial self-defence is one of the important legal and effective mechanism to address the challenges of national security. Such trend may contribute to modification of status of this right or practice may be so consistent that international community or judicial bodies would not ignore it while interpreting Article 51 of the Charter.

* Giorgi Nakashidze – Ph.D. candidate in International Law (Tbilisi State University); LLM in International Law (Tbilisi State University); Visiting Lecturer in International University of Georgia; Legal Adviser to the Department of State Representation to International Courts, Ministry of Justice of Georgia.

¹ For the purposes of this article “*extraterritorial self-defence*” means cases when the state uses force beyond its territory against NSAs operating from another state’s territory and justifies its conduct on the basis of Article 51 of the UN Charter.

² For the purposes of this article “*autonomously operating non-state actor*” means group of persons (including but not limited to terrorist groups, irregular armed formations, militarized groups) operating independently for its own purposes and is not subject to effective or overall control of any state, nor addressee of any state’s directions/instructions or assistance, i.e. there is no involvement of any state in their conduct (except of use state’s territory).

³ For the purposes of this article it is presumed that NSAs are able to exercise “armed attack” in the meaning of Article 51, as their conduct can meet the objective threshold of “gravity” (comprising of both “scale” and “result” sub-elements) as found in *Nicaragua*.

⁴ For the purposes of this article “*territorial state*” means the state who is unable or unwilling to control the NSAs operating on/from its territory.

⁵ This topic is out of scope of the present article.

⁶ Dekker, I. F. *Illegality and Legitimacy of Humanitarian Intervention: Synopsis of and Comments on a Dutch Report*. Journal of Conflict & Security Law, vol.6, no.1, 2001, p.115; Dunoff J. L. et. al. (2002) *International Law: Norms, Actors, Process: A Problem-Oriented Coursebook*, Aspen Publishers, pp. 893-94.

⁷ Orford A. (2003) *Reading Humanitarian Intervention: Human Rights and the Use of Force in International Law*, Cambridge University Press, p. 44.

⁸ Dinstein, Y. *Comments on War*. Harvard Journal of Law & Public Policy, vol.27, no.3, 2004, pp. 877, 881.

⁹ U.N. Press Release SG/SM/6938 (Mar. 24, 1999).

¹⁰ *Case concerning Legality of the Use of Force (Serbia & Montenegro v. Belgium)*, Preliminary Objections, ICJ, 15 December 2004, § 129.

¹¹ Independent International Commission on Kosovo: The Kosovo Report (2000), p. 186, available at: <http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/6D26FF88119644CFC1256989005CD392-thekosovoreport.pdf> (all internet sources are last visited on 20 October 2018).

¹² *Ibid.*

- ¹³ The Responsibility to Protect (2001), XI, available at: <http://responsibilitytoprotect.org/ICISS%20Report.pdf>.
- ¹⁴ Válek, P. *Legality versus Legitimacy and the Use of Force*, in Miller, R. A., Bratspies, R. M. (eds.) (2008) *Progress in International Law*, MartinusNijhoff Publishers, p. 624.
- ¹⁵ Hilpold, P. *The Fight against Terrorism and SC Resolution 2249 (2015): towards a More Hobbesian or a More Kantian International Society?* Indian Journal of International Law, vol.55, no.4, 2015, pp. 544-545.
- ¹⁶ Crawford J. (2013) *Brownlie's Principles of Public International Law (8th Edition)*, Oxford University Press, p. 772; Dinstein Y. (2005) *War, Aggression and Self-Defence (4th ed.)*, Cambridge University Press, pp.206-207; Henriksen, A. *Jus ad bellum and American Targeted Use of Force to Fight Terrorism around the World*. Journal of Conflict & Security Law, vol.19, no.2, 2014, p. 233.
- ¹⁷ Duffy H. (2015) *The 'War on Terror' and the Framework of International Law (2nd ed.)*, Cambridge University Press, p. 296; Shaw M. (2008) *International Law (6th ed.)*, Cambridge University Press, p. 1135; Zweifach, B. *Plugging the Gap: A Reconsideration of the U.N. Charter's Approach to Low-Gravity Warfare*. Intercultural Human Rights Law Review, vol.8, 2012, p. 418.
- ¹⁸ Scharf, M. P. *How the War against ISIS Changed International Law*. Case Western Reserve Journal of International Law, vol.48, 2016, p. 40 (hereinafter Scharf (2016)).
- ¹⁹ Schmitt M. N. *Responding to Transnational Terrorism under the Jus ad Bellum: A Normative Framework*, in Schmitt M., Pejic J. (eds.) (2007) *International Law and Armed Conflict: Exploring the Faultlines – Essays in Honour of Yoram Dinstein*. Brill | Nijhoff, p. 158.
- ²⁰ S/RES/1368 (2001), S/RES/1373 (2001).
- ²¹ Ruys T., Verhoeven S. *Attacks by Private Actors and the Right of Self-Defence*. Journal of Conflict & Security Law, vol.10, no.3, 2005, p. 297.
- ²² Letter dated 2001/10/07 from the Permanent Representative of the United States of America to the United Nations addressed to the President of the Security Council S/2001/946 (2001), available at: <http://repository.un.org/handle/11176/31401>.
- ²³ *Ibid.*
- ²⁴ Schmitt M. N. *Counter-Terrorism and the Use of Force in International Law*. The Marshall Center Papers, No 5. The George C. Marshall European Center for Security Studies, p. 17.
- ²⁵ Scharf (2016), *supra*, n. 18, pp. 40-41.
- ²⁶ CP/RES. 797 (1293/01), available at: [<http://www.oas.org/council/resolutions/res797.asp>].
- ²⁷ Article 3 of the Inter-American Treaty of Reciprocal Assistance (Rio Treaty).
- ²⁸ Security Treaty Between Australia, New Zealand and the United States of America (in force since 1952), available at: <http://australianpolitics.com/1951/09/01/anzus-treaty-text.html>.
- ²⁹ Brown, D. *Use of Force against Terrorism after September 11th: State Responsibility, Self-defence and Other Responses*. Cardozo Journal of International and Comparative Law, vol.11, no.1, 2003, p. 29.
- ³⁰ Gray C. (2018) *International Law and the Use of Force (4rd ed.)*, Oxford University Press, p. 207 (hereinafter Gray (2018)); Ruys T., Verhoeven S. *Attacks by Private Actors and the Right of Self-Defence*. Journal of Conflict & Security Law, vol.10, no.3, 2005, p. 290.
- ³¹ *Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. The United States of America)*, Judgment on Merits, ICJ, 27 June 1986, § 195 (hereinafter *Nicaragua*).
- ³² For control tests and their content see (in Georgian) Bartaia I. *Extraterritorial Application of the Human Rights Protection International Instruments – Analysis of the Case Law of International Mechanisms*. Journal of International Law, 2009 N2 – 2010 N1, pp. 64-67.

- ³³ Gray(2018),*supra*, n. 30, pp. 201-202.
- ³⁴ *Ibid.*
- ³⁵ Ruys, T. (2010) *'Armed Attack' and Article 51 of the UN Charter. Evolutions in Customary Law and Practice*, Cambridge University Press, p. 442 (hereinafter Ruys (2010)).
- ³⁶ France Seeks Global Coalition against Islamic State, Launches New Strikes. Reuters, Tue Nov 17, 2015, available: <http://www.reuters.com/article/france-shooting-idUSL8N13B1NP20151117>.
- ³⁷ *Ibid.*
- ³⁸ De Souza, I. M. L. *Revisiting the Right of Self-Defence against Non-State Armed Entities*. Canadian Yearbook of International Law, vol.53, 2016, p. 222.
- ³⁹ Treaty on the Functioning of the European Union, art. 222(1).
- ⁴⁰ Letter, dated 25 May 1993, from the Permanent Representative of the Islamic Republic of Iran to the United Nations Addresses to the Secretary General, UN Doc S/25843, available at:http://repository.un.org/bitstream/handle/11176/51284/S_25843-%20%20%20EN.pdf?sequence=3&isAllowed=y.
- ⁴¹ Letter, dated 7 October 2001, from the Permanent Representative of the United States of America, to the United Nations addressed to the President of the Security Council, UN SCOR, 56th session at 1; UN Doc S/2001/946 (2001), available at:http://repository.un.org/bitstream/handle/11176/31401/S_2001_946-EN.pdf?sequence=3&isAllowed=y.
- ⁴² Letter dated 11 September 2002 from the Permanent Representative of the Russian Federation to the United Nations addressed to the Secretary-General. UN Doc S/2002/1012, available at:http://repository.un.org/bitstream/handle/11176/29079/S_2002_1012-EN.pdf?sequence=3&isAllowed=y. See also, Finucane, B. (2012). *Fictitious States, Effective Control, and the Use of Force against Non-State Actors*. Berkeley Journal of International Law, 30(1), 79.
- ⁴³ Statement by Ambassador Dan Gillerman, Permanent Representative, Emergency Session, Security Council, New York, 5 October 2003. Special U.N. Security Council Meeting to Discuss Israel's Attack in Syria, available at:<http://www.edition.cnn.com/TRANSCRIPTS/0310/05/se.03.html>.
- ⁴⁴ Israel's conduct was condemned by the 12 members of the UNSC, pp.8-13, available at:<http://undocs.org/en/S/PV.4836>.
- ⁴⁵ Trapp K. N. *Can Non-State Actors Mount an Armed Attack?* in Weller M. (ed.) (2015) *The Oxford Handbook of the Use of Force in International Law*. Oxford University Press, p. 692.
- ⁴⁶ Statement by Ambassador Dan Gillerman, Permanent Representative, during the open debate on 'The Situation in the Middle East' United Nations, New York, 8 August 2006.
- ⁴⁷ Trapp. K. N. (2015). *Can Non-State Actors Mount an Armed Attack?*, in M. Weller (ed.). (2015). *The Oxford Handbook of the Use of Force in International Law*. Oxford University Press, 691.
- ⁴⁸ CP/RES. 930 (1632/08), available at:<http://www.oas.org/council/resolutions/res930.asp>. Columbia later issued apology for this conduct, available at http://www.oas.org/en/media_center/speech.asp?sCodigo=08-0021.
- ⁴⁹ Finucane, B. *Fictitious States, Effective Control, and the Use of Force against Non-State Actors*. Berkeley Journal of International Law, vol.30, no.1, 2012, pp. 81-82.
- ⁵⁰ Letter dated 23 September 2014 from the Permanent Representative of the United States of America to the United Nations addressed to the Secretary-General. S/2014/695, available at:<http://repository.un.org/handle/11176/89298>.
- ⁵¹ Letter dated 31 March 2015 from the *Chargé d'affaires*.i. of the Permanent Mission of Canada to the United Nations addressed to the President of the Security Council. S/2015/221, available at:<http://repository.un.org/handle/11176/310200>.
- ⁵² Identical Letters dated 25 November 2014 from the Permanent Representative of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland to the United Nations addressed to the Secretary-General and the President of the Security Council. S/2014/85, available at:<http://repository.un.org/handle/11176/308864>.

- ⁵³ O'Connor, L. *Legality of the Use of Force in Syria against Islamic State and the Khorasan Group*. *Journal on the Use of Force and International Law*, vol.3, no.1, 2016, p. 76.
- ⁵⁴ Dörr O., Randelzhofer A. *Article 2 (4)*, in Simma B., et al (eds.) (2012) *The Charter of the United Nations: A Commentary, Volume II (3rd ed.)*, Oxford University Press, p. 218 (hereinafter Dörr O., Randelzhofer A. *Article 2 (4)*); Gill T.D., Fleck D. (2015) *The Handbook of the International Law of Military Operations (2nd Edition)*, Oxford University Press, p. 214.
- ⁵⁵ Trapp K. N. *Can Non-State Actors Mount an Armed Attack?* in Weller M. (ed.) (2015) *The Oxford Handbook of the Use of Force in International Law*. Oxford University Press, p. 684.
- ⁵⁶ *Ibid.*
- ⁵⁷ Greenwood, C. *International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida, and Iraq*. *San Diego International Law Journal*, vol.4, no.7, 2003, p. 17.
- ⁵⁸ Schmitt M. N. *Responding to Transnational Terrorism under the Jus ad Bellum: A Normative Framework*, in Schmitt M., Pejic J. (eds.) (2007) *International Law and Armed Conflict: Exploring the Faultlines – Essays in Honour of Yoram Dinstein*. Brill | Nijhoff, pp.167-168.
- ⁵⁹ Though *Caroline* is not a court case, while discussing it, the two governments of the USA and the UK appear to have agreed that their positions reflected customary international law as it was at least in XIX century. More striking is the fact that the Webster formula has continued to be relied upon. It was quoted as authoritative by the international military tribunals at Nuremberg and Tokyo. See Greenwood C. *The Caroline*, in Wolfrum R. (ed.) *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, § 5.
- ⁶⁰ Sofaer, A. D. *On the Necessity of Pre-emption*. *European Journal of International Law*, vol.14, no.2, 2003, pp. 214-220.
- ⁶¹ Greenwood, C. *International Law and the Pre-emptive Use of Force: Afghanistan, Al-Qaida, and Iraq*. *San Diego International Law Journal*, vol.4, no.7, 2003, p. 17.
- ⁶² Greenwood C. *The Caroline*, in Wolfrum R. (ed.) *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, § 10.
- ⁶³ Davis L. W. (2008) *The Phantom of the Neo-Global Era: International Law and the Implications of Non-State Terrorism on the Nexus of Self-defence and the Use of Force*, in Miller R. A., Bratspies R. M. (eds.) (2008) *Progress in International Law*, MartinusNijhoff Publishers, p. 642.
- ⁶⁴ Dörr O., Randelzhofer A. *Article 2 (4)*, in Simma B., et al (eds.) (2012) *The Charter of the United Nations: A Commentary, Volume II (3rd ed.)*, Oxford University Press, pp. 208, 217-218.
- ⁶⁵ Nolte G. Randelzhofer A. *Article 51, supra*, n. 54; *Nicaragua, supra*, n. 31, § 195. Eritrea Ethiopia Claims Commission *Jus Ad Bellum* (Partial Award, Ethiopia's Claims 1–8, 19 December 2005) (2009) 135 ILR 479, § 11.
- ⁶⁶ Nolte G. Randelzhofer A. *Article 51, supra*, n. 65, p. 1403.
- ⁶⁷ *Nicaragua, supra*, n. 31, §§ 195, 211, 237.
- ⁶⁸ *Supra*, n. 66.
- ⁶⁹ *Case Concerning Oil Platforms (Islamic Republic of Iran v. United States of America)*, Judgment, ICJ, 6 November 2003, § 51. *Nicaragua, supra*, n. 31, § 195.
- ⁷⁰ *Nicaragua, supra*, n. 31, § 176.
- ⁷¹ *Ibid.*
- ⁷² See Novak M. *Just Peace and the Asymmetric Threat: National Self-defence in Uncharted Waters*. *Harvard Journal of Law & Public Policy*, vol.27, no.3, 2003-2004, p. 828 (parallel between the fight against pirate organizations and NSAs); Davis L. W. *The Phantom of the Neo-Global Era: International Law and the Implications of Non-State Terrorism on the Nexus of Self-defence and the Use of Force*, in Miller R. A., Bratspies R. M. (eds.) (2008) *Progress in International Law*. MartinusNijhoff Publishers, pp. 641-643 (Campaign of Thomas Jefferson against African Berbers, and *Pancho Villa* incident).
- ⁷³ *Island of Palmas (Netherlands, USA)*. Reports of International Arbitral Awards (RIAA), 4 April 1928, Vol. II, p. 839.

- ⁷⁴ *Corfu Channel (United Kingdom of Great Britain and Northern Ireland v. Albania)*, Judgment on Merits, ICJ, 9 April 1949, p. 22.
- ⁷⁵ *Definition of Aggression*, GA Res 3314 (XXIX), UNGAOR, UN Doc A/RES/3314 (1974), art 3(f).
- ⁷⁶ Survey of International Law in Relation to the Work of Codification of the International Law Commission: Preparatory work within the purview of article 18, paragraph 1, of the International Law Commission — Memorandum submitted by the Secretary-General, UN Doc A/CN.4/1/Rev.1 (1949), § 57.
- ⁷⁷ *Trail Smelter case (United States, Canada)*. Reports of International Arbitral Awards (RIAA), 16 April 1938 and 11 March 1941, Vol. III, p. 1963.
- ⁷⁸ Starski, P. *Right to Self-defence, Attribution and the Non-State Actor – Birth of the “Unable or Unwilling” Standard?* *Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht*, vol.75, no.3, 2015, p. 475.
- ⁷⁹ Lubell N. (2010) *Extraterritorial Use of Force against Non-State Actors*, Oxford University Press, p. 40.
- ⁸⁰ *Ibid.*, pp. 40-41.
- ⁸¹ Borowski, H., Fuchs, I. *Weak States and Terrorist Organizations: A Proposed Model of Intervention*. *Minnesota Journal of International Law*, vol.21, no.2, 2012, pp. 214-215.
- ⁸² Separate Opinion of Judge Kooijmans in *Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda)*, Judgment, ICJ Reports, 2005, p. 150 (hereinafter *DRC v. Uganda*).
- ⁸³ Tibori-Szabó K. *The ‘Unwilling or Unable’ Test and the Law of Self-defence*, in Paulussen C. et al. (eds.) (2016) *Fundamental Rights in International and European Law: Public and Private Law Perspectives*, T.M.C. Asser Press, p. 76 (hereinafter Tibori-Szabó (2016)).
- ⁸⁴ *Ibid.*
- ⁸⁵ *Ibid.*, p.77.
- ⁸⁶ *Ibid.*
- ⁸⁷ *Ibid.*, 78.
- ⁸⁸ SC Res. 280 (1970); SC Res. 316 (1972); SC Res. 332 (1973); SC Res. 450 (1979); SC Res. 467 (1980).
- ⁸⁹ SCOR, 40th session, 2615th meeting, UN Doc. S/PV.2615 (4 October 1985), § 252.
- ⁹⁰ *Ibid.*, 78-79.
- ⁹¹ *Ibid.*
- ⁹² Antonopoulos, A. *The Turkish Military Operation in Northern Iraq of March-April 1995 and the International Law on the Use of Force*. *Journal of Armed Conflict Law*, vol.1, no.1, 1996, p. 49.
- ⁹³ Ruys T. (2010) *‘Armed Attack’ and Article 51 of the UN Charter. Evolutions in Customary Law and Practice*, Cambridge University Press, p. 430.
- ⁹⁴ Incorporation of this procedural obligation in “unable and unwilling” test to give warnings and reasonable time to territorial state enhances its degree of legality that is supported by state practice.
- ⁹⁵ Tibori-Szabó (2016), *supra*, n.83, p. 219; Ruys, (2010), *supra*, n.35, pp. 426–427.
- ⁹⁶ Williams, G. D. *Piercing the Shield of Sovereignty: An Assessment of the Legal Status of the ‘Unwilling or Unable’ Test*. *University of New South Wales Law Journal*, vol.36, no.2, 2013, pp. 626-627.
- ⁹⁷ Deeks, A. S. *“Unwilling or Unable”: Toward a Normative Framework for Extraterritorial Self-defence*. *Virginia Journal of International Law*, vol.52, no.3, 2013, p. 486.
- ⁹⁸ Letter dated 23 September 2014 from the Permanent Representative of the United States of America to the United Nations addressed to the Secretary-General, UN Doc. S/2014/695, 23 September 2014, available at: https://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/s_2014_695.pdf.
- ⁹⁹ The US, Canada, Australia and Turkey.

- ¹⁰⁰ The US, Canada, Australia, Turkey, France, the Netherlands, German, Denmark, Saudi Arabia, Qatar, Jordan, Bahrein, Arab United Emirates.
- ¹⁰¹ Corten, O. *The 'Unwilling or Unable' Test: Has it Been, and Could it be, Accepted?* Leiden Journal of International Law, vol.29, no.3, 2016, pp. 780, 785.
- ¹⁰² *Ibid.*, p. 799.
- ¹⁰³ Reinold, T. *State Weakness, Irregular Warfare, and the Right to Self-defence Post-9/11*. The American Journal of International Law, vol.105, no.2, 2011, p.254.
- ¹⁰⁴ Letter dated 11 September 2002 from the Permanent Representative of the Russian Federation to the United Nations addressed to the Secretary-General. UN Doc S/2002/1012. See also SCOR, 30th session, 1860th meeting, UN Doc. S/PV.1860 (5 December 1975), §§ 3–5 and SCOR, 40th session, 2615th meeting, UN Doc. S/PV.2615 (4 October 1985), § 252.
- ¹⁰⁵ Letter dated 11 September 2002 from the Permanent Representative of the Russian Federation to the United Nations addressed to the Secretary-General. UN Doc S/2002/1012.
- ¹⁰⁶ Parliamentary Assembly. Recommendation 1580 (2002). *The Situation in Georgia and its Consequences for the Stability of the Caucasus Region*, §5, available at: <https://rm.coe.int/1680092c2e>.
- ¹⁰⁷ Ahmed, I. D. *Defending Weak States against the "Unwilling or Unable" Doctrine of Self-defence*. Journal of International Law and International Relations, vol.9, 2013, p. 2.
- ¹⁰⁸ Tibori-Szabó(2016),*supra*, n.83, pp. 85-86.
- ¹⁰⁹ Hakimi, M. *Defensive Force against Non-State Actors: The State of Play*. International Law Studies, vol.91, 2015, p. 14.
- ¹¹⁰ S/RES/1368 (2001), S/RES/1373 (2001).
- ¹¹¹ Happold, M. *Security Council Resolution 1373 and the Constitution of the United Nations*. Leiden Journal of International Law, vol.16, 2003, p. 593–610.
- ¹¹² Ruys, (2010),*supra*, n.35,p. 440.
- ¹¹³ *Ibid.*, 439.
- ¹¹⁴ *Supra*, n.112.
- ¹¹⁵ Cassese, A. *Terrorism Is Also Disrupting Some Crucial Legal Categories of International Law*. European Journal of International Law, vol.12, 2001, p. 993.
- ¹¹⁶ Gray (2018), *supra*, n. 30, p. 206.
- ¹¹⁷ Separate Opinion of Judge Kooijmans, *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory*, Advisory Opinion, ICJ, 2004, 230, § 35 (hereinafter *Wall*).
- ¹¹⁸ Joint Committee on Human Rights. The Government's Policy on the Use of Drones for Targeted Killing. Second Report of Session 2015–16, p. 43, § 3.22, available at:<https://publications.parliament.uk/pa/jt201516/jtselect/jtrights/574/574.pdf>.
- ¹¹⁹ Bannelier-Christakis, K. *The Joint Committee's Drones Report: Far-reaching Conclusions on Self-defence Based on a Dubious Reading of Resolution 2249*. Journal on the Use of Force and International Law, vol.3, no.2, 2016, p. 225.
- ¹²⁰ Joint Committee on Human Rights. The Government's Policy on the Use of Drones for Targeted Killing. Second Report of Session 2015–16, 95, § 12.
- ¹²¹ Scharf (2016),*supra*, n.18, p. 65.
- ¹²² *Wall, supra*, n. 117.
- ¹²³ *DRC v. Uganda, supra*, n. 82.
- ¹²⁴ Gray C. *The International Court of Justice and the Use of Force*, in Tams C. J., Sloan J. (eds.) (2013) *The Development of International Law by the International Court of Justice*, Oxford University Press, p. 242.
- ¹²⁵ *Nicaragua, supra*, n. 31, § 128.
- ¹²⁶ *Wall, supra*, n. 117, § 138.
- ¹²⁷ Murphy, S. D. *Self-defence and the Israeli Wall Advisory Opinion: An Ipse Dixit from the ICJ?* The American Journal of International Law, vol.99, no.1, 2005, p. 63.
- ¹²⁸ *Ibid.*
- ¹²⁹ Moore, J. N. *Jus ad Bellum before the International Court of Justice*. Virginia Journal of International Law, vol.52, no.4, 2012, p. 944.

- ¹³⁰ Lubell N. (2010) *Extraterritorial Use of Force against Non-State Actors*, Oxford University Press, p. 32.
- ¹³¹ Separate Opinion of Judge Higgins, *Wall*, *supra*, n. 117, 215, § 33.
- ¹³² *Ibid.*
- ¹³³ Higgins R. (1995) *Problems and Process: International Law and How We Use It*, Oxford University Press, p. 251.
- ¹³⁴ Declaration of Judge Buergenthal, *Wall*, *supra*, n. 117, 242.
- ¹³⁵ *Ibid.*
- ¹³⁶ *Id.*
- ¹³⁷ *DRC v. Uganda*, *supra*, n. 82, § 146.
- ¹³⁸ იქვე, § 147.
- ¹³⁹ Separate Opinion of Judge Koojmans, *DRC v. Uganda*, *supra*, n. 82, 313, § 25.
- ¹⁴⁰ *Ibid.*, § 26.
- ¹⁴¹ *Ibid.*, § 30-32.
- ¹⁴² Separate Opinion of Judge Simma, *DRC v. Uganda*, *supra*, n. 82, 337, § 11.
- ¹⁴³ S/RES/1368 (2001), S/RES/1373 (2001).
- ¹⁴⁴ Dinstein Y. (2005) *War, Aggression and Self-Defence (4thed.)*, Cambridge University Press, p. 216.
- ¹⁴⁵ Moore, J. N. *Jus ad Bellum before the International Court of Justice*. Virginia Journal of International Law, vol.52, no.4, 2012, p. 946.
- ¹⁴⁶ Scharf (2016), *supra*, n. 18, p. 54.
- ¹⁴⁷ *Ibid.*

საქართველოს სიტუაცია – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე არსებული უნიკალური სიტუაციის სამართლებრივი ანალიზი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიებას საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც სასამართლოს პროკურორის ოფისი იძიებს საქართველოსა და რუსეთის შორის 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში 1 ივლისიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებს. საქართველოს სიტუაცია არის უნიკალური, რამდენადაც წარმოადგენს პირველ გამოძიებას აფრიკის კონტინენტის გარეთ. სასამართლო პირველად იმსჯელებს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის მოქალაქეთა პასუხისმგებლობის საკითხზე. გარდა ამისა, გამოძიება ხასიათდება სირთულით, ვინაიდან განსახილველი რეგიონი არ არის შესწავლილი სასამართლოს მიერ, გამოძიება დაიწყო დანაშაულების სავარაუდო ჩადენიდან დიდი დროის გასვლის შემდგომ და კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფო უარს აცხადებს სასამართლოსთან თანამშრომლობაზე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სიტუაციის სამართლებრივი მახასიათებლებისა და მისი მნიშვნელობის ანალიზი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ანალიზის არსებობასა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს სიტუაცია | სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო | აგვისტოს ომი

შესავალი

საქართველოსა და ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში დაწყებული სამხედრო მოქმედებები გადაიზარდა რუსეთსა და საქართველოს შორის საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში, სადაც რუსული შეიარაღებული ძალები იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ნაწილებთან ერთად. აქტიური საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდა რამდენიმე დღე, ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ კი სამხრეთ ოსეთი და მისი მომიჯნავე ტერიტორიები აღმოჩნდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს მიღმა. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოს ტერიტორიები რუსეთის სამხედრო ოკუპაციის ქვეშაა.

2016 წლის 27 იანვარს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (შემდგომში – სასამართლო) წინასასამართლო პალატამ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქ-

ტომბრის ჩათვლით სამხრეთ ოსეთში და მის მიმდებარედ შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში სავარაუდოდ ჩადენილი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და ომის დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებაზე.

საქართველოს სიტუაცია მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, აგრეთვე სასამართლოს პრაქტიკისთვის, რამდენადაც იგი წარმოადგენს პირველ სიტუაციას აფრიკის კონტინენტის გარეთ; პირველ სიტუაციას საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით და უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრის შეიარაღებული ძალების ქმედებებთან მიმართებით. საქართველოს სიტუაციას გამოარჩევს აგრეთვე დიდი დროითი ინტერვალი დანაშაულების ჩადენის სავარაუდო დროსა და გამოძიების დაწყებას შორის, გამოძიების წარმოება სასამართლოსთვის ახალი და შედარებით შეუსწავლელი რეგიონის მიმართ და თანამშრომლობაზე უარი კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის მიერ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სიტუაციის სამართლებრივი ანალიზი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს განსახილველი საქმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რაც აუცილებელია საქმეში მონაწილეთა და დაზარალებულთა სრულყოფილი ჩართვის უზრუნველყოფისა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისთვის. ნაშრომი მოიცავს განსახილველი სიტუაციის როგორც ძირითად სამართლებრივ მახასიათებლებს, ისე მის ზოგად მნიშვნელობას საერთაშორისო სამართლებრივ და პოლიტიკურ ქრილშიც. კერძოდ, განხილული იქნება სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ისტორიული კონტექსტი და კონფლიქტის კვალიფიკაცია, სასამართლოს იურისდიქციის საკითხები, კომპლემენტარობის პრინციპი, აგრეთვე ის ფაქტორები, რომლებიც გამოარჩევს საქართველოს სიტუაციას სასამართლოს მიერ აქამდე განხილული საქმეებისაგან და ის პრობლემატურისაკითხები, რომლებსაც სასამართლო შესაძლოა წააწყდეს გამოძიების მიმდინარეობისას.

წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი ანალიზი უმეტესად ეფუძნება საქართველოს სიტუაციაზე სასამართლოს და პროკურორის მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომელთაგან ძირითადია პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების თაობაზე მე-15 მუხლის შესაბამისად¹ და მასთან დაკავშირებით წინა სასამართლო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ,² მოსამართლე პიტერ კოვაჩის განსხვავებულ მოსაზრებასთან³ ერთად; აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებასა (შემდგომში – რომის სტატუტი) და სხვა წყაროებს.

1. ფაქტობრივი გარემოებები

პროკურორის შუამდგომლობაში მოცემულია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები საქართველოსა და რუსეთს შორის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით: საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებულ კონფლიქტს აქვს საკმაოდ ღრმა ფესვები და იგი სათავეს იღებს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში. საბჭოთა კავ-

შირის დაშლის შემდგომ მიმდინარე ორწლიანი კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში დასრულდა 1992 წელს სოჭის შეთანხმების ხელმოწერით, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ერთობლივი კონტროლის კომისია და ერთობლივი სამშვიდობო ძალები (Joint Peacekeeping Forces).⁴

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის წინა თვეებში, სამხრეთ ოსეთსა და მის მიდამოებში დაიძაბა ურთიერთობები ოსურ და ქართულ მხარეებს შორის. ივლისის თვეში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს; სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ქართველი სამხედრო მოსამსახურეების დაკავებებს; ქალაქ ცხინვალის დაბომბვასა და სროლას, რის შედეგადაც დაიჭრა რამდენიმე ადამიანი და განადგურდა უძრავი ქონება; ოთხი რუსული სამხედრო თვითმფრინავის სავარაუდო შეჭრას საქართველოს საჰაერო სივრცეში; სროლის ინციდენტებს სამხრეთ ოსეთში, და აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის და საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ გამიზნული აფეთქებების სერიას. 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ორგანოებმა დაიწყეს ოსი მოსახლეობის ნაწილის ჩრდილოეთ ოსეთში ევაკუაცია.⁵ 2008 წლის 1-2 აგვისტოს ღამეს, საქართველოს და სამხრეთ ოსეთს შორის ადგილი ჰქონდა რამდენიმე ინტენსიურ ურთიერთსროლას, რის შედეგადაც დაიჭრა რამდენიმე ადამიანი. ნაკლები ინტენსიურობის სროლები გაგრძელდა 2-3 და 3-4 აგვისტოს ღამეებშიც.⁶ 2008 წლის 6 აგვისტოს შუადღის საათებში სროლა მიმდინარეობდა ქართული და სამხრეთ ოსური მხარეების საკონტაქტო ხაზის მთელ მანძილზე, 7 აგვისტოს კი ცეცხლის ინტენსივობა გაიზარდა ნალმტყორცნების და არტილერიის გამოყენებით, რასაც, არსებული ინფორმაციით, მოჰყვა მსხვერპლი.⁷

2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხრეთიდან, ხოლო რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩრდილოეთიდან შევიდნენ. 2008 წლის 7 აგვისტოს 23:50 საათზე, გადმოცემის თანახმად, ქართულმა საარტილერიო დანაყოფებმა დაიწყეს იერიშის მიტანა სხვადასხვა სამხრეთ ოსურ ობიექტებზე, მათ შორის, ცხინვალში, რაც ფართოდ აღიარებულია აქტიური საბრძოლო მოქმედებების დასაწყისად. 8 აგვისტოს შუადღისთვის, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მოახერხეს

ცხინვალის დიდნაწილსა და რამდენიმე ოსურ სოფელზე კონტროლის დამყარება.⁸ მასალებში აგრეთვე მითითებულია, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალები რუსეთის სამშვიდობოებს განზრახ დაესხნენ თავს ცხინვალის ცენტრსა და ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.⁹

2008 წლის 8 აგვისტოს საღამოს საათებში, წინააღმდეგობის პირობებში, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დატოვეს ქალაქ ცხინვალის ცენტრალური ნაწილი. 10 აგვისტოს ცალმხრივად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საქართველოს მთავრობის განცხადების შემდგომ ქართული ჯარისკაცების უმეტესობამ დატოვა სამხრეთ ოსეთის ტერიტორია გორის მიმართულებით. მათ უკან მოჰყვებოდნენ რუსეთის და სამხრეთ-ოსეთის ფორმირებები, რომლებმაც 12 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვარი გადმოკვეთეს და დაიკავეს მოსაზღვრე ტერიტორიები.¹⁰ არსებული ინფორმაციით, 2008 წლის 12 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტსა და ევროკავშირის სახელით მოქმედი საფრანგეთის პრეზიდენტს შორის მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული ექვსპუნქტიანი გეგმით შეწყდა საომარი მოქმედებები საქართველოსა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის. რუსეთის პრეზიდენტის მიერ სამშვიდობო გეგმის სახალხოდ აღიარების მიუხედავად, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა კიდევ რამდენიმე ხნის განმავლობაში გააგრძელეს წინსვლა საქართველოს ტერიტორიაზე. 15 აგვისტოდან რუსულმა ძალებმა დაიწყეს საქართველოს არასადავო ტერიტორიების დატოვება და შექმნეს 20 კილომეტრიანი ე.წ. ბუფერული ზონა,¹¹ რომელიც საბოლოოდ დატოვეს 2008 წლის 10 ოქტომბერს.¹²

იმავე პერიოდის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ძალები, არარეგულარულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ერთად, ახორციელებდნენ თავდასხმებს სამხრეთ ოსეთში და ე.წ. „ბუფერულ ზონაში“ განლაგებული ქართული სოფლების მშვიდობიან მოსახლეობაზე. თავდასხმები გრძელდებოდა 2008 წლის 12 აგვისტოს აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგაც. თავდასხმების ძირითად სამიზნეს წარმოადგენდნენ ეთნიკური ქართველები და მოიცავდნენ განზრახსიცოცხლის მოსპობას, ცემას, დაშინებას, და-

პატიმრებას, სახლების ძარცვას/მაროდობას და დაწვას. სისტემატურად ნადგურდებოდა ქართველების კუთვნილი სახლები, რომელთა იდენტიფიცირებისთვის დამნაშავეები იყენებდნენ ადგილობრივ ინფორმატორებს. ცეცხლის წაკიდებამდე სახლებიდან გამოჰქონდათ ძვირფასი ნივთები.¹³ მოცემული აქტების მიზანი იყო ეთნიკური ქართველების სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან იძულებითი განდევნამოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის, საქართველოსთან დარჩენილი კავშირების გაწყვეტისა და საქართველოსგან დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. დასტურდება, რომ გაძევების პოლიტიკის პრინციპები სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში იქმნებოდა. მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმებს შედეგად მოჰყვა 51-დან 113-მდე ეთნიკური ქართველის განზრახმკვლელობა და სამხრეთ ოსეთის სოფლებიდან და ქალაქებიდან, აგრეთვე ე.წ. „ბუფერული ზონიდან“ 13400-დან 18500-მდე ეთნიკურად ქართველი მოსახლის იძულებითი გადაადგილება.¹⁴ განადგურდა აგრეთვე ეთნიკურად ქართული მოსახლეობის კუთვნილი 5,000-ზე მეტი საცხოვრებელი.¹⁵

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის, ე.წ. ტალიავინის კომისიის ანგარიშის მიხედვით კონფლიქტის შედეგად: დაიღუპა დაახლოებით 850 ადამიანი, ხოლო დაახლოებით 100,000 ადამიანს მოუწია საცხოვრებელი ადგილის დატოვება. საქართველოს მთავრობის მონაცემების მიხედვით, დაიღუპა 412 (აქედან 228 სამოქალაქო) და დაიჭრა 1747 საქართველოს მოქალაქე. რუსეთის ფედერაციის ინფორმაციით, კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 162 და დაიჭრა 255 ეთნიკურად ოსი პირი, დაიღუპა 48 და დაიჭრა 162 რუსი მოსამსახურე. სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ორგანოების განცხადებით კი დაღუპულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა საერთო რაოდენობამ 365-ს მიაღწია.¹⁶ კონფლიქტის წინა პერიოდში, სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდა დაახლოებით 22,000-24,000 ეთნიკურად ქართველი, რაც მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის 30%-ს წარმოადგენდა, კონფლიქტის შემდგომ კი ეთნიკურად ქართული მოსახლეობის რაოდენობა სამხრეთ ოსეთში 70%-ით შემცირდა.¹⁷

2. სასამართლოს იურისდიქცია და კომპლემენტარობის პრინციპი

2.1. დროითი იურისდიქცია

სასამართლოს იურისდიქცია შეზღუდულია დროითი ფარგლებით. რომის სტატუტის მე-11(2) მუხლის თანახმად, იმსახელმწიფოებთან მიმართებით, რომლებმაც სტატუტის რატიფიკაცია მოახდინეს მისი ამოქმედების შემდგომ, სასამართლოს შეუძლია იურისდიქციის განხორციელება სტატუტის ამ ქვეყნისთვის ძალაში შესვლის დღიდან.¹⁸ საქართველოს მიმართ რომის სტატუტი ძალაში შევიდა 2003 წლის 1-ლ დეკემბერს,¹⁹ შესაბამისად, პროკურორის შუამდგომლობაში განსაზღვრული დროითი ინტერვალი – 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით – სრულად შეესაბამება სასამართლოს *ratione temporis* იურისდიქციას საქართველოს მიმართ.

რაც შეეხება გამოძიების ჩატარების დროით ფარგლებს, მიუხედავად იმისა, რომ აქტიური სამხედრო მოქმედებები 7-დან 12 აგვისტომდე მიმდინარეობდა, პროკურორმა მოითხოვა გამოძიების განხორციელება 1 ივლისიდან, რათა შესძლებოდა იმ მოვლენების გამოკვლევა, რომლებიც უშუალოდ წინ უსწრებდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებას და გამოიწვიეს სიტუაციის ესკალაცია. აღნიშნულს მნიშვნელობა ენიჭება, მაგალითად, იმ საკითხის გადაწყვეტისას, არსებობს თუ არა საკმარისი კავშირი ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებებსა და ომის ან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კონტექსტუალურ ელემენტებს შორის. რაც შეეხება გამოძიების დროითი ფარგლების ზედა ზღვარს, 10 ოქტომბერი შერჩეულ იქნა იმდენად, რამდენადაც, არსებული ინფორმაციის თანახმად, სწორედ ამ დღეს დაიხიეს რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა უკან, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან.²⁰

2.2. ტერიტორიული იურისდიქცია

რომის სტატუტის მე-12(2) მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია იურისდიქციის განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია სტატუტის ნევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.²¹ როგორც პროკურორის შუამდგომლობაში, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებაში ცალსახა-

დაა მითითებული, რომ სამხრეთ ოსეთი არის საქართველოს ტერიტორია, შესაბამისად, სასამართლოს მიერ იურისდიქციის განხორციელება ამ ნაწილშიც არ არის პრობლემატური. პროკურორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად სამხრეთ ოსეთის მიერ 1992 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, რომელიც შემდგომში გაეროს ოთხმანევრმა ქვეყანამ ცნო²², სამხრეთ ოსეთი ზოგადად არ განიხილება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და არ წარმოადგენს გაერთიანებული ერების წევრ ქვეყანას. პროკურორი მიიჩნევს, რომ სავარაუდოდ დანაშაულების ჩადენის დროს სამხრეთ ოსეთი წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიას და იყო ოკუპირებული რუსეთის მიერ მინიმუმ 10 ოქტომბრამდე. აღნიშნული პოზიცია სრულად გაიზიარა სასამართლოს პალატამ თავის გადაწყვეტილებაში და აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილს წარმოადგენს.²³ აღსანიშნავია, რომ გარდა ტერიტორიული იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტისა, სასამართლოს აღნიშნული განმარტება აგრეთვე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართალში სამხრეთ ოსეთის არაღიარებისა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტის კიდევ ერთხელ ხაზგასასმელად.

2.3. საგნობრივი (მატერიალური) იურისდიქცია

სასამართლოს საგნობრივი იურისდიქცია მოიცავს რომის სტატუტის მე-6 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულებს. კონფლიქტის მიმდინარეობისას ჩადენილი ცალკეული ქმედებების განხილვამდე აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოების მოცემულ ეტაპზე პროკურორის მიერ დანაშაულების არსებობის დასადასტურებლად გამოიყენება მტკიცების შედარებით დაბალი, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რაც ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი პროკურორის მიერ წარმოდგენილი მასალა მიუთითებდეს მხოლოდ ერთ დასკვნაზე ან იყოს ამომწურავი, არამედ ამგვარი მასალა უნდა ქმნიდეს ლოგიკურ და გონივრულ საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ჩადენილია სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულები.²⁴ პროკურორის შუამდგომლობის თანახმად, არსებული ინფორმაცია ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ სულ მცირე, შემდეგი დანაშაულები იქნა ჩა-

დენილი შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში:

ომის დანაშაულები – განზრახ სიცოცხლის მოსპობა/მკვლელობა (სტატუტის 8(2)(a)(i) და 8(2)(c)(i) მუხლები); მტრის/მონინა-ალმდეგის ქონების განადგურება (სტატუტის 8(2)(b)(xiii) და 8(2)(e)(ii) მუხლები); მაროდორობა (სტატუტის 8(2)(b)(xvi) და 8(2)(e)(v) მუხლები); განზრახ თავდასხმა სამშვიდობო მისიაში ჩართულ პერსონალზე ან ქონებაზე (სტატუტის 8(2)(b)(iii) და 8(2)(e)(iii) მუხლები); და

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები – მკვლელობა (სტატუტის 7(1)(a) მუხლი); მოსახლეობის დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება (სტატუტის 7(1)(d) მუხლი); იდენტიფიცირებული ჯგუფის ან ერთობის დევნა ეთნიკური ნიშნით (სტატუტის 7(1)(h) მუხლი).²⁵

2.3.1. ომის დანაშაულები

კონტექსტუალური ელემენტი: იმისათვის, რომ რომის სტატუტის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ომის დანაშაულები ჩადენილად ჩაითვალოს, საჭიროა სახეზე იყოს ომის დანაშაულების კონტექსტუალური ელემენტი, ანუ ამ მუხლში ჩამოთვლილი ქმედებები ჩადენილი უნდა იყოს შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში.

შუამდგომლობის თანახმად, გამომდინარე ქართული შეიარაღებული ძალების და ოსური ძალების შემადგენლობიდან და სტრუქტურულიდან; ბრძოლის ინტენსივობიდან და ხანგრძლივობიდან; გამოყენებული იარაღიდან და იმ ფაქტიდან, რომ სამხრეთ ოსური ძალები აკონტროლებდნენ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა უდავოდ დასტურდება, რაც უკვე საკმარისია მე-8 მუხლით გათვალისწინებული კონტექსტუალური ელემენტის არსებობისთვის.²⁶ თუმცა, პროკურორი გვთავაზობს საკმაოდ დეტალურ და საგულისხმო მსჯელობას იმის თაობაზე, თუ რა სახის შეიარაღებულ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი აგვისტოს ომის დროს, რომლის წინამდებარე სტატიის მიხედვით განხილვა მიზანშეწონილია.

კერძოდ, გამომდინარე გამოძიების მოცემულ ეტაპზე მტკიცებულებათა არასრული ხასიათიდან, პროკურორი გვთავაზობს ორ შესაძლო მიდგომას: ერთი მიდგომით, კონ-

ფლიქტის მთელ მანძილზე ადგილი ჰქონდა საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს საქართველოსა და რუსეთს შორის, რაც მაღალი ალბათობით დასტურდება საბრძოლო მოქმედებების უშუალო დასაწყისიდან (8 აგვისტო) რუსული ჯარის საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გაყვანამდე (10 ოქტომბერი) პერიოდში, ხოლო საბრძოლო მოქმედებების უშუალოდ დაწყებამდე პერიოდში კი უნდა დადგინდეს, რომ სამხრეთ ოსური ძალების მოქმედებებზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა რუსეთს; ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტიური მოქმედებების დაწყებამდე ოსური შეიარაღებული ფორმირებების მოქმედებების კავშირი რუსეთთან ვერ დადასტურდება, პროკურორი გვთავაზობს მეორე, ფრაგმენტულ მიდგომას, რომლის თანახმად აქტიური მოქმედებების დაწყებამდე (დაახლოებით 7-8 აგვისტო) საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის მიმდინარეობდა არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, ხოლო რუსეთის ჩართვის შემოდგომ, საქართველო მონაწილეობდა ერთი მხრივ არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში სამხრეთ ოსეთთან, ხოლო მეორე მხრივ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში რუსეთთან.²⁷

პირველი მიდგომის შემთხვევაში, სამხრეთ ოსური ძალების მოქმედებათა რუსეთისთვის მიკუთვნების და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ე.წ. გასაერთაშორისოებისთვის პროკურორი იყენებს სასამართლოს პრაქტიკით აღიარებულ ზოგადი კონტროლის დოქტრინას²⁸, და მიიჩნევს რომ, რუსეთი სამხრეთ ოსეთზე მთელი დროის განმავლობაში ახორციელებდა საერთო კონტროლს შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე: 1) არსებობდა ორგანიზაციული კავშირები რუსეთის შეიარაღებულ ძალებსა და სამხრეთ ოსეთის ძალებს შორის – უკვე 2008 წლის კონფლიქტამდე პერიოდში სამხრეთ ოსეთის სამხედრო, უშიშროებისა და დაზვერვის აპარატის ძირითადი ნაწილი შედგებოდა რუსეთის წარმომადგენლებისგან, რომლებიც კონფლიქტის შემდგომ რუსეთში მაღალ თანამდებობებზე დაინიშნენ; 2) კოორდინაცია რუსულ და სამხრეთ ოსურ ძალებს შორის – კონფლიქტის განმავლობაში, რუსული სამხედრო ძალები წარმოდგენილი იყვნენ სამხრეთ ოსურ ძალებთან ერთად სხვადას-

ხვა ზონაში. არ დასტურდება რუსი სამხედროების უშუალო ჩართულობა კონკრეტული სამხედრო მოქმედებების რუტინულ განხორციელებაში, თუმცა, გარკვეულ ადგილებზე კოორდინაცია იყო ძალიან მაღალი. 3) არაერთი წყარო მიუთითებს, რომ სამხრეთ ოსური ძალები იღებდნენ საბრძოლო მასალასა და სხვა საბრძოლო აღჭურვილობას რუსეთისაგან, ისევე, როგორც საბრძოლო წვრთნებში დახმარებას; 4. რუსეთის ზოგადი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გავლენა სამხრეთ ოსეთზე, რაც გამოიხატება, მაგალითად, „პასპორტიზაციის“ პოლიტიკითა და მოსახლეობისთვის პენსიებისა და სუბსიდიების მიცემით. 2008-2014 წლებში სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტის 90% რუსეთის დაფინანსებისგან შედგებოდა.²⁹

რაც შეეხება პერიოდს აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტიდან 10 ოქტომბრამდე, შუამდგომლობის მიხედვით, ამ დროის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიის ნაწილი იყო რუსეთის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსურ შეიარაღებულ ჯგუფებზე ზოგადი კონტროლის განხორციელება ამ პერიოდშიც დასტურდება. თუმცა, იმ შემთხვევაშიც, თუ გამოძიების ფარგლებში კონტროლისათანადო სტანდარტი ვერ დაკმაყოფილდება, სამხრეთ ოსური ძალების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე შესაძლოა მაინც რუსეთს დაეკისროს პასუხისმგებლობა და გავრცელდეს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მომწესრიგებელი სამართალი, ვინაიდან სამხრეთ ოსური ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები „დაკავშირებული“ იყო ოკუპაციასთან. კერძოდ, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის და სამხედრო ხელშეწყობის გარეშე სამხრეთ ოსური დაჯგუფებები ვერ მოახერხებდნენ ქართველების იძულებით გამოდევნას მათი საცხოვრებელი ადგილებიდან ქართული მხარის სერიოზული სამხედრო რეაგირების გამოწვევის გარეშე. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც „ბუფერული ზონა“ დატოვეს რუსმა სამხედროებმა და იქ დაბრუნდნენ ქართველი დევნილები, ქართველთა მიმართ დანაშაულების ჩადენა მკვეთრად შემცირდა.³⁰

სიცოცხლის განზრახი მოსპობა/მკვლელობა: სიცოცხლის განზრახი მოსპობის ობიექტური შემადგენლობა შედგება ამსრულებლის მიერ ერთი ან მეტი პირის მკვლელობის-

გან, რომლებიც დაცული იყვნენ 1949 წლის ჟენევის კონვენციებით. სამხრეთ ოსურმა ძალებმა სავარაუდოდ ჩაიდინეს სიცოცხლის განზრახ მოსპობა მშვიდობიანი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ გორში, მეღვრეკისში, ტირძნისში, ერგნეთსა და კარალეთში. სამხრეთ ოსური ძალები ქართულ სოფლებში შესვლის შემდგომ იქ მცხოვრებ მოსახლეობას უბრძანებდნენ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილი, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი სასტიკად სცემდნენ ან კლავდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში, მოქალაქეების ცემა და მკვლელობა ხდებოდა სხვა პირთა თვალწინ, შიშის დათესვისა და მოსახლეობის მიერ საცხოვრებლის მიტოვების იძულების მიზნით.³¹ პროკურორის მიერ შეგროვებული სხვადასხვა სახის მონაცემებით, მოკლულ იქნა დაახლოებით 51-დან 113-მდე ეთნიკურად ქართველი პირი.

ქონების დაზიანება და მაროდობა გულისხმობს ამსრულებლის მიერ მონინააღმდეგის იმ ქონების განადგურებას ან ხელში ჩაგდებას, რომელიც დაცულია საერთაშორისო სამართლით. მაროდობის ობიექტური შემადგენლობა მოიცავს ამსრულებლის მიერ გარკვეული ქონების პირადი გამოყენების მიზნით მისაკუთრებას მესაკუთრის თანხმობის გარეშე.³² პროკურორის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვებული მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ ოსური ძალები სამხრეთ ოსეთსა და „ბუფერულ ზონაში“ მცხოვრები ქართული მოსახლეობის კუთვნილი ქონების მიმართ ახორციელებდნენ მაროდობის და განადგურების ფართო და სისტემატურ კამპანიას. არ დასტურდება, რომ დაცული ქონების ჩამორთმევა და განადგურება გამართლებული იყო სამხედრო საჭიროებით, არამედ ზემოთ აღნიშნული ქმედებების მიზანი იყო ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იძულებით გამოდევნა საკუთარი საცხოვრებლებიდან. აღნიშნული კამპანიის სამიზნეს მთლიანობაში წარმოადგენდა 24 სოფელი.³³ დადასტურებულია, რომ სახლებს წვავდნენ შერჩევითი პრინციპით: ინვებოდა მხოლოდ ქართველთა კუთვნილი და ზოგ შემთხვევაში, მხოლოდ გარკვეული ძალაუფლების მქონე ქართველთა სახლები.³⁴

სამშვიდობო მისიის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული გულისხმობს თავდასხმას გაეროს ქარტიის შესაბამისად ჰუმანიტარულ დახმარებაში ან სამშვიდობო მისიაში

ჩართულ პერსონალზე, ნაგებობაზე, მასალაზე ან ტრანსპორტზე. ქმედების აღნიშნული მუხლით კვალიფიკაციისთვის საჭიროა, რომ სამშვიდობო მისია დაფუძნებული იყოს „გაეროს ქარტიის შესაბამისად“ და თავდასხმის დროს ჰქონდეს სამოქალაქო პირებისთვის მინიჭებული დაცული სტატუსი. 2008 წლამდე ქართული ხელისუფლების მიერ გაკეთებული არაერთი მოწოდების მიუხედავად, რომ სამშვიდობო მისიის რუსული ნაწილი ჩანაცვლებულიყო საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიით, თავად საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ სოჭის შეთანხმება კვლავ ძალაში იყო, შესაბამისად, სამშვიდობო მისია მხარეთა თანხმობით შექმნილად ითვლება.³⁵ გარდა ამისა, მიუხედავად ცალკეულ ეპიზოდებში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევისა, პროკურორის მიერ სამშვიდობო მისი ამთლიანობაში მიუკერძოებლად ჩაითვალა.³⁶ ამ კრიტიკულ ეპიზოდებზე მითითებით პროკურორი ასკვნის, რომ სამხრეთ ოსეთში მოქმედი სამშვიდობო მისია აკმაყოფილებდა გაეროს ქარტიით დაწესებულ მოთხოვნებს, რის გამოც სარგებლობდა დაცული სტატუსით ჟენევის კონვენციების შესაბამისად, თუმცა, გასარკვევია საკითხი, ხომ არ დაკარგეს მათ აღნიშნული სტატუსი საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის გამო.

ქართული სამშვიდობო ძალების მიმართ ოსური სამხედრო შენაერთების მიერ თავდასხმები განხორციელდა 29 ივლისიდან 7 აგვისტომდე რამდენიმე შემთხვევაში, რომელთაგან ყველაზე სერიოზულ ინციდენტს წარმოადგენდა 7 აგვისტოს თავდასხმა ავნევიში, რამაც გამოიწვია ორი ქართველი სამშვიდობოს სიკვდილი, ხუთიდან რვამდე კი დაიჭრა.³⁷ რამდენადაც გაურკვეველია თავდასხმის წამომწყები მხარე, ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის დადგენა, ჰქონდათ თუ არა ქართულ სამშვიდობო ძალებს დაცული სტატუსი თავდასხმის დროს. თუმცა, პროკურორი იყენებს დაცული სტატუსის ქონის პრეზუმფციას და ასკვნის, რომ სამხრეთ ოსური ძალების მიერ ქართველი სამშვიდობოების მიმართ სავარაუდოდ ჩადენილია რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაული.³⁸ მსგავს დასკვნას აკეთებს პროკურორირუს სამშვიდობოებზე ქართული სამხედრო ძალების 8 აგვისტოს თავდასხმასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც დაიღუპა 10 და დაიჭრა 30 რუსი

სამშვიდობო. პროკურორი მიმართავს იმავე პრეზუმფციას რუსი სამშვიდობოების სტატუსთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ გამოძიების მოცემული ეტაპისთვის არსებობს ქართველთა მხრიდან რუსი სამშვიდობოებზე თავდასხმის დასაბუთებული ვარაუდი.³⁹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სიტუაციაზე გადამწყვეტილებების მიღების ფარგლებში ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები იქნება ერთ-ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორი იმ საკითხის გადასაწყვეტად, საერთაშორისო სამართლის კონტექსტში კონფლიქტის რომელი მხარის მიერ იქნა წამოწყებული აგვისტოს ომი.

სავარაუდო განურჩეველი და არაპროპორციული თავდასხმა: პროკურორის განცხადებით, არსებობს გარკვეული მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს მხარეთა მიერ იმგვარი საბრძოლო მასალის გამოყენებაზე, რომელსაც არ გააჩნია სათანადო სიზუსტე მხოლოდ სამხედრო ობიექტებისთვის დასამიზნებლად (მაგალითად, თავდასხმა ქალაქ გორის ცენტრალურ მოედანზე კასეტური ბომბის გამოყენებით), თუმცა პროკურორისვე დასკვნით, ამჟამად არსებული ინფორმაცია სავარაუდო განურჩეველი და არაპროპორციული თავდასხმების განხორციელების შესახებ ვერ აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რაც შესაძლოა შეიცვალოს გამოძიების მიმდინარეობისას.⁴⁰

2.3.2. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

შუამდგომლობის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში არსებობს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კონტექსტუალური ელემენტები, კერძოდ: სამხრეთ ოსეთისძალებმა განახორციელეს სპეციალურად ქართული სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმები სამხრეთ ოსეთსა და 20 კილომეტრიან ბუფერულ ზონაში; თავდასხმები მათი ბუნებით არ წარმოადგენდნენ განცალკევებულ ან სპონტანურ აქტებს, არამედ შეესაბამებოდნენ სამხრეთ ოსეთის (რომელიც რომისსტატუტის მე-7 მუხლის მიზნებისთვის უნდა ჩაითვალოს ორგანიზაციად) ქართული მოსახლეობის სამხრეთ ოსეთიდან განდევნის, საქართველოსთან ყველანაირი კავშირის განწყვეტისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების ზო-

გად პოლიტიკას; თავდასხმები იყო ფართო მასშტაბის, ერთი მხრივ, მსხვერპლის და განადგურებული ქონების დიდი რაოდენობის, ხოლო მეორე მხრივ, დიდ ტერიტორიაზე განხორციელების გამო და იყო აგრეთვე სისტემატური ხასიათის, ვინაიდან შეესაბამებოდნენ წინასწარ შემუშავებულ გეგმას; ამასთან არსებობს კავშირი ჩადენილ ცალკეულ ქმედებებსა და განხორციელებულ თავდასხმებს შორის; და სავარაუდოდ⁴¹ სახეზეა თავდასხმის ცოდნაც.⁴²

მკვლელობა: რაც შეეხება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცალკეულ აქტებს, პროკურორის შუამდგომლობის თანახმად, სამხრეთ ოსეთის ძალებმა ჩაიდინეს მკვლელობები ეთნიკურად ქართული მოსახლეობის მიმართ მათი სამხრეთ ოსეთიდან გაძევების კამპანიის ფარგლებში. პროკურორის მონაცემებით, ჩადენილია დაახლოებით 53-დან 113-მდე განზრახი მკვლელობა.⁴³

სამხრეთ ოსური ძალების მიერ სამხრეთ ოსეთსა და ე.წ. ბუფერულ ზონაში მცხოვრები ქართული მოსახლეობის დეპორტაცია და იძულებითი გადაადგილება განხორციელდა ორ ეტაპად – აქტიური სამხედრო მოქმედებების დროს და 12 აგვისტოს შემდგომ პერიოდში. სეპარატისტული ძალები მოსახლეობის იძულებისთვის ქმნიდნენ შიშისა და ტერორის ატმოსფეროს სხვადასხვა ძალადობრივი ქმედებების განხორციელებით. 24-ზე მეტი სოფელი განადგურდა ქართველთა სამხრეთ ოსეთიდან განდევნის მიზნით. ის ფაქტი, რომ ქართველთა ქონების განადგურება გრძელდებოდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერის შემდგომაც, აშკარად მიუთითებს, რომ ამგვარი ქმედება განპირობებული იყო არა სამხედრო საჭიროებებით, არამედ ეთნიკურად ქართველებისთვის უკან დაბრუნების შანსის მოსპობის მიზნით. 2014 წლის მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შედეგად კვლავ დევნილად რჩებოდა დაახლოებით 15,000 პირი. პროკურორი არსებული მონაცემების გაანალიზების შედეგად ასკვნის, რომ კონფლიქტის შემდგომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა სულ მცირე 75%-ით შემცირდა.⁴⁴

იდენტიფიცირებული ჯგუფის ან ერთობის დევნა ეთნიკური ნიშნით: პროკურორის შუამდგომლობის თანახმად არსებობს დასა-

ბუთებული ვარაუდი, რომ სამხრეთ ოსურმა ძალებმა აგრეთვე ჩაიდინეს ეთნიკურად ქართული მოსახლეობის შევიწროება, კერძოდ, ეთნიკურად ოსური ჯგუფების მიერ ჩადენილ ომის დანაშაულებსა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებს შედეგად მოჰყვა ქართველთა ფუნდამენტური, მათ შორის სიცოცხლისა და საკუთრების უფლებების შელახვა. საქმეზე არსებული მასალები აგრეთვე ადასტურებს, რომ ზემოთ აღნიშნული ქმედებები ჩადენილი იყო კონკრეტულად ქართველთა მიმართ მათი ეთნიკური კუთვნილების გამო.⁴⁵

2.3.3. კონფლიქტის დროს სავარაუდოდ ჩადენილი სხვა დანაშაულები

აგვისტოს კონფლიქტის კონტექსტში სავარაუდოდ ჩადენილ სხვა დანაშაულებს ეხება მოსამართლე პიტერ კოვაჩი თავის განსხვავებულ მოსაზრებაში, სადაც იგი ამტკიცებს, რომ სასამართლომ გამოიყენა ზედმეტად თვით-შემზღუდავი მიდგომა პროკურორის შუამდგომლობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებისას და სათანადოდ არ გამოიკვლია ყველა არსებული მტკიცებულება და გარემოება, მათ შორის, სხვა დანაშაულების არსებობის საკითხი. საქმეზე არსებული მტკიცებულებებისა და მსხვერპლთა წარმომადგენლობების გათვალისწინებით, მოსამართლე კოვაჩის აზრით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში მხარეთა მიერ, პროკურორის შუამდგომლობაში მოხსენიებული დანაშაულების გარდა, აგრეთვე ჩადენილ იქნა განურჩეველი და არაპროპორციული თავდასხმები, გაუპატიურება, ფიზიკური თავისუფლების აღკვეთა და უკანონო დაპატიმრება, არაჰუმანური მოპყრობა და წამება. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად მოსამართლეს მოჰყავს სათანადო ფაქტები.⁴⁶

2.4. კომპლემენტარობის პრინციპი

2.4.1. საქართველოს მიმართ

კომპლემენტარობის პრინციპის შესაბამისად⁴⁷, სასამართლო იურისდიქციას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით სამართალწარმოება არ მიმდინარეობს რომელიმე სახელმწიფოში, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც სახელმწიფოს არ აქვს სურვილი ან არ შეუძლია საქმეზე ჭეშმარიტი გამოძიების ან სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება. პროკურორის შუამდგომლობაში მოცემული ინფორმაციის თანახმად, აგვისტოს კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო აქტიური სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობის თანავე, 9 და 11 აგვისტოს. გამოძიების პროცესში საქართველოს პროკურატურამ დაკითხა დაახლოებით 7000 მონმე, ჩაატარა დაახლოებით 30 შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სხვადასხვა სახის სასამართლო ექსპერტიზები, გამოიტანა 300-მდე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და განახორციელა სხვა საგამოძიებო მოქმედებები. თუმცა დასაწყისიდანვე, ქართული ორგანოების მიერ გამოძიების ჩატარებას შემდეგი ორი გარემოება უშლიდა ხელს: სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე წვდომის შეუძლებლობა და თანამშრომლობის არარსებობა რუსეთის ფედერაციის მხრიდან.⁴⁸

2015 წლის 17 მარტის წერილით ქართულმა ორგანოებმა შეატყობინეს სასამართლოს, რომ ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების გაგრძელება შეუძლებელი იყო „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ არსებული არასტაბილური უსაფრთხოების სიტუაციით, სადაც სამოქალაქო პირების მიმართ ძალადობა კვლავ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. მაგალითისთვის, საქართველოს მთავრობამ მიუთითა 2012-დან 2014 წლამდე დაფიქსირებულ საზღვრისპირად მცხოვრების ადამიანების გატაცების 393 შემთხვევაზე და ზოგადად აგვისტოს კონფლიქტის დაზარალებულთა და მონმეთა უსაფრთხოებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ასკვნის, რომ ქართული ორგანოები ეროვნული გამოძიების წარმართვის თვალსაზრისით იმყოფებიან უმოქმედობის მდგომარეობაში, რასაც იზიარებს წინასასამართლო პალატაც.⁴⁹

საქართველოს მიერ კომპლემენტარობის პრინციპის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, საინტერესოა მოსამართლე პიტერ კოვაჩის განსხვავებული მოსაზრება, რომელიც ეთანხმება პროკურორისა და წინასასამართლო პალატის საბოლოო დასკვნას, მაგრამ მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ

გაგზავნილი წერილების შინაარსიდან გამომდინარე, პროკურორს შეეძლო 2015 წლამდე ბევრად ადრე დაესკვნა საქართველოს მხრიდან უმოქმედობის მდგომარეობა და წარედგინა შუამდგომლობა გამოძიების დაწყების შესახებ.⁵⁰

2.4.2. რუსეთის ფედერაციის მიმართ

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის⁵¹ მიერ გამოძიება დაიწყო 2008 წლის 8 აგვისტოს ქართველების მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი იძულებითი გადაადგილების ფაქტზე და იმავე წლის 8-9 აგვისტოს ქართველების მიერ რუსული სამშვიდობოების სავარაუდო მკვლელობის ფაქტზე. პირველ საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიების შედეგად საგამოძიებო კომისიამ პროკურორს აცნობა, რომ მათ ვერ იპოვეს აგვისტოს კონფლიქტის დროს ჩადენილ დანაშაულებში რუსი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულება. თუმცა, პროკურორი აღნიშნავს, რომ არსებობს სანდო მასალების გარკვეული რაოდენობა, რომელთა მიხედვითაც რუსი ჯარისკაცები ან პირდაპირ მონაწილეობდნენ დანაშაულის ჩადენაში, ან იჩენდნენ უმოქმედობას სამხრეთ ოსური ძალების მიერ დანაშაულების ჩადენისას. გარდა ამისა, რუსეთმა უარი თქვა ოსი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე, ვინაიდან ისინი აღიარებენ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასა და მისი სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციას. აღნიშნულის საფუძველზე პროკურორი ასკვნის, რომ კომპლემენტარობის პრინციპი სახეზეა, ვინაიდან რუსეთის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად არ დამდგარა კონკრეტული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებიც პროკურორის შუამდგომლობაშია მოცემული.⁵²

წინასასამართლო პალატა თავის გადაწყვეტილებაში იმეორებს პროკურორის პოზიციას და ასკვნის, რომ პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ საკითხზე წინამდებარე განაჩენში ამომწურავი პასუხის გაცემა და იგი უნდა გადაწყდეს სამართალწარმოების მომდევნო ეტაპებზე.⁵³ აღნიშნული დასკვნა მკაცრადაა გაკრიტიკებული მოსამართლე პიტერ კოვაჩის განსხვავებულ მოსაზრება-

ში, რომელიც მიიჩნევს, რომ სტატუტის მე-17 მუხლი ავალდებულებს მოსამართლეებს გააკეთონ დასკვნები დასაშვებობასთან დაკავშირებით მოცემულ ეტაპზე არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. მოსამართლე კოვარის აზრით, პრობლემატურია ამგვარი დასკვნის გაკეთების ფაქტობრივსაფუძველიც, ვინაიდან რუსი ორგანოების მსჯელობა, რომ ვერ მოახერხეს საქართველოსთან თანამშრომლობა და ქართველი მოწმეების დაკითხვა (ე.ი. სრული მტკიცებულებების მოგროვება), თუმცა, ამის მიუხედავად მაინც უდანაშაულოდ ცნეს რუსი ჯარისკაცები, არის აშკარად ურთიერთ სანინალმდეგო და მიუთითებს რუსული ორგანოების, სულ მცირე, უმოქმედობაზე ნამდვილი გამოძიების ჩატარების თვალსაზრისით.⁵⁴

რაც შეეხება გამოძიებას რუსი სამშვიდობოების მკვლელობის ფაქტზე, ამ მიმართულებით არ არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სამართალწარმოება რუსეთში ტარდება ვინმესთვის პასუხისმგებლობის ასარიდებლად ან სხვა არასათანადო ფორმით. შესაბამისად, ამ ეპიზოდთან დაკავშირებით პროკურორს დასაშვებობის კრიტერიუმის გადანყვეტა მიზანშეწონილად მიაჩნია სამომავლო გამოძიების კონტექსტში, რასაც იზიარებს წინა სასამართლო პალატაც.⁵⁵

2.4.3. სამხრეთ ოსეთის მიმართ

შუამდგომლობაში პროკურორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ განსახილველ დანაშაულებთან დაკავშირებით არც ერთ მესამე სახელმწიფოში არ მიმდინარეობს გამოძიება, ვინაიდან სამხრეთ ოსეთი მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიას და არ წარმოადგენს სახელმწიფოს რომის სტატუტის მე-17 მუხლის მიზნებისთვის. შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ორგანოებს არ შეუძლიათ წარმოადგინონ საქმის დასაშვებობის შესახებ საჩივარი სტატუტის 19 (2)(ბ) მუხლის შესაბამისად.⁵⁶ წარმოდგენილ პოზიციას ეთანხმება წინასასამართლო პალატაც და ადგენს, რომ სამხრეთ ოსეთი არ აკმაყოფილებს მე-17 მუხლში მოცემულ წინაპირობებს, რადგან არ არის აღიარებული სახელმწიფო.⁵⁷

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა მოსამართლე პიტერ კოვარის მოსაზრება, რომელსაც მიაჩნია, რომ საერთაშორისო

სამართალში სუბიექტთა მიერ განხორციელებული გარკვეული ქმედებების აღიარების საკითხი გაცილებით კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რადგან შესაძლოა, არსებობდნენ სუბიექტები სადავო სტატუსით, თუმცა ჰქონდეთ ტერიტორიაზე უდავო კონტროლი და სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელების უნარი. ამგვარი სუბიექტებისთვის ვინრო, სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის წართმევით და სასამართლოში საქმის დასაშვებობის გადანყვეტისას ამ კომპეტენციის მხედველობაში მიუღებლობით შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს დაუსჯელობის მასშტაბები, რამდენადაც ამგვარი მიდგომა შესაძლოა უთითებდეს, რომ სუბიექტების მიერ პროცედურების წარმართვას აზრი არ აქვს, რადგან ამ პროცედურების შედეგები მაინც არ იქნება მხედველობაში მიღებული. მოსამართლე კოვარის აზრით, აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო პრობლემატური შეიძლება გახდეს, თუ სუბიექტი განახორციელებს ნამდვილ სისხლის სამართლებრივ სამართალწარმოებას კონკრეტული პირის მიმართ და აღნიშნულ პირს შემდგომში არ მიეცემა პროტესტის წარდგენის უფლება *ne bis in idem* პრინციპის საფუძველზე, გამომდინარე იქიდან, რომ პროცესიარ განხორციელებულა „სახელმწიფოს“ მიერ. შესაბამისად, მოსამართლე კოვარი ვერ გამორიცხავს, რომ თუ დე ფაქტო რეჟიმი გამოიტანს მართებულ განაჩენს კანონიერების პრინციპის დაცვით, აღნიშნული უნდა ჩაითვალოს გადანყვეტილებად 19(2)(ა) მუხლის კონტექსტში. მოსამართლის აზრით, აღნიშნული საკითხი უნდა გადანყვედეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიმართ, არაღიარებული სუბიექტის სტატუსზე ავტომატური ეფექტის ქონის გარეშე.⁵⁸

3. საქართველოს სიბუჯის მნიშვნელობა და გამოძიების შესაძლო დაბრკოლებები

3.1. პირველი სიტუაცია აფრიკის კონტინენტის გარეთ

საქართველო არის აფრიკის კონტინენტის გარეთ მდებარე პირველი სახელმწიფო, რომელთან მიმართებაშიც სასამართლომ დაიწყო გამოძიება. მანამდე სასამართლოს იურისდიქციაში იყო 9 სიტუაცია აფრიკის კონტინენტიდან. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სასამართლო წინასწარ მოკვლევას ატარებს ავღანეთის, კოლუმბიის,

გვინების, ერაყი/გაერთიანებული სამეფოს, ნიგერიის, პალესტინის, ფილიპინების, უკრაინის და ვენესუელას სიტუაციებთან დაკავშირებითაც, მაგრამ მათ მიმართ გამოძიება ჯერ არ დაწყებულა.⁵⁹ აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია ორი კუთხით: ერთი მხრივ, იგი ართულებს გამოძიების წარმართვას საქართველოს სიტუაციის მიმართ, ვინაიდან წლების განმავლობაში სასამართლომ დააგროვა გარკვეული გამოცდილება აფრიკის რეგიონის ქვეყნებთან და იქ გამოძიების წარმოების სპეციფიკასთან დაკავშირებით, ხოლო კავკასიის რეგიონი სასამართლოსთვის ახალი და შეუსწავლელია. აქედან გამომდინარე, რთულია აგრეთვე საქართველოს სიტუაციის სავარაუდო შედეგების პროგნოზირება.⁶⁰

მეორე მხრივ, აღნიშნული ფაქტორი არანაკლები მნიშვნელობისაა თავად სასამართლოსთვის, გამომდინარე ბოლო წლებში მისობიექტურობასთან დაკავშირებით არსებული ეჭვებიდან. რამდენიმე აფრიკული ქვეყნის ლიდერმა წამოიწყო სასამართლოს წინააღმდეგ მიმართული აქტიური კამპანია⁶¹ იმ ბრალდებით, რომ სასამართლო წარმოადგენს ინსტრუმენტს დასავლური ძალების ხელში, რომელთაც სურთ აფრიკის კონტინენტზე დომინირება და სასამართლომ უსამართლოდ ამოიღო აფრიკის კონტინენტი მიზანში.⁶² იმის მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნული ბრალდებების წინააღმდეგ არსებობს ბევრი ლოგიკური თუ სამართლებრივი არგუმენტი,⁶³ ფაქტია, რომ ერთი მხრივ, ამ კამპანიებს მოჰყვება საკმაოდ ნეგატიური შედეგი ზოგიერთი ქვეყნის მიერ სასამართლოს დატოვების სახით,⁶⁴ ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს მიმართ არსებული ნდობის ხარისხი ეცემა როგორც აფრიკულ, ისე საერთაშორისო საზოგადოებაში. გაეროს უშიშროების საბჭოს მოქმედი წევრის და მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშის – რუსეთის მიმართ გამოძიების დაწყებით სასამართლომ ნაწილობრივ განაქარწყლა მისი მიკერძოებულობის შესახებ არსებული ბრალდებები,⁶⁵ თუმცა, მეორე მხრივ, ამავე მიზეზიდან გამომდინარე, სასამართლოს მიმართ არსებობს უდიდესი წნეხი და გამოწვევა საქართველოს სიტუაციაზე გამოძიების ეფექტიანად წარმართვისა და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისათვის. საკითხზე მომუშავე არაერთი

პროფესიონალი მიიჩნევს, რომ თუ სასამართლო ვერ გაამართლებს იმედებს საქართველოსთან მიმართებით, გამოძიების დაწყების შემთხვევაში, იგი კრახს განიცდის უკრაინის, პალესტინის და სხვა არა აფრიკული სიტუაციების მიმართაც. აქედან გამომდინარე, საქართველოსთან მიმართებით გამოძიების პროცესის სათანადოდ წარმართვა სასამართლოსთვის გარკვეულწილად ეგზისტენციალურ მნიშვნელობას ატარებს.⁶⁶

3.2. გამოძიების სირთულე დროის დიდი მონაკვეთის გასვლის გამო

საქართველოს სიტუაციის გამოძიების ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს განსახილველი დანაშაულების ჩადენიდან გამოძიების დაწყებამდე გასული დროის დიდი პერიოდი. სასამართლოს იურისდიქციაში მანამდე არსებულისიტუაციების უმრავლესობასთან მიმართებით გამოძიება დაიწყო დანაშაულების ჩადენიდან ერთი ან ორი წლის შემდგომ. საქართველოს სიტუაციის შემთხვევაში კი გამოძიების დაწყებამდე გავიდა რვა წელი. გამოძიების დაწყებამდე გასული დიდი დრო პრობლემას ქმნის, მაგალითად, მონმეებისა და მსხვერპლთა თანამშრომლობის მხრივ. კონფლიქტის პროცესში ჩადენილი დანაშაულების ზოგიერთი დაზარალებული უკვე გარდაიცვალა და პოტენციურ მონმეებს კი წარმოადგენენ საკმაოდ მოხუცი ადამიანები.⁶⁷ საქართველოს ყოფილმა სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ამგვარ დანაშაულებთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქტებისა და მტკიცებულებების დროული მოპოვება და დაფიქსირება.⁶⁸ აღნიშნული სირთულის დასაძლევად კი საჭიროა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა, აგრეთვე არასამთავრობო სექტორმა აქტიურად ითანამშრომლონ სასამართლოსთან.

3.3. თანამშრომლობაზე უარი რუსეთის ფედერაციის მხრიდან

გამოძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მხრიდან სასამართლოსთან თანამშრომლობაზე უარიც. წინასწარი მოკვლევის პერიოდში პროკურორისთვის განსაკუთრებული თანამშრომლობის მიუხედავად, როგორც რუსი თანამდებობის პირების მიერ შემდგომ გაკეთებული განცხადებებიდან

იკვეთება, რუსეთი იმედგაცრუებული დარჩა სასამართლოს მიერ გამოძიების დაწყების გადანყვეტილების მიღებითა და მისი შინაარსით.⁶⁹ გამოძიების დაწყების შემდგომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან გაკეთდა უარყოფითი განცხადებები სასამართლოსთან თანამშრომლობის საკითხზე, რის კულმინაციასაც წარმოადგენდა 2016 წელს რუსეთის მიერ რომის სტატუტის ხელმოწერის უკან გახმობა.⁷⁰ აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა აშკარა ნიშანს, რომ რუსეთი არ აპირებს სასამართლოსთან თანამშრომლობას.⁷¹

გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს ძლევამოსილი წევრის მიმართ, რომელიც უარს აცხადებს თანამშრომლობაზე და აშკარად უპირისპირდება სასამართლოს, გამოძიების წარმოებას შესაძლოა შეექმნას არაერთი დაბრკოლება. პირველ რიგში, აღნიშნული ფაქტორი ხელს უშლის გამოძიების სრულყოფილად და ყოველმხრივ ჩატარებას, ვინაიდან სასამართლოსთვის რთული იქნება ყველა მტკიცებულების მოპოვება.⁷² თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს უკვე აქვს სახელმწიფოს მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმის გამოცდილება (კენიის მაგალითი). ამასთან, პროკურორმა განაცხადა, რომ პირველ რიგში კვლავ ეცდება რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის დამყარებას,⁷³ წარუმატებლობის შემთხვევაში კი აუცილებლად გამონახავს სხვა გზებს გამოძიების სათანადოდ წარმართვისათვის და რუსეთის უარი თანამშრომლობაზე ვერ გახდება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ხელშემშლელი გარემოება.⁷⁴ ამ მხრივ, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ევროკავშირსა და სტატუტის ხელმომწერი სხვა სახელმწიფოების მორალურ, პოლიტიკურ თუ პრაქტიკულ დახმარებას, მაგალითად, მათი სადაზვერვო სამსახურებში არსებული ინფორმაციის სასამართლოსთვის მიწოდების გზით,⁷⁵ აგრეთვე, სასამართლოს მიერ შიდა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზებთან აქტიურ თანამშრომლობას, რომლებიც კონფლიქტის დაწყების დღიდან მუშაობენ მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რუსეთის მხრიდან თანამშრომლობის არარსებობამ შესაძლოა სერიოზული პრობლემები წარმოშვას სასამართლოს გადანყვეტილებების აღსრულების ნაწილშიც, ვინაიდან, რუსეთის ამჟამინდელი პოზიციიდან

გამომდინარე, ნაკლებ სავარაუდოა, რომ იგი სასამართლოს დაკავების ბრძანებას აღასრულებს მისი მოქალაქეების ან სამხრეთ ოსეთში მცხოვრები დამნაშავეების მიმართ.⁷⁶ არსებობს აგრეთვე საფრთხე, რომ რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკურმა გავლენამ სხვა ქვეყნებსაც უბიძგოს სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულებლობისკენ.⁷⁷ მოვლენათა ამგვარი განვითარება განსაკუთრებით რეალური ხდება, თუ გავითვალისწინებთ ბოლოდროინდელ ინციდენტს, როდესაც სამხრეთ აფრიკამ არ/ვერ დააპატიმრა სასამართლოს მიერ ძებნილი სუდანის პრეზიდენტი ომარ ალ-ბაშირი, რომელიც ქვეყანაში კონფერენციაზე დასასწრებად იყო ჩასული. იმის გათვალისწინებით, რომ პროკურორი იძიებს ქართველი სამხედროების მიერ ჩადენილ დანაშაულებსაც, შესაძლოა დააკავონ მხოლოდ ეროვნებით ქართველი ბრალდებულები, ვინაიდან საქართველო არის რომის სტატუტის ხელშემკვრელი მხარე და მას გააჩნია სასამართლოს განჩინების აღსრულების ვალდებულება.⁷⁸ ამგვარი სიტუაცია უარყოფითად იმოქმედებს სასამართლოს ეფექტიანობასა და სანდოობაზე როგორც ზოგადად, ისე საქართველოში⁷⁹ დაშესაძლებელია, რომ ზემოაღნიშნული სცენარის გამო საქართველოს სიტუაცია დასრულდეს საქართველოსთვის ძალზედ არასასურველი შედეგებით.⁸⁰

3.4. მსხვერპლთა და მონმეთა ჩართულობა საქმეში და მათი მოლოდინები

სასამართლოს სამართალწარმოებაში მსხვერპლს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. როგორც წესი, დაზარალებულთა მიერ მიცემულ ჩვენებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოძიების წარმართვისთვის. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ეფექტური კომუნიკაცია დაზარალებულთაგან, ერთი მხრივ, გამოძიების წარმატების საწინდარია, ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელია დაზარალებულთათვის მიყენებული მორალური, ფიზიკური თუ ფინანსური ზიანის კომპენსაციისთვის.⁸¹

საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით სასამართლოში ამჟამად წარდგენილია აგვისტოს ომში დაზარალებული 6,335 პირისგანცხადება, თუმცა, კონფლიქტის შედეგად დაზარალდა გაცილებით მეტი ადამიანი, რომლებსაც სასამართლოსთვის ჯერ არ

მიუმართავთ.⁸² არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ სასამართლო ახორციელებს არასაკმარის ღონისძიებებს განსახილველი დანაშაულების მონმეებისა და დაზარალებულების მონანილეობის უზრუნველსაყოფად, რის გამოც ამ უკანასკნელთა შორის არსებობს ინფორმაციული ვაკუუმი მიმდინარე გამოძიებისა და ზოგადად სასამართლოს შესახებ.⁸³ დაზარალებულთა და მონმეებთან მომუშავე ორგანიზაციების განცხადებით, მათ უმეტესობას არ აქვს, ან აქვს ძალიან მწირი ინფორმაცია გამოძიების არსებობის ან მისი მიმდინარეობის შესახებ.⁸⁴ აღნიშნული კი, შესაძლოა, მეტად პრობლემური გახდეს მომავალში, ვინაიდან დაზარალებულები და მონმეები უბრალოდ არ მიიღებენ მონანილეობას ისეთ პროცესებში, რომლის შესახებაც მათ წარმოდგენა არ აქვთ.⁸⁵ პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე გამოძიების მიმართ მსხვერპლთა უნდობლობა, რაც გამონვეულია ეროვნულ დონეზე წარმართული გაჭიანურებული და არაეფექტიანი გამოძიებით.⁸⁶ დაზარალებულებს სჭირდებათ ხელშესახები შედეგების დანახვა, რათა უარი არ თქვან თანამშრომლობაზე. ამ კუთხით აღსანიშნავია, 2018 წლის დასაწყისიდან საქართველოში ამოქმედდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლობა (ოფისი), რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება სასამართლოს მანდატის და საქმიანობის შესახებ.⁸⁷

პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე დაზარალებულთა უსაფრთხოება, განსაკუთრებით კი საზღვრისპირა რეგიონებში, რამდენადაც აღნიშნულ ადგილებში ძალზე ხშირია ქართველი მოქალაქეების გატაცება და დაკავება ოსი სეპარატისტების მიერ, რაც ზოგ შემთხვევებში ტრაგიკულად სრულდება (არჩილ ტატუნაშვილის შემთხვევა).⁸⁸ აქედან გამომდინარე, მომავალში ზოგიერთმა დაზარალებულმა შესაძლოა თავი შეიკავოს სასამართლოსთან თანამშრომლობაზე მათი ჯანმრთელობის, სიცოცხლის და თავისუფლების მიმართ არსებული საფრთხეების გამო. და ბოლოს, მსხვერპლთა ჩართულობის მხრივ, საინტერესოა მიმდინარე გამოძიების მიმართ მათი მოლოდინებიც. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოცდილება აჩვენებს, რომ ინფორმაციის ნაკლებობა

არასწორ წარმოდგენებს და ცრუ მოლოდინებს აჩენს სასამართლოსა და გამოძიების მოსალოდნელი შედეგების შესახებ.⁸⁹ არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვირვების თანახმად დაზარალებულთა უპირველესი პრიორიტეტია ფინანსური კომპენსაციის მიღება, (რაც გამონვეულია მათი მძიმე ფინანსური და სოციალური მდგომარეობით)⁹⁰ და ხშირად ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ სასამართლოს უპირველესი მიზანია დანაშაულების ჩადენაზე ყველაზე პასუხისმგებელი პირების დასჯა და არა მსხვერპლთა კომპენსაცია.⁹¹ დაზარალებულთათვის სწორი ინფორმაციის თავიდანვე მიწოდებით თავიდან იქნება აცილებული მომავალი გაუგებრობები და შესაძლო დაბრკოლებები დაზარალებულების სასამართლოსთან თანამშრომლობაში.

3.5. წინასამართლო პალატის როლი მე-15 მუხლის კონტექსტში მოსამართლე პიტერ კოვაჩის განსხვავებული მოსაზრების მიხედვით

მოსამართლე პიტერ კოვაჩი თავის განსხვავებულ მოსაზრებაში გვთავაზობს საინტერესო განმარტებებს რომის სტატუტის მე-15 მუხლით გათვალისწინებული სასამართლო კონტროლის განხორციელებისას წინასამართლო პალატის როლთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი პირდაპირ არ უკავშირდება საქართველოს სიტუაციას, იგი მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის განვითარების კუთხით. კერძოდ, უმრავლესობის გადანყვეტილებაში მოცემულია დასკვნა, რომლის მიხედვითაც „სამართალწარმოების ეტაპისა და განსახილველი საკითხის გათვალისწინებით, პალატის მიერ პროკურორის შუამდგომლობისა და მისი განმამტკიცებელი მასალების გამოკვლევა უნდა იყოს მკაცრად შეზღუდული.“⁹² მოსამართლე კოვაჩი მკაცრად აკრიტიკებს აღნიშნულ მოსაზრებას იმ საფუძვლით, რომ იგი ეწინააღმდეგება მე-15 მუხლის ფორმულირებას, რომელიც არ შეიცავს რაიმე შეზღუდვას პალატის მიერ პროკურორის შუამდგომლობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებისას. მეტიც, კოვაჩის აზრით, პალატა ვალდებულია, ამომწურავად გამოიკვლიოს პროკურორის შუამდგომლობა და ყველა არსებული მასალა და წარმოადგინოს შუამდგომლობისგან დამოუკიდებელი, საკუ-

თარი დასკვნები გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. მოსაზრებას, რომ პალატის სასამართლო კონტროლის ფუნქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის გაზიარებითა და ფორმალურად დადასტურებით, აძლიერებს პროკურორის ვალდებულება – პალატას წარუდგინოს ის ფაქტები და ინფორმაცია, რომელსაც იგი ეყრდნობა და აგრეთვე ის გარემოება, რომ პალატას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა.⁹³ მოსამართლე კოვაჩი თავისი მოსაზრების გასამყარებლად იხმობს აგრეთვე რომის სტატუტის მიღების მოსამზადებელ ღონისძიებებს და ამბობს, რომ პროკურორისთვის საქმის საკუთარი ინიციატივით წამოწყების უფლებამოსილების მინიჭება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ გარკვეული ქვეყნების მიერ პროკურორის ძალაუფლების დასაბალანსებლად შეთავაზებულ იქნა მისგან დაწყებული სასამართლო კონტროლის განხორციელების მექანიზმი.⁹⁴

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საქართველოს სიტუაციასთან მიმართებით გამოძიების ავტორიზაციით დაიწყო ახალი ერა როგორც სასამართლოს

ისტორიაში, ისე საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებისთვის. საქართველოს სიტუაცია მნიშვნელოვანია შინაარსობრივი თვალსაზრისითდა სასამართლოს მიერ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში არსებული სხვადასხვა პრაქტიკული გამოწვევის გადალახვის მხრივ, აგრეთვე იმის ილუსტრაციისათვის, რომ 2003 წელს რომის სტატუტის ამოქმედებით მიღებული მსოფლიოს უდიდესი მონაპოვარი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოს სახით ნამდვილად ამართლებს მის მიმართ არსებულ ყველა იმ ადამიანის იმედებს, რომელთაც სურთ მსოფლიოში ჩადენილ საზარელ დანაშაულებზე სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება. რაც შეეხება საქართველოს, სასამართლოს მიერ საქმეზე გაკეთებულ განმარტებებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება მომავალში საქართველო-რუსეთს შორის მომხდარი კონფლიქტის სამართლებრივი კვალიფიკაციისთვის, კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისმგებელი პირების დასჯით კიერთი მხრივ აღდგება სამართლიანობა და დაზარალებულები მიიღებენ მორალურ კომპენსაციას, ხოლო მეორე მხრივ შესაძლოა თავიდან იქნეს აცილებული სამომავლო დაძაბულობები რეგიონში და ხელი შეეწყოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

* ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის (ფრანკფურტ ოდერი, გერმანია) დოქტორანტიურის სტუდენტი. ავტორი მადლობას უხდის ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას სტატიაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის.

1 Office of the Prosecutor, "Request for authorization of an investigation pursuant to article 15", 13 October 2015, ICC-01/15 (შემდგომში – პროკურორის შუამდგომლობა).

2 Pre-Trial Chamber I, "Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation", 27 January 2016, ICC-01/15 (შემდგომში – სასამართლოს გადაწყვეტილება).

3 Separate opinion of Judge Péter Kovács, 27 January 2016, ICC-01/15-12-Anx1 (შემდგომში – პიტერ კოვაჩის განსხვავებული მოსაზრება).

4 პროკურორის შუამდგომლობა, §21.

5 პროკურორის შუამდგომლობა, §30.

6 სასამართლოს გადაწყვეტილება, §10; პროკურორის შუამდგომლობა, §§164-166.

7 სასამართლოს გადაწყვეტილება, §11; პროკურორის შუამდგომლობა, §§31-32.

8 პროკურორის შუამდგომლობა, §32.

9 სასამართლოს გადაწყვეტილება §12, პროკურორის შუამდგომლობა, §33.

10 სასამართლოს გადაწყვეტილება, §§14-15; პროკურორის შუამდგომლობა, §34.

11 სასამართლოს გადაწყვეტილება, §§16-17; პროკურორის შუამდგომლობა, §36.

12 სასამართლოს გადაწყვეტილება, §18.

13 სასამართლოს გადაწყვეტილება, §§19-20.

- 14 სასამართლოს გადაწყვეტილება, §§21-22.
- 15 პროკურორის შუამდგომლობა, §10.
- 16 პროკურორის შუამდგომლობა, §8.
- 17 პროკურორის შუამდგომლობა, §20.
- 18 გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო გააკეთებს იურისდიქციის აღიარების შესახებ განაცხადს სტატუტის მე-12(3) მუხლის შესაბამისად.
- 19 Coalition for the International Criminal Court, ხელმისაწვდომია: <http://www.coalitionfortheicc.org/country/georgia>; პროკურორის შუამდგომლობა, §57.
- 20 პროკურორის შუამდგომლობა, §57.
- 21 აღნიშნული წესი მოქმედებს მხოლოდ რომის სტატუტის მე-13 მუხლის (ა) და (გ) პუნქტებში მოცემული საფუძვლებით იურისდიქციის ამოქმედებისას, კერძოდ, როდესაც გამოძიება იწყება სახელმწიფოს მიმართვის საფუძველზე ან პროკურორის ინიციატივით.
- 22 აღნიშნულ ქვეყნებს მიეკუთვნებიან რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ.
- 23 სასამართლოს გადაწყვეტილება, §6; პროკურორის შუამდგომლობა, §54.
- 24 სასამართლოს გადაწყვეტილება, §25.
- 25 სასამართლოს გადაწყვეტილება, §§29-30; პროკურორის შუამდგომლობა, §53.
- 26 პროკურორის შუამდგომლობა, §108.
- 27 პროკურორის შუამდგომლობა, §§73, 79, 81.
- 28 აღნიშნული დოქტრინის მიხედვით, სახელმწიფო ახორციელებს არასამთავრობო სამხედრო ძალებზე კონტროლის საჭირო ხარისხს, როდესაც აღნიშნულ სახელმწიფოს, სამხედრო ჯგუფისთვის დაფინანსების, სწავლებების, აღჭურვილობით მომარაგების ან ოპერაციული დახმარების გაწევის გარდა, აქვს საორგანიზაციო, მკობრივი დახმარების ან დამკვეთის როლი ამ ჯგუფის მიერ განხორციელებულ სამხედრო მოქმედებაში. პროკურორის შუამდგომლობა, §§79, 87.
- 29 პროკურორის შუამდგომლობა, §§90-103.
- 30 პროკურორის შუამდგომლობა, §§109-122.
- 31 პროკურორის შუამდგომლობა, §§126-127.
- 32 პროკურორის შუამდგომლობა, §§129, 165.
- 33 პროკურორის შუამდგომლობა, §131.
- 34 პროკურორის შუამდგომლობა, §§134-136.
- 35 პროკურორის შუამდგომლობა, §§145, 150.
- 36 პროკურორის შუამდგომლობა, §§151-155.
- 37 პროკურორის შუამდგომლობა, §§164-165.
- 38 პროკურორის შუამდგომლობა, §169.
- 39 სასამართლოს გადაწყვეტილება §29; პროკურორის შუამდგომლობა, §§181-189.
- 40 სასამართლოს გადაწყვეტილება §34; პროკურორის შუამდგომლობა, §§190-211.
- 41 აღნიშნული ელემენტი გამოძიების ამ ეტაპზე ვერ დგინდება, ვინაიდან არ არიან იდენტიფიცირებული სავარაუდო დამნაშავეები.
- 42 პროკურორის შუამდგომლობა, §§220-258.
- 43 პროკურორის შუამდგომლობა, §§260-261.
- 44 პროკურორის შუამდგომლობა, §§262-270.
- 45 პროკურორის შუამდგომლობა, §§271-273.
- 46 პიტერ კოვაჩის განსხვავებული მოსაზრება, §§26-36.
- 47 კომპლემენტარობის პრინციპი განმტკიცებულია რომის სტატუტის მე-17 მუხლით.
- 48 პროკურორის შუამდგომლობა, §§279-290.
- 49 სასამართლოს გადაწყვეტილება §41; პროკურორის შუამდგომლობა, §§301-303.
- 50 პიტერ კოვაჩის განსხვავებული მოსაზრება, §47 და მომდევნო პარაგრაფები.
- 51 საგამოძიებო კომიტეტი სპეციალურად შეიქმნა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის კონტექსტში ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად.
- 52 პროკურორის შუამდგომლობა, §§304-312.
- 53 სასამართლოს გადაწყვეტილება, §§42-46.
- 54 პიტერ კოვაჩის განსხვავებული მოსაზრება, §§55-61.
- 55 სასამართლოს გადაწყვეტილება, §§47-50; პროკურორის შუამდგომლობა, §§313-320.
- 56 პროკურორის შუამდგომლობა, §§322-323.
- 57 სასამართლოს გადაწყვეტილება, §41.

- ⁵⁸ პიტერ კოვარჩის განსხვავებული მოსაზრება, §§62-66.
- ⁵⁹ Preliminary examinations, ხელმისაწვდომია: <https://www.icc-cpi.int/Pages/pe.aspx>.
- ⁶⁰ Georgia – A unique case for the ICC, Coalition for the International Criminal Court, ხელმისაწვდომია: <http://www.coalitionfortheicc.org/news/20170310/georgia-unique-case-icc>.
- ⁶¹ ამასთან დაკავშირებით იხილეთ: African leaders plan mass withdrawal from International Criminal Court, ხელმისაწვდომია: <https://www.theguardian.com/law/2017/jan/31/african-leaders-plan-mass-withdrawal-from-international-criminal-court>; Plessis m., Maluwa T. and O'Reilly A., *Africa and the International Criminal Court*, International Law 2013/01, July 2013, ხელმისაწვდომია: http://www.dphu.org/uploads/attachements/books/books_3820_0.pdf; Guzman M., *Is the ICC Targeting Africa Inappropriately? A Moral, Legal, and Sociological Assessment*, Temple University Legal Studies Research Paper No. 2018-17, March 2018, ხელმისაწვდომია: https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3136470.
- ⁶² Civil society talks: ICC a last resort for justice in Burundi? Coalition for the International Criminal Court, ხელმისაწვდომია: <http://www.coalitionfortheicc.org/news/20170112/civil-society-talks-icc-last-resort-justice-burundi>; იხ. აგრეთვე „აფრიკის ქვეყნები ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ტოვებენ“, ტაბულა, 26 ოქტომბერი, 2016, ხელმისაწვდომია <http://www.tabula.ge/ge/story/113823-afrikis-qveknebi-haagis-saertashoriso-sasamartlos-toveben>. აღნიშნულ ბრალდებებს, როგორც წესი, თან ახლავს მითითება აფრიკის გარეთ, მათ შორის გავლენიანი დასავლური ქვეყნების, მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ.
- ⁶³ მაგალითად, ხუთმა აფრიკულმა ქვეყანამ თავად მიმართა პროკურორს გამოძიების დაწყების თხოვნით, ორ ქვეყანასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭომ, ხოლო პროკურორმა თავისი ინიციატივით გამოძიება წამოიწყო მხოლოდ კენიის მიმართ. გარდა ამისა, პროკურორმა აღნიშნა, რომ სასამართლო მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკისგან და აქედან გამომდინარე, გეოპოლიტიკური ფაქტორების გამო გამოძიების დაწყებაზე უარი არ უნდა თქვას. იხ. კითხვა-პასუხი: საქართველო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, Human Rights Watch, October 20, 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.hrw.org/ka/news/2015/10/20/282386>.
- ⁶⁴ მაგალითად, ბურუნდის, სამხრეთ აფრიკისა და გამბიას მიერ სასამართლოს დატოვების განზრახვისა და მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ იხ. Ssenyonjo M. *State Withdrawal Notifications from the Rome Statute of the International Criminal Court: South Africa, Burundi and the Gambia*. Criminal Law Forum, vol.29, 2018.
- ⁶⁵ ICC opens investigation in Georgia, ხელმისაწვდომია: <https://ciccglobaljustice.wordpress.com/2016/01/28/icc-opens-investigation-in-georgia/>.
- ⁶⁶ If the ICC Fails in Georgia, it will be the Same in Afghanistan and Palestine, Justiceinfo, 05 July 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.justiceinfo.net/en/tribunals/icc/33785-if-the-icc-fails-in-georgia-it-will-be-the-same-for-afghanistan-and-palestine.html>.
- ⁶⁷ იქვე.
- ⁶⁸ Challenges in the ICC investigation process in the alleged war crimes of 2008 August War, Human Rights, 15.10.2018, ხელმისაწვდომია: <http://www.human-rights.ge/index.php?a=main&pid=19173&lang=eng>.
- ⁶⁹ მაგალითად, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ პროკურორის შუამდგომლობაში მოხსენიებულიც კი არ იყო მიხეილ სააკაშვილი, იმის მიუხედავად, რომ მათ პროკურორს გაუგზავნეს სააკაშვილის მამხილებელი მასალები. რუსეთმა შესაძლებელია, ჰააგის სასამართლოსთან ურთიერთობას გადახედოს, ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/104119-rusetma-shesadzloa-haagis-sasamartlos-urtiertobas-gadaxedos>.

- ⁷⁰ „რუსეთი რომის სტატუტის წევრი აღარ იქნება“, ტაბულა, 16 ნოემბერი, 2016, ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/114629-ruseti-romis-statutis-tsevri-ghar-iqneba>.
- ⁷¹ If the ICC Fails in Georgia, it will be the Same in Afghanistan and Palestine, Justiceinfo, 05 July 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.justiceinfo.net/en/tribunals/icc/33785-if-the-icc-fails-in-georgia-it-will-be-the-same-for-afghanistan-and-palestine.html>; Gogolashvili N. Challenges of ICC Investigation Process in the Alleged War Crimes of 2008 August War, 04.04.2017, ხელმისაწვდომია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19173&lang=eng>.
- ⁷² ამის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის ადგილებში შესვლის და დათვლიერების შეუძლებლობა, ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ტერიტორია იმყოფება რუსეთის კონტროლის ქვეშ.
- ⁷³ Gogolashvili N. Challenges of ICC Investigation Process in the Alleged War Crimes of 2008 August War, 04.04.2017, ხელმისაწვდომია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19173&lang=eng>.
- ⁷⁴ Georgia – A unique case for the ICC, Coalition for the International Criminal Court, ხელმისაწვდომია: <http://www.coalitionfortheicc.org/news/20170310/georgia-unique-case-icc>; „ბენსუდა: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აღარ თანამშრომლობს, გამოძიება გაგრძელდება“, ტაბულა, 17 ნოემბერი, 2016, ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/114683-bensuda-mixedavad-imisa-rom-ruseti-ghar-tanamshromlobs-gamodzieba-gagrdzeldeba>.
- ⁷⁵ Getting full cooperation from the Georgian side will be one of the challenges for ICC. ხელმისაწვდომია: <http://www.coalitionfortheicc.org/news/20170502/getting-full-cooperation-georgian-side-will-be-one-challenges-icc>.
- ⁷⁶ Victims of the Russo-Georgian War want to see high-level perpetrators punished, ხელმისაწვდომია: <https://justicehub.org/article/victims-russo-georgian-war-want-see-high-level-perpetrators-punished>.
- ⁷⁷ იხ. სქოლიო 65.
- ⁷⁸ რომის სტატუტის 59-ე და 103-ე მუხლები.
- ⁷⁹ იხილეთ შემდგომი ქვეთავი.
- ⁸⁰ იხ. სქოლიო 75.
- ⁸¹ იხ. სქოლიო 74.
- ⁸² Georgia. Coalition for the International Criminal Court, ხელმისაწვდომია: <http://www.coalitionfortheicc.org/country/georgia>.
- ⁸³ იხ. სქოლიო 60.
- ⁸⁴ Georgian Coalition for the ICC resumes work, 07 November 2017, ხელმისაწვდომია: <http://www.coalitionfortheicc.org/news/20171107/georgian-coalition-icc-resumes-work>; The Georgian Experience: A story of how the ICC is failing victims in its first case outside Africa. ხელმისაწვდომია: <https://www.ijmonitor.org/2018/05/the-georgian-experience-a-story-of-how-the-icc-is-failing-victims-in-its-first-case-outside-africa/>.
- ⁸⁵ იხ. სქოლიო 65.
- ⁸⁶ Information Bulletin of Human Rights Center: International Criminal Court Investigation in Georgia, ხელმისაწვდომია: <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/Information%20Bulletin%20of%20Human%20Rights%20Center%E2%80%93%20International%20Criminal%20Court%20Investigation%20in%20Georgia.pdf>.
- ⁸⁷ Report of the International Criminal Court in 2017/18, 20 August 2018, A/73/334, §75.
- ⁸⁸ იხ. სქოლიო 60.
- ⁸⁹ კითხვა-პასუხი: საქართველო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, Human Rights Watch, October 20, 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.hrw.org/ka/news/2015/10/20/282386>.
- ⁹⁰ იხ. სქოლიო 86.
- ⁹¹ იხ. სქოლიო 67.
- ⁹² სასამართლოს გადაწყვეტილება, §3; პიტერ კოვარის განსხვავებული მოსაზრება, §3.
- ⁹³ პიტერ კოვარის განსხვავებული მოსაზრება, §§5-7.
- ⁹⁴ პიტერ კოვარის განსხვავებული მოსაზრება, §§8-10.

SITUATION IN GEORGIA – A UNIQUE CASE BEFORE THE INTERNATIONAL CRIMINAL COURT

Abstract

The present Article examines the investigation of the International Criminal Court in relation to the Situation in Georgia, in the framework of which the Prosecutor's Office is investigating crimes falling under the jurisdiction of the Court committed from July 01 to October 10 in the context of the 2008 armed conflict between Georgia and Russia. The Situation in Georgia represents a unique case for the Court, as it is the first situation outside Africa and for the first time it is related to an international armed conflict involving a permanent member of the United Nations Security Council. The Situation is further distinguished by the accompanying challenges, such as, a new and unfamiliar region for the Court, the initiation of an investigation after a long period of time since the alleged commission of the crimes and a refusal of one of the involved states to cooperate with the Court. Consequently, the aim of the present Article is to analyze the legal characteristics and the significance of these proceedings at the ICC, and thereby, to raise awareness regarding the Situation in Georgia.

Key words: Situation in Georgia | International Criminal Court | August War

INTRODUCTION

The 2008 armed hostilities between Georgia and its breakaway Tskhinvali region/South Ossetia was transformed into an international armed conflict between Georgia and Russia, siding with South Ossetian troops. After a few days of the fire exchange, active fighting ended and the South Ossetia region and its adjacent territories stayed beyond the control of the central authorities of Georgia. From there on, Georgian territory is under belligerent occupation of Russian Federation.

On 27 January 2016, the Pre-Trial Chamber I of the International Criminal Court (hereinafter – the Court/ICC) granted the Prosecutor's request to open a *proprio motu* investigation regarding the alleged crimes against humanity and war crimes committed in and around South Ossetia in the context of the international armed conflict between 1 July and 10 October 2008. Thus, the implications and the legal status of the Situation in Georgia is the main research question of the present Article.

The Situation in Georgia is significant both for Georgia and for the practice of the Court, as far as it represents the first Situation beyond the borders of Africa; the first Situation examining the international armed conflict and in relation to the actions of the armed forces belonging to a

permanent member of the UN Security Council. The case is further distinguished by the long time interval between the alleged commission of the crimes and the start of the investigation, by dealing with the new and unexamined region and refusal of one of the parties to cooperate.

The purpose of the present Article is to provide a legal analysis of the Situation in Georgia in order to promote the awareness-rising on the case, which is necessary for ensuring the full involvement of the victims and witnesses in the investigation process and thereby the proper implementation of the justice. The paper covers the main legal characteristics of the Situation, as well as its importance both from national and international legal and political perspectives. In particular, the factual background and the qualification of the conflict between Georgia and Russia over South-Ossetia, as well as the issues connected to the jurisdiction of the Court and the principle of complementarity will be discussed and the factors differentiating the given Situation from others under the jurisdiction of the Court, as well as the challenges the Court will likely encounter in the course of the investigation will be outlined.

The present Article is predominantly based on the official decisions made by the Court and the Prosecutor's Office in relation to the given Situation, namely, the Request for authoriza-

tion of an investigation pursuant to article 15¹ issued by the Office of the Prosecutor, the Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation² adopted by the Pre-Trial Chamber I and the Separate opinion of Judge Péter Kovács³; as well as the Rome Statute of the International Criminal Court and other sources.

1. FACTUAL BACKGROUND

The following facts are provided in the Request of the Prosecutor in relation to the Russia-Georgia conflict: The conflict between Georgia and South Ossetia has long roots and it originates from the Soviet times. The dissolution of the Soviet Union was followed by a two year conflict between Georgia and South Ossetia, which was finalized by adopting a Sochi Agreement in June 1992. A Joint Control commission (JCC) and a Joint Peacekeeping Force (JPKF) were created based on the mentioned Agreement.⁴

In the months leading up to the August 2008 conflict, the security situation deteriorated and tensions raised between Georgia and South Ossetia. The following events were taking place in the month of July 2008: armed clashes between the conflicting parties, arresting Georgian military personnel by South Ossetian armed groups, bombing the Tskhinvali city (resulting in the death of people and destruction of property), alleged entrance into Georgian airspace by four Russian military aircrafts, shooting incidents in South Ossetia and series of explosions directed against the military and political leaders of both Georgia and South Ossetia. In the beginning of August 2008, the *de facto* authorities of South Ossetia started the evacuation of the population to the North Ossetia.⁵ There was an intensive exchange of fire between Georgia and South Ossetia in the night of 1-2 August 2008, injuring several persons. Lower intensity fire continued during the nights of 2-3 and 3-4 August as well.⁶ During the afternoon of 6 August 2008, there was an exchange of fire along virtually along the entire administrative boundary line, which intensified on August 7 by using the heavy weaponry and artillery, which is reported to cause casualties.⁷

On August 08, 2008, the Georgian armed forces entered the South Ossetia from south

and the Russian armed forces from the north. On 07 August 2008, at 23:50, the Georgian armed forces reportedly began firing at targets in South Ossetia, including in the city of Tskhinvali, marking the widely acknowledged beginning of the armed conflict. By the afternoon of August 8, 2008, the Georgian forces managed to seize control of a great part of Tskhinvali and several Ossetian villages.⁸ The materials also suggest that the Georgian armed forces attacked the Russian peacekeepers on August 8, 2008, in the center of Tskhinvali and in its south-west part.⁹

Meeting the resistance, the Georgian armed forces withdrew from the central part of Tskhinvali in the evening hours of August 8, 2008. On August 10, subsequently in accordance with the statement of Georgian government on unilateral ceasefire, Georgian armed forces left the territory of South Ossetia in the direction of Gori. The Georgian forces were pursued by Russian and South Ossetian troops, who crossed the administrative border of South Ossetia and set up military positions in the adjoining territories.¹⁰ Reportedly, the active fighting between Georgian and Russian forces was ended on August 12 by a six-point peace plan agreed between the presidents of Russia and France, the latter acting on behalf of the European Union. Despite the public confirmation of a ceasefire agreement by the president of Russia, the Russian and South Ossetian forces continued their advances for some time after the agreement. From August 15 on the Russian troops began to withdraw from undisputed territory of Georgia but created a 20 km wide "buffer zone" in the area adjoining the administrative boundary line of South Ossetia, which was controlled by Russian military.¹¹ The Russian forces eventually left the "buffer zone" on October 10, 2008.¹²

During the same period, the civilian Georgian population of the villages located in the South Ossetia and the "buffer zone" were systematically attacked by South Ossetian groups and an array of irregular militias. The attacks continued for several weeks after the cessation of active hostilities in August 12. The main targets of these attacks were ethnic Georgians and they included deliberate killings, beating and threatening civilians, detention,

looting properties and burning houses. The houses of ethnic Georgians were subjected to systematic destruction, and the offenders were using local informers for separating them from houses of ethnic Ossetians. The valuable items were removed from the houses before setting them on fire.¹³ These acts were reportedly committed with a view to forcibly expel ethnic Georgians from the territory of South Ossetia in furtherance of the overall objective to change the ethnic composition of the population, to sever any remaining links with Georgia and to secure independence. The policy to expel was passed from the highest echelons of the South Ossetian leadership to the South Ossetian groups. The attacks against the civilian population resulted in between 51 and 113 deliberate killings of ethnic Georgians and the displacement of between 13,400 and 18,500 ethnic Georgians.¹⁴ More than 5000 dwellings belonging to ethnic Georgians were also destroyed.¹⁵

According to the information provided by the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (IIFFMGG), the conflict had the following consequences: approximately 850 persons died and around 100,000 were forced to leave their residence. According to the Government of Georgia, 412 persons (including, 228 civilians) died and 1747 wounded. The Russian Federation reported the death of 162 ethnic Ossetians and 255 of them injured, as well as the death of 48 Russian servicemen and injury of 162. Pursuant to the *de facto* authorities of South Ossetia the total amount of deceased civilians and servicemen reached 365.¹⁶ In the period before the conflict, the amount of ethnic Georgians living in South Ossetia was about 22,000-24,000, which constituted 30% of the whole population. After the conflict, however, the amount of Georgian population was decreased by at least 75%.¹⁷

2. JURISDICTION OF THE COURT AND THE PRINCIPLE OF COMPLEMENTARITY

2.1. Jurisdiction *ratione temporis*

The jurisdiction of the ICC has time limits. According to Article 11(2) of the Rome Statute, if a state becomes a party to this Statute after its entry into force, the Court may exercise its jurisdiction only with respect to crimes commit-

ted after the entry into force of this Statute for that state.¹⁸ Rome Statute entered into force for Georgia from December 1, 2003;¹⁹ therefore, the timeframe of the investigation determined by the Prosecutor in her Request is in full compliance with the jurisdiction *ratione temporis* of the Court.

As already mentioned, the Prosecutor requested and the Court authorized the investigation to be conducted on the war crimes and crimes against humanity committed from July 1 to October 10 of 2008. Even though the active hostilities lasted from seven to twelve August, the Prosecutor requested the investigation from the 1st of July in order to be able to inquire into the events precursor to the active fighting, which caused the escalation of the situation. This circumstance might be important for deciding, for example, on the existence of a nexus between the contextual elements of the war crimes and crimes against humanity and individual acts. As for the upper limit of the time frame, 10 October was selected as the Russian armed forces are reported to have withdrawn behind the administrative boundary line of South Ossetia by that time.²⁰

2.2. Jurisdiction *ratione loci*

According to Article 12(2) of the Rome Statute, the Court can exercise its jurisdiction, when the alleged crimes are committed on the territory of a member state.²¹ The Request of the Prosecutor, as well as the Court Decision explicitly outline that South Ossetia belongs to the territory of Georgia, therefore, it is not problematic for the Court to exercise territorial jurisdiction over the crimes committed therein. The Prosecutor observes that even though South Ossetia declared independence from Georgia in 1992, which was subsequently recognized by four UN member states²², South Ossetia is generally not considered as an independent state and is not a member state of the United Nations. The Prosecutor states that at the time of commission of the alleged crimes, South Ossetia was part of Georgia and it was under the occupation of Russia at least until October 10, 2010. The Court fully adopted the position of the Prosecutor on the given issue and stated in its decision that South Ossetia is a part of

Georgia.²³ Apart for determining on the issue of territorial jurisdiction, the mentioned position of the Prosecutor and the Court is important in terms of affirming the non-recognition policy towards South Ossetia in the international law and for reiterating the fact that the part of the Georgian territory is under Russian occupation.

2.3. Jurisdiction *ratione materiae* – crimes within the jurisdiction of the Court

The *ratione materiae* jurisdiction of the Court covers the crimes enlisted by Article 6 of Rome Statute. It is worth mentioning, before examining the individual acts committed in the course of the conflict, that at the given stage of the proceedings, standard of proof applied is relatively low – the reasonable doubt standard, according to which “the material provided by the Prosecutor certainly need not point towards only one conclusion, nor does it have to be conclusive. The minimum requirement is the existence of a sensible or reasonable justification for a belief that a crime falling within the jurisdiction of the Court has been or is being committed.”²⁴ Pursuant to the Request of the Prosecutor, there is a reasonable basis to believe that at least following crimes have been committed in the context of the armed conflict:

War crimes – willful killing/murder (Article 8(2)(a)(i)/8(2)(c)(i)); destroying the enemy’s property/the property of an adversary (Article 8(2)(b)(xiii)/8(2)(e)(ii)); pillage (Article 8(2)(b)(xvi)/8(2)(e)(v)); intentionally directing attacks against personnel or objects involved in a peacekeeping mission (Article 8(2)(b)(iii)/8(2)(e)(iii)); and

რომ “მშვიდობის დამყარებით ყველა ერს მიეცემოდა საკუთარ საზღვრებში უსაფრთხო ცხოვრების შესაძლებლობა”.¹ ხშირად, საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად პრინციპებზე, საქმიანობის მიმართულებებსა და როლზე კონსენსუსის მიღწევა საკმაოდ რთულია,² თუმცა სამეულმა შეძლო შეთანხმების მიღწევა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნებაზე, რომლის მიზანიც იქნებოდა მშვიდობის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება.³ რაც შეეხება სტრატეგიულ გადაწყვეტილებას გაეროში (უშიშროების საბჭოში) მუდმივი წევრობის (მ5; მუდმივი წევრი, დიდი ძალა) ჩამოყალიბებაზე, საკითხე აქტიური მოლაპარაკებები დამბარტონის მუხების კონფერენციაზე დაიწყო, რომელიც 1945 წელს კოლექტიური უსაფრთხოების სრულიად ახალი სისტემის შექმნით დაგვირგვინდა.⁴

1.1.2 გაეროს სადამფუძნებლო მიზნების გარდაქმნა

განსაკუთრებული ძალაუფლება, რომელიც მუდმივ წევრებს გადაეცათ ხაზს უსვამდა მ5-ის გამორჩეულ პასუხისმგებლობას, თუმცა უშიშროების საბჭოს ექსკლუზიურმა კომპეტენციამ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ასპექტში არაჯანსაღი სახე შეიძინა მ5-ის პოლიტიკის გამო. როგორც აღმოჩნდა, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა და მუდმივი წევრების ვინრო, შიდასახელმწიფოებრივი ინტერესების გატარება საერთაშორისო ურთიერთობათა წამყვანი აქტორების მიერ იდენტურ ცნებებად აღიქმება, რისი დასტურიც არის დიდი ძალის დამოკიდებულება ვებოსადმი. გაერო შეიქმნა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით და არა მ5-ის უსაფრთხოების ექსკლუზიური დაცვისთვის.⁵ დიდი ძალის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა შთაბეჭდილებას ქმნის, რომ უშიშროების საბჭო დასცილდა გაეროს ფუნდამენტურ იდეებს და წესდების პრინციპების საპირისპირო მხარეს გადაიხარა. ამდენად, ეს თავი დაეთმობა ერთი მხრივ უშიშროების საბჭოს პრაქტიკის კვლევას ვებოს კონტექსტში და მეორე მხრივ, გაეროს წესდების ნორმებთან და საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან მისი შესაბამისობის დადგენას.

1.2 ვეტოს გამოყენება, როგორც უშიშროების საბჭოს ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკა

1.2.1 ვეტოს გამოყენების პრაქტიკა რიცხვებში

ერთა ლიგის სტრუქტურა და კენჭისყრის პროცედურა საერთაშორისო საზოგადოების იმედგაცრუების ნათელი მაგალითია. ამ ორგანიზაციის არაეფექტურობამ გაეროს წესდების შემქმნელები წაახალისა, რომ უარი ეთქვათ ძალაუფლების აბსოლუტურად ჰორიზონტალური პრინციპის დანერგვაზე.⁶ თუმცა, გაეროს წესდების მიღებით ახალი პრობლემა აღმოცენდა გლობალური კოლექტიური უსაფრთხოებისთვის, კერძოდ ვეტო. პრობლემა თავისთავად არა გაეროს წესდების 27-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ფორმულირებაა, არამედ უშიშროების საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომელიც ხშირად სამართლიანად იმსახურებს კრიტიკას. თუმცა მანამ, სანამ შემდგომ ქვეთავში უსაფუძვლო ვეტოს სამართლებრივ ნიუანსებზე ვისაუბრებდეთ, მნიშვნელოვანია შევხებით უშიშროების საბჭოში ვეტოს გამოყენების პრაქტიკას. გაეროს უშიშროების საბჭოს ისტორია 249 ვეტოდადებული რეზოლუციის პროექტს იცნობს.⁷ შესაბამისად, რელევანტურია, რომ ნაცვლად თითოეული მათგანის ტექსტის ინდივიდუალურად განხილვისა ზოგადად ვიმსჯელოთ ვეტოს გამოყენების სიხშირესა და მის თეორიულ კლასიფიკაციაზე. ვეტოს უხვად გამოყენებისა და დროის კონკრეტულ მონაკვეთში მათი პრაქტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამ ფორმატში რთულია რომელიმე ვეტოს გამოყოფა, ამდენად, ისტორიულ-ქრონოლოგიური პრინციპის გარდა რეზოლუციათა პროექტების დასაჯგუფებლად გამოვიყენებ თემატურ კლასიფიკაციას.⁸

უშიშროების საბჭომ დღემდე მიიღო 2,436 რეზოლუცია,⁹ საიდანაც მხოლოდ 10.2% დაიბლოკა ვეტოს საშუალებით. ერთი შეხედვით ვეტოდადებული რეზოლუციათა პროექტების პროპორცია შესაძლოა არ ჩანდეს საკმარისად დიდი შემფოთებისთვის, თუმცა მრავალი დაბლოკილი რეზოლუცია ათასობით სიცოცხლის გადარჩენის საქმეში მსოფლიოს მარცხს ასახავს.¹⁰ ეს ქვეთავი მიზნად ისახავს ვეტოს, როგორც უშიშროების საბჭოს ფარ-

თოდ დამკვიდრებული პრაქტიკის ნარმოჩენას. თუმცა, ზოგადად როდესაც ვსაუბრობთ უშიშროების საბჭოს უუნარობის მიზეზებზე მნიშვნელოვანია, რომ არ ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ვეტოდადებული რეზოლუციების პროცენტული მაჩვენებლით, არამედ საჭიროა გამოვიკვლიოთ დაბლოკილი რეზოლუციების მიღმა არსებული მატერიალური შედეგები და ისტორიული კონტექსტი.

1.2.2 ვეტოს კლასიფიკაცია

ყოველი მუდმივი წევრის მიერ გამოყენებული ვეტოს რაოდენობა არის ლაკმუსის ტესტი მთავარი წინააღმდეგობრივი სახელმწიფოების გამოსავლენად.¹¹ მეორე მხრივ, წარდგენილი ვეტოების სიხშირე ნათლად ასახავს ყოველი ათწლეულის გლობალური პოლიტიკის ისტორიულ კონტექსტს. გაეროს ოფიციალური ვებ გვერდი და პატილის წიგნი ვეტოს მთავარი ასპექტების შესახებ იძლევიან დეტალურ ინფორმაციას უშიშროების საბჭოს შეხვედრების ჩანაწერებიდან. უშიშროების საბჭოს ისტორიაში პირველი ვეტო საბჭოთა კავშირმა 1946 წლის 16 თებერვალს გამოიყენა.¹² აღნიშნული ვეტო იყო 1946 წლის 4 თებერვალს ლიბანისა და სირიის დელეგაციების ხელმძღვანელი პირების მიერ გენერალური მდივნისთვის გაგზავნილი წერილის საპასუხო ქმედება. ორივე სახელმწიფო იშველიებდა გაეროს წესდების 34-ე მუხლს და გენერალურ მდივანს მიუთითებდასირიასა და ლიბანში ბრიტანული და ფრანგული ჯარების განლაგებაზე. ორივე სახელმწიფო გამოთქვამდა შემფოთებას 1945 წლის 13 დეკემბრის ფრანკო-ბრიტანული შეთანხმების შინაარსზე, რომელიც მათი აზრით ეწინააღმდეგებოდა გაეროს წესდებს. სირიამ და ლიბანმა მოითხოვეს უშიშროების საბჭოს მიერ რეკომენდაციის გაცემა ფრანკო-ბრიტანული ჯარების მიერ სირიისა და ლიბანის ტერიტორიების დაუყოვნებელი და სრული დატოვება.¹³ საბჭოთა კავშირმა რეზოლუციის პროექტს მხარი არ დაუჭირა პროექტში დაყენებული პრობლემის არსის ბუნდოვანების საფუძვლით. 1946 წლიდან 1955 წლის ჩათვლით საბჭოთა კავშირი ერთადერთი მუდმივი წევრი იყო, რომელიც იყენებდა ვეტოს; აღნიშნული ვეტოები ბლოკავდნენ გაეროში ახალი წევრების მიღებას.¹⁴ მოცემულ პერიოდში საბჭოთა კავშირმა ასევე დაბლოკა არაერთი

რეზოლუციის პროექტი, რომლებიც უკავშირდებოდა პოლიტიკურ შეკითხვებსა თუ სიტუაციებს, მაგალითად- შეკითხვა კორფუს არხის შესახებ.¹⁵ შეკითხვა ბერლინის კედლის შესახებ,¹⁶ ბერძნული საზღვრის ინციდენტები და პალესტინის სიტუაცია.¹⁷ ეს ათწლეული გამოირჩევა ვეტოებით, რომლებიც ეხება ორგანიზაციულ საკითხებსა და გაეროს ოპერაციებს.¹⁸ გვიანი 1950-იანი წლებიდან 1990-იან წლებამდე პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხების შესახებ არაერთი რეზოლუციის პროექტს დაედო ვეტო, მაგალითად: შეკითხვა პალესტინის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ისრაელის მიერ ეგვიპტეში განხორციელებული სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისთვის საჭირო ნაბიჯებს,¹⁹ სიტუაცია სამხრეთ როდეზიაში,²⁰ ბანგლადეშის მიღება გაეროში,²¹ ნამიბიის სიტუაცია.²² მსოფლიო რუკის დიდმა ცვლილებამ 1990-იან წლებში სათავე დაუდო გლობალური პოლიტიკის ახალ ეტაპს, რომელიც ხასიათდება მრავალმხრივი კონფლიქტებითა და კრიზისებით. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლა მრავალი მოვლენითა და საერთაშორისო ურთიერთობებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენით გამოირჩა. ომები ყოფილ იუგოსლავიაში, ე.წ. არაბული ოკუპაცია, კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში, პალესტინის საკითხი, აღმოსავლეთ ევროპული ომები და ტერორიზმი არის ის საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც ვეტო გამოიყენეს.²³ ბუნებრივია, ეს არ არის ვეტოდადებული საკითხების ამომწურავი ჩამონათვალი, თუმცა მხოლოდ ეს სიაც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ვეტო ეს არ არის ფრაგმენტული მოვლენა, არამედ, უშიშროების საბჭოს ფართოდ დადგენილი, სისტემური სახის პრაქტიკაა. ვეტოს კლასიფიკაციას ხშირად ვერ შევხვდებით ვერც დოკუმენტებში და ვერც ლიტერატურაში, თუმცა არსებობენ ცალკეული ავტორები და გაეროს ოფიციალური პირები, რომლებიც იყენებენ ვეტოს სხვადასხვა აღნიშვნას. პატილი გვთავაზობს ვეტოს შემდეგ კატეგორიებად დაყოფას: ღია ან რეალური ვეტო, ფარული ან არაპირდაპირი ვეტო, ხელოვნური ან დაკისრებული ვეტო, მხარდამჭერი ვეტო და ორმაგი ვეტო.²⁴ პატილი არ განმარტავს ღია ან რეალური ვეტოს მნიშვნელობას; რაც შეეხება ფარულ ან არაპირდაპირ ვეტოს ავტორი მაგალითად ასახელებს „ინიციატივას, რომე-

ლიც შეიძლება დაიდლოს კენჭისყრაზე უარყოფითიპოზიციის დაფიქსირების გარეშე, უშიშროების საბჭოს საკმარისი რაოდენობის წევრთა დარწმუნებით, რომ თავი შეიკავონ ან მხარი არ დაუჭირონ მას“.²⁵ გაეროს გენერალურმა მდივანმა დაგ ჰამმარსკიოლდმა გააუქმერა თავისი შემოფოთება 1950-იან წლებში ხელოვნური ან დაწესებული ვეტოების ახლადამოცნებული ტენდენციის შესახებ. მან განაცხადა:

„არსებობს „ხელოვნური“ და „დაწესებული“ ვეტოს პრობლემა, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ ძალის მცდელობას განსაკუთრებული წონა შესძინოს საკუთარ თანხმობას იმ შეკითხვებზე, რომლებიც, ასე ვთქვათ უმრავლესობით უნდა გადაწყდეს“.²⁶

ეგრეთ ნოდებული მხარდამჭერი ვეტო გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც მუდმივი წევრი ბლოკავს რეზოლუციის პროექტს არამუდმივი წევრის სახელით.²⁷ ორმაგი ვეტო მიიჩნევა კენჭისყრის პროცედურის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ ასპექტად.²⁸ ორმაგი ვეტო ოფიციალურად განიმარტება, როგორც „საშუალება, რომლითაც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, ორი თანამიმდევრული ვეტოს გამოყენებით, ბლოკავს არსებითი მნიშვნელობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას“.²⁹ უფრო კონკრეტულად, „პირველი ვეტო ხელს უშლის შეკითხვის პროცედურულ საკითხად მიკუთვნებას, ხოლო მომდევნო ვეტო ბლოკავს თავად საკითხს“.³⁰ ვინაიდან დადგინდა, რომ ვეტო ეს არამხოლოდ ნორმატიული დოქტრინა, არამედ საერთაშორისო სამართლის სამწახარო რეალობაა დროა ვიმსჯელოთ ვეტოს უსაფუძვლოდ გამოყენების მიძიმე შედეგებზე.

1.3 უსაფუძვლო ვეტო, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ბარიერი

1.3.1 უშიშროების საბჭოს შეზღუდვა სამართლით

ერთა ლიგის პერიოდში დამკვიდრებული ხმათა ერთობის ზოგადი წესი არ იყო გლობალური უსაფრთხოების დაცვის ეფექტიანი ინსტრუმენტი. თუმცა, როგორც ცალკეული ავტორები მიიჩნევენ ხმათა ერთობის წესს ვეტოზე ნაკლებ საზიანო ეფექტი გააჩნდა.³¹ თანამშრომლობისა და კონსენსუსის ასპექტები,³² რომლებსაც ეფუძნებოდა ხმათა ერ-

თობის წესი არ აძლევდა სანინალმდეგო პოზიციის მქონე სახელმწიფოს საშუალებას მისი ვალდებულებების შესრულებისაგან შეეზღუდა სხვა ქვეყანა.³³ უშიშროების საბჭოს სისტემაში მხოლოდ სახელმწიფოთა უმცირეს რაოდენობას გააჩნია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ძალაუფლება, თუმცა დაცვის ეფექტურობის ხარისხი მეტად საკამათოა. შესაბამისად, ჩვენ, მსოფლიოს მოსახლეობას, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოებით მოსარგებლებს გვაქვს ლეგიტიმური უფლება, რომ მოვითხოვოთ უშიშროების საბჭოს უუნარობის შეწყვეტა და გაეროს წესდების მიზნისა და ობიექტის შესრულება.

გაეროს წესდების კონსტიტუციური რანგი შესაძლოა საკამათო იყოს,³⁴ თუმცა, არანაირ ეჭვს არ უნდა ბადებდეს საკითხი წესდება იურიდიული დოკუმენტია, თუ არა.³⁵ წესდებაში მოცემული თითოეული დებულება არის სამართლის ნაწილი; სამართლის ნაწილი იმდენად, რამდენადაც ისინი რეგულირდება სამართლით.³⁶ დებულებები იურიდიული ხასიათისაა იმდენად, რამდენადაც ყოველი მათგანი აწესებს განსაზღვრულ სამართლებრივ ვალდებულებას ხელშეკრულების წევრებისთვის; სხვა შემთხვევაში საერთაშორისო სამართალში დათქმის პრინციპი საერთოდ არ იარსებებდა.³⁷ უფრო მეტიც, წესდების დებულებები შესაბამის ორგანოებს გადასცემენ სათანადო ძალაუფლებასა და უნესებენ ვალდებულებებს.³⁸ წესდებაზე დაფუძნებული იურიდიული დებულებების სამართლებრივი ბუნება გულისხმობს, რომ იურიდიული ნორმა მის ადრესატს განსაზღვრული ვალდებულებებით ზღუდავს.³⁹ ამ აზრის მოწინააღმდეგეებმა შესაძლოა ეს განცხადება უშიშროების საბჭოს კონტექსტში არარელევანტურად ჩათვალონ, იმ მიზეზით, რომ საბჭო პოლიტიკური ორგანოა, რომელსაც პოლიტიკური მოქმედების ფართო დისკრეცია გააჩნია.⁴⁰ თუმცა, ისინი სავარაუდოდ იგულისხმებენ უშიშროების საბჭოს დისკრეციის ფარგლების განსაზღვრის სირთულეს. არსებობს რამდენიმე არგუმენტი, რომლებიც ადასტურებს, რომ უშიშროების საბჭოს პოლიტიკური ბუნება არ ათავისუფლებს მას წესდების იურიდიული დებულებების მხოლოდ ძალისგან. პირველი, საბჭოს პოლიტიკური ბუნება რელევანტური შეიძლება იყოს, რო-

დესაც მისი გადაწყვეტილების სამართლებრივ გადახედვაზე ვსაუბრობთ.⁴¹ სიტყვა „პოლიტიკური“ ხაზს უსვამს მხოლოდ ორგანოს სტრუქტურის ბუნებასა და საქმიანობის სფეროს.⁴² განურჩევლად იმისა ორგანო პოლიტიკურია, თუ არა ეს ვერ ცვლის იურიდიული დებულების მხოლოდ ბუნებას. სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობა არ არის დამოკიდებული ორგანოს პოლიტიკურ, თუ სამართლებრივ ბუნებაზე, არამედ-სადამფუძნებლო დოკუმენტის ფორმულირებებსა და მისი ადრესატისთვის დაწესებული ვალდებულებების ფარგლებზე. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს დისკრეციას, არც ეს გახლავთ შეუზღუდავი; „მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ფართოა მისი ძალაუფლება კონსტიტუციის ფარგლებში, უშიშროების საბჭო მაინც ექვემდებარება გარკვეულ კონსტიტუციურ შეზღუდვებს“.⁴³ დისკრეცია ზოგადად არ გულისხმობს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღებას, არამედ, ეს არის გადაცემული უფლების ფარგლებში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება.⁴⁴ დისკრეცია უნდა გავიგოთ, როგორც განსაზღვრული უფლების ფარგლებში შესაძლებლობათა განხორციელება. ამდენად, უშიშროების საბჭოს დისკრეცია არ გულისხმობს, რომ საბჭო არ არის შეზღუდული წესდებაში არსებული სამართლებრივი ნორმებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დასკვნის სახით გამომდინარეობს, რომ უშიშროების საბჭოს პოლიტიკური ბუნებისა და დისკრეციის ფარგლების მიუხედავად, ორგანო შეზღუდულია წესდებით, მათ შორის, 27-ე მუხლით.⁴⁵

1.3.2 ვეტოს სამართლებრივი დასაბუთება

წესდების იურიდიული ნორმების მხოლოდ ბუნება თვალნათელია, თუმცა შედარებით ბუნდოვანია მოითხოვს თუ არა ვეტოს გამოყენება რაიმე სახის დასაბუთებას და უფრო კონკრეტულად, სამართლებრივ დასაბუთებას. გაეროს წესდების 27-ე მუხლი არ არის იმდენად კონკრეტული, რომ ამბობდეს მუხლის გამოყენების ფარგლებს, საკუთარ მიზნებსა და შეზღუდვის მოთხოვნებს. 1940-იანი წლებში გამოცემული კომენტარებიც კი დუმან ზემოხსენებულ არსებით ასპექტებთან და 27-ე მუხლის, როგორც პროცედურული ნორმის, კონტექსტთან დაკავშირებით.⁴⁶ უფრო მეტიც, ვეტოს გამოყენებასთან დაკავშირე-

ბული, არადა მფინანსებელი მთავრობების მე-სამე ქვეკომიტეტის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხები გაცემულია იმდაგვარად, რომ არსებით საკითხებს კვლავ არ მოეფინა ნათელი.⁴⁷ სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფოები აჟღერებდნენ მონოდეტებს უფლებამოსილების გადაჭარბების გარეშე ვეტოს გამოყენებისა და გაეროს დემოკრატიზაციის შეფერხებისგან თავის შეკავების შესახებ.⁴⁸ სახელმწიფოთა ეს მოსაზრებები უფრო მეტად მორალურ-ეთიკურ საკითხებს ეფუძნება და მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას, რაც ნაკლებდამაჯერებელს ხდის ამ კონკრეტულ პოზიციას გაეროს წესდების კონტექსტში. 27-ე მუხლი განსაზღვრავს კენჭისყრის პროცედურას, მაგრამ მუხლი თავისი ბუნებით არ არის პროცედურული. 24-ე მუხლი ადგენს უშიშროების საბჭოს მთავარ ვალდებულებას, რომ დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება, რაც, თავის მხრივ, წესდების პირველი მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით გაეროს მიზანია. 24-ე მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულების გზა არის გადანყვეტილების მიღება კენჭისყრის პროცედურით, შესაბამისად 27-ე მუხლი წესდების მიზნისა და ობიექტის განხორციელების პრაქტიკული მექანიზმია. ამდენად, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, რომ რეზოლუციის პროექტთან დაკავშირებული კენჭისყრისას მისი მხარდაჭერის ან წინააღმდეგის პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინონ სამართლებრივი დასაბუთება. კენჭისყრა გარკვეული პოზიციის ფორმალური დაფიქსირებაა,⁴⁹ ამდენად მხარდამჭერი ან წინააღმდეგის ხმა განყენებულად ვერ იქნება თავსებადი ან წინააღმდეგობაში მიზანთან და ობიექტთან. მხოლოდ სამართლებრივი დასაბუთების შესწავლა არის შესაძლებელი წესდების მიზანთან და ობიექტთან თავსებადობის ასპექტში. მიზანი და ობიექტი სამართლებრივი კატეგორიებია და წესდებიდან გამომდინარე ნებისმიერი ქმედება, რომელიც უზრუნველყოფს მათ პრაქტიკულ განხორციელებას, საჭიროებს სათანადო, დასაბუთებულ სამართლებრივ ახსნას. ანალოგიური პრინციპი მოქმედებს დათქმებთან მიმართებითაც, როდესაც მათზე დათანხმება ან მათი უარყოფა ავტომატურად არ ხდება; არამედ, მიზანთან და ობიექტთან კავშირის დასადგენად დათქმის ფორმულირე-

ბას ფრთხილად ვიკვლევთ.⁵⁰ იგივე მიდგომა გამოიყენება 27-ე მუხლთან მიმართებითაც და კენჭისყრის დროს მიცემული ნებისმიერი ხმის გაეროს წესდების მიზანთან და ობიექტთან თავსებადობაც დეტალურად უნდა იყოს გამოკვლეული.

რეზოლუციის პროექტთან დაკავშირებული კენჭისყრის დროს მომხრის ან წინააღმდეგის პოზიციის დაფიქსირებისას სამართლებრივი დასაბუთების წარდგენა პირველი ეტაპია, რომელსაც მოსდევს საფუძვლიანობის ტესტი. ვეტოს საფუძვლიანობის შესამოწმებლად აუცილებელი სტანდარტი (იდენტური სტანდარტი გამოიყენება მომხრეს ხმის დაფიქსირების დროსაც) ძალიან მარტივია: გაეროს წესდების მიზანთან და ობიექტთან შესაბამისობა. ვეტოს ახსნისთვის მოხმობილი სამართლებრივი არგუმენტის ვალიდურობა მისი წესდების პირველ მუხლთან შესაბამისობის გამოკვლევის შემდგომ უნდა დადგინდეს. მიზანთან და ობიექტთან შესაბამისობა თავის მხრივ, სამართლებრივი დასაბუთების განმარტების გზით ხერხდება.

1.3.3 ვეტოს გამოყენების მახასიათებლები

ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით გაჩაღებული პოლიტიკური პინგ-პონგი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გაეროს განუყოფელი ნაწილი გახლდათ. ეს პერიოდი გამოირჩევა არაერთი საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ვეტოთი. მიუხედავად ავსტრიის მიმართ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მოტივაციისა საბჭოთა კავშირის ვეტო, მისი სამართლებრივი დასაბუთებულობის თვალსაზრისით, ნამდვილად საინტერესოა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ავსტრიის ოკუპაცია ქვეყნის დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ მიკუთვნებისათვის ბარიერია, შესაბამისად ქვეყნის მიღება გაეროში შეუძლებელია.⁵¹ თუმცა, 1949 წელს ამ დასაბუთებას არანაირი საერთო არ აქვს სამართლებრივ ლოგიკასთან. იტალიის, ფინეთის, ირლანდიის, ავსტრიისა და ცვილონის წევრად მიღების დაბლოკვის შემდეგ საბჭოთა დელეგატმა განაცხადა, რომ არ დაექვემდებარებოდა დასავლეთის დისკრიმინაციულ პოლიტიკას ალბანეთის, რუმინეთის, მონღოლეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის წევრობის საკითხზე.⁵² 1980-იან წლებში შეერთებულმა შტატებმა ვეტო დაადო ნიკარაგუაში

არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებულ რეზოლუციებს და ორ მათგანზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით საინტერესოა გამოყენებული ფორმულირებების გამო. გენერალური მდივნის მიერ წარდგენილი წერილის საპასუხოდ აშშ-ის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ რეზოლუციის პროექტში ნახსენები პრობლემები ბუნდოვანია და ადეკვატურად არ აღწერს რეალობას.⁵³ ეს ახსნა დაშორებული კანონიერებას და გამოყენებულ წინადადებებში არ ჩანს არანაირი მინიშნება გაეროს მიზანსა და ობიექტზე. ამისგან განსხვავებით, იმავე საკითხზე 1984 წელს წარდგენილ ვეტოში აღნიშნულია, რომ რეზოლუციის პროექტი ვერ უზრუნველყოფს რეგიონში მშვიდობის დადგენასა და შენარჩუნებას. განურჩევლად წინადადების ფაქტობრივი სისწორისა, თავად დასაბუთება სამართლებრივია და ყურადღება გამახვილებულია მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე.⁵⁴ სირიის კრიზისთან დაკავშირებული ვეტოები ასევე მნიშვნელოვანია მათში გამოყენებული წინადადებების გამო. რუსეთმა და ჩინეთმა დაბლოკეს ყველა რეზოლუციის პროექტების მიღება, თუმცა მათი ყველა ვეტო არ არის სამართლებრივად დასაბუთებული. ერთი მხრივ სახელმწიფოები იშველიებდნენ სუვერენული თანასწორობის პრინციპსა და დავის მშვიდობიან გადაწყვეტას,⁵⁵ მეორე მხრივ მონინაალმდევე სახელმწიფოები ბლოკავდნენ რეზოლუციის პროექტებს რეალობის არაადეკვატური ასახვისა და ე.წ. მიკერძოებული მიდგომის საფუძველით.⁵⁶

მაკედონიაში მშვიდობისმყოფელთა ოპერაციის ვადის გახანგრძლივების საკითხზე ჩინეთის ვეტო ასევე ძალიან საკამათოა და გამოიწვია არაერთი შეკითხვა მის კანონიერებასთან დაკავშირებით. მშვიდობის მყოფელთა ოპერაციის გახანგრძლივებაზე უარი, მაშინ, როდესაც თავად მასპინძელი სახელმწიფო ითხოვს ამას მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლიანობას და აჩენს კითხვის ნიშნებს ვეტოს ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით.⁵⁷ ისეთი სამართლებრივი არგუმენტის მოხმობა, რომელიც მითითებას აკეთებს წესდების მიზანსა და ობიექტზე არ არის თავისთავად საკმარისი საფუძველი ვეტოს საფუძვლიანად მიჩნევისათვის. სამართლებრივი არგუმენტაციის თანამიმდევრულობა და ფაქტობრივი გარემოებების ადეკვატური

შეფასება არის ის ორი ძირითადი მახასიათებელი, რომლებსაც ასევე განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ. არ არსებობს წინასწარ დადგენილი სტანდარტი ვეტოს საფუძვლიანობის განსაზღვრისთვის გარდა დასაბუთების კანონიერებისა და არგუმენტაციის თავსებადობისა გაეროს წესდების მიზანთან და ობიექტთან.

1.3.4 შეუზღუდავი ვეტო და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

უსაფუძვლო ვეტო საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ბარიერია და არსებობს შეზღუდვები, რომლებსაც უშიშროების საბჭოს ყველა წევრი უნდა დაემორჩილოს. თუ ჩავთვლით, რომ 27-ე მუხლს არ გააჩნია ფარგლები, ამ შემთხვევაში ჩვენ უგულვებელყოფთ წესდების მიზნისა და ობიექტის მნიშვნელობას. შეუზღუდავი ვეტოს პრეზუმცია გამორიცხავს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას. თუ საფუძვლიანობის სტანდარტი არ იარსებებს ნორმატიულ დონეზეც კი შეუძლებელი იქნება გაეროს მიზნების შესრულება. ეს განმარტება ის აუცილებელი მინიმუმია, რომელიც საჭიროა იურიდიული ნორმისთვის პრაქტიკული ეფექტის მისანიჭებლად.⁵⁸ მოქმედების ძალაუფლების მინიჭება არ გულისხმობს ნორმის აღჭურვას მაქსიმალური ეფექტის შესაძლებლობით,⁵⁹ არამედ, მის დაცვას ბათილობისგან/ სამართლებრივი ძალის არქონისგან.

უსაფუძვლო ვეტო ასევე უნდა შეფასდეს, როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. კონცეფცია *abus de droit* ფართოდ აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მბოჭავ ნორმად.⁶⁰ კონცეფცია მიუთითებს ისეთ სიტუაციებზე, სადაც უფლება ფორმალურად ხორციელდება იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც უფლებალმჭურველ ნორმაშია განსაზღვრული, მაგრამ დგება ნორმის ობიექტის საწინააღმდეგო შედეგი.⁶¹ შესაბამისად, კონკრეტული ქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი წინაპირობაა ქმედების შედეგების გამართლებისათვის. უშიშროების საბჭოს ყოველი მუდმივი წევრი ბოროტად იყენებს საკუთარ უფლებამოსილებას საკუთარი უფლების იმდაგვარი რეალიზებისას, რომელიც არამუდმივ წევრებს უზღუდავს

მათი უფლების გამოყენებას.⁶²მათი უფლებების განხორციელება კეთილი მიზნის გარეშე, თვითნებურად და გონივრულობის ფარგლებს მიღმა, გამორიცხავს აქტის კანონიერებას.⁶³მუდმივ წევრებს გააჩნიათ საკუთარი პასუხისმგებლობების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება;⁶⁴ ეს ვალდებულება, მათ შორის, მოიცავს 24-ე და 27-ე მუხლებსაც. ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრინციპი კეთილსინდისიერების პრინციპის დამატებაა: ის აწესებს თამასას, სადაც კეთილსინდისიერების ნაკლებობით ირღვევა საერთაშორისო სამართალი პასუხისმგებლობის თანამდევნი შედეგებით.⁶⁵

1.4 უსაფუძვლო ვეტო, როგორც გაეროს წესდების 24-ე მუხლის დარღვევა

უსაფუძვლო ვეტო არ აზიანებს მხოლოდ გაეროს მიზანსა და ობიექტს, არამედ ის არღვევს სუვერენული თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს.⁶⁶ თუ წესდების შემდგენელთა გულწრფელობას ვენდობით, მუდმივი წევრობა შემუშავდა უშიშროების საბჭოს ეფექტურობისა და გადანაცვლებების მიღების პროცედურის მოქნილობის უზრუნველსაყოფად.⁶⁷ ხმათა ერთობის პრინციპის უპირატესობები ერთა ლიგის უუნარობამ გადაფარა; ხოლო, გადანაცვლებების მიღების ვერტიკალური პრინციპი იმედგაცრუებული საერთაშორისო საზოგადოებისთვის შვების მომგვრელი უნდა ყოფილიყო, თუმცა, როგორც წინა ქვეთავებში გამოიკვეთა, ვეტოს ძალაუფლებამ ახალი სადარდებელი გააჩინა. თუ დავუშვებთ გაეროს წესდების დებულებების კატეგორიზაციას პირველ და მეორეხარისხოვან ნორმებად, ამ შემთხვევაში, სუვერენული თანასწორობის პრინციპი უნდა მივიჩნიოთ წესდების მთავარ მამოძრავებლად. ამდენად, მნიშვნელოვანია დავადგინოთ, თუ როგორ არღვევს უსაფუძვლო ვეტო სუვერენულ თანასწორობას.

სუვერენული თანასწორობა საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს საყოველთაოდ აღიარებული ორი მახასიათებლის ერთობლიობაა – სახელმწიფოს სუვერენულობისა და სახელმწიფოთა თანასწორობის.⁶⁸ თანასწორობა სუვერენულობისგან გამომდინარეობს,⁶⁹ თუმცა მხოლოდ მათი სინთეზი ქმნის საერთაშორისო სამართლის ამ უნიკალურ კონცეფციას. სუვერენულობა და თა-

ნასწორობა ტერმინის ნეგატიურ და პოზიტიურ ასპექტებად უნდა მივიჩნიოთ. სიტყვა სუვერენულობა აღნიშნავს სახელმწიფოს ავტორიტეტს, დამოუკიდებლად მართოს საკუთარი თავი სხვა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.⁷⁰ ხოლო, თანასწორობა გულისხმობს თანასწორობის მდგომარეობას,⁷¹ სახელმწიფოს უფლებას სხვა სახელმწიფოებმა მიიჩნიონ თანასწორ პარტნიორად და საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების თანასწორ წევრობას. სუვერენული თანასწორობის პრინციპი უპირისპირდება არსებითი მნიშვნელობის ძალთა დისბალანსს საერთაშორისო არენაზე.⁷² არაერთი ამ მოსაზრებათაგან აისახა დოკუმენტში სახელწოდებით „გაეროს წესდების შესაბამისად სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის დეკლარაცია“.⁷³ დოკუმენტმა განამტკიცა გაეროს სულისკვეთება და განსაზღვრა ორგანიზაციის ვექტორები.

სუვერენულ თანასწორობას რამდენიმე განხრა აქვს, ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია სახელმწიფოს თანხმობასთან, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპთან.⁷⁴ ავტორების ნაწილი აკრიტიკებს სახელმწიფოს თანხმობის კონცეფციას ნორმის ფორმირების პროცესთან დაკავშირებული ნიუანსების გამო,⁷⁵ თუმცა, თანხმობა საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩართულობის ერთადერთი ოპერაციული/მამოძრავებელი მექანიზმია და ნებისმიერი წესის საერთაშორისო სამართლის ნორმად აღიარების გარდაუვალი ეტაპია.⁷⁶ სახელმწიფოს თანხმობა ეს არის სუვერენული სახელმწიფოს სურვილის გამოხატვა შეიბოჭოს ან არ შეიბოჭოს თავი კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულებით.⁷⁷ სუვერენიტეტის თვით-შეზღუდვა გლობალური საერთაშორისო ურთიერთობის, განსაკუთრებით კი ევროპის რეგიონალური მმართველობის განუყოფელი ნაწილი გახდა. სუვერენიტეტის თვითშეზღუდვა ლოგიკურად განპირობებული უნდა იყოს შესაბამისი სარგებლის მიღების მოლოდინით. რამდენადაც შეხვედრების ჩანაწერებიდან გახდა ცნობილი,⁷⁸ ვეტოს იდეის მიმართ არ არსებობდა საბჭოს არამუდმივ წევრთა კეთილგანწყობა. თუმცა, როგორც ნებაყოფლობითი პოლიტიკური კომპრომისის ან დიდი ძალისადმი სა-

ვალდებულო მორჩილების შედეგი, წესდების ფორმულირებებთან დაკავშირებით შედგა შეთანხმება. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ექსკლუზიურად გადაცემული ძალაუფლება არ არის უშიშროების საბჭოს ცალმხრივი პრივილეგია, არამედ ეს არის ორმხრივი ურთიერთვალდებულება ორგანოსა და გაეროს ყოველ წევრს შორის. გაეროს წესდების 24-ე და 25-ე მუხლები დამოუკიდებელი იურიდიული დებულებებია, კერძოდ, ნორმები ადგენენ ერთობლივ უფლებებსა და ურთიერთვალდებულებებს უშიშროების საბჭოსა და გაეროს წევრებს შორის. 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწრაფ და ეფექტურ ქმედებათა უზრუნველსაყოფად მისი წევრები აკისრებენ უშიშროების საბჭოს ძირითად პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდასაჭერად და თანხმდებიან იმაზე, რომ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მისივალდებულებების შესრულებისას უშიშროების საბჭო მათი სახელით მოქმედებს“.

25-ე მუხლი ადგენს, რომ: „ორგანიზაციის წევრები თანხმდებიან, წინამდებარე წესდების შესაბამისად, დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი“. აღნიშნული ფორმულირებები სუვერენიტეტის თვითშეზღუდვის ნათელი განსახიერებაა, როდესაც სახელმწიფოები უშიშროების საბჭოს აღჭურავენ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ექსკლუზიური ძალაუფლებით და სახელმწიფოებს აქვთ გადაცემული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მოლოდინი. როგორც 24-ე მუხლი ადგენს, უშიშროების საბჭო ფლობს არა უფლებას, არამედ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის ვალდებულებას. ამდენად, ნებისმიერი უსაფუძვლო ვეტო არღვევს 24-ე მუხლის მიზანს და ზიანს აყენებს გაეროს წევრების სუვერენულ თანასწორობას. არსებობს სუვერენულობის ოთხი ვალდებულება, რომლებიც კავშირშია ზემოაღნიშნულ უფლებებთან: სხვა სახელმწიფოთა და სახელმწიფოს წარმომადგენელთა იმუნიტეტი სხვა მართლმსაჯულების წინაშე; საერთაშორისო სამართლის პატივისცემა და თანამშრომლობის ვალდებულება; ჩარევის აკრძალვა; დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის ვალდებულებ

ბა.⁷⁹ გაეროს საერთაშორისო სამართლებრივ პერსონალურობაზე ზიანის მიუყენებლად, ყოველი მუდმივი წევრი, რომელიც იყენებს უსაფუძვლო ვეტოს უნდა მიეცეს პასუხისმგებლობაში საერთაშორისო სამართლის დარღვევისთვის. სუვერენულ თანასწორობას ფართო მორალური და პოლიტიკური კრიტიკა ახლავს,⁸⁰ თუმცა ეს სექცია მიზნად ისახავდა მხოლოდ პრინციპის დარღვევის იდენტიფიცირებას უსაფუძვლო ვეტოს კონტექსტში.

2. პირობა შეზღუდვა

2.1. ვეტოს პრაქტიკული ეფექტის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი

წინა თავმა ნათელი მოჰყვინა უსაფუძვლო ვეტოს, როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მაგალითის დეტალებს; მაგრამ რა შედეგი მოჰყვება დარღვევას? როგორც უკვე გამოჩნდა, უსაფუძვლო ვეტოს გამოყენება მოკლებულია კეთილსინდისიერებას, უფრო მეტიც, ეს არის ღიად ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რომელიც მიზნად ისახავს ერთადერთს, გამოკვეთილად ავნოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ინტერესს. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას შესაძლოა მოჰყვეს საერთაშორისო პასუხისმგებლობა, როდესაც ერთი სახელმწიფოს ქმედებები ზიანს აყენებს სხვა სახელმწიფოს ინტერესებს.⁸¹ სულ მცირე სირიის კრიზისი აჩვენებს, რომ რუსეთის ფედერაცია და სირიის დე იურე მთავრობა ალიანსში არიან, რაც გამორიცხავს სირიის ამჟამინდელი მთავრობის მიერ რუსეთის ფედერაციის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში „წარდგენას“. ეს გახლავთ უფლებამოსილების გადამეტების კონცეფციის ქმედითობის ერთ-ერთი ხარვეზი უსაფუძვლო ვეტოს კონტექსტში. ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ზოგადად შესაძლოა მოყვეს კომპენსაციის დაკისრება,⁸² თუმცა ამის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა უსაფუძვლო ვეტოს კონტექსტში საკმაოდ საკამათოა. მ5-ის მიერ ჩამოყალიბებული უსაფუძვლო ვეტოს გამოყენების პრაქტიკა არ არის იმის მიმანიშნებელი, რომ მუდმივი წევრები დაეთანხმებიან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობას უსაფუძვლო ვეტოსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრობლემა არასაკმარის სამართლებრივ საფუძვლებს არ უკავშირდება, არამედ ის განპირობებულია მ5-ის საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის ქმედითი ასპექტების ნაკლებობით. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 377 (V) – „გაერთიანება მშვიდობისთვის“ გაერომ გენერალურ ასამბლეაზე 1950 წლის 3 ნოემბერს მიიღო 52 ხმით ხუთის წინააღმდეგ, ხოლო ორმა სახელმწიფომ თავი შეიკავა ხმის მიცემისგან.⁸³ რეზოლუციის მიღებაიყო პასუხი საბჭოთა სტრატეგიაზე, რომელიც ბლოკავდა კორეის რესპუბლიკის წინააღმდეგ კორეის დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ძალების მიერ წარმოებული აგრესიისგან დასაცავად უშიშროების საბჭოს მიერ გამოსაყენებელი შესაბამისი დაცვის საშუალებების განსაზღვრას.⁸⁴ რეზოლუციის საკვანძო კონცეპტუალური ასპექტია გენერალური ასამბლეის ნახალისება, რომ დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება, როდესაც უშიშროების საბჭო ვერ გაართმევს ამას თავს:

რეზოლუცია განსაზღვრავს, რომ თუ უშიშროების საბჭო, მუდმივ წევრთა ხმათა ერთიანობის არარსებობის გამო, ვერ გაართმევს თავს საკუთარი მთავარი ვალდებულების განხორციელებას – საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას ნებისმიერ შემთხვევაში, სადაც წარმოიშვება მშვიდობის საფრთხე, დაირღვევა მშვიდობა ან მოხდება აგრესიის აქტი, გენერალურმა ასამბლეამ დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს საკითხი წევრებისათვის კოლექტიურ მექანიზმებთან დაკავშირებული სათანადო რეკომენდაციების გაცემის შესახებ. ხოლო, მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის, მშვიდობის დარღვევის ან აგრესიის ატის ჩადენის შემთხვევაში, მათ შორის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენის მიზნით შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.⁸⁵

რეზოლუციის უმთავრესი მიღწევაა უშიშროების საბჭოს მშვიდობის დაცვის მექანიზმებისთვის გვერდის ავლა, მას შემდეგ, რაც ორგანო ვერ შეასრულებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებას. რეზოლუციების განსაკუთრებული ნიუანსია 377 რეზოლუციის საფუძველზე საერთაშორისო მშვიდობის აღდგენის მიზნით იძულების მექანიზმების გამოყენება.

კორეის შემთხვევა იყო ისტორიაში პირველი, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ რეკომენდაცია გასცა იძულების მექანიზმების გამოყენებაზე.⁸⁶ სუეცის არხის კრიზისის დროს გენერალურმა ასამბლეამ თხოვნით მიმართა გენერალურ მდივანს მშვიდობისმყოფელთა ძალის დაფუძნების შესახებ.⁸⁷ გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, რომ „სამხრეთ აფრიკის მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის შექმნილი საფრთხის გამო დაუწესდეს ამ ქვეყანას სრულყოფილი სავალდებულო სანქციები, ნესდების დებულებების შესაბამისად“.⁸⁸

„გაერთიანება მშვიდობისთვის“ კონცეფციის შესახებ მნიშვნელოვანი შეხედულებები წარმოადგინა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ე.წ. კედლის შესახებ საკონსულტაციო მოსაზრებაში. გენერალური ასამბლეის პრაქტიკა, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხზე გასცეს რეკომენდაციები, მაშინაც კი, თუ საკითხი უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში რჩება, ჩაითვალა გაეროს წესდების მე-12 მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად.⁸⁹ თუმცა, აღნიშნული მოსაზრება ტოვებს საკმარის სივრცეს „გაერთიანება მშვიდობისთვის“ კონცეფციის კრიტიკისათვის, უმეტესად კი იმის გამო, რომ სასამართლომ არ იმსჯელა თავად კონცეფციის ზოგად საფუძვლიანობაზე. ტომუშატი „გაერთიანება მშვიდობისთვის“ კონცეფციის ხარვეზს თავად გაეროს გენერალური ასამბლეის 377 (V) რეზოლუციის შიგნით ნახულობს, იძულების მექანიზმებთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემის ნაწილში.⁹⁰ ჰაილბრონერი და კლანი მისგან განსხვავებით „აღსრულების ქმედებებს“ განსაზღვრავენ მათი მბოჭავი ბუნების მიხედვით და ადგენენ, რომ გენერალური ასამბლეა არ არის შეზღუდული იძულების მექანიზმების რეკომენდაციისგან.⁹¹ ტომუშატის ნაშრომის აკადემიური ღირებულებისთვის ჩრდილის მიუყენებლად ხაზი უნდა გაესვას ერთ ასპექტს: რეზოლუციების მიღების ფართო პრაქტიკა, მათ შორის, იძულების მექანიზმების გამოყენების შესახებ რეკომენდაციის გაცემით,⁹² რომელიც დაფუძნებულია „გაერთიანება მშვიდობისთვის“ კონცეფციაზე, ხაზს უსვამს სახელმწიფოების მიერ 377-ე რეზოლუციის სამართლებრივი ღირებულების გაზიარებას.⁹³

მართლმსაჯულების საერთაშორისო სამართლომ თავის საკონსულტაციო დასკვნაში შემოგვთავაზა ფართო მსჯელობა გაეროს ორგანოების მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსრულების მიზნით იძულების ქმედებების მოთხოვნის ფარგლების შესახებ:

გადაცემული ვალდებულება „ძირითადია“, თუმცა არა ექსკლუზიური. ეს ძირითადი ვალდებულება გადაცემულია უშიშროების საბჭოსთვის, როგორც ეს 24-ე მუხლშია განსაზღვრული „სწრაფი და ეფექტური მოქმედების უზრუნველსაყოფად“. ამ თვალსაზრისით, სწორედ უშიშროების საბჭოს აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, რომ დაადგინოს თავსებადობის მკაფიო ვალდებულებები, მაგალითად, ის გამოსცემს ბრძანებას ან ორდერს აგრესორის მიმართ მე-7 თავის ფარგლებში. მხოლოდ უშიშროების საბჭოს შეუძლია მოითხოვოს აღსრულება აგრესორის წინააღმდეგ იძულების მოქმედებით.⁹⁴

ვეტოს შეზღუდვის პრაქტიკული გავლენა უნდა გავიგოთ, როგორც ნებისმიერი მექანიზმი, რომელიც უსაფუძვლო ვეტოს არ მისცემს გაეროს მიზნისა და ობიექტის დაზიანების შესაძლებლობას. გაეროს წესდება არ ამბობს, რომ მისი მიზანი და ობიექტი უშიშროების საბჭოს მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაა, არამედ ორგანიზაციის მიერ მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა გლობალურად. ბუნებრივია 24-ე მუხლი ადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას უშიშროების საბჭოს ძირითად ვალდებულებად, თუმცა, როგორც აღინიშნა, ძირითადი არ გულისხმობს ექსკლუზიურს. უშიშროების საბჭოსთვის ორგანიზაციის ძირითადი ვალდებულების დაცვის გადაცემა, როგორც წინა თავში ითქვა, განპირობებული იყო ორგანიზაციის ეფექტიანობის მოტივით. შესაბამისად, ერთი ორგანოს მარცხი მიზნისა და ობიექტის შესრულებისას არ იწვევს სხვა ორგანოსთვის მარცხის ვალდებულებას.

წესდების მე-14 მუხლი უნდა ჩაითვალოს „გაერთიანება მშვიდობისთვის“ რეზოლუციის მიღების სამართლებრივ საფუძვლად; თუმცა, მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობით არის შეზღუდული მუხლი ტექსტური ინტერპრეტაციით. მე-10 მუხლი ასევე შეიძლება მივიჩნიოთ კონცეფციის გამოყენების სამართლებრივ სა-

ფუძვლად, თუმცა ნორმა საკმაოდ ზოგადია და მოიცავს გენერალური ასამბლეის ფართო კომპეტენციას, რომ განიხილოს წესდებიდან გამომდინარე ნებისმიერი კითხვა ან საკითხი. მე-11 მუხლის პირველი პარაგრაფი სპეციფიურად აღნიშნავს გენერალური ასამბლეის კომპეტენციას განიხილოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებასთან კავშირში მყოფი საკითხები. აღნიშნული მუხლი გახლავთ კონცეფციის გამოყენებისთვის ყველაზე თვალსაჩინო სამართლებრივი წინაპირობა და მუხლის მეორე პარაგრაფში განერილი შეზღუდვები ზოგადად არ უნდა გახდეს გენერალური ასამბლეის დამაბრკოლებელი რეკომენდაციის გაცემის თვალსაზრისით.

დასკვნა

სტატიაში აღინიშნა, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების მხრიდან უსაფუძვლო ვეტოს გამოყენების შეუზღუდავი ძალაუფლება ასუსტებს გაეროს მხრიდან საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, უსაფუძვლო ვეტო ზიანს აყენებს წესდების 24-ე მუხლის სულისკვეთებასა და ლახავს სუვერენული თანასწორობის პრინციპს. მოცემული ნაშრომიმხარს უჭერს ვეტოს პრაქტიკული ეფექტის შეზღუდვის კანონიერების იდეას. სტატიის მიზანი გახლდათ სამართლებრივი საფუძვლებისა და პრაქტიკული შესაძლებლობების შედეგების ჩვენება ვეტოს შეზღუდვის ასპექტში. ვეტოს კონცეფცია სხვადასხვა კუთხით იყო განხილული; ვეტოს ნორმატიული, ისევე, როგორც პრაქტიკული ასპექტები იყო გამოკვლეული არსებული პრაქტიკის ქრილში.

ვეტოები, რომლებიც არ იძლევიან სამართლებრივ დასაბუთებას და ეწინააღმდეგებიან წესდების მიზანსა და ობიექტს ხვდებიან უსაფუძვლო ვეტოს კლასიფიკაციაში. ამ სტატიის მთავარი იდეა იყო უსაფუძვლო ვეტოს გამოყენებით წესდების მუხლებისა და საერთაშორისო სამართლის მრავალი პრინციპის დარღვევის დემონსტრირება. არსებობს საკმარისი თეორიული საფუძველი უსაფუძვლო ვეტოს გამოყენების შემთხვევაში მ5-ის პასუხისმგებლობის, თუმცა როგორც ვაჩვენე მ5-ის პასუხისმგებლობა მიუღწეველი მიზანია. ამდენად, ნაშრომში ხაზგასმულია ვეტოს პრაქტიკული ეფექტის შეზღუდვის ის

იდებები, რომლებიც უფრო მეტად ქმედითი და რეალისტურია. უშიშროების საბჭოს ამჟამინდელი პრაქტიკა არ იძლევა უკეთესი, უფრო მშვიდობიანი მომავლის იმედს, ამდენად გენერალური ასამბლეის პასუხისმგებ-

ლობაა, რომ გადადგას ნაბიჯები ერთი მხრივ სტატუს-კვოს შესაცვლელად, ხოლო, მეორე მხრივ უშიშროების საბჭოს მოქმედებებისა და გაეროს მიზნისა და ობიექტის დასაახლო-ვებლად.

-
- * თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. ავტორი მადლობას უხდის ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას პროფესორ ქეთევან ხუციშვილის ხელმძღვანელობით და ამ სტატიაზე მუშაობისას განეული დახმარებისათვის-პროფესორ ანდრე დე ჰუსს. ეს სტატია არის ავტორის სამაგისტრო ნაშრომის (გრონიგენის უნივერსიტეტი) გადაკეთებული ვერსია.
- 1 Declaration of Principles, known as the Atlantic Charter, by the Prime Minister of the United Kingdom and the President of the United States of America, made public on August 14th, 1941 (Adopted 14 August 1941) 204 LNTS 384 principle 6.
 - 2 Cot P.J. *United Nations, Reform* (2010) MPEPIL, ხელმისაწვდომია <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e543?rskey=xxozjU&result=3&prd=EPIL>> ბოლოს ნანახია 28 ივნისს 2017, სექცია 6.
 - 3 Felix A, *Tehran Conference(1943)*, (2009) MPEPIL, ხელმისაწვდომია: <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e416?rskey=f6otRt&result=26&prd=EPIL>> ბოლოს ნანახია 28 ივნისს 2017, სექცია 8.
 - 4 Frowein J.A. *United Nations (UN)* (2013) MPEPIL, ხელმისაწვდომია:<<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e537?rskey=f6otRt&result=25&prd=EPIL>> ბოლოს ნანახია 28 ივნისი 2017, სექცია 2.
 - 5 Charter of the United Nations (Adopted 26 June 1945, entered into force 24 October 1945) ხელმისაწვდომია< <http://www.un.org/en/sections/un-charter/chapter-i/index.html> >ბოლოს ნანახია 28 ივნისს 2017 მუხლი 1(1).
 - 6 Wood M. *United Nations, Security Council* (2007) MPEPIL, ხელმისაწვდომია: <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e561?rskey=2iJeBY&result=9&prd=EPIL>>ბოლოს ნანახია 3 ივლისს 2017, სექცია 5-8.
 - 7 UN Documentation Research Guide, 'Security Council – Veto List' ხელმისაწვდომია: <<http://research.un.org/en/docs/sc/quick>> ბოლოს ნანახია, 29 სექტემბერი 2018.
 - 8 Patil A.V.(1992)*The UN Veto in World Affairs 1946-1990: A Complete Record and Case Histories of the Security Council's Veto* (First published by Unifo Publishers, Mansell Publishing Limited 1992) vii-ix.
 - 9 Resolutions adopted by the Security Council ხელმისაწვდომია <<http://www.un.org/en/sc/documents/resolutions/2018.shtml>> ბოლოს ნანახია 27 სექტემბერს 2018.
 - 10 UNSC Draft Res 315 (12 April 2017) UN Doc S/2017/315; UNSC Draft Res 172 (28 February 2017) UN Doc S/2017/172; UNSC Draft Res 1026 (5 December 2016) UN Doc S/2016/1026; UNSC Draft Res 846 (8 October 2016) UN Doc S/2016/846; UNSC Draft Res 348 (22 May 2014) UN Doc S/2014/348; UNSC Draft Res 538 (19 July 2012) UN Doc S/2012/538; UNSC Draft Res 77 (4 February 2012) UN Doc S/2012/77; UNSC Draft Res 612 (4 October 2011) UN Doc S/2011/612; Security Council Report, Veto ხელმისაწვდომია: <http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/research_report_3_the_veto_2015.pdf> ბოლოს ნანახია 4 ივლისი 2017,4.
 - 11 Security Council Report, 'The Permanent Members and the Use of the Veto: An Abridged History' (2015) ხელმისაწვდომია: <<http://www.securitycouncilreport.org>>

- org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/P5%20and%20Use%20of%20the%20Veto.pdf > ბოლოს ნანახია 4 ივლისს 2017.
- ¹² UNSC Draft Res 23 (16 February 1946) UN Doc S/PV.23.
- ¹³ სქოლიო 8, 345.
- ¹⁴ UNSC Draft Res 57 (29 August 1946) UN Doc S/PV.57; UNSC Draft Res 186 (18 August 1947) UN Doc S/PV.186; UNSC Draft Res 190 (21 August 1947) UN Doc S/PV.190; UNSC Draft Res 206 (01 October 1947) UN Doc S/PV.206; UNSC Draft Res 279 (10 April 1948) UN Doc S/PV.279; UNSC Draft Res 351 (18 August 1948) UN Doc S/PV.351; UNSC Draft Res 384 (15 December 1948) UN Doc S/PV.384; UNSC Draft Res 1305 (08 April 1949) UN Doc S/1305; UNSC Draft Res 1385 (07 September 1949) UN Doc S/1385; UNSC Draft Res 1331 (13 September 1949) UN Doc S/1331; UNSC Draft Res 1332 (13 September 1949) UN Doc S/1332; UNSC Draft Res 1333 (13 September 1949) UN Doc S/1333; UNSC Draft Res 1334 (13 September 1949) UN Doc S/1334; UNSC Draft Res 1335 (13 September 1949) UN Doc S/1335; UNSC Draft Res 1336 (13 September 1949) UN Doc S/1336; UNSC Draft Res 1337 (13 September 1949) UN Doc S/1337; UNSC Draft Res 2443 (06 February 1952) UN Doc S/2443; UNSC Draft Res 2483 (16 September 1952) UN Doc S/2483; UNSC Draft Res 2754 (18 September 1952) UN Doc S/2754; UNSC Draft Res 2758 (19 September 1952) UN Doc S/2758; UNSC Draft Res 2759 (19 September 1952) UN Doc S/2759; UNSC Draft Res 2760 (19 September 1952) UN Doc S/2760; UNSC Draft Res 3510 (15 December 1955) UN Doc S/3510.
- ¹⁵ UNSC Draft Res 122 (25 March 1947) UN Doc S/PV.122.
- ¹⁶ UNSC Draft Res 1048 (25 October 1948) UN Doc S/1048.
- ¹⁷ UNSC Draft Res 170 (29 July 1947) UN Doc S/PV.170; UNSC Draft Res 471/Add.1 (19 August 1947) UN Doc S/471/Add.1; UNSC Draft Res 486 (19 August 1947) UN Doc S/486; UNSC Draft Res 202 (15 September 1947) UN Doc S/PV.202; UNSC Draft Res 552 (15 September 1947) UN Doc S/552.
- ¹⁸ UNSC Draft Res 513 (25 August 1947) UN Doc S/513; UNSC Draft Res 836 (22 June 1948) UN Doc S/836; UNSC Draft Res 1398 (11 October 1949) UN Doc S/1398; UNSC Draft Res 2671 (03 July 1952) UN Doc S/2671.
- ¹⁹ UNSC Draft Res 3710 (30 October 1956) UN Doc S/3710.
- ²⁰ UNSC Draft Res 5425 (13 September 1963) UN Doc S/5425/Rev.1; UNSC Draft Res 9696 (17 March 1970) UN Doc S/9696.
- ²¹ UNSC Draft Res 10771 (25 August 1972) UN Doc S/10771.
- ²² UNSC Draft Res 11713 (06 June 1975) UN Doc S/11713; UNSC Draft Res 12211 (19 October 1976) UN Doc S/12211; UNSC Draft Res 14459 (30 April 1981) UN Doc S/14459; UNSC Draft Res 14460 (30 April 1981) UN Doc S/14460/Rev.1; UNSC Draft Res 14461 (30 April 1981) UN Doc S/14461; UNSC Draft Res 14462 (30 April 1981) UN Doc S/14462.
- ²³ UNSC Draft Res 1358 (02 December 1994) UN Doc S/1994/1358; UNSC Draft Res 199 (07 March 1997) UN Doc S/1997/199; UNSC Draft Res 241 (21 March 1997) UN Doc S/1997/241; UNSC Draft Res 1385 (20 December 2002) UN Doc S/2002/1385; UNSC Draft Res 891 (16 September 2003) UN Doc S/2003/891; UNSC Draft Res 980 (14 October 2003) UN Doc S/2003/980; UNSC Draft Res 240 (25 March 2004) UN Doc S/2004/240; UNSC Draft Res 783 (05 October 2004) UN Doc S/2004/783; UNSC Draft Res 508 (13 July 2006) UN Doc S/2006/508; UNSC Draft Res 878 (11 November 2006) UN Doc S/2006/878; UNSC Draft Res 310 (15 June 2009) UN Doc S/2009/310; UNSC Draft Res 24 (18 February 2011) UN Doc S/2011/24; UNSC Draft Res 189 (15 March 2014) UN Doc S/2014/189.
- ²⁴ სქოლიო 8, 16.
- ²⁵ იქვე, 17.
- ²⁶ Hammarskjöld, D. (1962) *Servant of Peace* (London, The Bodley Head, 1962) 350.
- ²⁷ სქოლიო 8, 17.
- ²⁸ Gross L. *The Double Veto and the Four-Power Statement on Voting in the Security Council* (1952) 67(2) Harv.L.Rev. 251-280; UN Meetings Coverage

- and Press Releases, 'Double Veto Prevents Security Council from Adopting Draft Resolution Intended to Impose Sanctions for Use of Chemical Weapons in Syria' ხელმისაწვდომია: <<https://www.un.org/press/en/2017/sc12737.doc.htm>> ბოლოს ნანახია 5 ივლისს 2017.
- ²⁹ Oxford Reference, 'Double Veto' ხელმისაწვდომია: <<http://www.oxfordreference.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/oi/authority.201110803095728383>> ბოლოს ნანახია 5 ივლისი 2017.
- ³⁰ სქოლიო 24.
- ³¹ Fassbender B. Veto (2013) MPEPIL ხელმისაწვდომია: <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e570?rsk=xxozjU&result=1&prd=EPIL>> ბოლოს ნანახია 17 ივნისს 2017, სექცია 4.
- ³² Briery J.L. (1963) *The Law of Nations: An introduction to the International Law of Peace* (6th ed., OUP 1963), გვ. 106-107.
- ³³ Kelsen H. (1951) *The Law of the United Nations: A Critical Analysis of its Fundamental Problems* (with supplement, London, Stevens & Sons 1951), გვ. 274-275.
- ³⁴ Fassbender B. *The United Nations Charter as the Constitution of the International Community* (Leiden: Brill. 2009) 77ff; Michael W. Doyle, 'A Global Constitution? The Struggle over the UN Charter' (Hauser Globalization Colloquium Fall 2010) ხელმისაწვდომია: < <http://www.iilj.org/wp-content/uploads/2016/11/Doyle-A-Global-Constitution-2010.pdf> > ბოლოს ნანახია 6 ივლისს 2017; Peters A. *Targeted Sanctions after Affaire Al-Dulimi et Montana Management Inc. c. Suisse: Is There a Way Out of the Catch-22 for UN Members?* (EJIL Talk!, 2013) ხელმისაწვდომია: <<https://www.ejiltalk.org/targeted-sanctions-after-affaire-al-dulimi-et-montana-management-inc-c-suisse-is-there-a-way-out-of-the-catch-22-for-un-members/>> ბოლოს ნანახია 6 ივლისს 2017.
- ³⁵ Charter of the United Nations (Adopted 26 June 1945, entered into force 24 October 1945) ხელმისაწვდომია: <<http://www.un.org/en/sections/un-charter/chapter-i/index.html> > ბოლოს ნანახია 28 ივნისს 2017 პრეამბულა; Vienna Convention on the Law of Treaties (adopted 23 May 1969, entered into force 27 January 1980) 1155 UNTS 331 arts 2(1)(a), 5;
- ³⁶ Oxford Living Dictionaries, 'legal' ხელმისაწვდომია: <<https://en.oxforddictionaries.com/definition/legal>> ბოლოს ნანახია 6 ივლისს 2017.
- ³⁷ *Belilos v Switzerland* Application no. 10328/83 (ECtHR, 29 April 1988) paras 13ff; *Loizidou v. Turkey* Application no. 15318/89 (ECtHR, 18 December 1996) paras 1ff; *Rawle Kennedy v. Trinidad and Tobago* (2002) 7 Selected Decisions of the Human Rights Committee Under Optional Protocol 5 paras 3.13-6;
- ³⁸ *Reparation for Injuries Suffered in the Service of the United Nations* (Advisory Opinion) Dissenting Opinion of Judge Hackworth I.C. J. Reports 1949, გვ. 182 და 198;
- ³⁹ *Interpretation of the Agreement of 25 March 1951 between the WHO and Egypt* (Advisory Opinion) I. C.J. Reports 1980, p. 73, 88-89; *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*, *Jurisdiction and Admissibility* (Judgment) I.C.J. Reports 1984, გვ. 392 და 436.
- ⁴⁰ *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*, *Jurisdiction and Admissibility* (Judgment) Dissenting Opinion of Judge Schwebel I.C.J. Reports 1986, p. 14, 290.
- ⁴¹ *The Prosecutor v. Salim Jamil Ayyash and others* (Decision) STL-11-01/PT/AC/AR90.1 (24 October 2012) para 35.
- ⁴² Oxford Living Dictionaries, 'political' ხელმისაწვდომია: <<https://en.oxforddictionaries.com/definition/political>> ბოლოს ნანახია 6 ივლისს 2017.
- ⁴³ *Tadic Case* (Judgment) ICTY-94-1 (26 January 2000) para 28.
- ⁴⁴ Oxford Living Dictionaries, 'discretion' ხელმისაწვდომია: <<https://en.oxforddictionaries.com/definition/discretion>> ბოლოს ნანახია 6 ივლისს 2017.
- ⁴⁵ *Conditions of Admission of a State to Membership in the United Nations (Article 4 of the Charter)* (Advisory Opinion) I.C.J. Reports 1948, p. 57, 64.
- ⁴⁶ Goodrich L. Hambro E. (1946) *Charter of the United Nations: Commentary and Documents* (World Peace Foundation 1946) 124-134; Norman Bentwich, Andrew Martin, *A Commentary on the CHARTER of the UNITED NATIONS* (London, Knight & Forster Ltd 1950) 65-71.

- ⁴⁷ UNCIO, 'Document 855 III/1/B/2 (a)' (Questionnaire on Exercise of Veto in Security Council, Volume XI (San Francisco May 19, 1945) 701.
- ⁴⁸ UNGA Res 40(I) (13 December 1946) UN Doc A/RES/40(I); UNGA 'Tenth Conference of Heads or State of Government of Non-Allied Countries' (18 November 1992) UN Doc A/47/675.
- ⁴⁹ Oxford Living Dictionaries, 'vote' სელმისანვდომია: <<https://en.oxforddictionaries.com/definition/vote>> ბოლოს ნანახი 6 ივლისს 2017.
- ⁵⁰ Vienna Convention on the Law of Treaties (adopted 23 May 1969, entered into force 27 January 1980) 1155 UNTS 331 (VCLT) arts 19-23; *Reservations to the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide* (Advisory opinion) I.C.J. Reports p. 15, 15-30; Buffard I. Zemanek K. *The "Object and Purpose" of a Treaty: An Enigma?* (1998) 3 ARIEL 311, 311-343; Clark B. *The Vienna Convention Reservations Regime and the Convention on Discrimination Against Women* (1991) 85 AJIL 281, 281-321; Lijnzaad L. *Reservations to UN-Human Rights Treaties: Ratify and Ruin* (Dordrecht 1995) 298-370.
- ⁵¹ UNSC Verbatim Record (21 August 1947) UN Doc S/PV.190.
- ⁵² UNSC Verbatim Record (13 September 1949) UN Doc S/PV.443; სქოლიო 8. 24.
- ⁵³ UNSC Verbatim Record (02 April 1982) UN Doc S/PV. 2347.
- ⁵⁴ UNSC Verbatim Record (04 April 1984) UN Doc S/PV.2529.
- ⁵⁵ UNSC Verbatim Record (4 October 2011) UN Doc S/PV.6627.
- ⁵⁶ UNSC Verbatim Record (4 February 2012) UN Doc S/PV.6711.
- ⁵⁷ UNSC Verbatim Record (25 February 1999) UN Doc S/PV.3982.
- ⁵⁸ *Constitution of the Maritime Safety Committee of the Inter-Governmental Maritime Consultative Organization* (Advisory Opinion) of 8 June 1960: I.C.J. Reports 1960, p. 150, 160-161, 165; WTO, *United States: Standards for Reformulated and Conventional Gasoline-Report of the Appellate Body* (29 April 1996) WT/DS2/AB/R, 23; WTO, *Japan: Taxes on Alcoholic Beverages-Report of the Appellate Body* (4 October 1996) WT/DS8/AB/R, WT/DS10/AB/R, WT/DS11/AB/R, 12; WTO, *United States – Restrictions on Imports of Cotton and Man-made Fibre Underwear-Report of the Appellate Body* (10 February 1997) WT/DS24/AB/R, 16; WTO, *Argentina: Safeguard Measures on Imports of Footwear-- Report of the Appellate Body* (14 December 1999) WT/DS121/AB/R, para. 81; Lauterpacht H. *Restrictive Interpretation and the Principle of Effectiveness in the Interpretation of Treaties*, (1949) 26 BYBIL 48, 67; Michael Waibel M. *Demystifying the Art of Interpretation*' (2011) 22 no 2 EJIL available at: < <http://ejil.org/pdfs/22/2/2155.pdf> > last visited 8 July 2017, 581-583; see also Orakhelashvili A. *The Interpretation of Acts and Rules in Public International Law* (OUP 2008).
- ⁵⁹ Schreuer Cf., 'Comments', in R. Hoffman and C. Tams (eds), *International Investment Law and General International Law: From Clinical Isolation to Systemic Integration* (2011) 2.
- ⁶⁰ *Case concerning certain German interests in Polish Upper Silesia* (Merits) PCIJ Reports 1926 Series NA 07,30; *Case of the Free Zones of Upper Savoy and the District of Gex* (Judgment) PCIJ Reports 1932 Series N A/B N46,167; *Fisheries Case (United Kingdom v Norway)* (Judgment) ICJ Reports 1951 p. 116, 153-154; *Fisheries Case (United Kingdom v Norway)* (Judgment) Separate Opinion Judge Alvarez 150-51; *Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited (Belgium v. Spain)* (Judgment)(Second Phase) I.C.J. Reports 1951 p. 3,17; *Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited (Belgium v. Spain)* (Judgment)(Second Phase) I.C.J. Reports 1951 p. 3,17; *Case of Certain Norwegian Loans (France v. Norway)* (Judgment) I.C.J. Reports 1957, p. 9,73; *South West Africa Cases (Ethiopia v. South Africa; Liberia v. South Africa)* (Preliminary Objections) (Judgment) I.C.J. Report; 1962, p. 319, 480-483; *Nuclear Tests (Australia v. France)*(Judgment,) I.C.J. Reports 1974, p. 253,362; *Case Concerning Certain Phosphate Lands in Nauru (Nauru v. Australia)* (Preliminary Objections)(Judgment) I.C.J. Reports 1992, p. 240,244; *Case Concerning Application of the Convention on the*

Vetoes which do not provide a legal argumentation and go against the object and the purpose of the Charter are unreasonable. The core idea of this article was to show that the unreasonable application of the veto infringes various Charter norms and international law principles. There is a sufficient theoretical basis for the responsibility of the P5 in casting an unreasonable veto. However, I demonstrated that holding the P5 to this responsibility is an unachievable goal. Hence, this document suggested ideas for the practical limitation of the effect of the unlimited veto, which are more operational and feasible. My conclusions were based on the practice of the General Assembly and case law, which support the application of the suggested mechanism. The current practice of the Security Council does not give hope for a better, more peaceful future, and it is the General Assembly's responsibility to take steps to change the status quo to align the action of the Security Council with the object and purpose of the United Nations.

* Oleg Tortladze is a PhD candidate in international law at Tbilisi State University. The author expresses his gratitude for the assistance of the editing team and especially its head professor Ketevan Khutsishvili and for the support of his LLM advisor professor André de Hoogh. This article is a revised version of the Author's master thesis (University of Groningen).

- ¹ Declaration of Principles, known as the Atlantic Charter, by the Prime Minister of the United Kingdom and the President of the United States of America, made public on August 14th, 1941 (Adopted 14 August 1941) 204 LNTS 384 principle 6.
- ² Cot P.J. *United Nations, Reform* (2010) MPEPIL available at: <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e543?rskey=xxozjU&result=3&prd=EPIL>> last visited 28 June 2017, section 6.
- ³ Felix A. *Tehran Conference(1943)*, (2009) MPEPIL, available at: <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e416?rskey=f6otRt&result=26&prd=EPIL>> last visited 28 June 2017, section 8.
- ⁴ Frowein J.A. *United Nations (UN)* (2013) MPEPIL, available at <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e537?rskey=f6otRt&result=25&prd=EPIL>> last visited 28 June 2017, section 2.
- ⁵ Charter of the United Nations (Adopted 26 June 1945, entered into force 24 October 1945) available at: <<http://www.un.org/en/sections/un-charter/chapter-i/index.html>> last visited 28 June 2017 article 1(1).
- ⁶ Wood M. *United Nations, Security Council* (2007) MPEPIL, available at: <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e561?rskey=2iJeBY&result=9&prd=EPIL>> last visited 3 July 2017, sections 5-8.
- ⁷ UN Documentation Research Guide, 'Security Council – Veto List' available at: <<http://research.un.org/en/docs/sc/quick>> last visited 3 July 2017.
- ⁸ Patil A.V. *The UN Veto in World Affairs 1946-1990: A Complete Record and Case Histories of the Security Council's Veto* (First published by Unifo Publishers, Mansell Publishing Limited 1992) vii-ix.
- ⁹ Resolutions adopted by the Security Council, available at: <<http://www.un.org/en/sc/documents/resolutions/2017.shtml>> last visited 3 July 2017.
- ¹⁰ UNSC Draft Res 315 (12 April 2017) UN Doc S/2017/315; UNSC Draft Res 172 (28 February 2017) UN Doc S/2017/172; UNSC Draft Res 1026 (5 December 2016) UN Doc S/2016/1026; UNSC Draft Res 846 (8 October 2016) UN Doc S/2016/846; UNSC Draft Res 348 (22 May 2014) UN Doc S/2014/348; UNSC Draft Res 538 (19 July 2012) UN Doc S/2012/538; UNSC Draft Res 77 (4 February 2012) UN Doc S/2012/77; UNSC Draft Res 612 (4 October 2011) UN Doc S/2011/612; Security Council Report, Veto , available at: <http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/research_report_3_the_veto_2015.pdf> last visited 4 July 2017,4.
- ¹¹ Security Council Report, 'The Permanent Members and the Use of the Veto: An Abridged History' (2015) available at: <<http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/P5%20and%20Use%20of%20the%20Veto.pdf>> last visited 4 July 2017.
- ¹² UNSC Draft Res 23 (16 February 1946) UN Doc S/PV.23.
- ¹³ n8. 345.
- ¹⁴ UNSC Draft Res 57 (29 August 1946) UN Doc S/PV.57; UNSC Draft Res 186 (18 August 1947) UN Doc S/PV.186; UNSC Draft Res 190 (21 August 1947) UN Doc S/PV.190; UNSC Draft Res 206 (01 October 1947) UN Doc S/PV.206; UNSC Draft Res 279 (10 April 1948) UN Doc S/PV.279; UNSC Draft Res 351 (18 August 1948) UN Doc S/PV.351; UNSC Draft Res 384 (15 December 1948) UN Doc S/PV.384; UNSC Draft Res 1305 (08 April 1949) UN Doc S/1305; UNSC Draft Res 1385 (07 September 1949) UN Doc S/1385; UNSC Draft Res 1331 (13 September 1949) UN Doc S/1331; UNSC Draft Res 1332 (13 September 1949) UN Doc S/1332; UNSC Draft Res 1333 (13 September 1949) UN Doc S/1333; UNSC Draft Res 1334 (13 September 1949) UN Doc S/1334; UNSC Draft Res 1335 (13 September 1949) UN Doc S/1335; UNSC Draft Res 1336 (13 September 1949) UN Doc S/1336; UNSC Draft Res 1337 (13 September 1949) UN Doc S/1337; UNSC Draft Res 2443 (06 February 1952) UN Doc

- S/2443; UNSC Draft Res 2483 (16 September 1952) UN Doc S/2483; UNSC Draft Res 2754 (18 September 1952) UN Doc S/2754; UNSC Draft Res 2758 (19 September 1952) UN Doc S/2758; UNSC Draft Res 2759 (19 September 1952) UN Doc S/2759; UNSC Draft Res 2760 (19 September 1952) UN Doc S/2760; UNSC Draft Res 3510 (15 December 1955) UN Doc S/3510.
- ¹⁵ UNSC Draft Res 122 (25 March 1947) UN Doc S/PV.122.
- ¹⁶ UNSC Draft Res 1048 (25 October 1948) UN Doc S/1048.
- ¹⁷ UNSC Draft Res 170 (29 July 1947) UN Doc S/PV.170; UNSC Draft Res 471/Add.1 (19 August 1947) UN Doc S/471/Add.1; UNSC Draft Res 486 (19 August 1947) UN Doc S/486; UNSC Draft Res 202 (15 September 1947) UN Doc S/PV.202; UNSC Draft Res 552 (15 September 1947) UN Doc S/552.
- ¹⁸ UNSC Draft Res 513 (25 August 1947) UN Doc S/513; UNSC Draft Res 836 (22 June 1948) UN Doc S/836; UNSC Draft Res 1398 (11 October 1949) UN Doc S/1398; UNSC Draft Res 2671 (03 July 1952) UN Doc S/2671.
- ¹⁹ UNSC Draft Res 3710 (30 October 1956) UN Doc S/3710.
- ²⁰ UNSC Draft Res 5425 (13 September 1963) UN Doc S/5425/Rev.1; UNSC Draft Res 9696 (17 March 1970) UN Doc S/9696.
- ²¹ UNSC Draft Res 10771 (25 August 1972) UN Doc S/10771.
- ²² UNSC Draft Res 11713 (06 June 1975) UN Doc S/11713; UNSC Draft Res 12211 (19 October 1976) UN Doc S/12211; UNSC Draft Res 14459 (30 April 1981) UN Doc S/14459; UNSC Draft Res 14460 (30 April 1981) UN Doc S/14460/Rev.1; UNSC Draft Res 14461 (30 April 1981) UN Doc S/14461; UNSC Draft Res 14462 (30 April 1981) UN Doc S/14462.
- ²³ UNSC Draft Res 1358 (02 December 1994) UN Doc S/1994/1358; UNSC Draft Res 199 (07 March 1997) UN Doc S/1997/199; UNSC Draft Res 241 (21 March 1997) UN Doc S/1997/241; UNSC Draft Res 1385 (20 December 2002) UN Doc S/2002/1385; UNSC Draft Res 891 (16 September 2003) UN Doc S/2003/891; UNSC Draft Res 980 (14 October 2003) UN Doc S/2003/980; UNSC Draft Res 240 (25 March 2004) UN Doc S/2004/240; UNSC Draft Res 783 (05 October 2004) UN Doc S/2004/783; UNSC Draft Res 508 (13 July 2006) UN Doc S/2006/508; UNSC Draft Res 878 (11 November 2006) UN Doc S/2006/878; UNSC Draft Res 310 (15 June 2009) UN Doc S/2009/310; UNSC Draft Res 24 (18 February 2011) UN Doc S/2011/24; UNSC Draft Res 189 (15 March 2014) UN Doc S/2014/189.
- ²⁴ n8. 16.
- ²⁵ Ibid 17.
- ²⁶ Hammarskjöld D. *Servant of Peace* (London, The Bodley Head, 1962) 350.
- ²⁷ n8. 17.
- ²⁸ Gross L. *The Double Veto and the Four-Power Statement on Voting in the Security Council* (1952) 67(2) Harv.L.Rev. 251-280; UN Meetings Coverage and Press Releases, 'Double Veto Prevents Security Council from Adopting Draft Resolution Intended to Impose Sanctions for Use of Chemical Weapons in Syria' available at: <<https://www.un.org/press/en/2017/sc12737.doc.htm>> last visited 5 July 2017.
- ²⁹ Oxford Reference, 'Double Veto' available at: <<http://www.oxfordreference.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/oi/authority.20110803095728383>> last visited 5 July 2017.
- ³⁰ n8. 16.
- ³¹ Fassbender B. *Veto* (2013) MPEPIL <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e570?rskey=xxozjU&result=1&prd=EPIL>>last visited 17 June 2017, section 4.
- ³² Brierly J.L. *The Law of Nations: An introduction to the International Law of Peace* (6th ed., OUP 1963) 106-107.
- ³³ Kelsen H.(1951) *The Law of the United Nations: A Critical Analysis of its Fundamental Problems* (with supplement, London, Stevens & Sons 1951) 274-275.
- ³⁴ Fassbender B. *The United Nations Charter as the Constitution of the International Community* (Leiden: Brill. 2009) 77ff; Michael W. Doyle, 'A Global Constitution? The Struggle over the UN Charter' (Hauser Globalization Colloquium Fall 2010)

- available at: <<http://www.ijl.org/wp-content/uploads/2016/11/Doyle-A-Global-Constitution-2010.pdf>> last visited 6 July 2017; Peters A. *Targeted Sanctions after Affaire Al-Dulimi et Montana Management Inc. c. Suisse: Is There a Way Out of the Catch-22 for UN Members?*(EJIL Talk!,2013) available at: <<https://www.ejiltalk.org/targeted-sanctions-after-affaire-al-dulimi-et-montana-management-inc-c-suisse-is-there-a-way-out-of-the-catch-22-for-un-members/>> last visited 6 July 2017.
- ³⁵ Charter of the United Nations (Adopted 26 June 1945, entered into force 24 October 1945) <<http://www.un.org/en/sections/un-charter/chapter-i/index.html>>last visited 28 June 2017 preamble; Vienna Convention on the Law of Treaties (adopted 23 May 1969, entered into force 27 January 1980) 1155 UNTS 331 arts 2(1)(a), 5;
- ³⁶ Oxford Living Dictionaries, 'legal' available at: < <https://en.oxforddictionaries.com/definition/legal>> last visited 6 July 2017.
- ³⁷ *Belilos v Switzerland* Application no. 10328/83 (ECtHR, 29 April 1988) paras 13ff; *Loizidou v. Turkey* Application no. 15318/89 (ECtHR, 18 December 1996) paras 1ff;*Rawle Kennedy v. Trinidad and Tobago* (2002) 7 Selected Decisions of the Human Rights Committee Under Optional Protocol 5 paras 3.13-6;
- ³⁸ *Reparation for Injuries Suffered in the Service of the United Nations* (Advisory Opinion) Dissenting Opinion of Judge Hackworth I.C. J. Reports 1949, p. 182, 198;
- ³⁹ *Interpretation of the Agreement of 25 March 1951 between the WHO and Egypt* (Advisory Opinion) I. C.J. Reports 1980, p. 73, 88-89; *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), Jurisdiction and Admissibility* (Judgment) I.C.J. Reports 1984, p. 392,436.
- ⁴⁰ *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), Jurisdiction and Admissibility* (Judgment) Dissenting Opinion of Judge Schwebel I.C.J. Reports 1986, p. 14,290.
- ⁴¹ *The Prosecutor v. Salim Jamil Ayyash and others* (Decision) STL-11-01/PT/AC/AR90.1 (24 October 2012) para 35.
- ⁴² Oxford Living Dictionaries, 'political' available at: <<https://en.oxforddictionaries.com/definition/political>> last visited 6 July 2017.
- ⁴³ *Tadic Case* (Judgment) ICTY-94-1 (26 January 2000) para 28.
- ⁴⁴ Oxford Living Dictionaries, 'discretion' < <https://en.oxforddictionaries.com/definition/discretion> >last visited 6 July 2017.
- ⁴⁵ *Conditions of Admission of a State to Membership in the United Nations (Article 4 of the Charter)* (Advisory Opinion) I.C.J. Reports 1948, p.57, 64.
- ⁴⁶ Goodrich L. Hambro E. *Charter of the United Nations: Commentary and Documents* (World Peace Foundation 1946) 124-134; Norman Bentwich, Andrew Martin, *A Commentary on the CHARTER of the UNITED NATIONS* (London, Knight & Forster Ltd 1950) 65-71.
- ⁴⁷ UNCIO, 'Document 855 III/1/B/2 (a)' (Questionnaire on Exercise of Veto in Security Council, Volume XI (San Francisco May 19,1945) 701.
- ⁴⁸ UNGA Res 40(I) (13 December 1946) UN Doc A/RES/40(I); UNGA 'Tenth Conference of Heads of State of Government of Non-Allied Countries' (18 November 1992) UN Doc A/47/675.
- ⁴⁹ Oxford Living Dictionaries, 'vote' available at: <<https://en.oxforddictionaries.com/definition/vote>> last visited 6 July 2017.
- ⁵⁰ Vienna Convention on the Law of Treaties (adopted 23 May 1969, entered into force 27 January 1980) 1155 UNTS 331 (VCLT) arts 19-23; *Reservations to the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide* (Advisory opinion) I.C.J. Reports p. 15, 15-30; Buffard I. Zemanek K. *The "Object and Purpose" of a Treaty: An Enigma?* (1998) 3 ARIEL 311,311-343; Clark B. *The Vienna Convention Reservations Regime and the Convention on Discrimination Against Women* (1991) 85 AJIL 281, 281-321; Lijnzaad L, *Reservations to UN-Human Rights Treaties: Ratify and Ruin* (Dordrecht 1995) 298-370.
- ⁵¹ UNSC Verbatim Record (21 August 1947) UN Doc S/PV.190.
- ⁵² UNSC Verbatim Record (13 September 1949) UN Doc S/PV.443; n8. 24.
- ⁵³ UNSC Verbatim Record (02 April 1982) UN Doc S/PV. 2347.

- ⁵⁴ UNSC Verbatim Record (04 April 1984) UN Doc S/PV.2529.
- ⁵⁵ UNSC Verbatim Record (4 October 2011) UN Doc S/PV.6627.
- ⁵⁶ UNSC Verbatim Record (4 February 2012) UN Doc S/PV.6711.
- ⁵⁷ UNSC Verbatim Record (25 February 1999) UN Doc S/PV.3982.
- ⁵⁸ *Constitution of the Maritime Safety Committee of the Inter-Governmental Maritime Consultative Organization* (Advisory Opinion) of 8 June 1960: I.C.J. Reports 1960, p. 150, 160-161,165; WTO, *United States: Standards for Reformulated and Conventional Gasoline-Report of the Appellate Body* (29 April 1996) WT/DS2/AB/R, 23; WTO, *Japan:Taxes on Alcoholic Beverages-Report of the Appellate Body* (4 October 1996) WT/DS8/AB/R, WT/DS10/AB/R, WT/DS11/AB/R, 12; WTO, *United States – Restrictions on Imports of Cotton and Man-made Fibre Underwear-Report of the Appellate Body* (10 February 1997)WT/DS24/AB/R, 16; WTO, *Argentina: Safeguard Measures on Imports of Footwear-- Report of the Appellate Body* (14 December 1999) WT/DS121/AB/R, para. 81; Lauterpacht H. *Restrictive Interpretation and the Principle of Effectiveness in the Interpretation of Treaties*, (1949) 26 BYBIL 48, 67; Michael Waibel M. *Demystifying the Art of Interpretation* (2011) 22 no 2 EJIL available at: < <http://ejil.org/pdfs/22/2/2155.pdf> > last visited 8 July 2017,581-583; see also Orakhelashvili A. *The Interpretation of Acts and Rules in Public International Law* (OUP 2008).
- ⁵⁹ Schreuer Cf., 'Comments', in R. Hoffman and C. Tams (eds), *International Investment Law and General International Law: From Clinical Isolation to Systemic Integration* (2011) 2.
- ⁶⁰ *Case concerning certain German interests in Polish Upper Silesia* (Merits) PCIJ Reports 1926 Series NA 07,30; *Case of the Free Zones of Upper Savoy and the District of Gex* (Judgment) PCIJ Reports1932 Series N A/B N46,167; *Fisheries Case (United Kingdom v Norway)* (Judgment) ICJ Reports 1951 p. 116, 153-154; *Fisheries Case (United Kingdom v Norway)* (Judgment) Separate Opinion Judge Alvarez 150-51; *Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited (Belgium v. Spain)* (Judgment)(Second Phase) I.C.J. Reports 1951 p. 3,17; *Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited (Belgium v. Spain)* (Judgment)(Second Phase) I.C.J. Reports 1951 p. 3,17; *Case of Certain Norwegian Loans (France v. Norway)* (Judgement) I.C.J. Reports 1957, p. 9,73; *South West Africa Cases (Ethiopia v. South Africa; Liberia v. South Africa)* (Preliminary Objections) (Judgment) I.C.J. Report; 1962, p. 319, 480-483; *Nuclear Tests (Australia v. France)*(Judgment,) I.C.J. Reports 1974, p. 253,362; *Case Concerning Certain Phosphate Lands in Nauru (Nauru v. Australia)* (Preliminary Objections)(Judgment) I.C.J. Reports 1992, p. 240,244; *Case Concerning Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia And Herzegovina v. Yugoslavia)* (Provisional Measures) I.C.J. Reports 1993 p.325,19; *Case Concerning Maritime Delimitation in the Area Between Greenland and Jan Mayen (Denmark v. Norway)*(Judgment) I.C.J. Reports 1993 p.38,110; *Gabcikovo-Nagymaros Project (Hungary v. Slovakia)* (Judgment) I.C.J. Reports 1997 p.7,22; Case C-33/74 Van Binsbergen v. Bestuur van de Bedrijfsvereniging voor de Metaalnijverheid [1974] ECR I- 01299,paras 12-13; ;Case C-115/78 Knoors v. Staatssecretaris van Economische Zaken [1979] ECR I-399,para 25; Case C-229/83 Leclerc v Au ble´ vert [1985] ECR I-00001, para 27; Case C-39/86 Lair v Universität Hannover [1988] ECR I-03161,para 43; Case C-370/90 The Queen v Immigration Appeal Tribunal and Surinder Singh [1992] ECR I- 04265, para 24; Case C-200/02 Chen v Home Secretary [2004] ECR I-09925, para 34; Case C-147/03 Commission v Austria [2005] ECR I-05969, para 67; O. Schachter, 'International Law in Theory and Practice' (1982) 178 *Recueil des Cours de l'Académie de Droit International* 296,82;
- ⁶¹ Lenaerts A. *The General Principle of the Prohibition of Abuse of Rights: A Critical Position on Its Role in a Codified European Contract Law* (Kluwer Law International 2010) 125.

- ⁶² Kiss A. *Abuse of Rights*, in *Encyclopedia of Public International Law* (vol.1, North Holland 1992) 4.
- ⁶³ ILC, Report on the International Law Commission on the Work of its Fiftieth Session (3 May-23 July 1999) UN Doc. A/CN.4/496, 218-219; ILC, 'Draft Report on the Commission on the Work of its Twenty-Second Session' (4 May – 10 July 1970) UN Doc. A/8010/Rev.1, 31.
- ⁶⁴ UN Charter (n26) art 2 (2).
- ⁶⁵ Byers M. *Abuse of Rights: An Old Principle, A New Age* (2002) 47(2) McGill Law Journal 389,389.
- ⁶⁶ UN Charter (n26) art 2 (1).
- ⁶⁷ Frowein J.A. *United Nations* (UN) (2013) MPEPIL, available at: < <http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e537?rskey=f6otRt&result=25&prd=EPIL> > last visited 28 June 2017, section 1ff.
- ⁶⁸ Kelsen H. *Peace Through Law* (New Jersey, The Law book Exchange Ltd. 2000) 34.
- ⁶⁹ Ibid; *Polish Postal Service in Danzig* (Advisory Opinion) PCIJ Reports 1925 Ser B N11.
- ⁷⁰ OxfordLivingDictionaries, 'sovereignty' available at <<https://en.oxforddictionaries.com/definition/sovereignty>> last visited 8 July 2017.
- ⁷¹ Oxford Living Dictionaries, 'equality' available at: <<https://en.oxforddictionaries.com/definition/equality>> last visited 8 July 2017.
- ⁷² Warbrick C. *The Principle of Sovereign Equality*, in Vaughan Lowe & Colin Warbrick (ed), *The United Nations and the Principles of International Law: Essays in Memory of Michael Akehurst* (New York: Routledge, 1994) 204; see in general: Djura Ninčić, *The Problem of Sovereignty in the Charter and in the Practice of the United Nations* (The Hague: Martinus Hijhoff 1970).
- ⁷³ UNGA Res 2625 (24 October 1970) UN Doc A/RES/25/2625; Helen Keller, 'Friendly Relations Declaration (1970)' (2009) MPEPIL available at: < <http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e938?rskey=8SiF1Y&result=1&prd=EPIL> > last visited 8 July 2017, section 1ff.
- ⁷⁴ *The case of the S.S. Lotus Case (France v Turkey)* (Merits) (Judgement) PCIJ Reports 1927 Ser A No10, 18; Hollis B. Duncan, 'Why State Consent Still Matters – Non-State Actors, Treaties, and the Changing Sources of International Law' (2005) 23 BJIL <<http://scholarship.law.berkeley.edu/bjil/vol23/iss1/4>> last visited 29 December 2016 ,137ff; James Crawford, *Brownlie's Principles of Public International Law* (8th, OUP 2012) 115.
- ⁷⁵ Guzman A. *The Consent Problem in International Law* (2011) Berkeley Program in Law & Economics, Working Paper Series available at: <<http://escholarship.org/uc/item/04x8x174>> last visited 8 July 2017, 4ff; Daniel Bodansky D. Watson J.S. *State Consent and the Sources of International Obligation* (1992) 86 ASIL < <http://www.jstor.org/stable/25658621> > last visited 8 July 2017, 108-113.
- ⁷⁶ Westerman P.C. *The disintegration of Natural Law theory: Aquinas to Finnis* (Leiden: Brill 1997) 169; Orakhelashvili A. *Natural Law and Customary Law* (2008) 68 HJIL available at: <http://www.zaoerv.de/68_2008/68_2008_1_a_69_110.pdf > last visited 8 July 2017, 69ff.
- ⁷⁷ Kokott J, *States, Sovereign Equality* (2011) MPEPIL, available at: <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e1113?rskey=INdjzq&result=1&prd=EPIL> > last visited 8 July 2017, section 24ff.
- ⁷⁸ n8. 11.
- ⁷⁹ Besson S. *Sovereignty* (2011) MPEPIL, available at: <<http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e1472?rskey=INdjzq&result=2&prd=EPIL>> last visited 8 July 2017, section 123.
- ⁸⁰ Roth B.R. *Sovereign Equality and Moral Disagreement* (OUP 2011) 54.
- ⁸¹ *North American Dredging Co. of Texas (USA) v United Mexican States* (Opinion of Commissioners) (1926) 4 RIAA 26, 23; *Trail Smelter Case (United States v*

- Canada*) (1941) 3 RIAA 1905; *Case C-11/70 Internationale Handelsgesellschaft mbH v Einfuhr und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel* [1972] ECR I-1125, 186 ; *Dispute Concerning Filleting within the Gulf of St Lawrence ("La Bretagne") (Canada v France)* (1986) 19 RIAA 225, 28; *Import Prohibition of Certain Shrimp and Shrimp Products* (Appellate Body Report) (12 October 1998) WT/DS58/AB/R, 158; J Ralston, *Venezuelan Arbitrations of 1903* (Washington D.C. Government Printing Office 1904) 705; see in general: *Trail Smelter Case (United States v Canada)* (1941) 3 RIAA 1905; *Walter Fletcher Smith Claim (Cuba v USA)* (1929) 2 RIAA 915.
- ⁸² *Conditions of Admission of a State to Membership in the United Nations* (Advisory Opinion) I.C.J. Reports 1948, p.73, 80,93; *The Corfu Channel Case (United Kingdom of Great Britain and Northern Ireland v Albania)* (Judgment) I.C.J. Reports 1949, p.4, 47-48, 75, 129; *Competence of the General Assembly for the Admission of a State to the United Nations* (Advisory Opinion) I.C.J. Reports 1950, p.4, 15; *Fisheries Case* (n138) 150, 152, 153; *Anglo-Iranian Oil Co. Case (United Kingdom v Iran)* (Judgment) I.C.J. Reports 1952, p.93, 133; *Gabcikovo-Nagymaros* (n138) 22.
- ⁸³ UNGA Res 377 (V) (3 November 1950) UN Doc A/1775, 10; Binder C. *Uniting for Peace Resolution (1950)* (2013) MPEPIL, available at: < <http://opil.ouplaw.com.proxy-ub.rug.nl/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e568?rskey=gQcEmJ&result=1&prd=EPIL> > last visited 23 July 2017, section 1; see in general: Krasno J. M. *The Uniting for Peace Resolution and Other Ways of Circumventing the Authority of the Security Council*, in B. Cronin and I. Hurd (ed.) *The UN Security Council and the Politics of International Authority* (London et al.: Routledge, 2008) 173-195; Petersen K. S. *The Uses of the Uniting for Peace Resolution since 1950* (1959) 13 *International Organization* 219-232; Reicher H. *The Uniting for Peace Resolution on the Thirtieth Anniversary of its Passage* (1982) 20 *Columbia Journal of Transnational Law* 1-49; Stein E. Morrissey R. *Uniting for Peace Resolution*, *Encyclopedia of Public International Law* vol. 4 (2000) 1232-1235; Zaum D. *The Security Council, the General Assembly, and War: The Uniting for Peace Resolution* in Low, Vaughan et al. (ed.) *The United Nations Security Council and War: the Evolution of Thought and Practice since 1945* (OUP 2008) 154-174.
- ⁸⁴ Tomuschat C. *Uniting for Peace* (2008), available at: < http://legal.un.org/avl/pdf/ha/ufp/ufp_e.pdf > last visited 22 July 2017, 1.
- ⁸⁵ n84.
- ⁸⁶ UNGA Res 498 (V) (1 February 1951) UN Doc A/177/Add.1, 1; UNGA Res 500 (V) (18 May 1951) UN Doc A/177/Add.1, 2;
- ⁸⁷ UNGA Res 1000 (ES-I) (5 November 1956) UN Doc A/3354, 2.
- ⁸⁸ UNGA Res ES-8/2 (14 September 1981) UN Doc A/ES-8/13 paras 13–14
- ⁸⁹ *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory* (Advisory Opinion) I.C.J. Reports 2004, p.136, paras 27-28; Binder (n33) section 21.
- ⁹⁰ Tomuschat C. *Uniting for Peace—ein Rückblick nach 50 Jahren* (2001) 76 *Die Friedens-Warte: Journal of International Peace and Organization* 289, 292.
- ⁹¹ Hailbronner K. Klein E. 'Article 12' in Bruno Simma (ed.) *The Charter of the United Nations* (Beck München 2002) 264–65.
- ⁹² n 88; n 89.
- ⁹³ UNGA Res 997 (ES-I) (2 November 1956) UN Doc A/3354; UNGA Res 998 (ES-I) (4 November 1956) UN Doc A/3354; UNGA Res 999 (ES-I) (4 November 1956) UN Doc A/3354; UNGA Res 1000 (ES-I) (5 November 1956) UN Doc A/3354; UNGA Res 1001 (ES-I) (7 November 1956) UN Doc A/3354; UNGA Res 1002 (ES-I) (7 November 1956) UN Doc A/3354; UNGA Res 1003 (ES-I) (10 November 1956) UN Doc A/3354; UNGA Res 1004 (ES-II) (4 November 1956) UN Doc A/3355, 2 UNGA Res 1005 (ES-II) (9 November 1956) UN Doc A/3355, 2 UNGA Res 1006 (ES-II) (9 November 1956) UN Doc A/3355, 3 UNGA Res 1007 (ES-II) (9 November 1956) UN Doc A/3355, 3 UNGA Res 1008 (ES-II)

(10 November 1956) UN Doc A/3355; UNGA Res 1237 (ES-III) (21 August 1958) UN Doc A/3905; UNGA Res 1474 (ES-IV) (20 September 1960) UN Doc A/4510; UNGA Res 2252 (ES-V) (4 July 1967) UN Doc A/6657, 3; UNGA Res 2253 (ES-V) (4 July 1967) UN Doc A/6657, 4; UNGA Res 2254 (ES-V) (14 July 1967) UN Doc A/6657, 4; UNGA Res 2255 (ES-V) (17 July 1967) UN Doc A/6657, 4; UNGA Res 2256 (ES-V) (21 July 1967) UN Doc A/6657, 4; UNGA Res 2257 (ES-V) (18 September 1967) UN Doc A/6657; UNGA Res 2793 (XXVI) (7 December 1971) UN Doc A/8429; UNGA Res ES-6/2 (14 January 1980) UN Doc A/ES-6/7; UNGA Res ES-7/3 (29 July 1980) UN Doc A/ES-7/14, 4; UNGA Res ES-7/4 (28 April 1982) UN Doc A/ES-7/14/Rev.1, 4; UNGA Res ES-7/5 (26 June 1982) UN Doc A/ES-7/14/Rev.1, 7; UNGA Res ES-7/7 (19 August 1982) UN Doc A/ES-7/14/Rev.1, 12; UNGA Res ES-7/8 (19 August 1982) UN Doc A/ES-7/14/Rev.1, 13; UNGA Res ES-7/9 (24 September 1982) UN Doc A/ES-7/14/Rev.1; UNGA Res ES-7/2 (29 July 1980) UN Doc A/ES-7/14; UNGA Res ES-7/6 (19 August 1982) UN Doc A/ES-7/14/Rev.1; UNGA Res ES-8/2 (14 September 1981) UN Doc A/ES-8/13; UNGA Res ES-9/1 (15 February 1982) UN Doc A/ES-9/7; UNGA Res ES-10/2 (25 April 1997) UN Doc A/RES/ES-10/2; UNGA Res ES-10/3 (15 July 1997) UN Doc A/RES/ES-10/3; UNGA Res ES-10/4 (13 November 1997) UN Doc A/RES/ES-10/4; UNGA Res ES-10/5 (17 March 1998) UN Doc A/RES/ES-10/5; UNGA Res ES-10/6 (9 February 1999) UN Doc A/RES/ES-10/6; UNGA Res ES-10/7 (20 October 2000) UN Doc A/RES/ES-10/7; UNGA Res ES-10/8 (20 December 2001) UN Doc A/RES/ES-10/8; UNGA Res ES-10/9 (20 December 2001) UN Doc A/RES/ES-10/9; UNGA Res ES-10/10 (7 May 2002) UN Doc A/RES/ES-10/10; UNGA Res ES-10/11 (5 August 2002) UN Doc A/RES/ES-10/11; UNGA Res ES-10/12 (19 September 2003) UN Doc A/RES/ES-10/12; UNGA Res ES-10/13 (21 October 2003) UN Doc A/RES/ES-10/13; UNGA Res ES-10/14 (8 December 2003) UN Doc A/RES/ES-10/14; UNGA Res ES-10/15 (20 July 2004) UN Doc A/RES/ES-10/15; UNGA Res ES-10/16 (17 November 2006) UN Doc A/RES/ES-10/16; UNGA Res ES 10/17 (15 December 2006) UN Doc A/RES/ES-10/17; UNGA Res ES 10/18 (16 January 2009) UN Doc A/RES/ES-10/18; UNGA Res ES-10/16 (17 November 2006) UN Doc A/RES/ES-10/16; UNGA Res ES 10/17 (15 December 2006) UN Doc A/RES/ES-10/17; UNGA Res ES 10/18 (16 January 2009) UN Doc A/RES/ES-10/18.

⁹⁴ *Certain Expenses of the United Nations (Article 17, paragraph 2, of the Charter)* (Advisory Opinion) I.C.J Reports 1962 p.157, 163.

არასახელმწიფო აქტორების მიერ ჩადენილი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ICC-ის იურისდიქციის ჭრილში

აბსტრაქტი

რომის სტატუტი მკაფიოდ არ განსაზღვრავს იმ არასახელმწიფო აქტორის ტიპს, რომელსაც შეუძლია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენა. ტერორისტულ დაჯგუფებას, სეპარატისტულ მოძრაობასა თუ სხვა არასახელმწიფო აქტორს შესაძლოა ჰქონდეს სახელმწიფოს მსგავსი რესურსი განახორციელოს ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმები სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. მოცემული ნაშრომი გამოყოფს იმ კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც არასახელმწიფო აქტორის მხრიდან ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად. სტატია ასევე წარმოაჩენს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ჭრილში არასახელმწიფო აქტორის ნევრების ინდივიდუალური სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის განსხვავებულ საფუძვლებს.

საძიებო სიტყვები: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, არასახელმწიფო აქტორი, ICC, ორგანიზაციული პოლიტიკა

შესავალი

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენაში არასახელმწიფო აქტორების როლი და მათთან ასოცირებული პირების ინდივიდუალური სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები კვლავაც რჩება საერთაშორისო სისხლის სამართლის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად. 1998 წლის რომის კონფერენციის თავმჯდომარის - პროფესორ შერიფ ბასიოუნის აზრით, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მხოლოდ განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად მოქმედ სახელმწიფო აქტორებს შეეძლოთ ჩაედინათ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.¹ თუმცა, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (შემდგომში ICC ან „სასამართლო“) თანამედროვე პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში მხოლოდ სახელმწიფოს მონაწილეობა აღარ არის დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ელემენტი.² რომის სტატუტის მიხედვით, არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ „ორგანიზაციული პოლიტიკა“ წარმოადგენს აღნიშნული დანაშაულების კონტექსტუალურ ელემენტს.³ თანამედროვე მეცნიერთა დავის საგანი არის სწორედ იმ ორგანიზაციის/დაჯგუფების ტიპის ანა-

ლიზი, რომლის ნევრებსაც შეუძლიათ რომის სტატუტის მე-7 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.⁴

მოცემული სტატია იკვლევს არასახელმწიფო აქტორებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ურთიერთდამოკიდებულებას. აღნიშნული საკითხი აქტუალურია როგორც ICC-ის მიერ საქართველოს საკითხზე მიმდინარე გამოძიების, ისე „ისლამური სახელმწიფოსა“ თუ სხვა არასახელმწიფო აქტორების მხრიდან ბოლო დროს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი შემზარავი თავდასხმების კუთხით.

სტატიის პირველ ნაწილში განიხილავს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დეფინიციას, მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებებისა და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე განმარტავს ტერმინ „ორგანიზაციულ პოლიტიკას“. ნაშრომი ამავდროულად გამოყოფს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენი არასახელმწიფო აქტორების აუცილებელ ნიშნებსა და კატეგორიებს. სტატიის მეორე ნაწილში განხილულია ICC-ის იურისდიქციის ფარგლები არასახელმწიფო აქტორის ნევრებთან მიმართებით. სტატიაში წარმოდგენილი კვლევის შედეგად დგინდება, რომ ICC-ის იურისდიქცია რიგ შემთხვევებში შესაძლოა გავრცელდეს აჯან-

ყებული ან სეპარატისტული ძალების, ტერორისტული დაჯგუფებებისა თუ სხვა არასახელმწიფო აქტორის მიერ ჩადენილ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, თუმცა რომის სტატუტის ვინრო ინტერპრეტაციის შემთხვევაში აღნიშნული იურისდიქცია საკმაოდ შეზღუდული დარჩება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით.

1. „სახელმწიფო ან ორგანიზაციული აქტიურობა“ როგორც კონტაქტუალური ელემენტი

1.1. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დეფინიცია

რომის სტატუტის მე-7 მუხლის მიხედვით „ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის“ ცნების ქვეშ მოიაზრება მკვლელობა, დეპორტაცია, წამება, სექსუალური ხასიათის დანაშაულები და ამავე მუხლით განსაზღვრული სხვა აქტები, რომლებიც ჩადენილია განზრახ, სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში. „ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა“ განიმარტება როგორც სახელმწიფოსა ან ორგანიზაციული პოლიტიკის ფარგლებში ან მისი წახალისების მიზნით განხორციელებულ ქმედებათა ერთობლიობა.⁵

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოებისთვის შოკისმომგვრელ და საერთაშორისო სამართლით აკრძალულ ქმედებებს.⁶ აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლი აუცილებლად არის სამოქალაქო მოსახლეობა, ანუ დანაშაული მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, რომლებიც არ არიან კომბატანტები ან არ იღებენ პირდაპირ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. ომის დანაშაულებისგან განსხვავებით, რომის სტატუტის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის აუცილებელ ფაქტორს არ წარმოადგენს შეიარაღებულ კონფლიქტთან კავშირი. მთავარია, რომ აღნიშნული დანაშაულები გამოიხატებოდეს ფართოდ გავრცელებულ ან სისტემატურ თავდასხმებში. „ფართომასშტაბიანობის“ კრიტერიუმის განმარტებისთვის მნიშვნელოვანია როგორც დანაშაულის გავრცელების არეალი, ისე მსხვერპლთა რაოდენობა, ხოლო „სისტემატურობის“ კრიტერიუმი ითვალისწინებს ძა-

ლადობრივი აქტების ორგანიზებულობასა და გამორიცხავს აღნიშნული აქტების შემთხვევით ხასიათს.⁷ იზოლირებული, თვითნებური ან არარეგულირებული ქმედებები ვერ დაკვალიფიცირდება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, რადგან მათი მიზანი არ იქნება დანაშაულების ჩადენასთან დაკავშირებული სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის ხელშეწყობა.⁸ „დანაშაულთა ელემენტები“ არის რომის სტატუტით განსაზღვრული დანაშაულების ინტერპრეტაციისა და გამოყენებისთვის შექმნილი სასამართლოს მთავარი დამხმარე დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი აზუსტებს, რომ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის მნიშვნელოვანი არ არის დამნაშავის მხრიდან სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის დეტალურად ცოდნა, არამედ მთავარია სახეზე იყოს მსგავსი პოლიტიკის ხელშეწყობის განზრახვა.⁹

2016 წელს, ICC-ის III წინასასამართლო პალატამ ბემბას საქმეში გამოკვეთა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემდეგი მაკვალიფიცირებელი ელემენტები: „(ა) დანაშაულებრივი აქტების რაოდენობრივი კრიტერიუმის დაკმაყოფილება (დანაშაულებრივი ქმედებების ერთობლიობა); (ბ) თავდასხმა – როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმით ჩადენილი კონკრეტული არასათანადო მოპყრობა; (გ) თავდასხმების ჩადენისთვის სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკა და სახელმწიფოსა ან ორგანიზაციის მხრიდან ამგვარი პოლიტიკის ხელშეწყობა/წახალისება; (დ) თავდასხმის გაცნობიერება“.¹⁰ ზემოაღნიშნული ნიშნებიდან სწორედ „სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის“ დეფინიციაა მოცემული ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი, რადგან ეს ასპექტი გამოარჩევს არასახელმწიფო აქტორის მიერ დამოუკიდებლად ჩადენილ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს სახელმწიფო აქტორების მიერ ჩადენილი მსგავსი დანაშაულებისგან.

1.1.1. სახელმწიფო პოლიტიკის მიღმა

სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების წესდებები და ჰიბრიდული სასამართლოების დამფუძნებელი დოკუმენ-

ტები არ მიუთითებენ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემადგენლობაში სახელმწიფო პოლიტიკის ელემენტის აუცილებლობაზე.¹¹ ამ მხრივ ყურადსაღებია ისტორიული კონტექსტიც, რადგან სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების უმეტესობა ჩადენილი იყო სახელმწიფო აქტორების მიერ. მაგალითად, ნაცისტური გერმანიის, როგორც სახელმწიფო აქტორის, წინასწარ განსაზღვრული და სამოქალაქო მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა იყო მეორე მსოფლიო ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმების მიზეზი.¹² რუანდის მთავრობის მალაჩინოსნები მხარს უჭერდნენ და ახალისებდნენ ჰუტუ მებრძოლების მიერ ტუცი მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი და სისტემატური დანაშაულების ჩადენას.¹³ თუმცა, არასახელმწიფო აქტორი - სრბკას რესპუბლიკა იყო ბოსნიელი მუსლიმი მოსახლეობისა და ბოსნიაში მცხოვრები ეთნიკურად ხორვატი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმების უკან მდგომი ძალა.¹⁴ შესაბამისად, სწორედ ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTY) იყო პირველი საერთაშორისო დონის მართლმსაჯულების ორგანო, რომელმაც განიხილა თუ რამდენად სავალდებულო იყო სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კვალიფიკაციის მიზნებიდან გამომდინარე.

ICTY-ის სასამართლო პალატამ ტადიჩის საქმეში დაადგინა, რომ სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა არ არის ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების აუცილებელი კომპონენტი.¹⁵ აღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ ბარბისა და ტუვიეს საქმეებში ეროვნულ დონეზე განვითარებულ პრაქტიკას, რომელიც აქცენტს სწორედ სახელმწიფო პოლიტიკის არსებობაზე აკეთებდა.¹⁶ ეს წინააღმდეგობა მარტივად აიხსნება, თუკი გავითვალისწინებთ ისტორიულ და ფაქტობრივ წინაპირობებს. კერძოდ, პოლტუვიე და კლაუს ბარბი მოქმედებდნენ ნაცისტური გერმანიის სახელმწიფო პოლიტი-

კის მიხედვით, რომელიც გულისხმობდა ოკუპირებული საფრანგეთის ტერიტორიაზე დანაშაულებრივი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად კონკრეტული სამოქალაქო ჯგუფების წინააღმდეგ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენას - წამება, მკვლელობა და სხვ. ხოლო ტადიჩის შემთხვევაში აქტუალური იყო ბოსნიელი სერბების მხრიდან მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის განდევნა, მათ შორის, სპეციალურ ბანაკებში დატყვევებული პირების დაშინების, წამების, მკვლელობისა თუ სხვა გზებით. შესაბამისად, ICTY-ის მიერ ძირითადი აქცენტი გაკეთდა არა დანაშაულის ჩადენაში სახელმწიფოს მონაწილეობაზე, არამედ იმ მოტივებზე, რამაც გამოიწვია დანაშაულების ჩადენა. ტადიჩის სასამართლო პალატამ გაიზიარა საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ 1991 წელს შემუშავებული ფართო დეფინიცია, რომლის თანახმადაც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული შეიძლება „პროვოცირებული ან მართული ყოფილიყო მთავრობის ან ორგანიზაციის ან ჯგუფის მიერ“. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის თანახმად, ტერორისტულ დაჯგუფება იყო ერთ-ერთი ის არასახელმწიფო აქტორი, რომელსაც შეეძლო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა.¹⁷

ICTY-ის სააპელაციო პალატამ კუნარაჩის საქმეში გააგრძელა ტადიჩის საქმეში განვითარებული მსჯელობა და დაადგინა, რომ „განსაზღვრული პოლიტიკის ან გეგმის არსებობა შეიძლება მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე იყოს, თუმცა ის არ არის დანაშაულის აუცილებელი ელემენტი სამართლებრივი კვალიფიკაციის კუთხით“.¹⁸ სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „პოლიტიკა“ უნდა აღიქმებოდეს როგორც დანაშაულის არსებითი ელემენტების (მაგალითად თავდასხმის სისტემატურობის) განსაზღვრისთვის საჭირო დამატებითი ასპექტი. კუნარაჩის საქმეში ტრიბუნალმა საერთოდ უგულვებელყო პოლიტიკის ელემენტის საჭიროება და შეიძლება ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებით მან უკუაგდო საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მოთხოვნები. თუმცა, რომის სტატუტის მე-7 მუხლი ითვლება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ყვე-

ლაზე ფართოდ აღიარებულ დეფინიციად და აღნიშნული დეფინიციის თანახმად კვლავაც აუცილებელია დანაშაულის უკან მდგომი „სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის“ როგორც მკვეთრი ფიციონებელი ელემენტის არსებობა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 123 სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის უფრო ავტორიტეტული გამოხატულებაა, ვიდრე კუნარაჩის საქმეზე ICTY-ის გადანყვეტილება.¹⁹

პროფესორი ბასიუნონი თვლიდა, რომ რომის სტატუტის მე-7 მუხლი არ მოიცავს არასახელმწიფო აქტორების მიერ სახელმწიფოსგან სრულიად დამოუკიდებლად ჩადენილ დანაშაულებს. მისი აზრით, ტერმინი „ორგანიზაციულ პოლიტიკა“ ეხება სახელმწიფოს ორგანოების პოლიტიკას და არა არასახელმწიფო აქტორების პოლიტიკას.²⁰ თუმცა, მოცემული ტერმინის ბასიუნონისეული განმარტება ცალსახად ეწინააღმდეგება დანაშაულთა ელემენტებში არსებულ ინტერპრეტაციას. „დანაშაულთა ელემენტები“ აზუსტებს, რომ სახელმწიფომ ან ორგანიზაციამ აქტიურად უნდა განავითაროს ან ხელი შეუწყოს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმას.²¹ „ორგანიზაციული პოლიტიკის“ ცნების შემოტანით რომის სტატუტი მიზნად ისახავს არა სახელმწიფოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების გამიჯვნას, არამედ სახელმწიფოსა და ორგანიზაციის, როგორც ორი დამოუკიდებელი სუბიექტის, გამოკვეთას. ანალოგიური მიდგომაა მხარდაჭერილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაშიც. კერძოდ, ICC-ის I წინასასამართლო პალატამ კატანგასა და ნგუდჯოლო ჩუის გადანყვეტილებაში „ორგანიზაციული პოლიტიკა“ განმარტა როგორც პოლიტიკა შემუშავებული „ან იმ პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც მართავენ კონკრეტულ ტერიტორიას ან იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც აქვს შესაძლებლობა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ განახორციელოს სისტემატური ან ფართომასშტაბიანი თავდასხმა“.²² ჟერმენ კატანგას ნგიტ აჯანყებულთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამოქალაქო პირების წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებსა და ხოცვა-ჟლეტაზე, არის რომის სტატუტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასახელმწიფო აქტორის ნათელი მაგალითი.

პროფესორი დერილ რობინსონი აღნიშნავს, რომ მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება, რომ თანამედროვე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი განვითარდა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული რომის სტატუტის მიხედვით აღარ არის შეუძლებელი მხოლოდ „სახელმწიფო პოლიტიკით“.²³ ICC-ის პროკურორმა საქართველოს საქმეზე ავტორიზაციის მოთხოვნაში ხაზი გაუსვა, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის *de facto* ადმინისტრაციას (არასახელმწიფო აქტორს) ჰქონოდა შესაძლებლობა დაეგეგმა და განეხორციელებინა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.²⁴ მართალია ICC-ის I წინასასამართლო პალატას დეტალურად არ განუხილავს აღნიშნული საკითხი საქართველოს საკითხზე გამოძიების დაწყების დაკმაყოფილების გადანყვეტილებაში, თუმცა პალატამ აღიარა სამხრეთ ოსეთის ძალების მხრიდან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის შესაძლებლობის გონივრული საფუძველები და აღარ მიიჩნია საჭიროდ ავტორიზაციის სტადიაზე აღნიშნულ საკითხზე დამატებითი მსჯელობა.²⁵

ზემოთ მოყვანილ მსჯელობასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აჯანყებული ჯგუფის ან თვითგამოცხადებული მთავრობის შესაბამისი პოლიტიკის არსებობა საკმარისია იმისთვის, რომ დადგინდეს რომის სტატუტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ „ორგანიზაციულ პოლიტიკასთან“ შესაბამისობა. თუმცა მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ სხვა არასახელმწიფო აქტორები, რომლებსაც შეუძლიათ ამავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელება. შემდეგი ქვეთავი განიხილავს იმ არასახელმწიფო აქტორების ტიპებსა და მახასიათებლებს, რომლებსაც აქვთ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის შესაძლებლობა და შესაბამისი ორგანიზაციული პოლიტიკის შემუშავების უნარი.

1.2. ორგანიზაციის მახასიათებლები

საერთაშორისო სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერთა ნაწილის მტკიცებით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კონტექსტში ორგანიზაციული პოლიტიკა შეიძლება გააჩნდეთ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ გარკვეულ ტერიტორიებზე პოლიტიკური კონტროლის მოპოვება. მაგალითად *de facto* მთავრობები ან აჯანყებულთა ჯგუფები.²⁶ 2010 წელს, ICC-ის II წინასასამართლო პალატამ პროკურორს *proprio motu* გამოძიების დაწყების ნება დართო კენიის პოსტ-საარჩევნო ძალადობის ფაქტებზე.²⁷ 2007-2008 წლებში კენიაში სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ თავდასხმები განხორციელეს ახალგაზრდულმა დაჯგუფებებმა, რომლებიც ასოცირდებოდნენ კენიის ორ წამყვან პოლიტიკურ პარტიასთან. იმისთვის, რომ განესაზღვრა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენი არასახელმწიფო აქტორების მთავარი მახასიათებლები, წინასასამართლო პალატის ორი მოსამართლე დაეყრდნო „ჯგუფის შესაძლებლობას განხორციელოს აქტები, რომლითაც ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები“. პალატამ შეიმუშავა ექვსი მიდგომა, თუმცა აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი კრიტერიუმები არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და თითოეულ სიტუაციას ესაჭიროებოდა საქმიდან გამომდინარე ინდივიდუალური ანალიზი.²⁸ დადგენილი იერარქია, ტერიტორიული კონტროლი, ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების განხორციელების შესაძლებლობა და სამოქალაქო მოსახლეობა როგორც თავდასხმის მთავარი სამიზნე შედიოდა წინასასამართლო პალატის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებში.²⁹ ინდივიდების სხვადასხვა გაერთიანებამ შესაძლოა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული კრიტერიუმების უმეტესობა. შესაბამისად ჩნდება რისკი, რომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გაუთანაბრდება ეროვნულ დონეზე ჩადენილ ორგანიზებულ დანაშაულს. სწორედ ამ არგუმენტს ეყრდნობიან საერთაშორისო სამართლის ის სპეციალისტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ფართო ინტერპრეტაციას.³⁰

პროფესორი შაბასი აბსურდად მიიჩნევს რომის სტატუტის მე-7 მუხლის მე-2

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გავრცელებას ტერორისტულ ქსელებზე, ორგანიზებულ კრიმინალურ სინდიკატებსა და ინდივიდთა სხვა ისეთ გაერთიანებებზე, რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი ნიშნები.³¹ მსგავსი მიდგომა განავითარა მოსამართლე კაულმა, რომელმაც კენიის საქმეზე დააფიქსირა განსხვავებული მოსაზრება და აღნიშნა, რომ რომის სტატუტის მე-7(2) მუხლი ფარავს სახელმწიფოებრივი ნიშნების მქონე ორგანიზაციებს, გამოკვეთა-რა საპოლიციო კონტროლის შესაძლებლობა და დროის განგრძობად მონაკვეთში არსებობა როგორც შესაბამისი არასახელმწიფო აქტორის აუცილებელი მახასიათებლები.³² მოსამართლე კაული დაეყრდნო ისტორიულ და თელეოლოგიურ ინტერპრეტაციას და დაადგინა, რომ მხოლოდ სახელმწიფოს მსგავს ორგანიზაციებს აქვთ საშუალებები და რესურსები რომ ჩაიდინონ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულები, რომლებმაც შესაძლოა „შეძრან კაცობრიობა“.³³ აღსანიშნავია, რომ მოცემული მიდგომა უგულვებელყოფს კერძო სამხედრო და უსაფრთხოების კომპანიების, ნარკო კარტელების, საერთაშორისო კორპორაციებისა და სხვა არასახელმწიფო აქტორების შესაძლებლობასა და რესურსებს, რომლითაც შეიძლება სისტემატურად დაირღვეს სამოქალაქო პირების ფუნდამენტური უფლებები.³⁴ ტერორისტულ დაჯგუფებებს შესაძლოა წვდომა ჰქონდეთ ქიმიურ ან ბიოლოგიურ იარაღებზე და განხორციელონ საზარელი და მასშტაბური თავდასხმები. ერთი მხრივ, „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“, როგორც არასახელმწიფო აქტორი, თანხვედრაშია მოსამართლე კაულის მიერ სახელმწიფოებრივი ნიშნების მქონე ორგანიზაციის დეფინიციასთან. თუმცა, მეორე მხრივ, ის არის საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის თავდასხმებიც გაეროს უშიშროების საბჭომ 2015 წლის ნოემბერში დაასახელა „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის გლობალურ და უპრეცედენტო საფრთხედ“.³⁵ ძნელი წარმოსადგენი არ არის თუ რა შეიძლება მოხდეს თუკი აღნიშნული ტერორისტული დაჯგუფების ხელში აღმოჩნდება მასობრივი განადგურების იარაღი.

„ორგანიზაციულ პოლიტიკაზე“ მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია დავადგინოთ,

თუ რა არის რომის სტატუტში სახელმწიფო-ლებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ნაგულისხმევი ობიექტი და მიზანი.³⁶ ICC-ის წესდების პრეამბულა, *inter alia*, მოიხსენებს მომავალი თაობების ინტერესებს და ხაზს უსვამს სტატუტის პრევენციულ როლს.³⁷ „ორგანიზაციული პოლიტიკის“ როგორც სამართლებრივი ტერმინის განმარტების დროს ყურადსაღებია რომის სტატუტის გრძელვადიანი პრევენციული მიზანი. ნათელია, რომ დესტრუქციული ტექნოლოგიების (მასობრივი განადგურების იარაღი) განვითარებით უფრო მეტ არასახელმწიფო აქტორს შესაძლებლობა აქვს ჩაიდინოს საზარელი და მასშტაბური დანაშაულები. შესაბამისად, წინა ქვეთავში მითითებულ კენიის საქმეში ICC-ის II წინასასამართლო პალატის ლოგიკა უფრო დამაჯერებელია ვიდრე პროფესორი შაბასის ან მოსამართლე კაულის არგუმენტები, რადგან წინასასამართლო პალატამ გაითვალისწინა საერთაშორისო სისხლის სამართლის ახალი გამოწვევები და დანაშაულებრივი ქმედების ინტერპრეტაცია მოახდინა რომის სტატუტის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.

ვერლე და ბურგჰარდტი მხარს უჭერენ ორგანიზაციული პოლიტიკის ფართო განმარტებას და აღნიშნავენ, რომ „შეკითხვა თუ ვინ ახორციელებს სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმას არ ახდენს ზეგავლენას ინდივიდუალური უფლებების მასობრივი დარღვევის არსებობის ფაქტებზე“.³⁸ მათი აზრით, რომის სტატუტი არ მოითხოვს სახელმწიფოს მსგავსი ნიშნების მქონე ორგანიზაციის არსებობას ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში. ისინი განიხილავენ მსგავსი მოთხოვნის არარსებობას ომის დანაშაულებსა და გენოციდის შემთხვევებში და აღნიშნავენ, რომ ანალოგიური მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კვალიფიკაციის დროსაც.³⁹ მაგალითად, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებმა შარფმა და ნიუტონმა განიხილეს ტერორიზმისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ურთიერთმიმართება და მათი აზრით, ტერორისტული თავდასხმების ტალღა ჩადენილი არასახელმწიფო აქტორების მიერ მშვიდობიანობის დროს (როგორცაა

მაგალითად 9/11-ის მსგავსი ტერორისტული აქტების ერთობლიობა) შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.⁴⁰ მოცემული ნაშრომის ავტორის მოსაზრებითაც, სწორედ დანაშაულის საზარელი, მასშტაბური და მომაკვდინებელი ბუნება და არა თავად დანაშაულის ჩამდენი სუბიექტის რაობაა არსებითი ფაქტორი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩვეულებრივი ანუ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულებისგან გამიჯვნისთვის.

1.3. რომის სტატუტის მე-7 მუხლით გათვალისწინებული „პოლიტიკის“ ცნება

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში სახელმწიფოს ან ორგანიზაციის პოლიტიკას ესაჭიროება თავად სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მხრიდან აქტიური ხელშეწყობა ან ნაქეზება.⁴¹ თუმცა, „დანაშაულის ელემენტები“ ითვალისწინებს გამოწვევის შემთხვევასაც, როდესაც აღნიშნული პოლიტიკა შეიძლება გამოიხატოს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმების აღსაკვეთად განზრახ უმოქმედობაშიც. მართალია „დანაშაულის ელემენტებში“ არ არის დაკონკრეტებული აღნიშნული უმოქმედობის ავტორი, თუმცა ამავე დოკუმენტის მე-7 მუხლზე თანდართული სქოლიოს ერთიან კონტექსტში ნაკითხვის შედეგად მივალთ დასკვნამდე, რომ უმოქმედობის ავტორი უნდა იყოს ის სახელმწიფო ან ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია აღვეთოს სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა, თუმცა შეგნებულად იკავებს თავს ასეთი თავდასხმისთვის ხელის შეშლისგან.⁴² აღნიშნულ პოლიტიკას შეგვიძლია უმოქმედობის პოლიტიკაც ვუწოდოთ.

აღსანიშნავია, რომ უმოქმედობის პოლიტიკის განმარტება ICC-ის პრაქტიკაში ჯერ არ მომხდარა. თუმცა იმის მტკიცება, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციისა და მათზე ეფექტიანი რეაგირების ვალდებულება ნიშნავს უგულვებელყოფით იმ არასახელმწიფო აქტორის გავლენა, რომელიც შეიძლება ახორციელებდეს არა მხოლოდ სახელმწიფოს გარკვეულ ტერიტორიაზე ეფექტიან ტერიტორიულ კონტროლს, არამედ მას შეიძლება საკუთარი არაფორ-

მალური მართლმსაჯულების სისტემა ცივი ჰქონდეს დაარსებული და სახელმწიფოებზე ეფექტიანადაც ებრძოდეს მის კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმოქმედობის პოლიტიკის არასახელმწიფო აქტორისთვის მინერის დროს უფრო მაღალია არასახელმწიფო აქტორის მიმართ წარდგენილი მოთხოვნები. კერძოდ, ამ დროს მართებული იქნება თუკი დავეყრდნობით მოსამართლე კაულისა და პროფესორი შაბასის მიერ განვითარებულ და ზემოთ უკვე განხილულ ე.წ. სახელმწიფოსთან მსგავსების ნიშანს. შესაბამისად, იატაკქვეშა ტერორისტული დაჯგუფებას არ დაეკისრება დანაშაულის პრევენციის კუთხით სახელმწიფოს მსგავსი ვალდებულება. თუმცა სანაღმდეგო შეიძლება ითქვას *de facto* მთავრობებსა თუ ტერიტორიული კონტროლის მქონე არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე სხვა სუბარატივულ ძალებზე.⁴³

რომის სტატუსი არ ითვალისწინებს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კონკრეტული მოტივის ან მიზნის არსებობას. მსგავს მოტივს ან მიზანს მხოლოდ მტკიცებულებითი და არა მაკვალიფიცირებული ხასიათი შეიძლება ჰქონდეს.⁴⁴ ასევე არავითარი საჭიროება არ არის, რომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის პოლიტიკა იყოს ფორმალურად დამტკიცებული და მისი არსებობა შეიძლება დადასტურდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით როგორცაა: „ა) თავდასხმის დაგეგმვა და კოორდინაცია; ბ) ძალადობის განმეორებითობა; გ) პოლიტიკის განხორციელების ხელშესაწყობად სახელმწიფო ან კერძო რესურსების გამოყენება; დ) სახელმწიფო ან ორგანიზაციული ძალების ჩარევა დანაშაულების ჩადენაში; ე) განცხადებები, ინსტრუქციები ან დოკუმენტაცია, რომლებიც მიენერება იმ სახელმწიფოს ან ორგანიზაციას, რომელიც ხელს უწყობს ან რეაგირებას არ ახდენს დანაშაულების ჩადენაზე და/ან ვ) დანაშაულის თანმდევი მოტივაციის არსებობა“.⁴⁵ სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებელი არ არის აღნიშნული ნიშნებიდან ყველა იყოს ერთობლივად დაკმაყოფილებული და პოლიტიკა უნდა განიმარტოს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზოგადი კონტექსტისა და ინდივიდუალური

გარემოებების ანალიზის საფუძველზე.⁴⁶ შესაბამისად, სასამართლოს რჩება საკმაოდ ფართო დისკრეცია დაადგინოს თუ რომელი არასახელმწიფო აქტორის პოლიტიკა დააკმაყოფილებს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ კრიტერიუმს.

1.4. კომპლემენტარობისა და სიმძიმის კრიტერიუმებით დაბალანსებული სახელმწიფოს სუვერენული ინტერესები

ყურადღაღებია ის გარემოებაც, რომ „ორგანიზაციული პოლიტიკის“ ფართო განმარტების მონინალმდეგებს აქვთ კიდევ ერთი კონტრარგუმენტი ICC-ის იურისდიქციის გაფართოების წინააღმდეგ. კერძოდ, კლაუს კრესი მხარს უჭერს მოსამართლე კაულის მიერ შემოთავაზებულ ვიწრო ინტერპრეტაციას და ამტკიცებს, რომ სახელმწიფოების სუვერენული ინტერესების გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ეროვნული სამართლით გათვალისწინებული ჩვეულებრივი დანაშაულების დონემდე დაყვანა.⁴⁷ ის დამატებით აღნიშნავს, რომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების „ადამიანის უფლებებით გაჯერებული თელეოლოგიური ინტერპრეტაცია“ ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა პრაქტიკას, რადგან მსგავსი განმარტება არარაციონალურად აფართოებს საერთაშორისო სისხლის სამართალს ომისა და სამოქალაქო არეულობის ფარგლებს მიღმა.⁴⁸ თუმცა, როგორც მოსამართლე კაული, ისე კრესი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ICC-ის ზოგიერთ არაერთოდოქსულ უპირატესობებს. კერძოდ, კომპლემენტარობის პრინციპი და სიმძიმის კრიტერიუმი საკმარის სივრცეს ტოვებს სახელმწიფოს სუვერენული ინტერესებისთვის. მხოლოდ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის არსებობა *per se* არ ნიშნავს, რომ სიტუაცია განიხილება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში. რომის სტატუტის პირველივე მუხლი ცალსახად აღნიშნავს, რომ ICC არის შემავსებელი ანუ კომპლემენტარული ეროვნული მართლმსაჯულებისა.⁴⁹ რომის სტატუტის მე-17 მუხლი კი განსაზღვრავს საქმის სასამართლოში დასაშვებობის საფუძველებს, რომლის თანახმადაც ICC-ს არ შეუძლია დასაშვებად სცნოს საქმე თუკი ამ საქმეზე გამოძიება ან

სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს ეროვნულ დონეზე იმ შემთხვევაში თუ ეროვნული სამართალწარმოება არ ატარებს შეფარვით ან მიკერძოებულ ხასიათს. თუ სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს განახორციელოს შესაბამისი ეროვნული გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა, საქმე აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს სიმძიმის განსაზღვრულ დონეს იმისთვის, რომ ICC-ის იურისდიქციის ქვეშ მოექცეს.⁵⁰

სასამართლოს III წინასასამართლო პალატამ განმარტა, რომ რომის სტატუტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიმძიმის ელემენტი არის „დამატებითი გარანტია, რომლის ძალითაც სასამართლო თავიდან ირიდებს გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას დაუქვემდებაროს ან გაასამართლოს მეორეხარისხოვანი საქმეები“.⁵¹ სიმძიმის ზღვრის დადგენის დროს სასამართლო მხედველობაში იღებს, *inter alia*, დანაშაულის მასშტაბს, ბუნებას, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მანერასა და დანაშაულის მსხვერპლზე ზეგავლენის ხარისხს. ასე რომ, სიმძიმე შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მექანიზმი, რომელიც შეეწინააღმდეგება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ე.წ. „ჩვეულებრივი“ დანაშაულების დონეზე დაყვანას.⁵² საილუსტრაციო მიზნებიდან გამომდინარე გონივრული იქნება განვიხილოთ შემდეგი ჰიპოთეტური მაგალითი.

თბილისის დინამოს საფეხბურთო გუნდის ფანების კლუბი არსებობს რამდენიმე წლის მანძილზე და ამ ჯგუფის ასამდე ოპერაციული აღმსრულებელი ემორჩილება მათი ლიდერების ბრძანებებს. მათ შეიმუშავეს პოლიტიკა რომ მოკლან და გაანადგურონ ქუთაისის ტორპედოს მხარდამჭერები და დაიწყეს მათი მონინააღმდეგე კლუბის ქომაგებზე თავდასხმები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შედეგად, ტორპედოს ათეულობით გულშემატკივარი მოკლეს (მათ შორის რამდენიმე ბავშვი) და დინამოს ბევრი მხარდამჭერი შეეწირა საპასუხო თავდასხმებს ჩადენილს ტორპედოს ფანების მიერ შურისძიების მოტივით. მათი დაშოშმინებისა და საფეხბურთო გუნდებთან დაკავშირებული სამოქალაქო არეულობის დაწყების მიზნით საქართველოში გამოცხადდა ფართომასშტაბიანი ამნისტია.

თეორიულად ფეხბურთის ფანების მსგავსი ჯგუფი აკმაყოფილებს კენიის საქმეში ICC-ის II წინასასამართლო პალატის მიერ შემუშავებული იმ კრიტერიუმების უმეტესობას (გარდა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის კონტროლის მოთხოვნისა), რომლითაც პალატამ განსაზღვრა ორგანიზაციის ცნება. „ორგანიზაციული პოლიტიკის“ ფართო ინტერპრეტაციის შემთხვევაში ფეხბურთის ქომაგების დანაშაულებრივი აქტები ჩაითვლება როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები თუკი მხედველობაში მივიღებთ ჯგუფის შესაძლებლობას სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ განახორციელოს ფართომასშტაბიანი თავდასხმა. მიუხედავად ამისა, სიმძიმის კრიტერიუმი არის საქართველოსთვის, როგორც სუვერენული სახელმწიფოსთვის, მის ინტერესებში არამართლზომიერი ჩარევისგან დაცვის ერთგვარი გარანტია. ფეხბურთის ფანების თავდასხმების ბუნება, მასშტაბი და ზეგავლენა არ დააკმაყოფილებს რომის სტატუტის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სიმძიმის ზღვარს. სხვა მხრივ, უფრო მძიმე ქმედებები ჩაითვლება, რომ განდება მთელი საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთების საგანი და დააკმაყოფილებული იქნება სიმძიმის კრიტერიუმი. იმ შემთხვევაში თუ სახეზე იქნებოდა არა ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის დაპირისპირება, არამედ ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე არასახელმწიფო აქტორებს შორის გაჩაღებული სერიოზული შეიარაღებული კონფლიქტი, სავარაუდოა, რომ მსგავსი კონფლიქტი დააკმაყოფილებდა რომის სტატუტით გათვალისწინებულ სიმძიმის კრიტერიუმს. დანაშაულებრივი ქმედებების ზეგავლენის სიმძიმის კრიტერიუმი არის ერთგვარი დამატებითი ბალანსი სახელმწიფო სუვერენულ ინტერესებსა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს შორის. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ განსაკუთრებით მძიმე და საერთაშორისო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი კრიმინალური ქმედებები გადანონის იმ ქვეყნების სუვერენულ ინტერესებს, რომლებიც არიან რომის სტატუტის ხელშემკვრელი მხარეები და აღიარებენ აღნიშნული ხელშეკრულების ობიექტსა და მიზანს.

2. ICC-ის იურისდიქციის ფარგლები არასახელმწიფო აქტორის ნებრებთან მიმართაბით

რომის სტატუტის 25-ე მუხლი განსაზღვრავს ფიზიკური პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა საფუძვლებს.⁵³ აღნიშნული მუხლის მიხედვით, დანაშაულის ამსრულებელი ინდივიდუალურად აგებს პასუხს საკუთარ ქმედებაზე მიუხედავად იმისა მან ეს დანაშაული მარტომ ჩაიდინა თუ სხვასთან ერთად. ამავე მუხლის თანახმად, ასევე დასჯადია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის ბრძანების გაცემა ან ასეთი დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზება, თუკი მსგავსი დანაშაული ნამდვილად მოხდა ან თუ ადგილი ჰქონდა მისი ჩადენის მცდელობას.

2.1. Ratione Personae იურისდიქცია

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ სასამართლოს *ratione personae* იურისდიქცია არ ფარავს იურიდიულ პირებს. მთავარი მიზეზი თუ რატომ არ ვრცელდება ICC-ის იურისდიქცია იურიდიულ პირებზე გამომდინარეობს კომპლემენტარობის პრინციპიდან, რადგან რომის სტატუტის ნევრი ყველა სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა არ ითვალისწინებს იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.⁵⁴ ისტორიული საფუძვლის კუთხით აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ნიურნბერგის ტრიბუნალმა აღიარა, რომ „საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ დანაშაულები ჩადენილია ადამიანების და არა აბსტრაქტული ორგანიზაციების მიერ“ და დამნაშავეები ინდივიდუალურად აგებენ პასუხს მაშინაც კი თუ ისინი მოქმედებდნენ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.⁵⁵ სასამართლოს III პალატამ ბეშას საქმეში ცალსახად განმარტა, რომ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის არ არის აუცილებელი დანაშაულის ამსრულებელი იყოს იმ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის ნევრი/წარმომადგენელი, რომელსაც აქვს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის პოლიტიკა.⁵⁶ თუმცა, შესაბამისი ორგანიზაციული პოლიტიკის არსებობა პირდაპირ არ ნიშნავს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლს და დანაშა-

ულის მატერიალურ ელემენტებს თან უნდა ახლდეს რომის სტატუტის 30-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახვისა და ცოდნის ელემენტები.⁵⁷ საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორია იცნობს პრეცედენტებს, როდესაც კერძო კომპანიებისთვის მომუშავე პირები პასუხისმგებაში მიეცნენ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის. მაგალითად, მონური შრომის გამოყენება და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი არაადამიანური მოპყრობის სხვა ფაქტები ნახსენები იყო კრუპისა და მისი ქარხნების 11 დირექტორის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაში ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალზე.⁵⁸ თუმცა, ბრალდებები გამომდინარეობდა მხოლოდ ინდივიდუალური ქმედებებიდან, რადგან საერთო მიზნით პასუხისმგებლობა არ იყო გათვალისწინებული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების იმდროინდელ დეფინიციასა და მეოცე საუკუნის შუა პერიოდში მოქმედ სამართლებრივ სისტემაში.

2.2. თანამონაწილეობის სახეები

რომის სტატუტის 25-ე მუხლი დანაშაულად აღიარებს დანაშაულის ჩადენაში (ან ჩადენის მცდელობაში) შეგნებულ კონტრიბუციას, განხორციელებულს საერთო მიზნით მოქმედი პირთა ჯგუფის მიერ. სტატუტი განასხვავებს მთავარ დამნაშავესა (*principal perpetrator* – ქართულ კანონმდებლობაში იგივე ამსრულებელი) და დამხმარეს (*accessory*). აღსანიშნავია, რომ კერძო ორგანიზაციებისთვის მომუშავე პირები, აჯანყებული შეარაღებული დაჯგუფების ნევრები ან სხვა არასახელმწიფო აქტორის მხარდამჭერი პირები შეიძლება ხშირად იყვნენ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თანამონაწილეები/დამხმარეები. მაგალითად, კატანგას საქმეზე გამოტანილ განაჩენში ICC-ის II წინასასამართლო პალატამ აღნიშნა, რომ რომის სტატუტის 25(3)(დ) მუხლით განსაზღვრული მენტალური ელემენტები მიესადაგება ისეთ ქმედებას, რომელიც წარმოადგენს დამხმარე პირის შეგნებულ წვლილს შეტანილს ჯგუფის საერთო მიზნის მიღწევაში.⁵⁹ სასამართლომ კატანგას საქმეში ხაზი გაუსვა, რომ „პირს, რომელსაც ბრალი ედება 25(3)(დ) მუხლით, არ შეეარაცხება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრი-

ვი პასუხისმგებლობა იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მართალია შეადგენენ ჯგუფის საერთო მიზნის ნაწილს, მაგრამ რომელშიც მას პირადი წვლილი არ შეუტანია“.⁶⁰ შესაბამისად, ორგანიზაციის მხოლოდ თანამშრომლად ან აჯანყებული ჯგუფის მხოლოდ წევრად ყოფნა არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი თუკი წევრი ან თანამშრომელი არ გააკეთებს შეგნებულ კონტრიბუციას განსაზღვრული დანაშაულების ჩადენაში. მბარუშიმანას საქმეში ICC-ის II წინასასამართლო პალატამ განმარტა, რომ „საერთო მიზნით მოქმედი ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულში შეტანილი წვლილი უნდა იყოს როგორც მინიმუმ მნიშვნელოვანი“ და მას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ზეგავლენა თავად ამ დანაშაულზე.⁶¹ მაგალითად, მეცნიერის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება ფარმაცევტულ კომპანიაში შემუშავებული ბიოლოგიური იარაღისთვის თუკი მან იცოდა, რომ კომპანიის ბოროტი მფლობელების მთავარი მიზანი იყო ბიოლოგიური იარაღის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენება. მეორე მხრივ, ლაბორანტის ქმედება, რომელიც ასუფთავებს ლაბორატორიის დანადგარებს არ არის რომის სტატუტით დასჯადი ქმედება მაშინაც კი, თუ ლაბორანტმა იცოდა ფარმაცევტული კომპანიის მფლობელთა საერთო კრიმინალური მიზნის შესახებ. პროფესორი კაი ამბოსი მიუთითებს, რომ რომის სტატუტის 25(3)(დ) მუხლი ახდენს ცალკეულ ქმედებებში ინდივიდუალური დახმარების კრიმინალიზებას.⁶² შესაბამისად, როდესაც შეიარაღებული დაჯგუფების წევრი იარაღით ამარაგებს დაჯგუფების იმ წევრებს, რომლებიც აპირებენ სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმას, მას ბრალი წარედგინება დანაშაულში დახმარებისთვის.

2.3. განზრახვა

ICC-ის სისტემა შეიძლება არ იყოს ეფექტიანი იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, რომლებიც ეხმარებიან დანაშაულის ამსრულებლებს დანაშაულის ფასილიტაციის გაცნობიერებული მიზნის გარეშე. კრაიერსა და სხვა ავტორებს მაგალითად მოჰყავთ სარგებელზე ორიენტირებული იარაღით მოვაჭრის შემთხვევა. კერძოდ, იარაღით მოვაჭრემ იცის რომ მყიდ-

ველის მიზანი არის საერთაშორისო დანაშაულების ჩადენა, მაგრამ იარაღს ყიდის მხოლოდ ფულის შოვნის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში მას საერთაშორისო დონეზე ბრალი არ წარედგინება, რადგან რომის სტატუტის 25(3)(დ) მუხლი მოითხოვს პირველი ხარისხის განზრახვის (*dolus directus*) არსებობას იყენებს-რა ტერმინს „იმ მიზნით რომ“.⁶³ აღსანიშნავია, რომ 25(3)(დ) მუხლს შემოაქვს სპეციალური და უფრო მკაცრი მოთხოვნა ნებელობის ელემენტისა, რაც წარმოადგენს რომის სტატუტის 30(2)(ბ) ზოგადი მუხლიდან გადახვევას. აღნიშნულთან მიმართებით, ICC-ის I წინასასამართლო პალატამ ლუბანგას საქმეში განაცხადა, რომ რომის სტატუტის 30(2)(ბ) მუხლი არ აღიარებს არაპირდაპირი განზრახვის (*dolus eventualis*) ცნებას და მოითხოვს სულ მცირე მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის (*dolus directus*) არსებობას.⁶⁴ შესაბამისად, რომის სტატუტის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება იმ შემთხვევაში, როდესაც ფარმაცევტული კომპანიის გაყიდვების მენეჯერი მხოლოდ მოგების გაზრდაზეა ორიენტირებული და ტერორისტულ დაჯგუფებაზე ყიდის ბიოლოგიური იარაღის კომპონენტებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ გაყიდვების მენეჯერს გაცნობიერებული აქვს, რომ გაყიდული პროდუქცია შესაძლოა გამოყენებული იქნეს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ სისტემატური ან ფართომასშტაბიანი თავდასხმების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ ICC-ის უპირველესი მიზანი არის დანაშაულის ამსრულებლის გასამართლება. თუმცა ეროვნულ დონეზე არსებულ სამართლებრივ ჩარჩოს შეუძლია წინ აღუდგეს ICC-ის არაეფექტიანობის დამხმარე (დანაშაულის თანამონაწილე) პირების გასამართლების კუთხით, რადგან რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს *mens rea*-ს შედარებით დაბალ სტანდარტს. რომის სტატუტის პრეამბულა ასახავს იმ იდეას, რომ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება აუცილებელია, მათ შორის, ეროვნულ დონეზე ქმედითი ნაბიჯების გადადგმის გზითა და დანაშაულის თითოეული თანამონაწილის ჰააგაში ექსტრადიციის არ არის ერთადერთი გამოსავალი დაუსჯელო-

ბის სინდრომის აღმოსაფხვრელად. ასევე ყურადსაღებია საერთაშორისო სამართლის კომისიის მცდელობა ხელი შეუწყოს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ კონვენციის მიღებას, რაც თავის მხრივ გაზრდის სახელმწიფოების პასუხისმგებლობას აღნიშნული დანაშაულების პრევენციისა და ეროვნულ დონეზე ეფექტიანი მართლმსაჯულების აღსრულების კუთხით.⁶⁵ მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტის მე-15 მუხლის პროექტი ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოებისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების უპირატესობას ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.⁶⁶ შესაბამისად, ცალკე კონვენციის მიღებით არათუ დაკნინდება ICC-ის როლი, არამედ კიდევ უფრო გამყარდება მისი როგორც მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს ინსტიტუციური ფუნქცია.

დასკვნა

რომის სტატუტის მე-7(2)(ა) მუხლით გათვალისწინებული „პოლიტიკის“ კრიტიკის განმარტება უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკა და მოიცავს იმ ორგანიზაციების პოლიტიკასაც, რომლებსაც აქვთ საკმარისი შესაძლებლობა და რესურსი მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ კაცობრიობის ფუძემდებლურ ღირებულებებს.

აღნიშნული დანაშაულის მთავარი იდეა არის ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა ფართომასშტაბიანი ან სისტემატური ძალადობისგან, მიუხედავად იმისა ძალადობის წყარო არის სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორი. „ორგანიზაციული პოლიტიკის“ ვიწრო განმარტებაზე დაყრდნობა ეწინააღმდეგება რომის სტატუტის ობიექტსა და მის გრძელვადიან პრევენციულ მიზანს. სტატიაში მკაფიოდ გამოიკვეთა პოზიცია, რომ არასახელმწიფო აქტორებს არ მოეთხოვებათ სახელმწიფოს ნიშნების ქონა იმისთვის, რომ განახორციელონ დამანგრეველი თავდასხმები და „შეძრან კაცობრიობა“ მშვიდობიანობის დროსაც კი.

კორპორაციების თანამშრომლებს, *de facto* მთავრობების წარმომადგენლებს, გასამხედროებული და სხვა დაჯგუფების წევრებს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების როგორც ამსრულებლების, ისე თანამონაწილის რანგში. თუმცა, დანაშაულებზე პასუხისმგებელი არასახელმწიფო აქტორის მხოლოდ წევრობა არ არის რომის სტატუტით დასჯადი ქმედება. ამავდროულად, ICC-ის მიერ გამოყენებული განზრახვის მაღალი სტანდარტი (*mens rea dolus directus*), არ უნდა იყოს აღქმული როგორც დაბრკოლება ეროვნულ დონეზე იმ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემისთვის, რომლებიც უშუალოდ არ არიან დანაშაულის ამსრულებლები ან არ შეაქვთ მნიშვნელოვანი წილი დანაშაულის ჩადენაში.

* ონისიმე ცხომელიძე არის საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი (თსუ); მინიჭებული აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი (წარჩინებით) ედინბურგის უნივერსიტეტის მიერ და საერთაშორისო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი (წარჩინებით) თსუ-ს მიერ.

¹ Bassiouni C. M. *Crimes against Humanity: The Case for a Specialized Convention* in Washington University Global Studies Law Review, vol. 9, no. 4, 2010, გვ. 583.

² იხ.: Jean-Pierre Bemba Gombo, Judgment of the Trial Chamber III, ICC, 2016, პარაგრაფები 74-75; იხ. ასევე Katanga, Judgment of the Trial Chamber II, ICC, 2014, პარაგრაფები 1114-1121.

³ მუხლი 7(2)(ა), Rome Statute of the International Criminal Court 1998 (შემდგომში „რომის სტატუტი“), 2187 UNTS 90.

⁴ იხ.: Robinson D. *Crimes against Humanity: A Better Policy on 'Policy'* in C. Stahn (ed.) (2015) *The Law and Practice of the International Criminal Court*, Oxford, გვ. 731-733; იხ. ასევე Werle G., Burghardt B. *Do Crimes against Humanity*

- Require the Participation of a State or a 'State-like' Organization?* in Journal of International Criminal Justice, vol. 10, no. 5, 2012, გვ. 1151-1154.
- ⁵ მუხლი 7, რომის სტატუტი, ზემოთ სქოლიო 3.
- ⁶ Cassese A. (2003) *International Criminal Law*, Oxford, გვ. 64-66.
- ⁷ *Decision on the Prosecutor's Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Al Bashir*, Decision of the Pre-Trial Chamber I, ICC, 2009, პარაგრაფი 81.
- ⁸ მუხლი 7(3), Elements of Crimes of the International Criminal Court 2002 (შემდგომში „დანაშაულთა ელემენტები“, UN Doc. PCNICC/2000/1/Add.2 (2000); Bassiouni C.M. (2011) *Crimes against Humanity: Historical Evolution and Contemporary Application*, Cambridge, გვ. 8-45.
- ⁹ მუხლი 7(3), დანაშაულთა ელემენტები, ზემოთ სქოლიო 8.
- ¹⁰ *Bemba Trial Judgment*, ზემოთ სქოლიო 2, პარაგრაფი 149-169.
- ¹¹ იხ. მაგალითად მუხლი 3, Statute of the International Criminal Tribunal for Rwanda 1994, 33 ILM 1598 (1994); მუხლი 2, Statute of the Special Court for Sierra Leone 2002, 2175 UNTS 138, 145.
- ¹² Bassiouni C.M. (2010) *Crimes against Humanity in International Criminal Law*, 2nd ed., The Hague/London/Boston, გვ. 258-259.
- ¹³ იქვე, გვ. 196.
- ¹⁴ *Tadic*, Opinion and Judgment of the Trial Chamber, ICTY, 1997, პარაგრაფები 574-575.
- ¹⁵ იქვე, პარაგრაფები 654-655.
- ¹⁶ Robinson D. *Defining "Crimes against Humanity" at the Rome Conference* in The American Journal of International Law, vol. 93, no. 1, 1999, გვ. 49.
- ¹⁷ *Tadic Trial Judgment*, ზემოთ სქოლიო 14, პარაგრაფები 654-655; იხ. ასევე Report of the International Law Commission on the Work of its Forty-third Session, (1991) G.A.O.R., 46th Sess. Supp. No. 10, U.N. Doc. A/46/10, გვ. 265-266.
- ¹⁸ *Kunarac, Kovac and Vukovic*, Judgment of the Appeals Chamber, ICTY, 2002, პარაგრაფი 98.
- ¹⁹ იხ.: Cryer R. et. al. (2014) *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, 3rd ed., Cambridge, გვ. 238; იხ. ასევე Schabas A.W. (2011) *An Introduction to the International Criminal Court*, 4th ed., Cambridge, გვ. 112-113.
- ²⁰ Bassiouni, ზემოთ სქოლიო 1, გვ. 585.
- ²¹ მუხლი 7(3), დანაშაულთა ელემენტები, ზემოთ სქოლიო 8.
- ²² *Katanga and Ngudjolu Chui*, Decision of the Pre-Trial Chamber I, ICC, 2008, პარაგრაფი 396.
- ²³ Robinson, ზემოთ სქოლიო 16, გვ. 50.
- ²⁴ *Request for Authorisation of an Investigation pursuant to article 15, Situation in Georgia* (ICC-01/15-4), Office of the Prosecutor, ICC, 2015, პარაგრაფები 233-238.
- ²⁵ *Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia*, Decision of the Pre-Trial Chamber I, ICC, 2016, პარაგრაფები 30-33.
- ²⁶ Ratner R.S., Abrams S.J., Bischoff L.J. (2009) *Accountability for Human Rights Atrocities in International Law: Beyond the Nuremberg Legacy*, 3rd ed., Oxford, გვ. 70.
- ²⁷ *Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Kenya*, Decision of the Pre-Trial Chamber II, ICC, 2010, პარაგრაფი 90.
- ²⁸ იქვე, პარაგრაფი 93; *Ruto, Kosgey and Sang*, Decision of the Pre-Trial Chamber II, ICC, 2012, პარაგრაფი 185.
- ²⁹ *Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Kenya*, Decision of the Pre-Trial Chamber II, ICC, 2010, პარაგრაფი 90.
- ³⁰ Robinson, ზემოთ სქოლიო 4, გვ. 733-737.
- ³¹ Schabas A.W. (2010) *The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford, გვ. 152.
- ³² *Dissenting Opinion of Judge Hans-Peter Kaul Appended to the Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Kenya* (ICC-01/09), ICC, 2010, პარაგრაფები 51-52.

- ³³ იქვე, პარაგრაფები 66-67.
- ³⁴ იხ.: Werle და Burghardt, *ზემოთ* სქოლიო 4, გვ. 1167.
- ³⁵ UN SC Res. 2249, 20 November 2015.
- ³⁶ მუხლი 31(1), Vienna Convention on the Law of Treaties 1969, 1155 UNTS 331; Dissenting Opinion of Judge Kaul, *ზემოთ* სქოლიო 32, პარაგრაფები 56-65.
- ³⁷ პრეამბულა, რომის სტატუტი, *ზემოთ* სქოლიო 3.
- ³⁸ Werle და Burghardt, *ზემოთ* სქოლიო 4, გვ. 1164.
- ³⁹ იქვე, გვ. 1158.
- ⁴⁰ Scharf P.M., Newton A.M. *Terrorism and Crimes against Humanity* in Sadat N.L. (ed.) (2011) *Forging a Convention for Crimes against Humanity*, Cambridge, გვ. 276.
- ⁴¹ მუხლი 7(3), დანაშაულთა ელემენტები, *ზემოთ* სქოლიო 8; *Bemba Trial Judgment*, *ზემოთ* სქოლიო 2, პარაგრაფები 159-160.
- ⁴² იხ.: მუხლი 7(3), დანაშაულთა ელემენტების მე-6 სქოლიოში მოცემული განმარტება, დანაშაულთა ელემენტები, *ზემოთ* სქოლიო 8; იხ. ასევე *Bemba Trial Judgment*, *ზემოთ* სქოლიო 2, პარაგრაფები 159-160.
- ⁴³ იხ.: მუხლი 1(1), Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts (Protocol II) 1977, 1125 UNTS 609.
- ⁴⁴ *Bemba Trial Judgment*, *ზემოთ* სქოლიო 2, პარაგრაფები 159-160.
- ⁴⁵ *Bemba Trial Judgment*, *ზემოთ* სქოლიო 2, პარაგრაფი 160; *Katanga Judgment*, *ზემოთ* სქოლიო 2, პარაგრაფი 1109.
- ⁴⁶ *Bemba Trial Judgment*, *ზემოთ* სქოლიო 2, პარაგრაფი 160; *Katanga Judgment*, *ზემოთ* სქოლიო 2, პარაგრაფი 1109.
- ⁴⁷ Kress C. *On the Outer Limits of Crimes against Humanity: The Concept of Organization within the Policy Requirement: Some Reflections on the March 2010 ICC Kenya Decision* in *Leiden Journal of International Law*, vol. 23, no. 4, 2010, გვ. 862-863.
- ⁴⁸ იქვე, გვ. 861 და 873.
- ⁴⁹ პრეამბულა და მუხლი 1, რომის სტატუტი, *ზემოთ* სქოლიო 3.
- ⁵⁰ მუხლი 17(1)(დ), რომის სტატუტი, *ზემოთ* სქოლიო 3.
- ⁵¹ *Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorisation of an Investigation into the Situation in the Republic of Cote d'Ivoire*, Decision of the Pre-Trial Chamber III, ICC, 2011, პარაგრაფი 201.
- ⁵² იქვე, პარაგრაფები 202-205.
- ⁵³ მუხლი 25, რომის სტატუტი, *ზემოთ* სქოლიო 3.
- ⁵⁴ Fauchald K. O., Stigen J. *Corporate Responsibility before International Institutions* in *The George Washington International Law Review*, vol. 40, no.4, გვ. 1038-1039.
- ⁵⁵ Schabas, *ზემოთ* სქოლიო 19, გვ. 149-150.
- ⁵⁶ *Bemba Trial Judgment*, *ზემოთ* სქოლიო 2, პარაგრაფი 161.
- ⁵⁷ მუხლი 30, რომის სტატუტი, *ზემოთ* სქოლიო 3.
- ⁵⁸ Cassese A. et al. (ed.) (2009) *The Oxford Companion to International Criminal Justice*, Oxford, გვ. 779.
- ⁵⁹ *Katanga Judgment*, *ზემოთ* სქოლიო 2, პარაგრაფები 1637-1642.
- ⁶⁰ იქვე, პარაგრაფი 1398.
- ⁶¹ *Mbarushimana*, Decision of the Pre-Trial Chamber I, ICC, 2011, პარაგრაფები 283-285.
- ⁶² Ambos K., *ICC and Common Purpose – What Contribution is Required under Article 25(3)(d)?* in Stahn C. (ed.) (2015) *The Law and Practice of the International Criminal Court*, Oxford, გვ. 596.
- ⁶³ იხ.: Cryer et al, *ზემოთ* სქოლიო 19, გვ. 374.
- ⁶⁴ *Lubanga*, Judgment of the Trial Chamber I, ICC, 2012, პარაგრაფი 1011-1012.
- ⁶⁵ International Law Commission, Sixty-ninth Session, Third report on crimes against humanity by Sean D. Murphy, Special Rapporteur, UN GA A/CN.4/704, 23 January 2017, ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/CN.4/704> [ნანახია 30 აგვისტო 2018 წ.].
- ⁶⁶ იქვე, იხ. მე-15 მუხლის პროექტი, გვ. 96.

CRIMES AGAINST HUMANITY COMMITTED BY NON-STATE ACTORS WITHIN THE JURISDICTION OF THE ICC

Abstract

The Rome Statute does not expressly define characteristics of a non-state actor that is capable of committing crimes against humanity. A terrorist group, an insurrectional movement or another non-state actor might have a state-like destructive power to commit widespread or systematic attacks against any civilian population. This paper defines the criteria for qualifying an act committed by a non-state actor as a crime against humanity. Furthermore, the article emphasizes different grounds for individual criminal responsibility of the members of non-state actors within the jurisdiction of the International Criminal Court.

Keywords: Crimes against Humanity | Non-state actor | ICC | Organizational policy

INTRODUCTION

The role of non-state actors in the commission of crimes against humanity and individual criminal responsibility of the persons affiliated with them remains to be a controversial issue under the contemporary international criminal law. Professor Bassiouni, who was the chair of the 1998 Rome Conference drafting committee, argued that only state actors who are acting pursuant to the state policy could be perpetrators of crimes against humanity under the customary international law.¹ The jurisprudence of international criminal tribunals and the recent practice of the International Criminal Court (hereinafter the ICC or the Court) demonstrate that there is no strict requirement of the state participation and non-state actors are also able to commit crimes against humanity.² The Rome Statute clarifies that the existence of either a state or “organizational policy” is a contextual element of the aforesaid crimes.³ Thus, the main topic of the debate among modern scholars is the type of the organization members of which are capable of committing crimes envisaged by Article 7 of the Rome Statute.⁴

This paper examines the correlation between non-state actors and crimes against humanity. The topic has particular importance taking into consideration the pending investigation of the ICC in respect of the Georgian situation and taking into account recent heinous atrocities committed against civilians by the “Islamic State” and other non-state actors.

The first part of the paper studies the definition of crimes against humanity, interprets the term “organizational policy”, analyzes conflicting views of different authors and explores the relevant case law. At the same time, the paper describes essential characteristics and types of non-state entities capable of committing crimes against humanity. The second part of the paper examines jurisdictional limits of the ICC and demonstrates essential features of the Rome Statute applicable to the members of non-state actors. Finally, the relevant analysis and evidence leads to the conclusion that the jurisdiction of the ICC covers crimes against humanity committed by insurrectional movements, terrorist groups or other non-state actors which meet certain criteria specified by the Rome Statute. However, those criteria are not well defined and might not be effective in terms of individual criminal responsibility if the ICC decides to interpret them narrowly.

1. “State or Organizational Policy” as a Contextual Element

1.1. Definition of Crimes against Humanity

According to Article 7 of the Rome Statute, a “crime against humanity” covers such acts as murder, deportation, torture, sex crimes and other prohibited acts mentioned in the aforesaid article if those acts are intentional, committed as a part of widespread or systematic attack directed against any civilian population. “Attack against any civilian population” means a course

of conduct involving the multiple commissions of certain acts pursuant to or in furtherance of a state or organizational policy to commit such attack.⁵

Crimes against humanity are heinous atrocities shocking the international community and strictly prohibited by international law.⁶ The victims of these crimes are civilians (not combatants) who do not take direct participation in hostilities. Unlike war crimes, crimes defined by Article 7 of the Rome Statute do not require a nexus with an armed conflict. However, they must have either systemic or widespread nature. The term “widespread” concerns the nature of the attack which might be defined from the area covered by the attack as well as by the number of victims. The term “systemic” can be defined by taking into consideration the organization of the attack and impossibility for the attacks to occur by chance.⁷ Isolated, random or accidental acts cannot be qualified as crimes against humanity, as their aim is not to foster state or organizational policy to commit such attacks.⁸ Elements of Crimes (the main instrument to assist the Court in the interpretation and application of the crimes defined by the Rome Statute) makes clear that the perpetrator is not required to know all characteristics of the attack or the precise details of the plan or policy of the state or organization but she/he should have an intention to foster such policy.⁹

In 2016, the Trial Chamber III of the ICC elaborated and comprehensively explained the following criteria as qualifying elements of the crimes against humanity: “(a) course of conduct involving the multiple commission of acts; (b) any form of the prohibited act directed against any civilian population; (c) Pursuant to or in furtherance of a State or organizational policy to commit such attack; (d) knowledge of the attack”.¹⁰ The most relevant part for this paper is the definition of the “state or organizational policy” as this aspect distinguishes crimes against humanity committed independently by a non-state actor.

1.1.1. Beyond State Policy

Neither statutes of international criminal tribunals, nor founding documents of hybrid courts contain an express indication of the re-

quirement of a state policy for crimes against humanity.¹¹ Notably, the vast majority of crimes under the jurisdiction of international criminal tribunals were committed by state actors. The deliberate and destructive policy of Nazi Germany was an underlying factor for the attacks directed against the civilian population during the Second World War.¹² High-ranking officials of the Rwandan government encouraged and supported Hutu militants to commit widespread and systematic crimes against Tutsi civilians.¹³ However, the *Republika Srpska* was a non-state entity behind the attacks against Bosnian Muslim and Bosnian Croat civilians.¹⁴ Hence, it was the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia (ICTY) which pioneered to scrutinize the significance of the requirement of state policy as an element of crimes against humanity at the international level.

The Trial Chamber of the ICTY in *Tadic* judgment established that state policy is not a necessary component of crimes against humanity.¹⁵ This finding was in contradiction with the opinion of the French Court of Cassation, which advocated state policy in *Barbie* and *Touvier* cases.¹⁶ This contradiction is easy to explain taking into account relevant factual circumstances and historical background. Namely, Paul Touvier and Klaus Barbie acted in accordance with Nazi state policy to commit particularly serious crimes against certain civilian groups. However, in the context of *Tadic* ethnic cleansing against certain ethnic groups by using such methods as threats, torture, murder and other forms of inhuman treatment were conducted by non-state forces against imprisoned persons. Therefore, ICTY put the emphasis on the motives of the crime irrespective of the state standing behind those crimes. Moreover, the Trial Chamber shared the 1991 proposition of the International Law Commission that a crime against humanity can be “instigated or directed by a Government or by any organization or group” and named even a terrorist group as one of the potential perpetrators.¹⁷

The Appeals Chamber of the ICTY in *Kunarac* judgment went further and declared that “existence of a policy or plan may be evidentially relevant, but it is not a legal element of the crime”.¹⁸ The Appeals Chamber argued

that a policy should be perceived as an additional aspect for determination of substantial elements of the crime (such as the systematic nature of the attack). This statement might be considered to be in contradiction with customary international law. However, Article 7 of the Rome Statute is considered to be the most widely recognized definition of crimes against humanity and it still requires existence of a “state or organizational policy” behind the crime. Therefore, it can be argued that an international agreement accepted by 123 countries is a more authoritative reflection of customary international law than the aforementioned finding of the ICTY.¹⁹

Professor Bassiouni firmly claimed that Article 7 of the Rome Statute was not applicable to non-state entities. He explained that the intended meaning of the term “organizational policy” referred to the policies of organizations within a state and it did not refer to non-state actors.²⁰ However, such interpretation of the abovementioned term clearly contradicts the clarification provided by the Elements of Crimes. The main assistive tool for the interpretation and application of the core crimes of the Rome Statute makes clear that a state or organization should actively promote or encourage an attack against any civilian population in order to satisfy the contextual requirement of crimes against humanity.²¹ The aim of the term “organizational policy” is not to differentiate a state from its structural units. Conversely, it extends the application of Article 7 beyond the requirement of state policy. Hence, it can be assumed that an apparent distinction is made between an organization and a state and the Rome Statute considers them as two different entities. The same approach is supported by the case law of the ICC. Namely, the Pre-Trial Chamber I of the ICC in *Katanga and Ngudjolo Chui* decision interpreted the aforementioned term as the policy elaborated by “either groups of persons governing specific territory or by any organisation with capability to commit a widespread or systematic attack against civilian population”.²² Germain Katanga’s Ngiti rebel group responsible for the attacks and massacres of civilians in the Democratic Republic of Congo is an obvious example of such non-state entity.

According to professor Darryl Robinson, most commentators acknowledge the evolution of customary international law and agree that reference only to state policy would be an extra restriction.²³ Furthermore, ICC Prosecutor in her recent request of authorisation emphasized that there is a reasonable basis to believe that South Ossetian *de facto* administration (a non-state actor) was able to elaborate and carry out a policy to commit crimes against humanity.²⁴ Pre-Trial Chamber I of the ICC did not scrutinize this aspect in its 2016 authorization decision, but it agreed that there were reasonable basis to believe that *de facto* forces had been capable to commit such crimes.²⁵ Consequently, the policy of a rebel group or self-proclaimed government is sufficient to meet the “organizational policy” criteria for the purposes of Article 7 of the Rome Statute, but it is appropriate to explore other organizations with same destructive potential. The following subsection examines types and characteristics of non-state entities with capability to commit crimes against humanity.

1.2. Characteristics of an Organization

Some authors argue that organizational policy in the context of crimes against humanity is related to those organizations which are seeking for some sort of political control or influence over certain territories such as *de facto* governments or insurrectional movements.²⁶ In 2010 the Pre-Trial Chamber II of the ICC authorized the Prosecutor to start an investigation *proprio motu* in relation to Kenyan post-election violence.²⁷ The attacks against civilian population were committed by youth gangs associated with two leading political parties of Kenya in 2007-2008. Two judges (majority) of the Pre-Trial Chamber relied on the “capability of a group to perform acts which infringe on basic human values” in order to identify the main features of a non-state entity behind crimes against humanity. The Chamber elaborated six considerations but underscored that enumerated findings were not conjunctive and each situation needed proper assessment on a case-by-case basis.²⁸ Established hierarchy, territorial control, ability to carry out widespread or systematic attacks and civilian population as

the primary target of the group were among the emphasized criteria by the Pre-Trial Chamber.²⁹ Various groups of individuals can satisfy many of the above-mentioned requirements and there is a risk that crimes against humanity might lose own exclusive feature that differentiates such crimes from ordinary crimes. This is the reason why many scholars are against such broad interpretation.³⁰

Professor Schabas calls absurdity to apply Article 7(2) to terrorist cells, organized crime syndicates and other groups of individuals that do not have characteristics of a state.³¹ Judge Kaul in his dissenting opinion argued that Article 7(2)(a) of the Rome Statute is applicable to those organizations which share some characteristics of a state and introduced policing power and existence over a prolonged period of time as some of the essential features of relevant non-state entities.³² He relied upon historical and teleological interpretation and concluded that only state-like organizations have means and resources to commit crimes under international law which can “shock the conscience of humanity”.³³ Arguably, the weakest aspect of this approach is the fact that it disregards the ability and resources of private military and security companies, drug cartels, international corporations and other non-state entities which have power to systematically violate fundamental human rights of civilians.³⁴ Furthermore, terrorist groups might have access to chemical or biological weapons and commit widespread attacks which might also shock the conscience of the humanity. On the one hand, the Islamic State in Iraq and the Levant (ISIL) meets Judge Kaul’s definition of a state-like organization, but on the other hand it is an international terrorist group the attacks of which were named as “a global and unprecedented threat to international peace and security” by the UN Security Council on 20 November 2015.³⁵ Therefore, it is not hard to imagine what might happen if this terrorist group obtains a weapon of mass destruction.

The term “organizational policy” should be interpreted in accordance with Article 31(1) of the Vienna Convention on the Law of Treaties taking into account the object and purpose of

the Rome Statute.³⁶ The Preamble of the Rome Statute, *inter alia*, mentions the interests of future generations and underlines the preventive role of the Statute.³⁷ One should also take into account the long-term purpose of the Rome Statute while interpreting the term “organizational policy”. Development of the more destructive technologies (weapons of mass destruction) will enable more types of non-state entities to commit unimaginable atrocities. Consequently, abovementioned logic expressed by the Pre-Trial Chamber II in *Kenya* case is more convincing as it envisages new challenges to international criminal law and it is compatible with the long-term purpose of the Rome Statute.

Werle and Burghardt support the broad definition of “organizational policy” and emphasize that “the question who commits an attack on the civilian population does not affect the presence of mass violations of individual rights”.³⁸ Furthermore, they demonstrate that there is no requirement of state-like organizations behind the crime of genocide and war crimes arguing that a similar approach should be applied to crimes against humanity.³⁹ For example, Scharf and Newton suggest that a wave of terrorist attacks committed by non-state entities during peacetime (such as 9/11) might be prosecuted as the crime against humanity of murder.⁴⁰ Presumably, it is the dreadful and far-reaching nature of the crime and not the perpetrator that distinguishes crimes against humanity from ordinary crimes.

1.3. Notion of a “Policy” under Article 7 of the Rome Statute

The state or organizational policy to commit crimes against humanity requires that the state or organization actively promotes or encourages attacks against a civilian population.⁴¹ However, Elements of Crimes envisages an exception when such policy can be implemented by a deliberate failure to take an action. Although the Elements of Crimes do not specify who the responsible entity for such inaction is, it can be assumed from the footnote of Article 7 that the author of such inaction should be a state or organization which intentionally refrains from taking necessary steps against attacks.⁴²

The aforesaid policy can be named as a policy of inaction.

The policy of inaction has been never defined by the ICC. However, state is not the only entity which has an obligation to prevent and react on potential crimes as in certain cases non-state actors might be able to have effective control over the territory of a state and might even have more effective criminal justice system than the one of the official government. It can be argued that the threshold to prevent and react on potential crimes against humanity is much higher for a non-state actor as it should be proved that a non-state actor is able and has enough power to act like a state. Namely, it is reasonable to invoke the above-mentioned reasoning of Judge Kaul and Professor Schabas regarding the likelihood to a state. Therefore, the obligation to act cannot be prescribed to an underground terrorist group. However, this is not true for *de facto* governments or rebel groups which satisfy the criteria for a party to a non-international armed conflict established by International Humanitarian Law.⁴³

The Rome Statute does not envisage any requirement of demonstrating a motive or purpose for the commission of crimes against humanity. Such motive or purpose has only an evidentiary value.⁴⁴ There is no need for a formal policy as it may be inferred from a variety of factors such as: "(a) that the attack was planned, directed or organized; (b) a recurrent pattern of violence; (c) the use of public or private resources to further the policy; (d) the involvement of the State or organizational forces in the commission of crimes; (e) statements, instructions or documentation attributable to the State or the organization condoning or encouraging the commission of crimes; and/or (f) an underlying motivation".⁴⁵ The ICC Trial Chamber established that there is no need for the aforesaid criteria to be cumulatively satisfied and the policy can be interpreted taking into account the overall context of the crimes against humanity and individual circumstances in each situation.⁴⁶ Therefore, the ICC is free to determine which non-state actor can be able to satisfy the policy requirement specified by Article 7(2)(a) of the Rome Statute.

1.4. Sovereign Interests of a State Balanced by the Principle of Complementarity and Gravity

It is worth mentioning that there are other concerns raised by those critics who are against the broad interpretation of the term "organizational policy". Claus Kress upholds Judge Kaul's restrictive interpretation and argues that based on sovereignty interests of States it is not reasonable to downgrade crimes against humanity to the level of crimes under national law.⁴⁷ He further claims that "an international human-rights-law-inspired teleological interpretation" contradicts to the state practice as it irrationally advances international criminal law beyond the situations of war and internal strife.⁴⁸ However, both Judge Kaul and Kress disregard some unorthodox advantages of the ICC system. Namely, the principle of complementarity and the criterion of gravity leave enough room for sovereign interests of States.⁴⁹ The mere fact of existence of a crime against humanity does not *per se* mean that the situation will reach the ICC. Even when a State is unable or unwilling to carry out genuine investigation or prosecution, the case should meet the threshold of gravity.⁵⁰ The Pre-Trial Chamber III of the ICC made clear that the gravity element under Article 17(1)(d) of the Rome Statute is "an additional safeguard which prevents the Court from investigating, prosecuting and trying peripheral cases".⁵¹ In examining the threshold of gravity the Court takes into account, *inter alia*, the scale, nature, manner of commission and the impact of the crime on the victims. Thus, gravity can be used as a mechanism against downgrading crimes against humanity to the level of ordinary crimes.⁵² For the purposes of illustration, it is reasonable to examine the following hypothetical example.

A group of football hooligans of FC Dinamo Tbilisi exists for several years and over a hundred operational executors of the group obey the commands of their leaders. They elaborate a policy to murder and exterminate supporters of Kutaisi Torpedo FC and start widespread attacks against their enemies throughout Georgia. As a result, dozens of supporters of FC Torpedo are murdered (including some children) and

many fans of FC Dinamo are killed in retaliatory attacks. For the purpose of reconciliation an amnesty is declared in Georgia. Theoretically, such group of football hooligans meet most criteria for an organization (except the requirement of control over a part of the territory of a State) elaborated by the Pre-Trial Chamber II in 2010 *Kenya* decision. Their acts will be considered as crimes against humanity based on the broad interpretation of “organizational policy” taking into account the capability of the group to carry out widespread attacks against civilian population. Nevertheless, the element of gravity is a safeguard for the sovereign interests of Georgia in this case. Presumably, the nature, scale and the impact of the attacks of the group of football hooligans will not meet the threshold of gravity under Article 17(1)(d) of the Rome Statute. Otherwise, more grave acts will be assumed to reach level of concern to the international community as a whole. Therefore, most serious criminal acts will prevail over sovereign interests of those states which are parties to the Rome Statute and accepted the purpose and aim of the Treaty.

2. JURISDICTIONAL LIMITS OF THE ICC REGARDING THE MEMBERS OF NON-STATE ACTORS

Article 25 of the Rome Statute provides for various modes of individual criminal responsibility of natural persons.⁵³ A perpetrator shall be individually responsible and liable for punishment if he/she commits a crime either individually or jointly. Under the Rome Statute, it is also punishable to order, solicit or induce a crime against humanity which in fact occurs or is attempted.

2.1. Jurisdiction *Ratione Personae*

Jurisdiction *Ratione personae* of the ICC does not cover legal entities. One of the reasons why the ICC lacks jurisdiction over juridical persons is hidden in the aforesaid principle of complementarity as not all member States of the Rome Statute envisage the notion of corporate criminal responsibility in their national legal systems.⁵⁴ At Nuremberg, the International Military Tribunal declared that “crimes against international law are committed by men, not by

abstract entities” emphasizing that perpetrators were individually responsible for the crimes even if they were acting in the interests of the state.⁵⁵ The Trial Chamber III of the ICC in *Bemba* case emphasized that it is not necessary for a perpetrator to be a member of a non-state actor which has a policy to commit crimes against humanity.⁵⁶ On the other hand, existence of an organizational policy does not *per se* lead to individual criminal responsibility and material elements of the crime should be accompanied by relevant intent and knowledge enshrined in Article 30 of the Rome Statute.⁵⁷ There are precedents in the history of international criminal law when persons working for private companies were charged for crimes against humanity. For example, exploitation of slave labour and other inhumane acts against civilian population were among the charges of Krupp and eleven directors of his factories before the United States Military Tribunal at Nuremberg.⁵⁸ However, the convictions were based only on offences committed individually by the employees of Krupp’s companies because the notion of common purpose liability was not applicable for crimes against humanity at that time.

2.2. Types of Accessories

Article 25(3)(d) of the Rome Statute criminalizes intentional contribution to a crime (or an attempt of a crime) committed by a group of persons acting with common purpose. In other words, a distinction is made between a principal perpetrator and an accessory. It should be noted that persons working for private organizations, members of rebel groups or supporters of other non-state entities might often be accessories in commission of crimes against humanity. The Trial Chamber II of the ICC in *Katanga* judgment emphasized that mental elements prescribed by Article 25(3)(d) of the Rome Statute are applicable to the conduct which constitutes the contribution of an accessory made with the knowledge of a common criminal purpose of the group.⁵⁹ The Court stressed out that “a person who stands charged pursuant to Article 25(3)(d) will not incur individual criminal responsibility for those crimes which form part of the common purpose but to which he or she did not contribute”.⁶⁰ Therefore,

simply being an employee of an organization or a member of a rebel group which exterminates civilians is not a ground for criminal responsibility under the Rome Statute unless an employee or a member makes an intentional contribution to certain crimes. The Pre-Trial Chamber II in *Mbarushimana* decision clarified that “a contribution to the commission of a crime by a group acting with common purpose must be at least significant” and it must have certain effect on the commission of the crime.⁶¹ For instance, a scientist will be criminally responsible for development of a biological weapon in a private pharmaceutical company knowing that the primary purpose of the evil owners of the company is to use that weapon against civilian population. On the other hand, the action of an intern who washes the equipment of the laboratory is not criminalized under the Rome Statute even if he/she is aware of the common criminal purpose of the owners of pharmaceutical company. Professor Kai Ambos claims that Article 25(3)(c) of the Rome Statute criminalizes individual assistance to single acts.⁶² For example, when a member of the rebel group provides weapons to other fighters who are going to attack civilian population, he/she will be punished for aiding the crime.

2.3. Intent

The ICC system might not be effective in prosecuting those persons who provide assistance without having an aim to facilitate the crime. Cryer and other authors present an example of a profit-oriented arms dealer (who knows that the buyer intends to commit international crimes but sells arms with the sole purpose of making money) in order to illustrate that Article 25(3)(c) requires *dolus directus* of the first degree by employing the term “for the purpose of”.⁶³

Notably, Article 25(3)(c) introduces special and stricter requirement of volitional element and derogates from general rule specified by Article 30(2)(b) of the Rome Statute. The Trial Chamber I of the ICC in *Lubanga* judgment declared that under the nature of Article 30(2)(b) of the Rome Statute the concept of *dolus eventualis* is excluded and at least *dolus directus* of the second degree is necessary to incur indi-

vidual criminal liability.⁶⁴ Subsequently, criminal responsibility under the Rome Statute will not arise in a situation when a sales manager of a pharmaceutical company is oriented only on increasing the profit and sells ingredients of a biological weapon to a terrorist group realizing the possibility that the group might use provided products for multiple and widespread attacks against civilian population.

Nonetheless, while the ICC is oriented on the major perpetrators, national prosecutions can fill the gap and reach persons aiding the commission of crimes by applying a lower standard of *mens rea*. The Preamble of the Rome Statute reflects the spirit that effective prosecution must be ensured, *inter alia*, by taking measures at national level and extradition of all accomplices to The Hague is not the only option to put an end to impunity. It is also worth noting that International Law Commission advocates for adopting a special convention dedicated to crimes against humanity which will positively affect member states in terms of prevention and prosecution of relevant crimes.⁶⁵ The draft Article 15 of the aforesaid document stipulates that obligations of the member states imposed by the constitutive treaties of international criminal tribunals prevail over the obligations imposed by the draft articles.⁶⁶ Therefore, a separate convention regarding crimes against humanity will not be an obstacle for the ICC and on the contrary, it will further increase the institutional function of the permanent international criminal body.

CONCLUSION

The Rome Statute acknowledges that the policy requirement of Article 7 goes beyond state policy and covers policy of those entities which have enough power and resources to infringe on basic human values. The main idea of this provision is to protect any civilian population from large-scale and systematic violence whether the source of violence is a state or non-state entity. Firstly, it was emphasized in the paper that crimes against humanity should pass the test of complementarity and should meet the criterion of gravity in order to be adjudicated at the ICC. Secondly, relying on the narrow definition of “organizational policy” con-

tradicts with the object and long-term preventive purpose of the Rome Statute. In addition, it was demonstrated that non-state actors do not have to share characteristics of a state in order to carry out far-reaching attacks and commit shocking atrocities even during peacetime.

Employees of corporations, representatives of *de facto* governments, members of paramilitary or other groups can be criminally li-

able either as principal perpetrators or accessories in crimes against humanity. However, the mere fact of being an employee or a member of such group is not punishable under the Rome Statute. Moreover, a high standard of *mens rea* (*dolus directus*) used by the ICC system should not be perceived as an obstacle for effective national prosecution of those persons who are not principal perpetrators or accessories.

* Onisime Tskhomelidze is a PhD candidate in International Law (TSU); He is holding an LL.M. degree with Merit in Criminal Law and Criminal Justice from the University of Edinburgh and an LL.M. degree with Honours in International Law from TSU.

¹ Bassiouni C. M. *Crimes against Humanity: The Case for a Specialized Convention* in Washington University Global Studies Law Review, vol. 9, no.4, 2010, p. 583.

² See *Jean-Pierre Bemba Gombo*, Judgment of the Trial Chamber III, ICC, 2016, paras. 74-75; See also *Katanga*, Judgment of the Trial Chamber II, ICC, 2014, paras.1114-1121.

³ Art. 7(2)(a), Rome Statute of the International Criminal Court 1998 (hereinafter the Rome Statute), 2187 UNTS 90.

⁴ See Robinson D. *Crimes against Humanity: A Better Policy on 'Policy'* in C. Stahn (ed.) (2015) *The Law and Practice of the International Criminal Court*, Oxford, pp. 731-733; See also Werle G., Burghardt B. *Do Crimes against Humanity Require the Participation of a State or a 'State-like' Organization?* in *Journal of International Criminal Justice*, vol. 10, no. 5, 2012, pp. 1151-1154.

⁵ Art. 7, the Rome Statute, *supran.* 3.

⁶ Cassese A. (2003) *International Criminal Law*, Oxford, pp. 64-66.

⁷ *Decision on the Prosecutor's Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Al Bashir*, Decision of the Pre-Trial Chamber I, ICC, 2009, para. 81.

⁸ Art. 7(3), Elements of Crimes of the International Criminal Court 2002 (hereinafter "Elements of Crimes", UN Doc. PCNICC/2000/1/Add.2 (2000); Bassiouni C.M. (2011) *Crimes against Humanity: Historical Evolution and Contemporary Application*, Cambridge, pp. 8-45.

⁹ Art.7(3), Elements of Crimes, *supran.* 8.

¹⁰ *Bemba Trial Judgment*, *supran.* 2, paras. 149-169.

¹¹ See Art.3, Statute of the International Criminal Tribunal for Rwanda 1994, 33ILM 1598 (1994); Art. 2, Statute of the Special Court for Sierra Leone 2002, 2175 UNTS 138, 145.

¹² Bassiouni C.M. (2010) *Crimes against Humanity in International Criminal Law*, 2nd ed., The Hague/London/Boston, pp. 258-259.

¹³ *Ibid*, p. 196.

¹⁴ *Tadic*, Opinion and Judgment of the Trial Chamber, ICTY, 1997, paras.574-575.

¹⁵ *Ibid*, paras. 654-655.

¹⁶ Robinson D. *Defining "Crimes against Humanity" at the Rome Conference* in *The American Journal of International Law*, vol. 93, no. 1, 1999, p. 49.

¹⁷ *Tadic Trial Judgment*, *supran.*14, paras. 654-655; See also Report of the International Law Commission on the Work of its Forty-third Session, (1991) G.A.O.R., 46th Sess. Supp. No. 10, U.N. Doc. A/46/10, pp. 265-266.

¹⁸ *Kunarac, Kovac and Vukovic*, Judgment of the Appeals Chamber, ICTY, 2002, para. 98.

¹⁹ See Cryer R. et al. (2014) *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, 3rd ed., Cambridge, p. 238; See also Schabas A.W. (2011) *An Introduction to the International Criminal Court*, 4th ed., Cambridge, pp. 112-113.

- ²⁰ Bassiouni, *supran.* 1, p. 585.
- ²¹ Art.7(3), Elements of Crimes, *supran.* 8.
- ²² *Katanga and Ngudjolu Chui*, Decision of the Pre-Trial Chamber I, ICC, 2008, para. 396.
- ²³ Robinson, *supran.* 16, p. 50.
- ²⁴ *Request for Authorisation of an Investigation pursuant to article 15, Situation in Georgia* (ICC-01/15-4), Office of the Prosecutor, ICC, 2015, paras. 233-238.
- ²⁵ *Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia*, Decision of the Pre-Trial Chamber I, ICC, 2016, paras. 30-33.
- ²⁶ Ratner R.S., Abrams S.J., Bischoff L.J. (2009) *Accountability for Human Rights Atrocities in International Law: Beyond the Nuremberg Legacy*, 3rd ed., Oxford, p. 70.
- ²⁷ *Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Kenya*, Decision of the Pre-Trial Chamber II, ICC, 2010, para. 90.
- ²⁸ *Ibid*, para. 93; *Ruto, Kosgey and Sang* (ICC-01/09-01/11), Decision of the Pre-Trial Chamber II, ICC, 2012, para. 185.
- ²⁹ *Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Kenya*, Decision of the Pre-Trial Chamber II, ICC, 2010, para. 90.
- ³⁰ Robinson, *supran.* 4, pp. 733-737.
- ³¹ Schabas A.W. (2010) *The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford, p. 152.
- ³² *Dissenting Opinion of Judge Hans-Peter Kaul Appended to the Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Kenya* (ICC-01/09), ICC, 2010, paras. 51-52.
- ³³ *Ibid*, paras. 66-67.
- ³⁴ See Werle and Burghardt, *supran.* 4, p. 1167.
- ³⁵ UN SC Res. 2249, 20 November 2015.
- ³⁶ Art. 31(1), Vienna Convention on the Law of Treaties 1969, 1155 UNTS 331; Dissenting Opinion of Judge Kaul, *supran.* 32, paras. 56-65.
- ³⁷ Preamble, the Rome Statute, *supran.* 3.
- ³⁸ Werle and Burghardt, *supran.* 4, p. 1164.
- ³⁹ *Ibid*, p. 1158.
- ⁴⁰ Scharf P.M., Newton A.M. *Terrorism and Crimes against Humanity* in Sadat N.L. (ed.) (2011) *Forging a Convention for Crimes Against Humanity*, Cambridge, p. 276.
- ⁴¹ Art. 7(3), Elements of Crimes, *supran.* 8; *Bemba Trial Judgment*, *supran.* 2, paras. 159-160.
- ⁴² See Art.7(3), Elements of Crimes, *supran.* 8; See also *Bemba Trial Judgment*, *supran.* 2, paras. 159-160.
- ⁴³ See art. 1(1), Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts (Protocol II) 1977, 1125 UNTS 609.
- ⁴⁴ *Bemba Trial Judgment*, *supran.* 2, paras. 159-160.
- ⁴⁵ *Bemba Trial Judgment*, *supran.* 2, para. 160; *Katanga Judgment*, *supran.* 2, para. 1109.
- ⁴⁶ *Bemba Trial Judgment*, *supran.* 2, para. 160; *Katanga Judgment*, *supran.* 2, para. 1109.
- ⁴⁷ Kress C. *On the Outer Limits of Crimes against Humanity: The Concept of Organization within the Policy Requirement: Some Reflections on the March 2010 ICC Kenya Decision* in *Leiden Journal of International Law*, vol. 23, no. 4, 2010, pp. 862-863.
- ⁴⁸ *Ibid*, pp. 861 and 873.
- ⁴⁹ Preamble and Art.1, the Rome Statute, *supran.* 3.
- ⁵⁰ Art. 17(1)(d), the Rome Statute, *supran.* 3.

- ⁵¹ *Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorisation of an Investigation into the Situation in the Republic of Cote d'Ivoire*, Decision of the Pre-Trial Chamber III, ICC, 2011, para. 201.
- ⁵² *Ibid*, paras. 202-205.
- ⁵³ Art. 25, the Rome Statute, *supran.* 3.
- ⁵⁴ Fauchald K. O., Stigen J., *Corporate Responsibility before International Institutions* in *The George Washington International Law Review*, vol. 40, no.4, pp. 1038-1039.
- ⁵⁵ Schabas, *supran.* 19, pp. 149-150.
- ⁵⁶ *Bemba Trial Judgment*, *supran.* 2, para. 161.
- ⁵⁷ Art. 30, the Rome Statute, *supran.* 3.
- ⁵⁸ Cassese A. et al. (ed.) (2009)*The Oxford Companion to International Criminal Justice*, Oxford, p. 779.
- ⁵⁹ *Katanga Judgment*, *supran.* 2, paras. 1637-1642.
- ⁶⁰ *Ibid*, para. 1398.
- ⁶¹ *Mbarushimana*, Decision of the Pre-Trial Chamber I, ICC, 2011, paras. 283-285.
- ⁶² Ambos K. *ICC and Common Purpose – What Contribution is Required under Article 25(3)(d)?* in Stahn C. (ed.) (2015)*The Law and Practice of the International Criminal Court*, Oxford, p. 596.
- ⁶³ See Cryer et al, *supran.* 19, p.374.
- ⁶⁴ *Lubanga*, Judgment of the Trial Chamber I, ICC, 2012, paras. 1011-1012.
- ⁶⁵ International Law Commission, Sixty-ninth Session, Third report on crimes against humanity by Sean D. Murphy, Special Rapporteur, UN GA A/CN.4/704, 23 January 2017, available at: <https://undocs.org/en/A/CN.4/704> [last visited 30 August 2018].
- ⁶⁶ *Ibid*, see draft Art.15, p. 96.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგისა და სამოქალაქო ცხოვრების შენარჩუნების უზრუნველყოფა

აბსტრაქტი

სტატია განიხილავს ოკუპანტი ძალის უპირველეს ვალდებულებას რომ უზრუნველყოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგისა და სამოქალაქო ცხოვრების შენარჩუნება. იმდენად რამდენადაც ეს ვალდებულება მჭიდროდაა გადაჯაჭვული ოკუპანტი ძალის მიერ დაკავებული ტერიტორიის ადმინისტრირებასთან, სტატია მიმოიხილავს ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას და კონცენტრირდება ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის განვითარების კანონიერებაზე და ამგვარ წინააღმდეგობაზე ოკუპანტის მხრიდან შესაბამისი პასუხის შესაძლებლობაზე. კერძოდ კი, სტატია გვთავაზობს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ოკუპანტი ძალის ქმედებების (მათ შორის სამხედრო და საპოლიციო) კანონიერების შემოწმება. თეორიული საკითხების უმეტესობა განხილულია პრაქტიკული მაგალითებისა და სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო ტრიბუნალების გადაწყვეტილებების ფონზე.

საძიებო სიტყვები: სამხედრო ოკუპაცია | ოკუპანტი ძალა | ჰააგის რეგულაციები | საჯარო წესრიგი | ოკუპირებული ტერიტორიები | საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

შესავალი

ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლი ამბობს, რომ ლეგიტიმური სუვერენის ხელისუფლება ფაქტობრივად გადადის ოკუპანტი ძალის ხელში, რომელსაც ევალება მის ძალებში არსებული ყველა ზომის მიღება, რომ აღადგინოს და უზრუნველყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისე რომ პატივი სცეს ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედ კანონებს, თუკი ეს აბსოლუტურად შეუძლებელი არ არის.¹ თეორიაში ამ მუხლის განმარტება საკმაოდ რთულია და დაკავშირებულია დიდ ბუნდოვანებასთან, ხოლო პრაქტიკაში ოკუპანტი ძალის მიერ ხშირად ხდება მასზე აპელირება იმისათვის რომ გაამართლოს ფართო საკანონმდებლო ძალაუფლება ან ადგილობრივი კანონების უგულვებელყოფა მათი შესრულების „აბსოლუტურად შეუძლებლობის“ მოტივით.² 43-ე მუხლის ტექსტი ერთი ნაკითხვით თითქოს აწესრიგებს ადგილობრივი კანონმდებლობის პატივისცემის საკითხს მას შემდეგ რაც ოკუპანტი ძალა აღადგენს და უზრუნველყოფს საჯარო წესრიგს და უსაფრთხოებას, მაგრამ მუხლის შექმნის ისტორიამ და შემდგომმა პრაქტიკამ ცხადი გახადა, რომ ეს მუხლი გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველია და ეხება

ოკუპანტი ძალის უფლებამოსილებას დაადგინოს წესები ტერიტორიის სათანადო ადმინისტრირებისათვის.³ ჰააგის რეგულაციების ამ დებულებას ოკუპაციის ადმინისტრირების „მინი კონსტიტუციასაც“ კი უწოდებენ.⁴

1. ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები

ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლი, როგორც ზემოთ აღინიშნა ეხება „საჯარო წესრიგსა და უსაფრთხოებას“. ავთენტური ფრანგული ტექსტის ამგვარი თარგმანა ინგლისურად იმთავითვე კრიტიკის საგანი გახდა. ფრანგული ტექსტი იყენებს ტერმინს „*vie publique*“ (საზოგადო ცხოვრება), რომლის მნიშვნელობაც მართლაც გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე საჯარო წესრიგი. რეგულაციების მოსამზადებელი სამუშაოები ნამდვილად ცხადყოფს რომ ამ დებულებაში ჩადებული ტერმინი მოიცავს სოციალურ ფუნქციებს, ჩვეულებრივ ტრანზაქციებს, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია.⁵ ბევრი მეცნიერი ემხრობა ამ პოზიციას და ხშირად ტერმინს „*la vie publique*“ თარგმნიან, როგორც სამოქალაქო/საზოგადო ცხოვრება (*civil life*).⁶ ტერმინის ამგვარი განმარტება მართლაც შესაბამისობაშია ჰააგის 43-ე რეგულაციის შესვალ წინადადებასთან, რომე-

ლიც ამბობს რომ ლეგიტიმური მთავრობის მთელი უფლებამოსილება ფაქტობრივად გადადის ოკუპანტი ძალის ხელში, შესაბამისად ამ უკანასკნელის ქმედებების არეალი გაცილებით ფართოა, და არ შემოიფარგლება მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით, არამედ მოიაზრებს ყოველდღიური საზოგადო ცხოვრების სხვა მრავალ ასპექტსაც.

რეგულაციების 43-ე მუხლის ტექსტის მიხედვით ოკუპანტი ძალა უფლებამოსილია გაატაროს საკანონდებლო თუ ადმინისტრაციული ზომები რომ არა მარტო აღადგინოს, არამედ გაგნგრძობითად უზრუნველყოს კიდევ საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება. თუკი ოკუპაცია დიდ ხანს გრძელდება და ომის შედეგების გამო ოკუპირებული ქვეყანა განიცდის მკვეთრ ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნებს, ცხადია რომ ადრე თუ გვიან ოკუპანტი ძალის მიერ ახალი საკანონმდებლო ზომების მიღება საჭირო გახდება.⁷ ზოგიერთ შემთხვევაში ოკუპანტი ვალდებულიც კია რომ მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და საზოგადო ცხოვრება. ამას მოწმობს ნიურნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილებაც ლისტის საქმეზე, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ:

მტრის ტერიტორიის ოკუპანტი ძალის სტატუსის მიღებისთანავე, საერთაშორისო სამართალი ამ ძალის მეთაურობას აკისრებს პასუხისმგებლობას შეინარჩუნოს წესრიგი, მიუსაჯოს სასჯელი დანაშაულისათვის და დაიცვას სიცოცხლე და საკუთრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამ მიზნების მისაღწევად ოკუპანტის ძალა უფლება იმდენად დიდია, რამდენადაც მისი პასუხისმგებლობა. მაგრამ ის რა თქმა უნდა შეზღუდულია საერთაშორისო სამართლის აღიარებული კანონებით, კერძოდ კი ჰააგის 1907 წლის რეგულაციებით.⁸

ოკუპანტი ძალის ვალდებულება, რომ აღადგინოს და შეინარჩუნოს საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება ოკუპირებულ ტერიტორიაზე აშკარაა რომ ორივე მხარის ინტერესებში შედის, კერძოდ ოკუპანტი ძალის ერთი მხრივ და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის მეორეს მხრივ.⁹ თუმცა, როგორც ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ იქნა აღნიშნული ოკუპანტი ძალა მოქმედებს ფართო დისკრეციის, მაგრამ გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. საზოგადო ცხოვრების ბევ-

რი ასპექტი, ასევე ზომები, რომლის მიღებაც ოკუპანტს ევალება, შეუძლია ან არ შეუძლია მიიღოს იმისათვის, რომ აღადგინოს და შეინარჩუნოს ეს „საზოგადო ცხოვრება“ არის დეტალურად მოცული თვითონ ჰააგის რეგულაციებში, ჟენევის მე-4 კონვენციასა და პირველ დამატებით ოქმში. თუმცა ეს დებულებები არის *lex specialis* 43-ე მუხლში გადმოცემულ ზოგად წესთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც საჯარო წესრიგი და საზოგადოებრივი ცხოვრება შედეგი კი არაა, რომლის გარანტირებაც ოკუპანტმა ძალამ უნდა მოახდინოს, არამედ მიზანი, რომლისკენაც ოკუპანტი უნდა მიდიოდეს მის ხელთ არსებული ყველა კანონიერი და პროპორციული საშუალებით.¹⁰ მაგალითად უკანონო იქნება ისეთი მეთოდები, რაც პირდაპირ აკრძალულია საერთაშორისო სამართალით, როგორიცაა კოლექტიური სასჯელის დაკისრება, დეპორტაცია, იძულება, წამება, მძევლად აყვანა და ა.შ.¹¹ 43-ე მუხლის ტექსტში ტერმინები – „მის ძალებში არსებული ყველა ზომა“ და „რამდენადაც ეს შესაძლებელია“ – ცხადყოფს რომ ოკუპანტი ძალის ვალდებულება გამოიხატება მის მიერ ყველა შესაძლო, საერთაშორისო სამართალით დაშვებული მეთოდის გამოყენებაში, რათა 43-ე მუხლში ჩამოთვლილი მიზნები მიღწეულ იქნას, შესაბამისად, თუკი ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგის აბსოლუტური უზრუნველყოფა ვერ ხდება ოკუპანტი ძალისგან დამოუკიდებელი მიზეზით, მაშინ ამისათვის ოკუპანტის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუკი დადასტურდა, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი ძალა იხმარა, რათა უზრუნველყო ოკუპირებული ტერიტორიის ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრება, საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება.

43-ე მუხლში მოცემული ვალდებულებები ხასიათის მიხედვით შეიძლება გაიყოს ორად – პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებად. პირველ მათგანს ეკუთვნის ოკუპანტის ვალდებულება, რომ მის ძალებში არსებული საშუალებებით აღადგინოს და უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და ნორმალური ცხოვრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო მეორეს მისი ვალდებულება რომ პატივი სცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ კანონებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. პირველი კატეგორიის ვალდებულება, რომელიც უნდა

შესრულდეს სამხედრო მთავრობის აღმასრულებელი და სასამართლო შტოების მიერ მოითხოვს ოკუპანტის პოზიტიურ ქმედებებს, მაშინ როდესაც მეორე კატეგორიის ვალდებულება ძირითადად ნეგატიურ მოვალეობაზეა დაფუძნებული და უკრძალავს ოკუპანტს ადგილობრივი კანონმდებლობის შეცვლას, თუკი ეს აბსოლუტური აუცილებლობით არ არის გამოწვეული. ორივე ვალდებულება ხასიათდება მაკვალიფიცირებელი ფრაზებით: პირველი – „რამდენადაც ეს შესაძლებელია“ და მეორე – „თუკი აბსოლუტურად გამოირიცხული არაა“.¹²

ისრაელის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით¹³ პირველი ტიპის ვალდებულება შეიძლება დაიყოს ორ ქვეკატეგორიად; საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების აღდგენა იქნება „მყისიერი და ძირითადი ვალდებულება“, ხოლო მისი შენარჩუნება და უზრუნველყოფა კი „შემდგომი და განგრძობითი“ ვალდებულება, რომელიც ოკუპანტს ეკისრება ოკუპაციის ხანგრძლივობის მთელს პერიოდში და რომელიც შეიძლება მოერგოს ოკუპირებული ტერიტორიის შეცვლილ სოციალურ საჭიროებებს, რაც დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, ეკონომიკასთან, ჯანდაცვასა და ტრანსპორტთან.

ოკუპანტი ძალის ქმედებები, რომელიც ემსახურება 43-ე მუხლში მოცემულ მიზნებს არ უნდა იყოს მიმართული მუდმივი ცვლილებებისაკენ. ზოგიერთი მეცნიერი¹⁴ აღნიშნავს, რომ ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, რომ გაატაროს ინსტიტუციური რეფორმები იზღუდება მხოლოდ „მცირე“ (minor) და არა „ძირეული“ (fundamental) ცვლილებებით. ეს გულისხმობს ოკუპირებული ქვეყნის ფუნდამენტური ინსტიტუტების დაცვას მუდმივ ცვლილებებისაგან, მაგალითისათვის ოკუპანტი ძალა ვერ შეცვლის დაკავებული ქვეყნის საპარლამენტო მმართველობას მონარქიით იმ მოტივით რომ ეს საჯარო წესრიგის უზრუნველსაყოფადაა საჭირო. აღნიშნული მიდგომის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპაციამდე არსებული მდგომარეობის მაქსიმალურად კონსერვაცია, სანამ ლეგიტიმური სუვერენი აღიდგენს ხელისუფლებას.¹⁵ თუმცა ამ მიდგომის გამოყენებისას მაინც ვხვდებით წინააღმდეგობას, კერძოდ რა შეიძლება ჩაითვალოს მცირე და რა ძირეულ ცვლილებად. მაგალითად, მუნი-

ციპალიტეტის ფარგლების გაზრდა უფრო ფართო წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად ჩაითვლება თუ არა მცირე ცვლილებად, თუ ძირეულ ცვლილებად, რომელიც აკრძალულია ოკუპაციის სამართლით?! მეორე სახის წინააღმდეგობა შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და არაგონივრულად ზღუდავს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის კანონიერ უფლებებს. მაგ. აბსურდული კანონმდებლობა, რომლითაც უნივერსიტეტში სწავლა ეკრძალებათ რომელიმე რასის ან სქესის ადამიანებს. ისმის კითხვა, უნდა შენარჩუნდეს თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპაციამდე მოქმედი სამართლებრივი და სოციალური სისტემა, რომელიც გაუმართლებლად ავინროვებს ადგილობრივ მოსახლეობას და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა სამართალს თუ ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლის დებულება რომ ოკუპანტმა „უნდა იღონოს მის ხელთ არსებული ყველა ძალა“, უნდა განიმარტოს უფრო ფართოდ, ლიბერალური მიდგომით რაც მოიაზრებს ძირეულ ცვლილებებსაც კი, თუკი ეს მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.¹⁶

ზოგადად ძალიან რთულია ოკუპანტი ძალის ქმედების კანონიერების შეფასება, როდესაც ეს ქმედება ეყრდნობა ჰააგის 43-ე რეგულაციას, რადგან, როგორც აღინიშნა, ეს დებულება იძლევა საკმაოდ ფართო ნაკითხვის საშუალებას. იმ შემთხვევაში, თუკი ოკუპანტის რაიმე ქმედების კანონიერება, იქნება ეს ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ზომის მიღება, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ოკუპანტმა ძალამ უნდა დაამტკიცოს რომ სადავო ქმედებით გამოწვეული ცვლილება არის მცირე მასშტაბის და მიმართულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ან გატარებული რეფორმა არის ძირეული, მაგრამ მისი მიღება განპირობებულია ნამდვილი ჰუმანიტარული მიზნებით.¹⁷

ოკუპანტი ძალის ქმედების კანონიერების შესამოწმებლად ისრაელის უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა ტესტი,¹⁸ რომლის მიხედვითაც ოკუპაციის სამართალი უშვებს მხოლოდ ორ ლეგიტიმურ ინტერესს, რომელ-

ზე დაყრდნობითაც შეიძლება გამართლეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე *status quo*-ს შეცვლა: (1) ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი; (2) საოკუპაციო ჯარის, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზეა, ვინრო სამხედრო ინტერესი. სამხედრო მეთაურის ძალაუფლების იმგვარი გამოყენება, რომელიც ემსახურება ამ ორი ინტერესის გარდა სხვა გარეშე ინტერესს ჩაითვლება უკანონოდ. სასამართლომ განაცხადა, რომ:

სამხედრო მმართველს არ აქვს უფლება მხედველობაში მიიღოს თავისი ეროვნული, ეკონომიკური ან სოციალური საჭიროებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე პოლიტიკის განსაზღვრისას იმდენად რამდენადაც ამას შეეხება არ აქვს თავის სამხედრო ინტერესებს თან ან ოკუპირებული ტერიტორიის ადგილობრივ მოსახლეობის ინტერესებთან. თავად სამხედრო საჭიროებაც არის მხოლოდ საოკუპაციო ჯარის სამხედრო საჭიროება და არა ეროვნული უსაფრთხოების საჭიროება ფართო გაგებით. სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მოქცეული ტერიტორია არ არის ღია მდელი ეკონომიკური ან სხვა სახის გამოყენებისათვის. შესაბამისად სამხედრო ადმინისტრაციას არ შეუძლია დაგეგმოს ან განახორციელოს გზების მშენებლობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე თუკი ეს ემსახურება თავის სახელმწიფოსათვის „მომსახურების გზის“ შექმნას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე გზების მშენებლობა შეიძლება სამხედრო საჭიროების გარეშეც განხორციელდეს, თუკი ეს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს. დაუშვებელია, რომ ამგვარი პროექტის დაგეგმვა ან განხორციელება ემსახურებოდეს მხოლოდ ოკუპანტ სახელმწიფოს.¹⁹

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ოკუპანტი ძალას შეუძლია განახორციელოს, როგორც მცირე, ისე ძირეული ცვლილებებიც, თუკი ეს მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისაკენ, შესაბამისად დიქტატორული კანონმდებლობის და სისტემის შეცვლა, როცა ამის აუცილებელი საჭიროება არ არსებობს, მაინც გამართლებულად ჩაითვლება.²⁰ ძირეული ცვლილებებისა და ზოგადად ტრანსფორმაციული ოკუპაციის შესახებ უფრო დეტალურად საუბარია ამ ნაშრომის ბოლო თავში. ოკუპანტი ძალის ქმედებების შეფასებაში ამოსავალი ნერტილია რამდენად კეთილსინდისიერად

მოქმედებს იგი. თუკი მისი ქმედება ემსახურება ოკუპირებული ტერიტორიის ჯეროვანი ადმინისტრირების მიზნებს და ამავდროულად შედის ან ადგილობრივი მოსახლეობის ან თავისი საოკუპაციო ჯარის ინტერესებში ამგვარი ქმედება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან ჩაითვლება კანონიერად. ყველა სხვა ქმედება, რომელიც შესაძლოა ემსახურებოდეს ოკუპანტი ძალის ქვეყნის ეროვნულ ინტერესს ან სხვა მესამე მხარის ინტერესს იქნება უკანონო და გამოიწვევს ოკუპანტი ძალის პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

ჟენევის მე-4 კონვენციის მთავარი მონაპოვარია ოკუპაციის სამართლის ეპიცენტრის გადატანა პოლიტიკური ელიტისგან სამოქალაქო მოსახლეობაზე, ოკუპირებული ტერიტორიების კანონიერი ადმინისტრირების საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპების შემოღების გზით.²¹ ეს სხვაობა ცხადად ჩანს ამ ორი კონვენციის შინაარსის შედარებისასაც, ჰააგის რეგულაციები უმეტესად ოკუპანტი ძალის უფლებამოსილებებზე აკეთებს აქცენტს, მაშინ როდესაც ჟენევის მე-4 კონვენციით ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის უფლებებზე ხდება ყურადღების გამახვილება.

ჰააგის რეგულაციებში უფრო შემჭიდროებული დებულებებია გადმოცემული, რომელიც ეხება კონკრეტულად მონინააღმდეგის დაკავებულ ტერიტორიაზე სამხედრო ძალაუფლებას. რეგულაციები კრძალავს იძულებით ინფორმაციის მოპოვებას (44-ე რეგულაცია), ოკუპანტი ძალისათვის ერთგულების ფიცის მიცემას (45-ე რეგულაცია) და ძარცვა-მიტაცებას (47-ე რეგულაცია), ამავდროულად ჰააგის კონვენცია აწესებს ოჯახის, ღირსების, პირთა სიცოცხლის, კერძო საკუთრებისა და რელიგიის აღმსარებლობისა და მსახურების უფლების უზრუნველყოფის ვალდებულებასაც (46-ე რეგულაცია). ოკუპანტი ძალის მიერ გადასახადების აკრეფის ვალდებულება შეზღუდულია მიზნით, კერძოდ ეს უნდა ემსახურებოდეს ან საოკუპაციო ჯარის საჭიროებას ან ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრირებას (49-ე რეგულაცია); ამავდროულად გადასახადების აკრეფა რამდენადაც ეს შესაძლებელია უნდა შეესაბამებოდეს ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო სისტემას (48-ე რეგულაცია).

კონტრიბუციის აკრეფისას აუცილებელია ქვითრის გაცემაც (51-ე რეგულაცია). კოლექტიური სასჯელი აკრძალულია (50-ე რეგულაცია), ხოლო რეკვიზიცია შეზღუდული (52-ე რეგულაცია). მოძრავი სახელმწიფო ქონება შეიძლება დაყადაღდეს, ასევე ზოგიერთი კატეგორიის კერძო ქონებაც, რომელიც დაკავშირებულია სამარ მოქმედებებთან, თუმცა მშვიდობის აღდგენისთანავე ასეთი ყადაღა უნდა მოიხსნას და გაიცეს შესაბამისი კომპენსაცია (53-ე რეგულაცია). ჰააგის კონვენციაში ასევე არის სპეციალური დებულებები, რომელიც ანესრიგებს წყალქვეშ გამავალ კაბელებსა (54-ე რეგულაცია) და კულტურულ საკუთრებას (56-ე რეგულაცია),²² მაგრამ ამ ყველა დებულების ქვაკუთხედია 55-ე რეგულაცია, რომელიც ამბობს, რომ:

ოკუპანტი სახელმწიფო განიხილება მონინალმდევე მხარის კუთვნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე საჯარო შენობების, უძრავი ქონების, ტყეების და სასოფლო სამეურნეო სავარგულების მხოლოდ ადმინისტრატორად და უზუფრუქტუარად. მან უნდა დაიცვას ამ ქონების ერთიანობა და მართოს ეს [ქონება] უზუფრუქტის წესების შესაბამისად.²³

ჰააგის კონვენციის ეს დებულება აყალიბებს წესს, რომლის მიხედვითაც ოკუპანტი ძალა არავითარ შემთხვევაში არ ახორციელებს მის მიერ დაკავებული ტერიტორიის „სუვერენულ“ კონტროლს, არამედ მისი ძალაუფლება არის დროებითი და ამ დროის განმავლობაში ის ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგი ოკუპირებულ ტერიტორიაზე,²⁴ მათ შორის იქ არსებული ქონების დაცვის კუთხითაც. ამავდროულად, რეგულაციები პირდაპირ არ მიუთითებს, თუმცა ნავარაუდევია რომ ოკუპანტი ძალას შეუძლია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებისა თუ სასოფლო სამეურნეო მოსავლის გონივრულ ფარგლებში გამოყენება, ისე რომ ამგვარ რესურსს განადგურების საფრთხე არ დაემუქროს.²⁵

თავის მხრივ ჟენევის მე-4 კონვენცია ჰააგის რეგულაციებისაგან განსხვავებით შეიცავს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების უფრო დეტალურ და პროცესუალურად განვირულ წესებს, ადგილობრივი ოფიციალური პირების, განსაკუთრებით კი მოსამართლეების, ჩათვლით.²⁶ მიუხედავად

იმისა რომ კონვენცია უფრო მეტად ორიენტირებულია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, ის მაინც აღიარებს ოკუპანტი ძალის უფლებას დაიცვას საოკუპაციო ჯარის უსაფრთხოება და ამ მიზნით დაუნესოს გარკვეული შეზღუდვები ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის თავისუფალი გადაადგილების კუთხითაც, ასევე კონვენცია ითვალისწინებს ოკუპანტის მიერ სავალდებულო საცხოვრებელი ადგილისა (*assigned residence*) და ინტერნირების ზომების მიღებას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. (42-ე, 43-ე და 78-ე მუხლები) თუმცა ეს უკანასკნელი ზომები განიხილება როგორც გამონაკლისი და უკიდურესი აუცილებლობით გამონვეული, როდესაც სხვა უფრო მსუბუქი ზომის მიღებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია. სავალდებულო საცხოვრებელი ადგილისა და ინტერნირების გამოყენება ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ უნდა ხდებოდეს იმავე რეჟიმით, რითაც ეს ზომები გამოიყენება ომის ტყვეების მიმართ ჟენევის მე-3 კონვენციის მიხედვით.²⁷

ჟენევის მე-4 კონვენცია ასევე არგულირებს ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, როგორცაა სკოლები (50-ე მუხლი), სამედიცინო მომსახურება (56-ე მუხლი), სამოქალაქო ჯანდაცვის ობიექტების დაცვა (57-ე მუხლი), ასევე ჰუმანიტარული ტვირთი, მისი დაცვა და განაწილება (59-ე – 61-ე მუხლები), შრომის შესახებ რეგულაციები (51-ე – 52-ე მუხლები) და საკუთრების დაცვა (53-ე მუხლი). მთლიანობაში ჟენევის მე-4 კონვენცია ყოველისმომცველ დაცვის სტანდარტს იძლევა იმ პირთათვის, რომლებიც მოექცევიან „კონვენციის დაცვის ქვეშ“ და ჰააგის რეგულაციებისგან განსხვავებით სწორედ ასეთ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული.²⁸

საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ყველაზე ეფექტიანი გზაა საპოლიციო კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ოკუპანტი ძალა უფლებამოსილია თავისი სამხედრო მიზნებისათვის გაატაროს კონკრეტული საპოლიციო ზომები, ამავდროულად ამგვარი ზომები ხელს უნდა უწყობდეს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებასაც, რადგან ყოველი კანონიერი ოკუპაციის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ადგილობრივი

სამოქალაქო მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფაცაა.²⁹

როდესაც საქმე ეხება ოკუპანტი ძალის სამხედრო ინტერესებს, სავარაუდოა რომ იგი შეზღუდავს ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ აქტივობასაც, რათა თავიდან იქნეს აცილებული პოლიტიკური გზით საოკუპაციო ჯარისათვის ან საოკუპაციო ადმინისტრაციისათვის წინააღმდეგობის განევა. ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლის ფართო განმარტება ამის უფლებას აძლევს ოკუპანტს. ზოგიერთი მეცნიერის³⁰ მოსაზრებით, უფრო მეტიც, ოკუპანტს შეუძლია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შეუზღუდოს არჩევნებსა ან პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობის მიღება ქვეყნის არაოკუპირებულ ნაწილში (როდესაც სახეზეა ქვეყნის ნაწილობრივი ოკუპაცია). თუმცა ამგვარი განმარტება ალბათ მუხლის საკმაოდ ფართო ნაკითხვით შეიძლება იქნეს გამართლებული, ამავდროულად ჰააგის 42-ე რეგულაცია აშკარად აცხადებს რომ ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მონაწილემდეგ ძალამ დაამყარა კონტროლი, შესაბამისად ოკუპანტის მიერ ქვეყნის არაოკუპირებულ ტერიტორიაზე არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა შეენიანაღმდეგება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის სულისკვეთებას და ჩაითვლება უკანონოდ, რადგან ოკუპანტი ძალას არ აქვს უფლება ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას აუკრძალოს რაიმე ქმედების განხორციელება იმ ტერიტორიის მიღმა, რომელსაც იგი აკონტროლებს.³¹

ოკუპირებული ტერიტორიაზე საპოლიციო კონტროლის განხორციელება შესაძლებელია, როგორც ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურების მიერ, ასევე ოკუპანტი ძალის ადმინისტრაციის მხრიდან. ოკუპანტი ძალას არ შეუძლია შორიდან უყუროს თუ როგორ ხდება მოროდორობა, ძარცვა თუ მკვლელობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუნდაც მის ჯარისკაცებს არანაირი საფრთხე არ ექმნებოდეთ. ოკუპანტმა უნდა შეინარჩუნოს სამართალი და წესრიგი და მას არ აქვს იმის უფლება რომ მშვიდად აიტანოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამეფებული უკანონობა და არეულობა.³²

საჯარო წესრიგის აღსადგენად მიღებული საპოლიციო ზომები არ რეგულირდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დადგენილი სამხედრო მოქმედებების წარმო-

ების წესებით, არამედ შიდა კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, რადგან საომარი მოქმედებები მიმართულია მონაწილემდეგის სამხედრო შესაძლებლობების დასუსტებისაკენ, ხოლო საპოლიციო ოპერაციების მიზანია კანონის აღსრულება და საჯარო წესრიგის შენარჩუნება. საპოლიციო ზომების მიღებისას უფრო მეტი შეზღუდვები მოქმედებს, ვიდრე იმის წარმოებისას.³³

როდესაც საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხე ემუქრება ადგილობრივი ინსურგენტების მხრიდან, საპოლიციო ძალების გამოყენება ყველაზე საუკეთესო მეთოდია ამგვარი საფრთხის გასაწინააღმდეგოდ.³⁴ თუმცა ხანდახან საპოლიციო ძალები საკმარისი არაა ოპერაციის წარმოებისათვის, როდესაც ადგილობრივი ორგანიზებული დაჯგუფებები იყენებენ პარტიზანულ ტაქტიკას, აწყობენ ტერორისტულ აქტებს და სხვა სამხედრო მოქმედებებს ახორციელებენ ოკუპირებული ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში. ამგვარი შეიარაღებული დაჯგუფებები საკმაოდ სერიოზული საფრთხეა არა მხოლოდ საოკუპაციო ჯარისათვის, არამედ ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობისთვისაც. ასეთ დროს ხდება უკვე კონფლიქტის ესკალაცია და ვხვდებით აშკარა მსგავსებას შეიარაღებულ პარტიზანულ დაჯგუფებებთან ბრძოლასა და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს შორის.³⁵ ამგვარი სახის შეიარაღებულ დაპირისპირებას ა.შ.შ.-ის სამხედრო სახელმძღვანელოები „გარდამავალ მოზაიკურ ომად“ მოიხსენიებენ.³⁶ თუმცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების წარმოებას დეტალურად ეხება ნაშრომის შემდგომი ქვეთავი, შესაბამისად ამ ქვეთავში საუბარი გვაქვს მხოლოდ ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებზე საპოლიციო ოპერაციების წარმოებისას.

ტერიტორიის საპოლიციო კონტროლი მოიზრებს ძალის გამოყენებასაც, რომელიც არსებითად განსხვავდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს საომარი მოქმედებებისაგან. პოლიციის მიერ ძალის გამოყენება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რომელიც წინასწარ განერილია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. ამ შეზღუდვების მიხედვით, საპოლიციო ოპერაციებისას ძალის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ აბსოლუტური საჭიროების

შემთხვევებში.³⁷ სასიკვდილო ძალის გამოყენება დაიშვება ისეთ დროს, როცა მისი თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია.³⁸ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით დაკავებას ან ეჭვმიტანილის განეიტრალების სხვა ნაკლებად მსუბუქ მეთოდს აქვს აშკარა უპირატესობა „სასიკვდილო გასროლასთან“ (*shoot to kill*) მიმართებით.³⁹ როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

სასიკვდილო ძალის გამოყენება ჩაითვლება არაპროპორციულად თუკი [საპოლიციო] ძალებმა ვერ შეძლეს განზრახ ან დაუდევრად, იმ ზომების მიღება, რომელიც თავიდან აირიდებდა ეჭვმიტანილის სიცოცხლის მოსპობას სხვათა სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე.⁴⁰

აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება ეხებოდა ირლანდიური ტერორისტული დაჯგუფების წევრის მოკვლას ბრიტანელი სამართალდამცავების მხრიდან. ასეთ დროს აშკარაა, რომ ადგილი ჰქონდა საპოლიციო ძალის გამოყენებას, თუმცა მოგვიანებით ისრაელის უზენაესმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მოიშველია დამიზნებითი მკვლევობების კანონიერების საკითხის დადგენისას, როდესაც ხდება მოწინააღმდეგის სიცოცხლის განზრახ მოსპობა შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში. ისრაელის უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მიმოიხილავს ამ თავის შემდეგი ქვეთავი, რადგან ის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არა იმდენად საპოლიციო ძალების ქმედებებს, არამედ უფრო სამხედრო მოქმედებებს ეხება.⁴¹

ოკუპირებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება საპოლიციო ძალით უნდა მოხდეს, როდესაც დაძაბულობას არ მიუღწევია შეიარაღებული კონფლიქტის ზღვრამდე და შესაბამისად სახეზეა შიდა არეულობა, მღელვარება, სპორადული აქტები, ჯანყი და ა.შ. ხოლო სამხედრო ძალის ჩარევა საჭირო ხდება მაშინ, როდესაც პოლიცია ვეღარ გაუმკლავდება ამგვარ არეულობას და განგრძობითი ძალადობა უკვე ამკარად შეიცავს შეიარაღებული კონფლიქტის ნიშნებს.⁴²

ბოლოს, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო სამართალი არ ახდენს განსხვავებას კანონიერ და უკანონო ოკუპანტს

შორის და ოკუპაციის სამართლით გათვალისწინებული ტერიტორიის ადმინისტრირების უფლებამოსილება სრულად გადაეცემა ოკუპანტ ძალას მიუხედავად იმისა ოკუპაცია კანონიერი ძალის გამოყენების შედეგად მოხდა თუ უკანონო აგრესიის აქტის შედეგად.⁴³ როგორც ა.შ.შ.-ის საოლქო სასამართლომ განაცხადა:

დამპყრობელი [მტერი] საუკეთესო ძალა არაა, რომელსაც შეიძლება ვანდოთ ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრირება. თუმცა ის არის ერთადერთი ძალა ადგილზე და აქვს იმის უფლებამოსილება რომ აღასრულოს თავისი ბრძანებები. და მიუხედავად იმისა რომ მისი უფლებამოსილების აღიარება შეიძლება სახიფათოც კი იყოს, მაინც უკეთესია რომ აღიარებულ-იქნეს რომელიმე მთავრობა, ვიდრე არც-ერთი მთავრობა არ იყოს ადგილზე. რაიმე სახის წესრიგის გარეშე მოსახლეობის მთელი საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრება პარალიზებული იქნებოდა. ასე რომ, საერთაშორისო სამართალმა აღიარა ოკუპანტის უფლება მიიღოს რეგულაციები თავისი სამხედრო ინტერესების დასაცავად და საპოლიციო კონტროლის განსახორციელებლად. თუმცა საერთაშორისო სამართალი ასევე ავალდებულებს ოკუპანტს საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დაცვას.⁴⁴

აღნიშნული საქმე ეხებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის, როგორც ოკუპანტი ძალის, მიერ ოკუპირებულ ფილიპინებში განხორციელებულ კონკრეტული ფინანსური ქმედებების ანულირებას ოკუპაციის უკანონო ხასიათიდან გამომდინარე, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ ოკუპანტის ქმედებები, რომელიც განხორციელებულია საერთაშორისო სამართლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, არის კანონიერი. ნიურნბერგის ტრიბუნალმაც გამოიყენა ასეთი მიდგომა, როდესაც განიხილავდა გერმანიის, როგორც ოკუპანტი ძალის, ქმედებებს ოკუპირებულ ევროპულ ტერიტორიებში.⁴⁵ აღნიშნული მიდგომა ეხმიანება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სულისკვეთებასაც, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს ძალის გამოყენების კანონიერების შეფასებას. ოკუპანტი ძალის უფლებამოსილებაც, როგორც ფაქტობრივი

მოცემულობა, არ შეიძლება გახდეს დავის საგანი, რადგან ასეთ შემთხვევაში დაზარალებულმა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა დაცვის ვალდებულებაც ოკუპანტმა ძალამ უნდა აიღოს თავის თავზე, განურჩევლად იმისა ამ ტერიტორიის დაკავება მან კანონიერი ძალის გამოყენებით მოახდინა თუ უკანონოდ. განურჩევლად ოკუპაციის კანონიერებისა, ოკუპანტის მიერ მისთვის მიცემული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული ყველა კანონიერი ზომა უნდა აღიაროს ლეგიტიმურმა მთავრობამ, მას შემდეგ რაც ოკუპაცია დასრულდება და განდევნილი სუვერენი კვლავ აღადგენს თავის ძალაუფლებას ტერიტორიაზე.⁴⁶

2. შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაშვებობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტი ძალის მიერ ეფექტიანი კონტროლის დამყარების შემდეგ შეიძლება თავი იჩინოს ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის ან გასამხედროებული რაზმების მხრიდან საოკუპაციო ჯარისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის განევამ. ასეთი ფაქტები შესაძლოა იყოს, როგორც მცირემასშტაბიანი და დაუგეგმავი, ასევე საკმაოდ ფართომასშტაბიანიც და სისტემატიური, რა დროსაც მსგავსი დაპირისპირება გადაიზრდება შეიარაღებულ კონფლიქტში. ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი არ არეგულირებს ამგვარი შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაშვებობის საკითხს, თუმცა ცალსახად მიუთითებს რომ ოკუპანტი ძალას აქვს უფლებამოსილება მიიღოს ყველა კანონიერი ზომა საკუთარი სამხედრო ინტერესებისა და საოკუპაციო ჯარის დასაცავად, შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის დროს ოკუპანტი ძალას ეკისრება ვალდებულება მოძებნოს ბალანსი საკუთარ სამხედრო ინტერესებსა და სამოქალაქო მოსახლეობის კეთილდღეობის ღირებულებებს შორის. მან უნდა შეძლოს საკუთარი საომარი პოზიციების შენარჩუნება ისე რომ საფრთხე არ შეექმნას ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგსა და სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოებას, რადგან ოკუპანტის მიერ ტერიტორიის ადმინისტრირება უნდა ემსახურებოდეს ორივეს – საკუთარი ჯარისათვის სამხედრო უპირატესობის

მიღებისა და მოსახლეობისათვის სარგებლის მოტანის მიზანს.⁴⁷ ამგვარი ბალანსის დაცვა წარმოუდგენელია მსგავსი სიტუაციების მარეგულირებელი კონკრეტული წესების არსებობის გარეშე.

ჰააგის რეგულაციების მიხედვით ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა არ არის ვალდებული ერთგულების ფიცი მისცეს ოკუპანტს და ასევე დაუშვებელია მოსახლეობის იძულება იბრძოლოს ოკუპანტი ძალის მხარეს.⁴⁸ მათ შეუძლიათ გააპროტესტონ ოკუპაცია, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერის⁴⁹ მოსაზრებით, მათ არ აქვთ უფლება რომ გამოიყენონ ძალა ოკუპანტის სამხედრო თუ სამოქალაქო ძალების წინააღმდეგ. დაპყრობილი ქვეყნის მაცხოვრებლების მიერ სამხედრო აჯანყებები დასაშვებია მხოლოდ იმ ტერიტორიებში, სადაც ოკუპაცია ჯერ არ განხორციელებულა და ეფექტიანი კონტროლი არ დაუმყარებია მოწინააღმდეგე ჯარს, ხოლო როდესაც ტერიტორია უკვე დაკავებულია *levee en masse* უკვე აღარაა სანქცირებული საერთაშორისო სამართალით. ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის მიერ საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ იარაღის აღების უფლებას ოკუპაციის სამართალი არ უშვებს, რადგან სამხედრო ოკუპაციის დროს ტერიტორიაზე ლეგიტიმური სუვერენის მმართველობა შეწყვეტილია და იქ მცხოვრები მოქალაქეები დროებით ემორჩილებიან საოკუპაციო ხელისუფლებას.⁵⁰ ამგვარი მორჩილების ვალდებულების დაკისრება განპირობებულია საოკუპაციო ჯარის უსაფრთხოებით, საჯარო და საზოგადო წესრიგის შენარჩუნებისა და დაკავებული ტერიტორიის ჯეროვანი ადმინისტრირებისათვის.⁵¹ შესაბამისად, სამოქალაქო პირების მიერ ძალისმიერი მეთოდით ოკუპაციის გაპროტესტება ან ოკუპირებული ტერიტორიის გათავისუფლების მცდელობა არ დაიშვება.⁵²

ამის საპირისპიროდ არსებობს მოსაზრება,⁵³ რომ ტერიტორიის სამხედრო ძალით დაკავებისას ოკუპანტი ძალის წინააღმდეგ შეიარაღებული დაპირისპირება შეიძლება კანონიერი იყოს, თუმცა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაპირისპირება მიმართულია სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ. როდესაც ამგვარი დაპირისპირება იმდენად სერიოზული ხასიათისაა, რომ ოკუპანტი ძალას აღარ ძალუძს დაკავებული ტერიტორიის

ეფექტიანი კონტროლი, მაშინ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ომის წარმოებასთან დაკავშირებული ნორმები იწყებს სრულ ამოქმედებას.⁵⁴ ხოლო, თუკი შეიარაღებული დაპირისპირება არ უშლის ხელს ოკუპანტ ძალას განახორციელოს ოკუპირებული ტერიტორიის ჯეროვანი ადმინისტრირება, მაშინ ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ნორმები იმოქმედებს ოკუპანტსა და ტერიტორიის მაცხოვრებელ სამოქალაქო მოსახლეობას შორის, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის ნორმები კი გამოიყენება საოკუპაციო ჯარსა და შეიარაღებულ წინააღმდეგობრივ მოძრაობებს შორის. ზოგიერთი მეცნიერი⁵⁵ მიიჩნევს, რომ რადგან ოკუპაცია ომის მიზანია, ტერიტორიის ოკუპირებულად შენარჩუნება ასევე ოკუპანტი ძალის სამხედრო მიზანია, შესაბამისად მას შეუძლია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას დააკისროს „ნეიტრალურობის“ ვალდებულება (რადგან „ერთგულების ფიცის“ ვალდებულების დაკისრება ჰააგის რეგულაციებით პირდაპირ დაუშვებლად ცხადდება). ნეიტრალურობის ვალდებულება გულისხმობს საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ მტრული დამოკიდებულებისა და შეიარაღებული დაპირისპირებისაგან თავის შეკავებას და საოკუპაციო ადმინისტრაციის ლეგიტიმური ბრძანებების ნებაყოფლობით დამორჩილებას. ამგვარი ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება შესაბამისი სასჯელის დაკისრების საფუძველიც კი გახდეს.⁵⁶ როგორც ნიდერლანდების სპეციალურმა სასამართლომ განაცხადა კრისტინანენის საქმეში:

[ოკუპირებული ტერიტორიის] სამოქალაქო მოსახლეობა თუკი გამართლებულად ჩათვლის წინააღმდეგობის განევას, მან ზოგადად უნდა იცოდეს რომ მის წინააღმდეგ შეიძლება კანონიერად იქნეს გამოყენებული სამაგიერო ზომები, როგორც ეს დაშვებულია საერთაშორისო სამართლით.⁵⁷

აღსანიშნავია, რომ ოკუპანტი ძალისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის განევის უფლება ჟენევის კონვენციების მიღებამდე არსად გვხვდება. ჰააგის კონფერენციაზე ზოგიერთი ქვეყნის დელეგაცია აცხადებდა, რომ ოკუპაციის ქვეშ მცხოვრებ ხალხს შეეძლო ოკუპაციისათვის ძალისმიერი წინააღმდეგობის განევა, თუმცა ეს უფლება თავის დროზე არც 1874 წლის ბრიუსელის დეკლარაციაში

ასახულა, რომელიც საფუძვლად დაედო ჰააგის კონვენციას და შესაბამისად არც 1907 წლის რეგულაციებში შესულა.⁵⁸

აქვე აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი მილიციის ან პარტიზანული დაჯგუფების წევრებმა მონინაღმდეგის ხელში მოხვედრისას უნდა ისარგებლონ ომის ტყვეის სტატუსით თუკი ისინი აკმაყოფილებენ ოთხნაწილიან ტესტს (ყავთ მეთაური, ატარებენ განმასხვავებელ ნიშანს, ღიად ატარებენ იარაღს, სამხედრო მოქმედებებს წარმართავენ ომის კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად).⁵⁹

ვინაიდან ომის ტყვეის სტატუსი გვხვდება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში, სავარაუდოა რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტსა და ადგილობრივ წინააღმდეგობრივ მოძრაობებს შორის ყველანაირი დაპირისპირება, რომელიც სისტემატიურ ხასიათს მიიღებს დაკვალიფიცირდება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებული იქნა ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიერ *დამიზნებითი მკვლელობების* საქმეში, სადაც სასამართლომ განაცხადა, რომ:

ისრაელსა და [ოკუპირებულ] ტერიტორიაზე მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის კონფლიქტისას გამოსაყენებელი სამართალი კომპლექსური ხასიათისაა. მის ცენტრში არის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი.⁶⁰

აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას სასამართლო დაეყრდნო პროფესორ *კასესეს* მოსაზრებას, რომელიც ამბობს, რომ შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც მიმდინარეობს ოკუპანტ ძალასა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ აჯანყებულ ჯგუფებსა ან ინსურგენტებს შორის – მიუხედავად იმისა ისინი ტერორისტული დაჯგუფებები არიან თუ არა – უთანაბრდება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს.⁶¹

თუმცა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ოკუპირებულ ავღანეთში კოალიციურ ძალებსა და ტერორისტულ დაჯგუფებას ალყაედას შორის კონფლიქტი არ დააკვალიფიცირა საერთაშორისოდ და მიუთითა, რომ ამგვარი კონფლიქტის დროს გამოიყენებოდა ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი, რადგან კონფლიქტი არ იყო საერთაშორისო ხასიათის⁶² (ანუ სახელმწიფოთა შორის, რო-

გორც ეს ჟენევის კონვენციების მე-2 საერთო მუხლშია მოცემული). თუმცა სასამართლოს შემდგომი განმარტება აღარ გაუკეთებია თუ რატომ გამოიყენება საერთო მე-3 მუხლი, ვინ იყვნენ კონფლიქტის მხარეები – მხოლოდ აშშ, თუ კოალიციური ძალები, როგორც ავღანეთის ახალი მთავრობის მოკავშირეები,⁶³ რადგან იმ დროისათვის ავღანეთის კონფლიქტის ოკუპაციის ფაზა ფორმალურად უკვე დასრულებული იყო.

არსებული სამართლებრივი ბაზისა და პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებლებს აქვთ უფლება გააპროტესტონ ოკუპაცია და ეს შესაძლებელია შეიარაღებული მეთოდითაც მოხდეს. ამას მონიშნავს ჟენევის კონვენციების 1-ლი დამატებითი ოქმი, რომელიც უშვებს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ქვეშ ერთ-ერთი ქვეკატეგორიის კონფლიქტის შესაძლებლობას, რომლის დროსაც ხალხი იბრძვის უცხოელთა ოკუპაციის წინააღმდეგ საკუთარი თვითგამორკვევის უფლების რეალიზებისათვის.⁶⁴ მაგრამ მეორეს მხრივ, ოკუპაცია რადგან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგია (თუმცა შეიძლება შეიარაღებული წინააღმდეგობის გარეშეც განხორციელდეს)⁶⁵ ნაკლებად სასურველია რომ ოკუპაციის პერიოდში კვლავ ადგილი ჰქონდეს შეიარაღებულ დაპირისპირებას. ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრების მეტნაკლებად ჩვეულებრივი რიტმის შენარჩუნება და ამ ტერიტორიის ადმინისტრირება, ისე რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ ჰქონდეს იმის შეგრძნება რომ შევიწროვებული ან დევნილია უცხოელი დროებითი მმართველის ხელში; შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ოკუპაციის სამართლის სულისკვეთება არ გადაიხრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაშვებობის შესაძლებლობისკენ, პირიქით, ოკუპაციის სამართალი განმსჭვალულია მშვიდობიანობის დროს მოქმედი სამართლის მსგავსი ნორმებით, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ოკუპაცია უნდა დასრულდეს მოლაპარაკებების და არა კვლავ შეიარაღებული მოქმედებების გზით, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როცა ოკუპანტი ძალა კეთილსინდისიერად მოქმედებს საერთაშორისო სამართლით მისთვის მიცემუ-

ლი უფლებამოსილების ფარგლებში, იმისდა დამოუკიდებლად ოკუპაცია განხორციელდა კანონიერი ძალის გამოყენებით თუ აგრესიული აქტის შედეგად. თუმცა შეიარაღებული წინააღმდეგობის შემთხვევაში ოკუპანტი ძალა ვერ მოიხსნის საერთაშორისო სამართლით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, რადგან აჯანყებების გამო ოკუპაცია არც წყდება და არც სრულდება, ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს თუ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის განხორციელების შედეგად ტერიტორიაზე აღსდგა ლეგიტიმური სუვერენის მმართველობა ან ოკუპანტი ძალა ვერ უმკლავდება აჯანყების მასშტაბს და ტერიტორიაზე კარგავს ეფექტიან კონტროლს.⁶⁶

თუმცა, თუკი მაინც მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ოკუპანტი ძალისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის განხორციელება და თუკი მივიჩნევთ, რომ ამგვარი დაპირისპირება დაკვალიფიცირდება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად, მაშინ აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო მოსახლეობის მონაწილეობა სპონტანურ ან თუნდაც წინასწარ დაგეგმილ შეიარაღებულ აჯანყებებში უკანონო იქნება,⁶⁷ ასევე უკანონოდ ჩაითვლება გასამხედროებული რაზმების მიერ (რომლებიც ივარაუდება რომ აკმაყოფილებენ ოთხნაწილიან ტესტს) შეიარაღებული მოქმედებების წარმართვა სამოქალაქო პირებისა ან ობიექტების წინააღმდეგ. შესაბამისად, ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ოკუპანტის წინააღმდეგ ბრძოლა *ipso facto* მიიჩნევა კანონგარეშედ. ტერორისტები ვერ ისარგებლებენ ომის ტყვის სტატუსით და მათი დაჭერის შემთხვევაში ისინი გასამართლდებიან შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისათვის, ასევე ომის დანაშაულებისათვის. ისრაელის უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ ტერორისტები არიან სამოქალაქო პირების ქვეკატეგორია, კერძოდ „უკანონო კომბატანტები“, რომელნიც ომის ტყვის სტატუსის პრივილეგიებს ვერ მიიღებენ.⁶⁸

სხვა საქმე, სადაც მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო ზემოაღნიშნული საჭიროების არსებობის დამტკიცება იყო – *გაერთიანებული მაკედონიის ორგანიზაცია ილინდენ-პირინ და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*. საქმე ეხებოდა პოლიტიკური პარტიის გაუქმებას პირინის რეგიონში, მაკედონიაში. პარტიის საქმიანობის მიზანს წარმოადგენდა ბულგარეთის ტერიტორიაზე მცხოვრები წარმოშობით მაკედონიელი ხალხის გაერთიანება და საერთო აქტივობების განხორციელება. ბულგარეთის მთავრობამ პარტიას აუკრძალა ფუნქციონირება იმ არგუმენტით, რომ ასოციაცია წარმოადგენდა საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის და ერის ერთიანობისთვის. პარტიას ბრალი დასდეს სეპარატისტული იდეოლოგიის გავრცელებაში. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიტიკური პარტია აკმაყოფილებდა ორ აუცილებელ პირობას დაცვის მისაღებად. პირველი, პარტიის ლიდერებს არ მოუხდენიათ ძალადობისკენ მონოღება და არ გამოუყენებიათ არანაირი ანტიდემოკრატიული საშუალებები თავიანთი მიზნების მისაღწევად. მეორე, თუ მივიჩნევთ, რომ პარტიის მიზანი იყო ავტონომია, ეს არ ნიშნავს, რომ ამგვარი პროექტი ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიულ პრინციპებს. აქედან გამომდინარე, პარტიის დაშლა არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლს.¹²

1.3. ჰერი ბატასუნა და ბატასუნა ესპანეთის წინააღმდეგ და რეფაჰ პარტიის და სხვები თურქეთის წინააღმდეგ

პოლიტიკური ორგანიზაცია ჰერი ბატასუნა დაარსდა, როგორც საარჩევნო კოალიცია და მონაწილეობაც მიიღო არჩევნებში 1979 წელს. 2003 წელს გენერალური პროკურორის მიმართვის შედეგად უზენაესმა სასამართლომ პარტიები გამოაცხადა უკანონოდ ტერორიზმის და ტაქტიკური სეპარატიზმის ბრალდების საფუძველზე და მიიღო განკარგულება მათი დაშლის შესახებ. ასევე დაადგინა პარტიების იდეოლოგიური და ფუნქცი-

ონალური კავშირი ტერორისტულ ორგანიზაციასთან „ეტა“.¹³

მსჯელობისას სასამართლომ განაცხადა, რომ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობის და პროპორციულობის დასადგენად ჯერ უნდა განისაზღვროს მომჩივანის პარტიის დაშლა წარმოადგენდა თუ არა მწვავე სოციალურ საჭიროებას. სასამართლო დაეთანხმა ესპანეთის უზენაესი სასამართლოს არგუმენტაციას და გადაწყვეტილებას. ცალკე აღნიშნა რა ტერორისტული ორგანიზაციებიდან მომავალი საფრთხე და ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს აღნიშნული ორგანიზაციების ფუნქციონირებას. სასამართლოს მსჯელობის თანახმად მომჩივანი პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციას და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევა იყო აუცილებელი. შესაბამისად პარტიებზე დაკისრებული სანქცია სასამართლომ მიიჩნია თანაზომიერად კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით და დაამატა, რომ პარტიის დაშლა წარმოადგენდა საჭიროებას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საქმე *რეფაჰ პარტიის და სხვები თურქეთის წინააღმდეგ* ეხება სამართლებრივი პლურალიზმის მომხრე პარტიის დახურვას თურქეთში. სასამართლომ არც ამ უკანასკნელში დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა. რეფაჰ პარტიის აკრძალვაც მიჩნეულ იქნა აუცილებლად დემოკრატიული საზოგადოებისთვის. სასამართლოს ხედვით, რეფაჰის გეგმა იყო სამართლებრივი სისტემის პლურალიზმის აგიტაცია, რაც, მოცემულ შემთხვევაში, შეასუსტებდა სახელმწიფოს როლს, როგორც ადამიანის უფლებების და განსხვავებული რწმენის და რელიგიის მიუკერძოებელი ორგანიზატორის გარანტორისას. დამატებით, გეგმა მიზნად ისახავდა მე-14 მუხლის რელიგიურ საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის წინ წამოწევისას. სასამართლომ თავად შარიათი შეაფასა დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების შეუსაბამოდ.¹⁴ სასამართლომ დაადგინა, რომ შარიათი, რომელიც გამოხატავს რელიგიის მიერ დადგენილ დოგმატებს და წესებს, არის სტაბილური და უცვლელი. ისეთი პრინციპი, როგორც პლურალიზმია პოლიტიკურ სფეროში ან საზოგადოების თავისუფლებების მუდმივი განვითარება, მათ ადგილი შარიათში არ არის.¹⁵

2. ასოციაციის რეგისტრაციის და შეკრების კარძალვა

მოცემულ თავში განხილული საქმეები ძირითადად შეეხება უმცირესობათა ორგანიზაციებს, რომლებსაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან არ დართეს დემონსტრაციების გამართვის უფლება. საქმეები ძირითადად ეფუძნება სახელმწიფოების მიერ უმცირესობების გაერთიანების და შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებს. დემოკრატიული პლურალიზმი უფრო სენსიტიური თემაა, როდესაც საკითხი ეხება უმცირესობებს, მათი პოზიციის დაფიქსირებას პოლიტიკურ პროცესებში, მათი კულტურული და იდენტობის საფრთხეების წინ წამონევის და მათ მიერ ინიცირებული პოლიტიკური პროექტების განხორციელებას.

2.1. უმცირესობების დაცვის სამი პრინციპი

უმცირესობებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც ასევე, ასახულია სასამართლოს პრაქტიკაში არის, უმცირესობათა კულტურისთვის ხელის შეწყობა და უმცირესობების ცნობიერების დონის ამაღლება. ამ პრინციპის რეალიზება ვერ დაემუქრება ქვეყანაში არსებულ დემოკრატიას. მეორე მნიშვნელოვანი პრინციპის თანახმად სახელმწიფოს ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფხიზლე, რათა უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც ეროვნული საზოგადოებრივი აზრი არ იქნება დაცული უმცირესობების მოსაზრებების გამოხატვის დაზიანების ხარჯზე, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად არაპოპულარული შეიძლება იყოს ისინი.¹⁶ საქმეში *გორზელიკი პოლონეთის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა, რომ პლურალისტული და დემოკრატიული საზოგადოება არა მხოლოდ, პატივს უნდა სცემდეს ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული თითოეული პირის ეთნიკურ, კულტურულ, ლინგვისტურ და რელიგიურ იდენტობას, არამედ უნდა შექმნას შესაბამისი პირობები უმცირესობებისთვის, რათა მათ გამოხატონ, დაიცვან და განავითაროთ ეს იდენტობა.¹⁷ სასამართლომ დაადასტურა, რომ ეს უკანასკნელი პრინციპი ეფუძნება ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციას.¹⁸

ზემოხსენებული პირველი პრინციპის გამოყენების მაგალითია *სიდროპულოსი და სხვები საბერძნეთს წინააღმდეგ*, რომელიც ეხებოდა საბერძნეთის მთავრობის უარს ასოციაცია „მაკედონური ცივილიზაციის სახლის“ რეგისტრაციაზე. ასოციაციის დაარსა ორმა პიროვნებამ, რომლებიც მათი განცხადებით, იყვნენ წარმოშობით მაკედონიიდან და ჰქონდათ მაკედონური თვითშეგნება. საბერძნეთის ეროვნულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ტერმინი „მაკედონიელი“ ატარებდა საბერძნეთს მიერ მაკედონური იდენტობის თაობაზე დავის გაჩაღების განზრახვას და საფრთხეს უქმნიდა საბერძნეთის ტერიტორიულ მთლიანობას. სასამართლომ დაასკვნა, რომ ორგანიზაციის მიზანი იყო მხოლოდ კონკრეტულ რეგიონში კულტურისა და ტრადიციების ხელშეწყობა. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა საბერძნეთის ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება და დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა, იმ საფუძვლით, რომ განმცხადებლებისთვის ასოციაციის რეგისტრაციაზე უარი არ წარმოადგენდა ორგანიზაციის არსებულ მიზნებზე რეაგირების პროპორციულ ზომას.¹⁹

მეორე პრინციპის მაგალითია *სტანკოვი და გაერთიანებული მაკედონური ორგანიზაცია ილინდენ ბულგარეთის წინააღმდეგ*. ზემოხსენებული ასოციაცია ცდილობდა ბულგარეთში მაკედონური უმცირესობის აღიარების მოპოვებას. ორგანიზაციას აეკრძალა მიტინგების გამართვა სეპარატისტული იდეების ხელშეწყობის საფუძვლით და იმ მიზეზით, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ბულგარეთს ტერიტორიულ მთლიანობას. სასამართლომ დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის დაძაბულობის არსებობის შესაძლებლობა არღვევდა უმცირესობათა უფლებებს და საზოგადოებაში უმცირესობას წართმეული ჰქონდათ უმრავლესობისგან განსხვავებული აზრის გამოთქმის და ამ აზრის გათვალისწინების შესაძლებლობა.²⁰

მესამე პრინციპის პრაქტიკულ მაგალითს წარმოადგენს საქმე *გორზელიკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ*. აღნიშნულ საქმეში სასამართლოს დიდმა პალატამ დაუშვებლად ცნო განმცხადებლების სარჩელი, რომელიც პოლონეთის მიერ სილეზიის ასოციაციის რეგისტრაციაზე უარის თქმას ეხებოდა. პო-

ლონეთის მხარის არგუმენტაციის თანახმად, სიღებზელები არასწორად მიიჩნევენ თავს ეროვნულ უმცირესობად. აღნიშნული მოსაზრება ეწინააღმდეგება პოლონეთის კონსტიტუციის რეგულაციებს და მისი განზრახვაა საარჩევნო პრივილეგიების მიღება. პოლონეთის განცხადებით მათი რეალური მიზანი იყო სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის დადგენილი პარლამენტში მოსახვედრად აუცილებელი 5%-იანი ბარიერისგან გამონაკლისი მოპყრობის მოპოვება. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმის გარემოებები და დაასკვნა, რომ სიღებზელებისთვის ასოციაციის დაარსების აკრძალვის ზომა არ შეესაბამებოდა არსებულ რეალობას, ორგანიზაციის მიზნებისგან დამოუკიდებლად. რეალურად სახეზე იყო შემთხვევა, როდესაც სიღებზელებს წაერთვათ მათი ეთნიკური ან კულტურული იდენტობის გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობა.²¹

3. უმცირესობების პოლიტიკური

წარმომადგენლობა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლის ანალიზის საფუძველზე

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლი ადგენს თავისუფალი არჩევნების უფლებას: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნებად სურვილის თავისუფალ გამოხატვას“.

ზემოთაღნიშნული უფლება ხშირად იზღუდება უმცირესობებთან მიმართებით. შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკისგან განსხვავებით რთულია განისაზღვროს რა სახის დაცვას სთავაზობს სასამართლო უმცირესობის წევრებს თავისუფალი არჩევნების უფლების რეალიზაციის კუთხით. მართალია, კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს უმცირესობებზე და ატარებს ზოგად ხასიათს, მაგრამ ქვემოთ განხილული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, აღნიშნული უფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ ხდება შეზღუდვის ობიექტის რომელიმე უმცირესობისთვის კუთვნილების მიზეზით.

3.1. თანასე მოლდოვას წინააღმდეგ

თანასე იყო მოლდოველი პოლიტიკოსი, რომელსაც გააჩნდა მოლდოვას და რუმინეთის ორმაგი მოქალაქეობა. 2008 წელს მოლდოვას პარლამენტმა დაამტკიცა საპარლამენტო რეფორმა, რომლის შედეგად ორი ან რამდენიმე მოქალაქეობის მქონე პირებს ჩამოერთვათ უფლება გამხდარიყვნენ პარლამენტის წევრები. შესაბამისად, თანასეს მოუხდა რუმინეთის მოქალაქეობის დატოვება, რათა შეენარჩუნებინა ადგილი მოლდოვას პარლამენტში. მიღებული ცვლილება გასაჩივრდა მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლოშიც, რომელმაც დაადგინა, რომ იგი სრულ შესაბამისობაში იყო ქვეყნის კონსტიტუციასთან. ასევე, დამატებით დაადგინა, რომ ცვლილება ემსახურებოდა მართლზომიერ მიზანს, კერძოდ მოლდოვას რესპუბლიკის მიმართ ლოიალურობის და ერთგულების დაცვას. დაწესებული შეზღუდვა კი მიიჩნია თანაზომიერად და განაცხადა, რომ საარჩევნო უფლებების შინაარსზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენდა.²²

საინტერესოა ის გარემოება, რომ მოლდოვას საკუთარი კონსტიტუციის მიხედვით შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით უპირატესი ძალა აქვს მინიჭებული საერთაშორისო ხელშეკრულებისთვის.²³ ასევე, კონსტიტუციით არის განერილი მოქალაქის უფლება – აირჩიოს და იყოს არჩეული.²⁴ ასევე განერილია მოლდოვას მოქალაქეების უფლება მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში და ხელი მიუწვდებოდეთ ნებისმიერ თანამდებობაზე.²⁵

საქმის განხილვისას კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევაზე საუბრისას სასამართლომ განმარტა, რომ ამ მუხლს აქვს აქტიური და პასიური ასპექტები. აქტიური ნიშნავს პირის ხმის მიცემის უფლებას, ხოლო პასიური – არჩევნებში კანდიდატად კენჭისყრის უფლებას, რის განსამტკიცებლად მოიშველია *ჟდანოკა ლატვიის წინააღმდეგ* საქმეში სასამართლოს მსჯელობა.²⁶ სასამართლომ დასძინა ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში ქვეყნებს მინიჭებული აქვთ თავისუფალი შეფასების ფართო ზღვარი, სწორედ სასამართლო აფასებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაცულია თუ არა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლი.²⁷ სასამართლოს მსჯელობიდან გამოიკვეთა, რომ

მიღებული ცვლილების მიზანი იყო არა პარლამენტის წევრების ლოიალობის გაზრდა, არამედ მმართველი პარტიისთვის საპარლამენტო არჩევნებში მარტივი გამარჯვების უზრუნველყოფა და კომფორტული გარემოს შექმნა.²⁸ საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოლდოვას მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილების დებულებები არათანაზომიერია და არღვევს კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლს.²⁹

3.2. სეჟდიჩი და ფინჩი ბოსნია და ჰერცეგოვინას წინააღმდეგ

არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ასევე, მნიშვნელოვანია განხილული იქნეს საქმე *სეჟდიჩი და ფინჩი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წინააღმდეგ*, სადაც მომჩივნების განცხადებით მათი ბოშური და ებრაული წარმომავლობის გამო, არ მიეცათ შესაძლებლობა კენჭი ეყარათ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახალხო პალატისა და პრეზიდენტის არჩევნებში და სხვა მუხლებთან ერთად დავობდნენ კონვენციის მე-14 მუხლის და კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლების დარღვევებზე.³⁰

ბოსნია და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია არის სამშვიდობო შეთანხმების ნაწილი და შესაბამისად არ ჯდება სტანდარტული კონსტიტუციების ქრილში. კონსტიტუციის პრეამბულაშივე გამოყოფილია ბოსნიაკები, ხორვატები და სერბები, როგორც „შემადგენელი ხალხები“, რომელთა ნების წინააღმდეგ შეუძლებელი უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილების მიღება.³¹ მომჩივნები, სეჟდიჩი და ფინჩი არიან ბოშური და ებრაული წარმომავლობის პირები და არ მიეკუთვნებიან არცერთ „შემადგენელ ხალხს“, შესაბამისად უფლება არ აქვთ კენჭი იყარონ არჩევნებში. აღნიშნულის თაობაზე ოფიციალური დადასტურება ფინჩიმ მიიღო 2007 წლის 3 იანვარს.³²

ბოსნია და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია აზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ იცოდნენ-რა მიღებისას კონსტიტუციაში ჩადებული მექანიზმები დიდწილად ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებებს, მისი დინამიური ინსტრუმენტად გადაქცევის მიზნით გაკეთდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებში ჩამოყალიბებული უფლებები და თავისუფ-

ლებები პირდაპირ გამოიყენება ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში და მათ ყველა სხვა კანონთან მიმართებით უპირატესი ძალა აქვთ.³³ სწორედ აღნიშნულ ჩანაწერს ეყრდნობოდნენ მომჩივნები და აცხადებდნენ, რომ დაირღვა მათი უფლებები, ვინაიდან აღნიშნული კონვენციის მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა.³⁴ აღნიშნულ საქმეში კი მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათი ეთნიკური კუთვნილების გამო არ მიეცათ თავისუფალ არჩევნებში კენჭის ყრის უფლების რეალიზების საშუალება, შესაბამისად მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-14 და პირველი ოქმის მე-3 მუხლებით დაცული უფლებები.³⁵

სასამართლომ აღნიშნა, რომ დისკრიმინაცია ნიშნავს ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას.³⁶ „ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე“ კი, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ განსახილველი მოპყრობა არ ემსახურება მართლზომიერ მიზანს და დასახულ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებას შორის გონივრული ურთიერთკავშირი არ არსებობს.³⁷ სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ თანამედროვე საზოგადოება უნდა ეფუძნებოდეს პლურალიზმისა და განსხვავებული კულტურის პატივისცემის პრინციპებს და პიროვნებების ეთნიკური წარმომავლობა არ უნდა იძლეოდეს განსხვავებული მოპყრობის საფუძველს.³⁸

სასამართლო დაეთანხმა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავრობის წარმომადგენლის პოზიციას, რომ კონსტიტუციური ნორმები განერილი იყო გენოციდით და ეთნიკური წმენდით გაყლენთილი სასტიკი კონფლიქტის დასასრულებლად, თუმცა ისიც დაამატა, რომ აუცილებელი იყო შესაბამისი ცვლილებების განხორციელება და წლების წინ ჩანერილი ნორმების მოდიფიცირება. მათ შორის, მხოლოდ შემადგენელი ხალხისთვის გარკვეული პრივილეგიების მინიჭება და სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების არახელსაყრელ პირობებში ჩაყენება.³⁹ შესაბამისად სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის არჩევნებში კენჭისყრის უფლების შეზღუდვას არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლე-

ბა. აქედან გამომდინარე, დარღვეულია მე-14 მუხლი 1-ლი ოქმის მე-3 მუხლთან მიმართებით.⁴⁰

3.3. სასამართლოს დადებითი შეფასება სახელმწიფოს მიერ დანესებული შეზღუდვების თაობაზე

ჟდანოკა იყო ლატვიელი პოლიტიკოსი, რომელიც დაიბადა რუსულად მოსაუბრე ოჯახში, ლატვიაში. მას ჩამოერთვა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილის სტატუსი იმ მიზეზით, რომ წარსულში იყო კომუნისტური პარტიის წევრი და მისი წარატივი იზიარებდა აღნიშნული პარტიის შეხედულებებს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ყოფილი პარტია ცდილობდა ძალის გამოყენებით შეეცვალა ლატვიაში არსებული მთავრობა. სასამართლომ არ დაადგინა მოსარჩელეს უფლებების დარღვევა და მიიჩნია, რომ ლატვიის გადაწყვეტილება გადატრიალების ორგანიზატორი პირის თუნდაც 10 წლის გასვლის შემდეგ პარლამენტში არჩევაზე უარის თქმის თაობაზე არ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.⁴¹

სასამართლომ მიიჩნია, რომ აკრძალვის მთავარი მიზეზი იყო დემოკრატიული პროცესის უსაფრთხოების და სახელმწიფოს კანონმდებლობის დაცვა იმ პირებისგან, რომლებიც არც ისე შორეულ წარსულში მონაწილეობდნენ პოზიციას იკავებდნენ პარტიაში, რომელიც ცდილობდა დაემხო დემოკრატიული რეჟიმი ლატვიაში. სასამართლოსთვის გამონკვევა იყო კომპრომისის მიღწევა დემოკრატიული საზოგადოების დაცვასა და კონკრეტული პირის უფლებების დაცვას შორის.⁴²

საქმე სადაც სასამართლომ არ დაინყო მსჯელობა პლურალიზმის ალტერნატივებზე იყო იუმაკი და სადაკი თურქეთის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მხარი დაუჭირა თურქეთში არსებულ 10%-იან საარჩევნო ბარიერს. აღნიშნულის ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება და პარლამენტის ფრაგმენტაციის თავიდან არიდება. სასამართლომ გაცნობიერა რომ ევროპაში ყველაზე მაღალი საარჩევნო ბარიერი, 10%, არ იყო გადაჭარბებული. სასამართლომ დაადგინა, რომ მაღალ საარჩევნო ბარიერს არ ჰქონდა გავლენა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლის მიერ გარანტირებულ უფლებებზე

ზე და არ არღვევდა მათ.⁴³ თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი რეგულაცია არ უწყობს ხელს გამჭვირვალე საარჩევნო პროცესის არსებობას.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართალშემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი ყალიბდება სამოდელო პრაქტიკად და მისი ასახვა და გაზიარება წლების მანძილზე ხდება სხვა ერთგვაროვანი შინაარსის საქმეებში. ზემოაღნიშნულ ნაშრომში განხილული საქმეებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ საორიენტაციო საქმეებს სასამართლოს პრაქტიკაში, რომლებიც აყალიბებენ სასამართლოს მიდგომას უმცირესობების ჯგუფის მიმართ. სასამართლოს მიდგომა შესაძლებელია განხილული იქნას შემდეგი მიმართულებებით:

1) უმცირესობათა უფლებების დაცვა სასამართლოს უხდება არაპირდაპირი გზით. აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში განცალკევებით არ არის განერილი უმცირესობათა უფლებები, თუმცა ამის მიუხედავად, განხილული საქმეების მაგალითზეც ნათლად გამოჩნდა, რომ უმცირესობათა წარმომადგენლები (არა როგორც კოლექტიური ჯგუფი, არამედ, როგორც ჯგუფის ინდივიდუალური წარმომადგენლები) სრულად იღებენ სასამართლოს დაცვას და შელახული უფლებები დაუსჯელი არ რჩება. სასამართლოს მიერ უმცირესობათა დაცვისთვის მნიშვნელოვანია კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც გულისხმობს დისკრიმინაციის აკრძალვას.

2) რაც შეეხება უშუალოდ ნაშრომის კვლევის საკითხს, განხილული იქნა უმცირესობების პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ფარგლები. რა შემთხვევაში ეზღუდებათ მათ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა, არის თუ არა აღნიშნული შეზღუდვა სამართლიანი თუ წარმოადგენს უმცირესობების თავისუფლებაში ჩარევას. აღნიშნული უფლების რეალიზების თაობაზე კონვენცია ძირითად დაცვას ახორციელებს მე-11 და პირველი ოქმის მე-3 მუხლებით.

3) პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საქმეებზე ყოველთვის არის ორი დაპირისპირებული მხარე ფიზიკური პირი ან გაერთიანება და სახელმწიფო. სახელმწიფოს გააჩნია ფართო შეფასების ზღვარი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ ასევე დადგენილი აქ კრიტერიუმები და საზღვრები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს გადანყვეტილების მიღება. სახელმწიფო, როგორც წესი იყენებს კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილში განერილ შეზღუდვის საფუძვლებს. განხილული საქმეების მიხედვით ძირითადი არგუმენტაცია ემყარებოდა, რომ პირი ან პოლიტიკური პარტია მიზნად ისახავდა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ვითარების დესტაბილიზაციას, საფრთხეს წარმოადგენდა სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებისთვის, სურდა უმცირესობასა და უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის შუღლის ჩამოგდება და ა.შ. თუმცა აღნიშნულთან მიმართებით სასამართლო ადგენს სტანდარტებს, რომლის თანახმად სახელმწიფოს აკრძალვა გამოწვეული უნდა იყოს მწვავე სოციალური საჭიროებით და იყოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის შესაბამისი მიზნის პროპორციული, რაც ნიშნავს რომ სასამართლო სახელმწიფოებს უდგენს საზღვრებს და არ აძლევს თვითნებობის საშუალებას. ეს გარემოება კი წარმოადგენს უმცირესობების დაცვის გარანტიას.

4) მტკიცების ტვირთი ეკისრება სწორედ სახელმწიფოს და მან უნდა დაამტკიცოს შეზღუდვის სამართლიანობა, თუ რატომ იყო შეზღუდვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ნაშრომში განხილულ საქმეებში *თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ*, *იაზარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, *გაერთიანებული მაკედონიის ორგანიზაცია „ილინდენ“ ბულგარეთის წინააღმდეგ* სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია სახელმწიფოს მტკიცებულებები და დაადგინა, რომ დაზარალებულების მიმართ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფლება. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირიქით ხდება და სასამართლო ემხრობა სახელმწიფოს არგუმენტაციას და დაწესებულ შეზღუდვას სამართლიანად მიიჩნევს, ამის ნათელი მაგალითებია *ჰერი ბატასუნა და ბატასუნა ესპანეთის წინააღმდეგ* და *პარტისი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*.

5) აუცილებელია აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა „უმცირესობების დაცვის სამი პრინციპი“. ესენია: უმცირესობათა კულტურისთვის ხელის შეწყობა და მათი ცნობიერების დონის ამაღლება; ეროვნული საზოგადოების მოსაზრება არ უნდა იყოს დაცული უმცირესობათა შეხედულებების დაზიანების ხარჯზე; პლურალისტული და დემოკრატიული საზოგადოება პატივს უნდა სცემდეს უმცირესობებს და შექმნას მათი იდენტობის გამომხატვისთვის შესაბამისი პირობები.

6) რაც შეეხება თავისუფალი არჩევნების უფლების რეალიზებას, ეს უფლება ერთნაირად ვრცელდება უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლებზე. სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვები, აშკარა გამონაკლისების გარდა, ეწინააღმდეგება კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლით განერილ თავისუფლებას. პირს შეზღუდოს არჩევნებში აქტიური ან პასიური სახით მონაწილეობა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მიეკუთვნება უმცირესობას, ცალსახად, არღვევს კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლით დაცულ უფლებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო აღნიშნულ მუხლს კუმულაციურად იყენებს კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად. სასამართლო პრაქტიკა სტატისტიკურად იხრება სახელმწიფოების გამამტყუნებელი განაჩენისკენ და ამის ნათელი მაგალითია *სეჟდიჩი და ფინჩი ბოსნია და ჰერცეგოვინას წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ სახელმწიფოს კონსტიტუციის ცვლილება დაავალა. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები, ისეთი როგორც იყო *უდანოკა ლატვიის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლო მიემხრო სახელმწიფოს გადანყვეტილებას, მომჩივანისთვის შეზღუდათ არჩევნებში კენჭის ყრის უფლება.

7) საბოლოო შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ უმცირესობების პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას დეტალურად განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგად უკვე ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვების სტანდარტები და ის პრინციპები, რომლებიც დაცული უნდა იყოს უმცირესობებთან მიმართებით. ერთ-ერთი ყველაზე დადებითი ასპექტი სასამართლოს საქმიანობაში არის ის, რომ

პრაქტიკა წლების მიხედვით ცვალებადია და უფრო იხვეწება, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ადამიანის უფლებების განვითარებასთან ერთად უმცირესობების პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიმართ არსებული პრაქტიკაც განვითარდება და ფეხს აუწყობს არსებულ ტენდენციებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წარმოადგენს სამართლიანობისა და დარღვეული უფლებების აღდგენის გარანტს იმ პირისთვის, რომელსაც შეეზღუდა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება იმ მიზეზით, რომ წარმოადგენდა უმცირესობას.

* გურამ ღვინჯილია – საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული პედაგოგი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საერთაშორისო სამართლებრივი განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

¹ *Freedom and Democracy Party (ÖZDEP) v. Turkey*, ECtHR (GC), 8 December 1999, § 41.

² *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, ECtHR, 2 October 2001, § 97.

³ იქვე, § 88.

⁴ იქვე, § 97.

⁵ *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, ECtHR (GC), 30 January 1998, § 43.

⁶ იქვე, § 44.

⁷ იქვე.

⁸ იქვე, § 46.

⁹ *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, ECtHR (GC), 30 January 1998, § 46.

¹⁰ იქვე.

¹¹ *Yazar and Others v. Turkey*, ECtHR (GC), 9 April 2002, § 49.

¹² იხ. *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, ECtHR, 2 October 2001.

¹³ იხ. *Herri Batasuna and Batasuna v. Spain*, ECtHR (GC), 30 June 2009.

¹⁴ *Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey*, ECtHR (GC), 13 February 2003, § 123.

¹⁵ იქვე, § 123.

¹⁶ *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, ECtHR, 2 October 2001, § 107.

¹⁷ *Gorzelik v. Poland*, ECtHR (GC), 17 February 2004, § 93.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იხ. *Sidiropoulos and Others v. Greece*, ECtHR (GC), 10 July 1998.

²⁰ *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, ECtHR (GC), 2 October 2001, § 107.

²¹ იხ. *Gorzelik v. Poland*, ECtHR (GC), 17 February 2004.

²² *Tănase v. Moldova*, ECtHR (GC), 27 April 2010, § 57.

²³ მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუცია, Constitution of the Republic of Moldova [Republic of Moldova], 27 August 1994, ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/3de4a8237.html> [ნანახია 15.01.2019], მუხლი 4 და მუხლი 8.

²⁴ იქვე, მუხლი 38.

²⁵ იქვე, მუხლი 39.

²⁶ *Ždanoka v. Latvia*, ECtHR (GC), 16 March 2006, § 105, § 106.

²⁷ *Tănase v. Moldova*, ECtHR (GC), 27 April 2010, § 160.

²⁸ იქვე, § 170.

²⁹ იქვე, § 180.

³⁰ იხ. *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina*, ECtHR (GC), 22 December 2009.

³¹ იქვე, § 7.

³² იქვე, § 9.

³³ იქვე, § 14.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე, § 26.

³⁶ იქვე, § 42.

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე, § 44.

³⁹ იქვე, § 45.

⁴⁰ იქვე, § 50.

⁴¹ *Ždanoka v. Latvia*, ECtHR (GC), 16 March 2006, § 133.

⁴² იქვე.

⁴³ *Yumak and Sadak v. Turkey*, 8 July 2008, ECtHR (GC), Joint Dissenting Opinion of Judges Tulkens, Vajić, Jaeger and Šikuta in ECtHR, § 5.

THE SCOPE OF POLITICAL PARTICIPATION OF MINORITIES IN THE CASE LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

Abstract

What are the mechanisms of the European Court of Human Rights for the protection of rights of the minorities? In most cases for minorities protection ECHR uses article 14 of the European Convention on Human Rights, which prohibits discrimination. The Court uses the aforesaid article in conjunction with other articles of the Convention taking into account the violation of relevant rights. It is interesting what happens when political rights of a person or a group are limited by the state on the basis of belonging to any minority group. The article aims to analyze and determine existing tendency towards the restriction of minorities political rights, based on the case law of the Court.

Key Words: European Convention on Human Rights | rights of minorities | political activities | Article 11 of the Convention | three principles of the protection of minorities | Article 14 of the Convention | pressing social need | Article 3 of the Protocol No.1

INTRODUCTION

The European Convention on Human Rights (hereinafter – the Convention) does not include separate, special provisions on minorities. Thus, representatives of minorities do not have possibility to argue about the breach of their rights as minorities at the European Court of Human Rights (hereinafter – ECHR or the Court). However, it does not mean that the Convention does not protect the rights of minorities.

The Convention and its Additional Protocols equally protect everyone, who falls within the jurisdiction of the State (see Article 1), including minorities. As for specific articles, the Convention includes provisions of equal treatment and prohibition of discrimination, which actually cover the rights of minorities. Besides, representatives of minority groups can argue about the alleged breach of their rights based on the Article 14 of the Convention and Article 1 of the Protocol 12 signed on November 4, 2000 (entered into force in 2005). Hereby, it should be noted that article 14 is used only in conjunction with other articles of the Convention. The abovementioned circumstance is based on each and every individual case of violated rights.

According to the article 14 “[...] *The enjoyment of the rights and freedoms set forth in this the Convention shall be secured without dis-*

crimination on any ground such as sex, race, colour, language, religion, political or other opinion, national or social origin, association with a national minority, property, birth or other status.” The scope of this article is so general that it is almost impossible for a state to discriminate against a person or a group of persons on any ground, which is not prescribed or is not included in the abovementioned provision. It should be noted that discrimination does not mean only those cases when a person or a group of persons are treated differently and harsher than other similar groups. It is also discrimination when two different groups are treated in the same manner, for example, a state’s similar treatment to two different groups may become ground for discrimination. In regard to this issue, the Court ruled that if a state undertakes a positive commitment in favor of the group of minorities (this may be ensuring involvement of the representative of minorities in political activities), the majority in the country cannot argue about the discrimination towards them. It is very important in modern society to keep the balance and do not let the majority to abuse its dominant position at the expense of restricting minority rights.

While deliberating on the case ECHR establishes certain requirements for the evidence which is necessary to establish discrimination and checking the margin of appreciation of

state. The Court always discusses cases within the perspective of an individual complaint rather than common social context. For example, statistics are not considered the sufficient basis to expose discriminatory practices. It is necessary to provide more substantive evidence.

The Case law of ECHR is quite progressive in relation to the rights of the minorities. In case of breach of minorities rights court usually in the first case, considers state's margin of appreciation. The present article reviews ECHR case law concerning the participation of minorities in political activities of state and in what case restriction by a state is justified and in what case rights of minorities are violated.

1. FREEDOM OF MINORITIES TO CREATE POLITICAL ORGANIZATIONS VERSUS THE INTERESTS OF THE STATE

Article 11 of the European Convention on Human Rights concerns freedom of assembly and association, according to which:

1. *Everyone has the right to freedom of peaceful assembly and to freedom of association with others, including the right to form and to join trade unions for the protection of his interests.*

2. *No restrictions shall be placed on the exercise of these rights other than such as are prescribed by law and are necessary in a democratic society in the interests of national security or public safety, for the prevention of disorder or crime, for the protection of health or morals or for the protection of the rights and freedoms of others. This Article shall not prevent the imposition of lawful restrictions on the exercise of these rights by members of the armed forces, of the police or of the administration of the State.*

Article 11 itself applies to the political parties. The cases examined in this section concern state's attempts to avoid the formation of minority political organizations. As in the freedom of expression case law, the Court's protection of minority members has been largely grounded in a political form of democratic pluralism. Court's protection ensuring principles in relation to the article 11 are the same. According to one of the principles, which was used by the Court in the case *Freedom and Democracy Party (ÖZDEP)*

v. Turkey, the essence of democracy is, that every person or group of persons, including representatives of minorities, should be allowed diverse political projects to be proposed and debated, even those that call into question the way a State is currently organized, provided that they do not harm democracy itself.¹

The Freedom and Democracy Party (ÖZDEP) was founded in 1992 in Turkey. In one year the Party was prohibited by the Turkish Constitutional Court order. Turkish Constitutional Court's order was based on arguments that Party's programme sought to undermine the territorial integrity and secular nature of the State. Besides, founding members of the Party were prohibited to carry out political activities. ECHR found a violation of article 11 of the Convention. The Court discussed ÖZDEP's political programme and had not found anything that could be considered a call for the use of violence or violent secularism. On the contrary, Party's programme was saturated with democratic principles. However, programme included right to self-determination of national or religious minorities, the target group of which were Kurds living in Turkey, the Court did not find principles prescribed in party's programme unsuitable with democratic principles. Finally, the ECHR declared that the programme of the abovementioned political party did not seek to harm democracy itself.

Thus, only incitement to violence or rejection of democratic principles can justify interferences with such freedoms protected by the Convention as the right to respect the private and family life; freedom of thought, conscience and religion; freedom of expression, etc. However, in the case *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, the Court established, that the fact that a group calls for autonomy or even requests secession of part of the country's territory – thus demanding fundamental constitutional and territorial changes – cannot automatically justify a prohibition of its assemblies.² In the same case Court determined that interruption of the group from the aim to hold public debates concerning the issues related to the part of the population could not be justified.³

1.1. Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria

Organization Ilinden was founded on the territory of the Bulgaria in 1990 and its aim was to unite all Macedonians living in Bulgaria on a regional and cultural basis and to achieve the recognition of their minority. The Bulgarian Court found that aims of organization were directed against the unity of the nation and territorial integrity of the country as it advocated ethnic hatred.

While discussing the case by ECHR applicants complained that their right to freedom of assembly had been violated by the Bulgaria by refusing to register their organization. They stated that internal courts of Bulgaria had incorrectly interpreted facts and their aim had never been to advocate hatred and act against the unity of the nation. They also added that state policy of Bulgaria did not recognize existence of Macedonian minority and their rights had been violated.

Bulgaria's three main arguments to justify the intervention were:

- Formal part of Ilinden's registration documents;
- Contradiction with the internal legislation of the county;
- Possible threat.

The ECHR discussed all three arguments and declared that bans of Bulgarian courts on registration of the organization were in violation of applicants' freedom of assembly. Bulgarian Courts refused to discuss complaints of non-existence of a legal entity, what was not justified in the context of the article 11 of the Convention, which protects freedom of assembly and association. Intervention of Bulgarian domestic courts was not necessary for democratic society and did not serve legitimate aims. As for contradiction with the internal legislation of the country, the Court did not find in which aspect organizations' constituent documents contradicted Bulgarian legislation. About the possible threats coming from the Ilinden, the Court noted that statement of an organization was not a sufficient reason to refuse the registration. A statement to create an autonomy or about the secession of the part of the territory cannot be the ground for the restriction of the rights provided

in the article 11. As a result, the Court found the violation of Article 11 of the Convention.⁴

1.2. Dissolution of political parties of minorities as the last resort for the protection of state interests

The cases in this subsection cover state's attempts to dissolve political parties pursuing a wide range of goals, including minority recognition, autonomy, secession, and legal pluralism. States have usually alleged that dissolution was necessary to protect national security, territorial integrity, national unity, public safety, public order, and secularism. At this moment three categories of political parties are identified challenging their dissolution in the ECHR's case law: pro-minority political parties, anti-secular political parties, and parties with proven links with terrorist organizations. According to the statistical analysis of the case law first category has found support from the ECHR. It is difficult to say the same about two other categories.

The Court views political parties' role as essential in ensuring pluralism and the proper functioning of democracy.⁵ A good example is the case *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, where Court stated that expression of people's different opinions in elections is inconceivable without the participation of a plurality of political parties.⁶ Their contribution to the political debate, the Court therefore affirms, is irreplaceable⁷ and states that Court's approach in cases related to the political organization of minorities may not lay precisely in the special protection afforded to minorities, but rather in the extensive protection granted to political parties given what is at stake: the public interest in the free expression of the people. This protection is manifested in the "rigorous European supervision" the Court normally applies to state restrictions on political parties.⁸ In such cases, reasons given by states to justify interferences with these freedoms must be convincing and compelling.⁹ States have only a limited margin of appreciation in determining whether a necessity to restrict freedom of association exists.¹⁰

One of the examples of this principle is the case *Yazar and Others v. Turkey*, involving the dissolution of the People's Labour Party

(HEP).¹¹ The government's arguments included that in asserting the right to self-determination of the Kurdish people, the HEP sought to create discrimination on the ground of ethnic origin. The Court did not find any signs of a call for the use of violence for political ends. It observed that self-determination and recognition of language rights for citizens of Kurdish origin could not be contrary to the fundamental principles of democracy. The HEP, the Court concluded, had neither campaigned for any policy that could have weakened the Turkish democratic order nor sought to justify the use of force for political ends. Its dissolution was therefore not regarded as meeting a pressing social need.

Another case in which the state failed to demonstrate the existence of such a need is the *United Macedonian Organisation Ilinden—PIRIN and Others v. Bulgaria*. The case dealt with the dissolution of a political party based in an area known as the Pirin region, the geographic region of Pirin Macedonia. The Bulgarian government had banned the party with the argument that the association posed a threat to national security, the country's territorial integrity, and the nation's unity. The party had been accused of promoting separatist ideas. The Court, however, found that the political party met two conditions necessary to gain its protection. First, the party's leaders did not indicate any intention to use violence or any other undemocratic means to achieve the party's aims. Second, even assuming that the party's aim was in fact the autonomy or secession of Pirin Macedonia, this could not mean that such a project was in conflict with democratic principles. The party's dissolution therefore violated article 11 of the Convention.¹²

1.3. Herri Batasuna and Batasuna v. Spain and Refah Partisi and Others v. Turkey

Political organization Herri Batasuna was established as an electoral coalition and took part in elections in 1979. In 2003, based on general prosecutor's appeal Spanish Supreme Court declared parties as illegal, on the basis of terrorism and tactical separatism and ordered their dissolution. Also, found out party's ideological and functional link to terrorist organization ETA.¹³

In its judgement the Court stated, that to determine the proportionality and necessity of interfering in democratic society, firstly should be determined if dissolution of the applicant's party was a pressing social need. The Court agreed with the argumentation and decision of the Spanish Supreme Court. Besides, the Court emphasized the threat coming from terrorist organizations and outcome what may follow the functioning of the mentioned organization. The Court stated that applicant party's activities were contrary to conception of democratic society and interference of the State was necessary. Therefore, the Court considered sanctions imposed to the parties were proportional to the part 2 of the article 11 of the Convention and added that dissolution of the party was necessary for the democratic society.

Case Refah Partisi and Others v. Turkey is about the dissolution of the legal pluralism supporter party in Turkey. The Court did not find the violation of article 11 either in this one. Dissolution of Refah Partisi was also considered as necessary for democratic society. In the Court's view, Refah's plan to set up a plurality of legal systems would have done away with the state's role as a guarantee of individual rights and impartial organizer of various beliefs and religions. In addition, the plan would have infringed article 14 principle of nondiscrimination on the basis of religion. The Court went as far as judging Sharisa itself as incompatible with the fundamental principles of democracy.¹⁴ The Court stated, that Sharia, which faithfully reflects the dogmas and divine rules laid down by religion, is stable and invariable. Principles such as pluralism in the political sphere or the constant evolution of public freedoms have no place in it.¹⁵

2. DENIAL OF ASSOCIATION'S REGISTRATION AND ASSEMBLY

Cases discussed in this chapter mostly concern minority organizations who were denied registration or refused permission to hold demonstrations. They are mainly based on the facts of interfering in minorities' freedom of assembly and association by the State. Democratic pluralism is a more sensitive issue, when case concerns the minorities, their posi-

tion in the political process, their cultural and identity issues and realization of a political project initiated by them.

2.1. Three principles of the protection of minorities

One of the minority-sensitive principles that can be discerned in this area of the Court's case law is that neither the assertion of a minority consciousness nor the promotion of a minority's culture can constitute a threat to democracy. Another principle holds that national authorities must be particularly alert to ensure that national public opinion is not protected at the expense of the assertion of minority views, no matter how unpopular they may be.¹⁶ In case *Gorzelik v. Poland* the Court affirmed that a pluralist and genuinely democratic society should not only respect the ethnic, cultural, linguistic and religious identity of each person belonging to a national minority, but also create appropriate conditions enabling them to express, preserve and develop this identity.¹⁷ The Court has affirmed this principle relying on the Council of Europe Framework Convention for the Protection of National Minorities.¹⁸

The application of the first principle is illustrated in the case of *Sidiropoulos and Others v. Greece*, concerning the association 'Home of Macedonian Civilization' whose registration was refused by the Greek government. The association was founded by people who claimed to be of Macedonian ethnic origin and to have a Macedonian national consciousness. The Greek national courts held that the use of the term 'Macedonian' concealed an intention to dispute the Greek identity of Macedonia and to undermine Greece's territorial integrity. Based on the terms of the memorandum of association, the European Court concluded however that the organization simply sought to promote the culture and traditions of a particular region. The Court found a violation of article 11, as the refusal to register the applicants' association was disproportionate to the objectives it pursued.¹⁹

An example of the application of the second principle is the case of *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*. This association sought recognition

as the Macedonian minority in Bulgaria. The organization was banned from holding meetings for allegedly promoting separatist ideas which imperiled Bulgarian territorial integrity. The Court found a violation of Article 11 and held that if any possibility of tension between opposing groups during demonstrations was sufficient to justify their prohibition, society would be faced with being deprived of the opportunity of hearing differing views on any question which offends the sensitivity of the majority opinion.²⁰

The third principle has been famously affirmed in *Gorzelik and Others v. Poland*, a case in which the Court's Grand Chamber however rejected the applicant's claim challenging the Polish State's refusal to register a Silesian association. The dispute revolved around a statement in the memorandum of association, which, according to the State, showed that Silesians inaccurately deemed themselves a 'national minority' with the purpose of claiming electoral privileges, an exemption from the threshold of 5% of the votes required to obtain seats in parliament. For the Court, the refusal did not amount to a denial of the distinctive ethnic or cultural identity of Silesians or to a disregard for the association's aim of strengthening their national consciousness. The Court understood that the association could have actually obtained registration and carried out its cultural activities had it been willing to drop the label of national minority.²¹

3. ANALYSIS OF MINORITIES' POLITICAL REPRESENTATION UNDER ARTICLE 3 OF PROTOCOL NO. 1 TO THE CONVENTION

Article 3 of the Protocol No. 1 to the Convention stipulates: "*The High Contracting Parties undertake to hold free elections at reasonable intervals by secret ballot, under conditions which will ensure the free expression of the opinion of the people in the choice of the legislature.*"

The abovementioned right is frequently violated against the minorities. Unlike the case law for freedom of assembly and association, it is hard to draw any conclusion as to the extent to which the European Court has offered protection to minority member's right to stand for election. It is true, that article 3 of the Protocol No.

1 does not directly indicate the minorities, but based on further discussed case law, in most cases restriction of the mentioned right by the state is caused because the object of restriction belongs to some minority group.

3.1. Tănase v. Moldova

Tănase was a Moldavian politician, who had dual citizenship of Moldova and Romania. In 2008 Moldavian parliament issued the law, banning multiple nationals from taking seats in the parliament. Therefore, Tănase had to give up his Romanian nationality in order to maintain his seat in the parliament of Moldova. Amendment was appealed to the Constitutional Court of Moldova, which found that, it was in full compliance with state's constitution. Also, determined, that amendment served the legitimate aim, in particular protecting loyalty towards the Republic of Moldova. The restriction was considered proportional and stated, that it had no influence on the content of right of free elections.²²

Interestingly, according to its Constitution, Moldova has given priority to international agreements over its internal legislation.²³ Also, Constitution of Moldova includes the right of the citizen to choose and be chosen.²⁴ Also, it is prescribed right of the citizen of Moldova to participate in management of the state and be able to take any position.²⁵

While discussing the case the Court has stated, that article 3 of the Protocol No. 1 has passive and active definition. Active means, that person has the right to vote, passive means the right to be elected. To support its arguments Court referred to its judgement in the case *Ždanoka v. Latvia*.²⁶ The Court also stated that regardless that states have wide margin of appreciation in these spheres, in the end Court assesses in each case separately whether Article 3 of the Protocol No. 1 is protected or not.²⁷ It was stressed out from Court's judgement that aim of the amendment was not to increase loyalty of the members of parliament, but to ensure easy win in the elections and create comfortable situation for the governing party.²⁸ Finally, the Court stated, that the provisions of law amendments approved by the parliament of Moldova were unreasonable and

violated Article 3 of the Protocol No. 1 to the Convention.²⁹

3.2. Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina

Concerning the right of free election, case of *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina* is noteworthy, where applicants argued to be discriminated on the basis of their ethnicity and did not have an opportunity to be elected in the House of People and Presidium of Bosnia and Herzegovina. Sejdić and Finci were Roma and Jewish origins, respectively. In conjunction with other articles applicants were complaining about the breach of their rights protected by Article 14 and Article 3 of the Protocol No. 1 to the Convention.³⁰

The Constitution of the Bosnia and Herzegovina is a part of peace treaty, so it is not quite standard document. In the preamble of the constitution are mentioned *Bosniacs, Croats and Serbs* as "constituent people", against whose will was impossible to make a decision.³¹ Applicants do not belong to any of constituent people, therefore they do not have a right to be elected in elections. About mentioned situation Finci received official notice on January 3, 2007.³²

Concerning the Constitution of the Bosnia and Herzegovina, fully aware that these arrangements were most probably conflicting with human rights, the international mediators considered it to be especially important to make the Constitution a dynamic instrument and provide for their possible phasing out. The rights and freedoms set forth in the Convention and its Protocols shall apply directly in Bosnia and Herzegovina. These shall have priority over all other law.³³ Exactly, the abovementioned statement was the basis of the applicant's complaint. The applicants argued that their rights had been violated, taking into account the fact that the rights and freedoms set forth in the Convention and its Protocols should apply directly in Bosnia and Herzegovina and that they should have priority over all other law.³⁴ The applicants took issue with their ineligibility to stand for election to the House of Peoples and the Presidency on the ground of their Roma and Jewish origin. What means that article 14 of the Convention, Article 3 of Protocol No. 1 were violated.³⁵

The Court reiterated that discrimination meant treating differently, without an objective and reasonable justification, persons in similar situations.³⁶ “No objective and reasonable justification” means that the distinction in issue does not pursue a “legitimate aim” or that there is not a reasonable relationship of proportionality between the means employed and the aim sought to be realized.³⁷ The Court also held that no difference in treatment is based exclusively or to a decisive extent on a person’s ethnic origin and it is capable of being objectively justified in a contemporary democratic society built on the principles of pluralism and respect for different cultures.³⁸

The Court agreed with the argumentation of the Moldovan representatives that constitutional provisions were designed to end a brutal conflict marked by genocide and ethnic cleansing, but added that it was necessary to make relevant amendments and modify certain provisions written down years ago. Including, privileged position for “constituent people” and unfavorable positions for people with other ethnicity.³⁹ Thus, the Court concluded that the applicants’ continued ineligibility to stand for election to the House of Peoples of Bosnia and Herzegovina lacked an objective and reasonable justification and had therefore breached Article 14 taken in conjunction with Article 3 of Protocol No. 1.⁴⁰

3.3. Positive assessment of the Court on the restrictions imposed by a State

Ždanoka was a Latvian politician, born in a Russian-speaking family, in Latvia. She was deprived of the status of the participant in the parliamentary elections because she was the member of communist party in the past and her narrative shared beliefs of the party. It should be emphasized that the abovementioned party has tried to replace the government of Latvia by force. The Court did not find the breach of applicant’s rights and considered that Latvia’s decision to refuse the person for the right to be elected in the parliament, even after passing 10 years from her try of the revolution and was one of the organizers, did not contradict the Convention.⁴¹

The Court considered that the main goal for the restriction was security of democratic processes and national legislation from the per-

sons who, not in the distant past, held leading positions in the party which tried to overthrow democratic regime in Latvia. It was challenging for the Court to find a compromise between the protection of democratic society and rights of a particular person.⁴²

The case in which the Court did not show much attentiveness to pluralism even when it was clearly at issue is *Yumak and Sadak v. Turkey*. In this case, the Court upheld the 10% national electoral threshold in Turkey. Its legitimate aim, the Court accepted, was to ensure political stability by preventing excessive parliamentary fragmentation. The Court acknowledged that the threshold, the highest in Europe appeared excessive.⁴³ The Court ultimately understood that the threshold did not have the effect of impairing the very essence of the rights guaranteed by Article 3 of Protocol No. 1.

CONCLUSION

The case law of the Court is one of the main sources for modern international lawmaking. Decisions made by the Court, as usual, become model practice and are used throughout the years in other cases with homogeneous content. Cases discussed in this article, are landmark cases of the ECHR case law, which shape the Court’s approach towards minority groups. The Court’s approach may be discussed in various directions:

1) The Court has to protect minorities’ rights in an indirect way. This refers to the fact, that there are no separate minority provisions in the Convention, however, even demonstrated case law showed us clearly that representatives of minority (not as a collective group, but as individual representatives of the group) fully enjoy Court’s protection and the fact of violation of rights does not remain unpunished. For the Court’s protection Article 14 of the Convention has crucial importance as it implies prohibition of discrimination.

2) As for the research issue of the Article, scope of participation of minorities in political activities was discussed. In what case they are limited to participate in political activities, is this restriction fair or it is an interference in the freedom of minorities. The main protection for the realization of mentioned rights, the Convention

carries out using the Article 11 of the Convention and Article 3 of the Protocol No.1 thereto.

3) In the cases on participation in political life there always are two contradicted sides – individual or entity and state. State has a wide margin of appreciation, but also it has defined criteria and boundaries according to which the decision should be made. State, as usual, uses grounds for restriction prescribed in paragraph 2 of Article 11 of the Convention. According to the discussed case law, the main argumentation was, that the goal of a person or political party is destruction of a state's territorial integrity, destabilization of the situation, contained a threat to the security of the state and society, wanted to encourage hatred between majority and minority, etc. However, in this regard, the Court establishes standards, according to which state's restriction must be caused by pressing social need and must be proportionate to the aim relevant to democratic society, which means, that the Court marks boundaries for the states and does not let them act freely. This circumstance, on its own, is the guarantee for the protection of the minorities' rights.

4) A burden of proof lays on the state and it should prove the fairness of the restriction, why the limitation was necessary in the democratic society. In the cases *The United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, *Yazar and Others v. Turkey* and *The United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, the Court did not find state's evidence sufficient and ruled that Article 11 of the Convention had been violated. There are cases when the result is opposite and the Court agrees with the argumentation of the State and finds imposed restriction fair, for example, *Herri Batasuna and Batasuna v. Spain* and *Refah Partisi and Others v. Turkey*.

5) It should be noted, that with the evolution of case law have been formed "three principles of the protection of minorities". These principles are: promotion of minorities' culture and

raise their level of consciousness; views of national society should not be protected by harming minorities' views; pluralistic and democratic society should respect minorities and must create relevant conditions to express their identity.

6) As for realization of the right of free elections, this right spreads on the representatives of majority and minority. Restrictions imposed by the state, except for obvious exceptions, contradicts the rights protected by the article 3 of the Protocol No.1. To limit person's right for active and passive participation in elections, only based on belonging to minority, clearly breaches the right protected by the article 3 of the Protocol No.1 of the Convention. There are cases, when Court uses this article in conjunction with the article 14 of the Convention. According to the statistics, the Court is prone to the guilty verdict for the state, for example *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina*, where the Court ordered the state to make some amendments to constitution. However, there are exceptional cases also, such as *Ždanoka v. Latvia*, when the Court agreed with the decision of the State, to limit applicant's right to be elected.

7) To sum up, it can be said that ECHR thoroughly examines the participation of minorities in political activities. As a result of many years' practice, it is already established restriction standards imposed by the state and those principles, which should be protected in relation to the minorities. One of the most positive aspects in the activities of the Court is, that case law is changing through the years and becomes more flexible, what lets us consider, that with the evolution of human rights, case law concerning the participation of minorities in political activities will develop, as well.

It can be boldly said that for the person who was limited to participate in political activities, because he/she is representative of minority, the Court is the guarantee for justice and restoration of his/her violated rights.

* Guram Gvinjilia – Ph.D. candidate in International Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University; LLM in International Law (Tbilisi State University); Visiting Lecturer at Tbilisi State University; Chief Specialist at International law division of the State Security Service of Georgia.

¹ *Freedom and Democracy Party (ÖZDEP) v. Turkey*, ECtHR (GC), 8 December 1999, § 41.

- ² *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, ECtHR, 2 October 2001, § 97.
- ³ *Ibid*, § 88.
- ⁴ *Ibid*, § 97.
- ⁵ *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, ECtHR (GC), 30 January 1998, § 43.
- ⁶ *Ibid*, § 44.
- ⁷ *Ibid*.
- ⁸ *Ibid*, § 46.
- ⁹ *Ibid*.
- ¹⁰ *Ibid*.
- ¹¹ *Yazar and Others v. Turkey*, ECtHR (GC), 9 April 2002, § 49.
- ¹² See *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, ECtHR, 2 October 2001.
- ¹³ See *Herri Batasuna and Batasuna v. Spain*, ECtHR (GC), 30 June 2009.
- ¹⁴ *Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey*, ECtHR (GC), 13 February 2003, § 123.
- ¹⁵ *Ibid*.
- ¹⁶ *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, ECtHR, 2 October 2001, § 107.
- ¹⁷ *Gorzelik v. Poland*, ECtHR (GC), 17 February 2004, § 93.
- ¹⁸ *Ibid*.
- ¹⁹ See *Sidiropoulos and Others v. Greece*, ECtHR (GC), 10 July 1998.
- ²⁰ *Stankov and the United Macedonian Organization Ilinden v. Bulgaria*, ECtHR (GC), 2 October 2001, § 107.
- ²¹ See *Gorzelik v. Poland*, ECtHR (GC), 17 February 2004.
- ²² *Tănase v. Moldova*, ECtHR (GC), 27 April 2010, § 57.
- ²³ Constitution of the Republic of Moldova, 27 August 1994, available: <https://www.refworld.org/docid/3de4a8237.html> [seen 15.01.2019], Article 4 and Article 8.
- ²⁴ *Ibid*, Article 38.
- ²⁵ *Ibid*, Article 39.
- ²⁶ *Ždanoka v. Latvia*, ECtHR (GC), 16 March 2006, § 105, § 106.
- ²⁷ *Tănase v. Moldova*, ECtHR (GC), 27 April 2010, § 160.
- ²⁸ *Ibid*, § 170.
- ²⁹ *Tănase v. Moldova*, ECtHR (GC), 27 April 2010, § 180.
- ³⁰ See *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina*, ECtHR (GC), 22 December 2009.
- ³¹ *Ibid*, § 7.
- ³² *Ibid*, § 9.
- ³³ *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina*, ECtHR (GC), 22 December 2009, § 14.
- ³⁴ *Ibid*.
- ³⁵ *Ibid*, § 26.
- ³⁶ *Ibid*, § 42.
- ³⁷ *Ibid*.
- ³⁸ *Ibid*, § 44.
- ³⁹ *Ibid*, § 45.
- ⁴⁰ *Ibid*, § 50.
- ⁴¹ *Ždanoka v. Latvia*, ECtHR (GC), 16 March 2006, § 133.
- ⁴² *Ibid*.
- ⁴³ *Yumak and Sadak v. Turkey*, 8 July 2008, ECtHR (GC), Joint Dissenting Opinion of Judges Tulkens, Vajić, Jaeger and Šikuta in ECtHR, § 5.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში

აბსტრაქტი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია რჩება საქართველოში ყველაზე ფართოდ ციტირებად და გამოყენებად საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტად როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ამ თვალსაზრისით, მოცემული სტატია შეეცდება გასცეს პასუხი კითხვას, თუ რა ადგილი უკავია ამ კონვენციასა და მის საფუძველზე შექმნილ პრეცედენტულ სამართალს საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. ნაშრომში გაანალიზებული იქნება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესაბამისი მუხლები¹, საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია | საქართველოს კონსტიტუცია | საერთაშორისო ხელშეკრულება | პრეცედენტული სამართალი | საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | საქართველოს უზენაესი სასამართლო

შესავალი

უდავოა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (შემდგომში „კონვენცია“), რომელიც ჯერ კიდევ 1950 წლის 4 ნოემბერს იქნა ხელმოწერილი, ჯერაც არ კარგავს თავის აქტუალობას და მრავალ ქვეყანაში რჩება ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანეს ბერკეტად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის ნორმათა ნაწილის შინაარსი ერთგვარად გამომდინარეობს გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ასახული დებულებების შინაარსიდან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კონვენციამ როგორც რეგიონალურმა ხელშეკრულებამ ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტურობის თვალსაზრისით რეგიონის მასშტაბით მნიშვნელოვნად გადაასწრო ისეთ უნივერსალურ საერთაშორისო-სამართლებრივ ხელშეკრულებას როგორცაა 1966 წელს მიღებული პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი. ეს ეფექტურობა მნიშვნელოვნად განაპირობა კონვენციის საფუძველზე შექმნილმა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომლის საქმიანობის შედეგითაც კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის მზარდი მნიშვნელობა როგორც მთელს ევროპაში ისე, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს წევრი, განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში.

ასეთი ეფექტურობის ერთ-ერთ მიზეზად ასევე შეიძლება განვიხილოთ კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის ადგილი შიდა სახელმწიფოებრივ სამართალში. მართლაც, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის კონვენცია იქცა შიდა სამართლის განუყოფელ ნაწილად. ასეთ ტრანსფორმაციას ხანგრძლივი დრო და საკანონმდებლო მუშაობა დასჭირდა და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახე მიიღო. კერძოდ, კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის რეალური როლი და გავლენა ქვეყნების მიხედვით განსხვავდებოდა და განსხვავდება. მაგალითად, დღეის მდგომარეობით ბელგიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში და გაერთიანებულ სამეფოში კონვენცია წარმოადგენს კონსტიტუციის ერთგვარ სუროგატს ან ჩრდილოვან კონსტიტუციას.² გერმანიის სამართლებრივ სისტემაზე კონვენციის შეზღუდული გავლენა აქვს,³ მაშინ როცა ნორვეგიაში არა მხოლოდ კონვენციის ტექსტია ინტეგრირებული ნორვეგიის კანონმდებლობაში, არამედ კონვენციის განმარტების მეთოდებიც.⁴ მიუხედავად ქვეყნებს შორის ასეთი სხვადასხვა მიდგომისა, ეს კონვენციის ნორმატიულ ძალაზე გავლენას ვერ ახდენს და იგი რჩება ევროპის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტად. უფრო მეტიც, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა,

რომ კონვენცია ტრადიციული სახელმეკრულეო სამართლის პრინციპებს ემყარება, კონვენციის საფუძველზე შექმნილი სამართალი სცილდება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ტრადიციულ ფარგლებს, მოკლედ რომ ვთქვათ, კონვენცია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც *sui generis*.⁵

ამ გადმოსახედიდან საინტერესო უნდა იყოს კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნებში არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ამოქმედდა კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ანესრიგებს საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნების საკითხებს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით მოცემული ნაშრომი შეეცდება პასუხი გასცეს კითხვას თუ სად არის კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში როგორც ნორმატიული თვალსაზრისით, ისე ფაქტობრივი მდგომარეობით.

1. საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთმიმართება

ისტორიულად საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთმიმართების საკითხები ყოველთვის იყო მკვლევართა დაინტერესების საგანი, რის შედეგადაც შეიქმნა დუალიზმისა და მონიზმის მიმდინარეობები. ამ ორივე მიმართულების ამოსავალი წერტილია ის, რომ არსებობს ზოგადი სფერო, რომელშიც საერთაშორისო-სამართლებრივი და შიდასახელმწიფოებრივი ნორმები შესაძლოა ერთდროულად მოქმედებდნენ ერთი და იმავე საგნის მიმართ, და აქედან გამომდინარე, პრობლემა ისაა თუ რომელი სამართალი პრევალირებს.⁶

დუალისტური დოქტრინა მიუთითებს საერთაშორისო სამართალსა და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის არსებულ არსებით განსხვავებაზე, რაც იმაში გამოხატება, რომ ამ ორ სისტემას რეგულირების სხვადასხვა სფერო გააჩნიათ.⁷ რაც შეეხება მონისტურ დოქტრინას, შიდასახელმწიფოებ-

რივ ურთიერთობებშიც კი იგი საერთაშორისო სამართლის უზენაესობის ხასიათს იღებს.⁸ მონისტურ მოძღვრებაში თავის მხრივ ორი მიმართულება გამოიყოფა: ა) მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში ჩამოყალიბდა თეორია, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრიმატს (უპირატესობას) ქადაგებდა.⁹ ამ თეორიის თანახმად საერთაშორისო სამართალი „საგარეო სახელმწიფოებრივ სამართლად“ ცხადდებოდა; რადგანაც ყოველ ნორმაში სახელმწიფო უფლებამოსილი იყო სურვილისამებრ დაერღვია საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმა როგორც შესაძლო იყო ეს საშინაო სამართლის ნორმის მიმართ.¹⁰ ბ) საერთაშორისო სამართლის შიდასახელმწიფოებრივზე პრიმატი ზოგიერთისთვის ნიშნავს საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ ნორმას როგორც უფრო მაღლად მდგომი სამართლებრივი სისტემის ქცევის წესს.¹¹

საერთაშორისო სამართლის მკვლევართა დიდი ნაწილი კი ცდილობს გასცდეს მონიზმისა და დუალიზმის დიქტომიას და ამტკიცებენ, რომ ამ ორივე თეორიის ლოგიკური შედეგები ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების, მათ შორის სასამართლოების საქმიანობას.¹²

რაც შეეხება საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა სასამართლომ 1925 წელს თავის საკონსულტაციო დასკვნაში მიუთითა შემდეგი „ეს მუხლი ხაზს უსვამს ისედაც სრულიად ცხად პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო, რომელსაც აქვს აღებული ძალაში მყოფი საერთაშორისო ვალდებულება, მოვალეა მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ისეთი ცვლილება, რომელიც შეიძლება აუცილებელი იყოს ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად“.¹³

ზემოსხენებული მოკლე მიმოხილვიდან შეიძლება ერთი რამე დავასკვნათ – თეორიული განსხვავებების მიუხედავად, საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის პრიმატი შიდასახელმწიფოებრივ ნორმაზე სადავო არაა არცერთი მიმდინარეობისათვის. ხოლო თუ როგორ უნდა იქნეს ასეთი პრიმატი მიღწეული, ეს თითოეული სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი პრობლემაა. თუ როგორ აღწევს ამას საქართველოს სახელმწიფო, ამის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი.

2. საქართველოს კონსტიტუცია და კონვენცია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება

ზოგადად საერთაშორისო ხელშეკრულების ადგილი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში შესაბამისი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით განისაზღვრება,¹⁴ რის გამოც ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილით „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. საგულისხმოა, რომ კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილი არსებითად იმეორებს ძველი რედაქციის შინაარსს.

შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე საერთაშორისო ხელშეკრულების – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრიმატის დასტურია ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი საქმიანობის შუა პერიოდიდან აქტიურად დაიწყო პრაქტიკაში შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #2/6/264, სადაც სასამართლომ მიუთითა როგორც კონვენციის მე-6 მუხლზე, ისე მთელ რიგ პრეცედენტებზე, რათა დაეკმაყოფილებინა შპს „უნისერვის“ საკონსტიტუციო სარჩელი და დაედგინა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის მე-7 ნაწილის ერთ-ერთი დებულებისა და 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის (მოსამართლის მიერ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით მიღებული განჩინების გასაჩივრების შეუძლებლობა) შეუსაბამობა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან.

ამდენად, საქართველოს სახელმწიფო მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომ-

ლებშიც კონვენციას ენიჭება კონსტიტუციაზე დაბალი, მაგრამ სხვა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებზე მაღალი იერარქიული ადგილი.¹⁵

3. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“

საქართველოს კანონი და კონვენცია

იმისათვის, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებამ საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილით მინიჭებული პრიმატით ისარგებლოს აუცილებელია, რომ იგი შეესაბამებოდეს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა საერთოდ სადავო გახდეს დოკუმენტის როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსი.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით საერთაშორისო ხელშეკრულებად მიიჩნევა „საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა“.

ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების იმპერატიული შინაარსი შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებულ დანაწესთან და არ იძლევა მისი შინაარსის განსხვავებული განმარტების საშუალებას. კერძოდ, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებით „1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. 2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.

ამავე კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით რატიფიკაცია, დამტკიცება,

მიერთება წარმოდგენენ „საქართველოს მიერ მისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ფორმას“, რაც ამავე კანონის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით სავალდებულოა საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთა შორის კავშირში შესასვლელად.

განსაკუთრებით საგულისხმოა, კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლითაც „ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომელიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიღებას საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ“. ამდენად, ხელშეკრულების გამოქვეყნებაც ერთ-ერთი კრიტერიუმია, რომელიც მისი ამოქმედებისთვის ნორმატიულადაა დადგენილი. კონვენცია ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- იგი დადებულია წერილობით;
- იგი დადებულია უცხო სახელმწიფოებთან (კონვენციის სხვა მონაწილეებთან);
- რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით;
- რატიფიცირებულია (საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 20 მაისს¹⁶);
- გამოქვეყნებულია (საკანონმდებლო მაცნეში);

ყველა ამ ელემენტის ერთობლიობა იძლევა კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში ფარგლებში კონვენციის მოქცევის შესაძლებლობას.

4. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი და კონვენცია

მართალია ზემოხსენებული ნორმატიული აქტების ანალიზის შედეგად ცხადი გახდა კონვენციის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, მაგრამ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიმოხილვის გარეშე ეს ანალიზი არასრულყოფილი იქნება, ვინაიდან თავად ამ კანონის პირველი მუხლიდან გამომდინარე მისი რეგულირების სფეროს ნორმატიული აქტების იერარქიასთან ერთად შეადგენს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ადგილის განსაზღვრა საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში. მართალია, ამავე

ნორმის ბლანკეტური შინაარსის მქონე მე-2 პუნქტი მითითებას აკეთებს საქართველოს კონსტიტუციაზე, მაგრამ ეს მითითება შეეხება მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ პროცედურულ მოთხოვნებს და ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე გავლენას ვერ ახდენს.

საქართველოში მოქმედებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე რედაქცია, რომელიც 2009 წლის 22 ოქტომბერს იქნა მიღებული პარლამენტის მიერ და შეცვალა 1999 წლის 29 ოქტომბრის ანალოგიური სახელწოდების მქონე კანონი. მიუხედავად ამისა, ნორმატიული აქტების იერარქიაში საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ორივე კანონით საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმატიული ძალა ჩამოუვარდებოდა მხოლოდ კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, კონსტიტუციურ შეთანხმებას.¹⁷

კონსტიტუციისაგან განსხვავებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონები კონსტიტუციურ კანონსაც საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ უპირატეს იურიდიულ ძალას ანიჭებენ. ეს გასაკვირი არაა და ლოგიკურ ბმაშია თავად კონსტიტუციასთან, ვინაიდან კონსტიტუციური კანონი მიიღება საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებებისა და მათი განხორციელების წესის განსაზღვრისას და საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისას. ამდენად, ამ დათქმის შედეგად არ იქმნება ისეთი ვითარება, რომ რაიმე სხვა ნორმატიული აქტს (გარდა კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა), უპირატესი იურიდიული ძალა მიენიჭოს საერთაშორისო ხელშეკრულებასთან მიმართებით. საგულისხმოა ისიც, რომ „საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის 27-ე მუხლის მიხედვით „ხელშეკრულების მხარემ არ შეიძლება მიუთითოს თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებებზე, მის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად“.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის (თუმცა მსგავს და

პრეცედენტული სამართლით რეგულირების შესახებ.

ამას შეიძლება მრავალი ახსნა ჰქონდეს, მაგრამ ჩვენი აზრით ძირითადი მიზეზია აუცილებელი სწრაფვა ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ევროპული ფასეულობებისადმი და ამ ფასეულობების სხვადასხვაგვარი გამოყენების აღკვეთა, მათ შორის შიდა-სახელმწიფოებრივი ნორმების გამოყენებით.

მართლაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს სახელმწიფომ უამრავი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი მიიღო. მათი ნაწილი ამათუ იმ გავლენიანი ჯგუფების (ან უწყებების) ინტერესებს ასახავდა და არ იყო გამორიცხული მათი შინაარსის სხვადასხვაგვარი განმარტება. საკითხის მოსაწესრიგებლად კანონმდებელმა აირჩია გზა, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო აქტში პირდაპირ მიეთითებინა რომ საკითხთა ეს წრე უნდა მოწესრიგებულიყო არა ისე, როგორც ეს შეიძლება მომხდარიყო შიდასახელმწიფოებრივი აქტების გამოყენებისა და განმარტების შედეგად, არამედ მართოდ კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის პრინციპების მიხედვით.

ამ მიდგომის საუკეთესო ნიმუშია საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. მართალია თავად კანონში განმტკიცებული მთელი რიგი საკითხები საკამათოა (მაგალითად, მტკიცების ტვირთის გადანაწილება საჯარო პირის ცილისწამებისას, ხანდაზმულობის ვადა და სხვ.), მაგრამ ამ კანონმა პირდაპირ მიუთითა კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის პრინციპზე განმარტა რა მე-2 მუხლში, რომ „ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად“.

ასეთი პირდაპირი მითითება კონკრეტულ ხელშეკრულებასა და კონკრეტული საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე იშვიათია (თუ ერთადერთი არა) საქართველოს კანონმდებლობითი საქმიანობისათვის. ცხადია კრიტიკის თავისუფლება თანამედროვე დემოკრატიის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი დებულებაა და ეს გარემოება ხსნის ზემოხსენებული კანონის ამგვარი ჩანაწერს.

მიუხედავად ამისა, პრეცედენტულ სამართალზე პირდაპირმა მითითებამ პრაქტიკაში შეიძლება მეტად საინტერესო საკითხები წამოჭრას. მაგალითად, კანონის მე-5 მუხლი გარკვეულ შემთხვევებში ცილისწამების შესახებ დავისას უშვებს საქმის წარმოების შეწყვეტას საქმის მომზადების ეტაპზევე, რაც ფაქტობრივად სასამართლოზე მისაწვდომობის უფლების შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს. ცხადია წარმოიშვება კითხვა – რამდენად მოდის ეს ნორმა შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილთან – სასამართლოზე მისაწვდომობის უფლებასთან? მართალია ეს საკითხი კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულად უნდა გადაწყდეს, მაგრამ შესაძლოა კრიტიკის თავისუფლებისათვის მიღებული კანონის მე-5 მუხლის რომელიმე დებულება აღმოჩნდეს წინააღმდეგობაში პრეცედენტულ სამართალთან.

ნებისმიერ შემთხვევაში ცალსახაა კანონმდებლის ურყევი ნება – საკითხები გადაწყდეს საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს კონვენციის როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტის პრინციპს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე.

6. პრეცედენტული სამართლის გამოყენების წინამძღვრები – კონვენციის ნორმების „თვით-შესრულებაში“ ხასიათი

„საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენების ერთ-ერთი იმპერატიული წინაპირობაა ის, რომ ხელშეკრულება

ა) უნდა ადგენდეს კონკრეტული ხასიათის უფლებებისა და მოვალეობებს;

ბ) არ საჭიროებდეს დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიღებას;

ზოგადად საერთაშორისო სამართლის თეორიაში მიღებულია ნორმების, განსაკუთრებით კი სახელშეკრულებო ნორმების დაყო-

ფა „თვითშესრულებად“ და „არათვითშესრულებად“ სამართლებრივ ქცევით წესებად.²² პირველი ტერმინით აღნიშნავენ ნორმებს, რომლის შინაარსი ფორმულირებულია ისე, რომ სახელმწიფოს მიერ მათი იურიდიული ძალის აღიარების შემდეგ შესაძლებელი ხდება მათი უშუალო გამოყენება სასამართლოების და სხვა ორგანოების მიერ, თუ ამას შინადასახელმწიფოებრივი კანონი ითვალისწინებს.²³ „არათვითშესრულებადი“ ნორმების იმპლემენტაციისათვის საჭიროა ახალი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტის ან კონკრეტული ნორმის შექმნა.²⁴

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია კონვენციის ნორმების „თვითშესრულებადი“ ხასიათი. კერძოდ, როგორც მონანილე სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, თითქმის ყველა სახელმწიფო აღიარებს კონვენციის ნორმების „თვითშესრულებად“ ხასიათს და სასამართლოები იყენებენ მათ, როგორც საქმის გადაწყვეტის სამართლებრივ საფუძველს.²⁵

ჩვენი აზრით, კონვენციის ნორმების „თვითშესრულებადი“ ხასიათი ამკარად იკვეთება კონვენციის პირველ მუხლში, რომლითაც „მაღალი ხელისშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის პირველ თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“. კონვენციის მთელი პირველი თავი შინაარსობრივად არ აკისრებს რაიმე მოვალეობას სახელმწიფოებს; მას უფლებათა დეკლარაციის ხასიათი აქვს.²⁶ მხოლოდ პირველი მუხლი გარდაქმნის უფლებათა დეკლარაციას ვალდებულებათა წყებაში იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც კონვენციის რატიფიკაცია მოახდინეს.²⁷

მიუხედავად ამისა, დოქტრინაში მაინც პრევალირებს მოსაზრება, რომ კონვენცია მეტად „მშრალი“ დოკუმენტია, მაგრამ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამდიდრებს კონვენციის დებულებებს, განმარტავს კონვენციის ნორმებს, ადგენს მისი გამოყენების შესაძლებლობებს კონკრეტულ გარემოებათა მიმართ.²⁸ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შიდა სახელმწიფოებრივი სასამართლოებისათვის რჩება პოტენციურად მაღალავტორიტეტულ წყაროდ, მიუხედავად იმისა, რომ

ასეთი გადაწყვეტილებების უგულვებლყოფა არ ინვესს შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ კონვენციის *ipso facto* დარღვევას, ვინაიდან ტექნიკური თვალსაზრისით სტრასბურგის სასამართლო არაა ზემდგომი ორგანო.²⁹ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რეალურად წარმოადგენს კონვენციის დებულებების შინაარსის განმსაზღვრელ საბოლოო არბიტრს იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც კონვენციის იურისდიქცია აღიარეს.³⁰

მართლაც, მეტად რთული იქნებოდა კონვენციის ნორმათა ზოგადი ხასიათის გათვალისწინებით ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობების კონვენციის ნორმის შეფარდება, ან ნორმით კვალიფიკაცია. პრაქტიკაშიც კონვენციის ნორმის მშრალი ციტირება თითქმის არ გვხვდება პრეცედენტულ სამართალზე მითითების გარეშე.

7. პრაქტიკული სამართლის გამოყენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ საკმაოდ ხშირად იყენებდა კონვენციასა და პრეცედენტულ სამართალს საკუთარი გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად. თავისი საქმიანობის პირველ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლო თავს არიდებდა პრეცედენტული სამართლის გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მხარე აქტიურად იყენებდა ამ უკანასკნელს საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად.³¹ თუმცა კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ აქტიურად დაიწყო პრეცედენტული სამართლის გამოყენება და ამით საფუძველი ჩაუყარა მეტად მნიშვნელოვან წამოწყებას – საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისობას სამართლის დარგში არსებულ წამყვან ევროპულ მიდგომებთან. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს საქართველოს კანონმდებლობის გაჯანსაღებას და რასაკვირველია ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ამაღლებას. ამასთან, გამოყენების ფორმებმა შეიძლება მიიღოს როგორც კონკრეტული პრეცედენტის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ზოგადი სტანდარტის გამოყენების სახე.

მაგალითად, 2016 წლის 14 აპრილის გადამწყვეტილებაში საქმეში საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ მოიხმოა ევროსასამართლოს მიერ განხილული კონკრეტული საქმის (Roman Zakharov v. Russia) გადაწყვეტილების ერთ-ერთი აბზაცის ციტირება, რათა დაესაბუთებინა სათანადო მონესრიგების არქონის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მოქალაქეთა კომუნიკაციებზე ჩარევის საფრთხის არსებობა.³² ხოლო 2016 წლის 18 აპრილის გადამწყვეტილებაში საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სასამართლომ ზოგადად განმარტა, პრეცედენტული სამართლის ძირითადი პრინციპები მიუთითა რა რომ „პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო უფლებაში მომეტებულ ჩარევად, როგორც წესი, მიიჩნევა შემთხვევებს, როდესაც ქონების განკარგვასთან ერთად მესაკუთრეს ეკრძალება აღნიშნული ქონებით სარგებლობის უფლებაც“.³³

8. პრეცედენტული სამართლის გამოყენება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ პრეცედენტული სამართლის გამოყენება სათავეს იღებს ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც საქართველოში პრეცედენტული სამართალი ჯერ კიდევ ინერგებოდა.³⁴

დღეის მდგომარეობით საქართველოს უზენაესი სასამართლო სათანადო ფაქტობრივი გარემოებების შემთხვევაში იყენებს ხოლმე პრეცედენტულ სამართალს. უზენაესი სასამართლოს ბოლო წლების პრაქტიკის ანალიზმა ცხადჰყო, რომ სამოქალაქო საქმეთა პალატა პრეცედენტულ სამართალს იყენებს ძირითადად ბავშვისა და მშობლის ურთიერ-

ობის განსაზღვრისას (№ას-53-51-2016, №ას-876-826-2015), ასევე ინტელექტუალური საკუთრების როგორც ქონების სამართლებრივი მდგომარეობისა (№ას-62-56-2015, №ას-970-919-2015) და სასამართლოსათვის მიმართვის უფლების განსაზღვრის საკითხების გადასაწყვეტად (№ას-1336-1374-2014). განსაკუთრებით ინტენსიურად გამოიყენება პრეცედენტული სამართალი „სიტყვისა და გამოსახატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტისას (№ას-22-22-2014, №ას-1052-1007-2014, №ას-1179-1124-2013).³⁵

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა პრეცედენტების იყენებს ძირითადად ვადებთან მიმართებით (საქმე №265აპ-15), ექსტრადიციის საკითხების გადასაწყვეტად – ხომ არ დაირღვევა კონვენციით განსაზღვრული დებულებები (მე-3 ან მე-8 მუხლი) ექსტრადიციის განხორციელების შედეგად (საქმე 6'-16, №8'-15, №28'-14,) მონმის ჩვენების მტკიცებულებითი მნიშვნელობასთან დაკავშირებით (№14აპ-15).³⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ კონვენციის გამოყენება ძირითადად ხდება განსჯადობის შესახებ საკითხების გადაწყვეტისას (#ბს-162-160(გ-14), #ბს-189-186(გ-15), #ბს-280-276(გ-15)).³⁷ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განსჯადობის საკითხების გადაწყვეტისას ზოგადად მიუთითებს კონვენციის მე-6 მუხლზე, როგორც სასამართლოსათვის მისაწვდომობის საკითხის მომწესრიგებელ ნორმაზე.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ქვემდგომი სასამართლოების მიერ კონვენციის გამოყენების საკითხს და სათანადო შემთხვევაში, იზიარებს მას. მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილ იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-761-720-2015. ამ საქმეში სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დირექტორის აღდგენასთან დაკავშირებით, თუმცა სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთმა მოსამართლემ გამოხატა განსხვავებული აზრი, რაც დაასაბუთა ადამია-

ნის უფლებათა ევროპული კონვენციითა და პრეცედენტული სამართლით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლის შეხედულება, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში ზუსტად იყენებს ხოლმე კონვენციასა და პრეცედენტულ სამართალს, რაც დამატებით გარანტიას წარმოადგენს მხარეთა უფლებების დაცვის კუთხით.

დასკვნა

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობაში კონვენციასა და პრეცედენტულ სამართალს სამართლებრივი თვალსაზრისით გააჩნია კონსტიტუციაზე დაბალი, თუმცა სხვა საკანონმდებლო აქტებზე მაღალი იერარქიული მდგომარეობა. კონსტიტუციურ შეთანხმებასთან კოლიზიის შემთხვევაში მოქმედებს

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები. კონვენციის ნორმათა „თვითშესრულებადი“ ხასიათის მიუხედავად, დასაბუთებისას მიზანშეწონილია პრეცედენტული სამართლის მოხმობაც, ვინაიდან სწორედ ევროსასამართლო ახორციელებს კონვენციის ზოგადი დებულებების ავტორიტეტულ განმარტებას.

რაც შეეხება კონვენციის ფაქტობრივ ადგილს სამართლებრივ სისტემაში, ხაზგასასმელია, რომ კონვენცია რჩება ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ ციტირებულ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტად როგორც საერთო სასამართლოებში, ისე საკონსტიტუციო სასამართლოში, არა მარტო ამ უწყებების, არამედ მხარეთა მიერაც. შესაბამისი პრეცედენტების სწორი მოხმობა-გამოყენება კი ხელს უწყობს საქმის გადაწყვეტას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მონვეული ლექტორი.

¹ შენიშვნა: საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 3 მაისის #742-III დადგენილების საფუძველზე გამოქვეყნებული საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის“ თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია ამოქმედდება საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

² Sweet A.S., Keller H. *Assessing the Impact of the ECHR on National Legal Systems* (2008), Faculty Scholarship Series, Paper 88, გვ. 686. <http://digitalcommons.law.yale.edu/fss_paper/88 [ნანახია 10.10.2016].

³ Prof. Dr. Gusy, Ch., Muller S. *How can the role of the European Court of Human Rights Be Enhanced? Recommendations for Germany*, Policy Paper, Bielefeld University, April 2009, გვ. 3. <http://www.jura.uni-bielefeld.de/lehrstuehle/gusy/forschungsprojekte/policy_Paper_Germany.pdf> [ნანახია 10.10.2016].

⁴ Bardsen A. *The Norwegian Supreme Court and Strasbourg: The Case of Lillo-Stenberg and Saether v. Norway*, გვ. 1297, www.germanlawjournal.com/volume-15-no-07, <https://static1.squarespace.com/static/56330ad3e4b0733dcc0c8495/t/56b12527f85082c4982f1de5/1454449959753/PDF_Vol_15_No_07.03_Bardsen.pdf> [ნანახია 10.10.2016].

⁵ Drzemczewski A.Z. (1983) *European Human Rights Convention in Domestic Law. A Comparative Study*, Clarendon Press, Oxford, გვ. 23.

⁶ Броунли Я. (1977) *Международное Право*, (в двух книгах), Книга Первая, Прогрес, Москва, გვ. 66

- ⁷ იქვე, გვ. 66.
- ⁸ იქვე, გვ. 67.
- ⁹ ალექსიძე ლ. (1994) თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, „ნეკერი“, თბილისი, გვ. 20.
- ¹⁰ იქვე, გვ. 20.
- ¹¹ იქვე, გვ. 21.
- ¹² Броунли Я. (1977) *Международное Право*, (в двух книгах), Книга Первая, Прогрес, Москва 1977, გვ. 69.
- ¹³ იქვე, გვ. 71.; აგრეთვე Muller A. *Relationship between national and international law*, University of Oslo, Presentation 14 October, 2013, <http://www.uio.no/studier/emner/jus/jus/JUS5540/h13/undervisningsmateriale/nat-int-law_14oct2013.pdf> ნანახია [10.10.2016]; აგრეთვე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 1925 წლის 21 თებერვლის საკონსულტაციო დასკვნა #10, საქმეზე „ბერძენი და თურქი ეროვნების მოსახლეობის გაცვლა“, გვ. 20. http://www.icj-cij.org/pcij/serie_B/B_10/01_Echange_des_populations_grecques_et_turques_Avis_consultatif.pdf [ნანახია 10.10.2016]
- ¹⁴ კორკელია კ., ქურდაძე ი. (2004) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სამოსამართლო სწავლების ცენტრი, თბილისი, გვ. 35.
- ¹⁵ იქვე, გვ. 36.
- ¹⁶ <http://www.coe.int/en/web/conventions/search-on-treaties/-/conventions/treaty/country/GEO?p_auth=ZCpLyVWx> [ნანახია 26.11.2016].
- ¹⁷ 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 4.1 „დ“. 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 7.3.„გ“.
- ¹⁸ კორკელია კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2004, გვ. 86.
- ¹⁹ ჰენშელი ს. (2009) *სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა*, „სიესტა“, თბილისი, გვ. 63.
- ²⁰ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ. (2005) *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები*, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, „მერიდიანი“, თბილისი, გვ. 9.
- ²¹ იქვე.
- ²² ალექსიძე ლ. (1994) თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, „ნეკერი“, თბილისი, გვ. 21.
- ²³ იქვე, გვ. 21-22.
- ²⁴ იქვე.
- ²⁵ კორკელია კ., ქურდაძე ი. (2004) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სამოსამართლო სწავლების ცენტრი. თბილისი, გვ. 34
- ²⁶ Ovey C., White R. (2006) *Jacobs & White The European Convention on Human Rights*, Fourth Edition, Oxford University Press, გვ. 18.
- ²⁷ იქვე.
- ²⁸ კორკელია კ., ქურდაძე ი. (2004) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სამოსამართლო სწავლების ცენტრი, თბილისი, გვ. 53.
- ²⁹ Drzemczewski A.Z. (1983) *European Human Rights Convention in Domestic Law: A Comparative Study*. Claredon Press, Oxford, გვ. 268
- ³⁰ იქვე.
- ³¹ კორკელია კ. (2004) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გვ. 143-149.
- ³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, <<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi->

- zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page> [ნანახია 04.12.2016]
- ³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, <<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqeebi-teimuraz-djanashia-da-giuli-alasania-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg3.page>> [ნანახია 04.12.2016].
- ³⁴ კორკელია კ. (2004) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გვ. 189-216.
- ³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> [ნანახია 04.12.2016].
- ³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>> [ნანახია 04.12.2016].
- ³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>> [ნანახია 04.12.2016].

THE PLACE OF EUROPEAN CONVENTION OF HUMAN RIGHTS AND CONVENTION BASED CASE LAW IN THE LEGAL SYSTEM OF GEORGIA

Abstract

The European Convention on Human Rights remains as one of the widely cited and applied international legal documents in the judicial practice as well as in the mass media. In this regard, in this Article, we shall endeavor to answer the question what is the place of this Convention and Convention based case law in the legal system of Georgia. There will be analyzed appropriate articles of the new edition of the Constitution of Georgia¹ as well as Georgian legislation and domestic courts' case law.

Key words: ECHR | Constitution of Georgia | International Treaty | Case law of the ECtHR | Constitutional Court of Georgia | Supreme Court of Georgia

INTRODUCTION

There is no dispute over the issue that the European Convention of Human Rights (hereinafter referred to as “the Convention”) signed on the 4th of November 1950, does not lose its significance and remains in many countries as one of the most important tools for the protection of human rights. Such attitude to the Convention is maintained despite the fact that many of its provisions are more or less derived from the content of the Universal Declaration of Human Rights. We may assert that the Convention as a regional instrument in terms of efficiency of the protection of human rights has hugely superseded at the regional level such a universal international legal instrument as International Covenant of Political and Civil Rights adopted in 1966. Such efficiency was presupposed by the Court of Human Rights established based on the Convention and it is the result of the activity of this Court that eventually contributes to the growing significance of the Convention and case law throughout Europe, especially throughout those members of the Council of Europe with developing democracies.

One of the reasons for such efficiency can also be considered the place of the Convention and Case Law in the domestic legal system. Truly, the Convention has become a part of internal law for the members of Council of Europe. Such transformation required long time and huge legislative activities and acquired differ-

ent meaning in different countries. In particular, the actual role and influence of the Convention differed and differs state by state. For example, today, in Belgium, France, the Netherlands, Switzerland and the UK, we can say that the ECHR constitutes a kind of surrogate or shadow Constitution.² In Germany, the Convention and the Case Law have a limited influence on the domestic legal system.³ While in Norway, it is not only the text of the Convention that is integrated to Norwegian law but also the methods of interpretation.⁴ In spite of such a diverse approach among the states, it does not influence the normative force of the Convention and it remains one of the most significant documents for the protection of human rights throughout Europe.

Moreover, there is an opinion expressed in legal doctrine that although the Convention is based on principles of traditional treaty law, the Case Law created based on the Convention exceeds traditional boundaries of international and domestic law, to cut it short, the Convention can be regarded as a *sui generis*⁵.

From this point of view, it would be interesting to assess the place of the Convention and of the Case Law in Georgian legal system, especially when from the moment of taking oath of office by the President of Georgia elected at the 2018 presidential elections, the new Constitution of Georgia entered into force, which together with other issues regulates legal nature of international treaties.

Taking into consideration all the above mentioned, the current article shall endeavor to answer the question what is the place of the Convention and of the Case Law in Georgian legal system both in terms of normative approach and of actual situation.

1. INTERRELATION OF INTERNATIONAL LAW AND DOMESTIC LAW

